

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი



ეროვნული

სტუდენტთა სამეცნიერო შრომები

თბილისი
2017



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ურთიერთობათა და კოცლიქთაბის
დარღულირებისათვის**

**ჰუმანიტარული და კულტურულ-საგანმანათლებლო
მიმართულების პროექტი**

**VIII სტუდენტური რეგიონთაშორისი
კონფერენცია**

მასალები



**უნივერსიტეტის
გამოცემა**

რედკოლეგია:

თამარ პაიჭაძე (მთავარი რედაქტორი)

კონფერენციის ხელმძღვანელი, ორგანიზატორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, პროფესიის ხელმძღვანელი

კახაბერ ლორია (რედაქტორი)

კონფერენციის ხელმძღვანელი, ორგანიზატორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

ნინო მინდიაშვილი (კოორდინატორი) პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესორები: **რევაზ ჯორბენაძე**, ირმა ხარშილაძე, ნანი გელოვანი, ია ხუბაშვილი,

ირინე უვანია, ეთერ ლვინერია, ლაშა ლორია, ინესა გაგნიძე, ქეთევან ხუციშვილი,

ქეთევან სიხარულიძე, თამარ შარაბიძე, ინგა სანიკიძე, ნანა გონჯილაშვილი,

ნინო ჭალაგანიძე, მარინე ლომიძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ავტორთა სტილი დაცულია

ს ა რ ჩ ე ვ ი

მარიამ ხაბულიანი

ყარსის ხელშეკრულება და მისი შედეგები.....	8
ნანი მანველიშვილი	
„სიზმრები „ქართლის ცხოვრებაში“ და მათი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა“.....	13
რეზო მარნაძე	
დაბა სურამის ისტორიიდან (ანტიკური ხანა)	19
მაია ახალკაციშვილი	
საქართველოდან დეპორტირებული „თურქი მესხების“ რეპატრიაციის საკითხი საქართველოში	23
ილონა ბუშვილი	
ტერორისტული აქტები ქართული არხების ობიექტივში.....	28
ანა ზაბახიძე, ეთიკო შაყულიშვილი	
რეგიონული მაუნყებლობის გაშუქების სპეციფიკა თანამედროვე ქართულ სამაუნყებლო მედიაში	32
(ტელეკომპანია „მარნეული TV“-ის მაგალითზე)	32
ლია ზამბახიძე	
მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება საქართველოს საზოგადოებრივი მაუნყებლის პირველი არხი	36
დავით თოთაძე	
სოციალური მეწარმეობა და საქართველო	45
ხათუნა თაბაგარი	
საქართველო-ირანის ენერგოსატრანსპორტო დერეფნის მნიშვნელობა საერთაშორისო ეკონომიკაში....	52
მარიამ ახვლედიანი	
ISNEY'S ACQUISITION OF PIXAR	62
ქეთევან არაბული	
ხევსურული ზეპირსიტყვიერება წარსულისა და თანამედროვეობის მიჯნაზე.....	65
ნინო ლომიძე	
მუჰამედირობის ასახვა კავკასიის ხალხთა ლიტერატურაში	69
გულ მუქერერებ ოზურქი	
ქართული ლიტერატურის თურქი მთარგმნელები და მკვლევრები	73
ციალა ოჩიხიძე	
იოანე მტბევრის შობისადმი მიძღვნილ საგალობლებში მაცხოვრის სიმბოლოთა სახისმეტყველებისათვის.....	77
ქეთევან სამადაშვილი	
მითოლოგიური ალუზიები ლია სტურუას შეგრძნებების რომანში „რამ შეჭამა ვენახი?“.....	81
მარი ტოტიკაშვილი	
სიყვარული რეალობასა და შემოქმედებაში (ნიკოლოზ ბარათაშვილი)	84
ნინო ბუჭუხიშვილი	
დანაშაული და სასჯელი (გიორგი წერეთლის „პირველი ნაბიჯი“).....	89
მინდია ცეცხლაძე	
გამოუთქმადობასთან დაკავშირებული კონცეპტები შალვა ბაკურაძის პოეზიაში.....	93
მარიამ გობიანიძე	
შავი ფერის პარადიგმა გალაკტიონ ტაბიძის პოეტურ ენაში	99
ციური მეზვრიშვილი	
ფუნქციონალური დატვირთვა და მისი ტრანსფორმაცია მხატვრულ ტექსტში (ი. გოგოებაშვილი „იავნანამ რა ჰქმნა?“)	102
ცოტნე ციცხვაია, სოფიკო ქსოვრელი	
ანტიმონარქისტი ჯარისკაცის გზა შვედეთის მეფობამდე – კარლ XIV იუპანი	106
მარიამ მანია	
ფრიტიოფ ნანსენი და ტურ ჰეირდალი – მათი საქართველოში მოგზაურობის შესახებ.....	110
ნინო სოსელია, მარი ხოჭოლავა	
„ნორვეგიის მოსახლეობის სტრუქტურა და თანამედროვე გამოწვევები“	113

წინასიტყვაობა

წინამდებარე კრებულში თავმოყრილია სტუდენტთა VIII რეგიონთაშორისი კონფერენციის (2016 წელი) ფარგლებში წარმოდგენილ მოხსენებათა შორის შერჩეული მასალები.

200-ზე მეტი შემოსული განაცხადიდან კონფერენციაზე წარსადგენად შეირჩა 16 სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში მომზადებული 83 მოხსენება. შესაბამისად, წარმოდგენილი მასალების მრავალფეროვნების, მრავალმიმართულებრივი პრობლემატიკის კვალობაზე მუშაობდა 9 სხვადასხვა სასწავლო-სამეცნიერო ორგანიზაციის სექცია. წარმოდგენილ მასალათა შორის ნაშრომების კვლევისა და ანალიზის კომპონენტების, ინდივიდუალიზმისა და თავისთავადობის, მეცნიერული, მორალური პოზიციისა და ხარისხის გათვალისწინებით, ჯერ კიდევ კონფერენციაზე, სექციური მუშაობისას, გამოქვეყნებისათვის რეკომენდაცია გაეწია ნაშრომთა ერთ ნაწილს.

შემდგომ, სარედაქციო კოლეგიამ იმუშავა შერჩეულ და გამოგზავნილ მასალებზე. სწორედ ამ შერჩევისა და შესრულებული სამუშაოს შედეგები აისახა „მერმისის“ ამ ახალ კრებულში და შეირჩა 25 მოხსენება სხვადასხვა სპეციალობებიდან.

საორგანიზაციო ჯგუფისათვის კვლავ რჩება მთავარ სამუშაო პრინციპად ჩვენი პროექტის: „ურთიერთობათა და კონფლიქტების დარეგულირებისათვის“ ძირითადი იდეის განხორციელება: ინტეგრირება და თანამშრომლობა სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო ინსტიტუტების მკვლევრებთან და სტუდენტებთან.

ტრადიციისამებრ, „მერმისის“ წინამდებარე კრებულიც ამ ღირებულებათა წარმომჩენია.

თამარ პაიჭაძე

მარიამ ხაბულიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი ხელმძღვანელი:
პროფესორი მირიან მახარაძე

ყარსის ხალშეკრულება და მისი შედეგები

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დაიშალა გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიები. ახლოაღმოსავლეთი და კავკასია დაიკავეს ინგლის/საფრანგეთის საოკუპაციო ჯარებმა. პარალელურად პარიზში, ვერსალში მიმდინარე მოლაპარაკებების ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენდა ახლოაღმოსავლეთში ახალი სახელმწიფოების შექმნა უკვე დაშლილი ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე. ასევე განიხილებოდა ახალი თურქული სახელმწიფოს შექმნა, რომელსაც მცირე აზიაში მხოლოდ ანატოლია უნდა მოეცვა.

ანტანტის სახელმწიფოების ამ სურვილს წინ აღუდგა მუსტაფა ქემალი, რომელმაც პრძოლა დაიწყო როგორც ანტანტის სახელმწიფოების, ასევე სულთნისა და მისი მთავრობის წინააღმდეგ. მან კავშირი დაამყარა საბჭოთა რუსეთთან, რომელიც სამოქალაქო ომის ცეცხლში იყო გახვეული. 1920 წლის აგვისტოს ბოლოს მოსკოვში გაიხსნა თურქეთის საელჩო. მოლაპარაკების დროს მიღწეულ იქნა შეთანხმება საბჭოთა რუსეთის მიერ თურქეთისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ: იარაღით, სამხედრო აღჭურვილობითა და ოქროთი. თუმცა ხელშეკრულების საბოლოო ტექსტი არ იქნა გაფორმებული იმის გამო, რომ ამ დროს არ იყო დადგენილი ამიერკავკასიაში რუსეთ-თურქეთის საზღვარი. იმავე წლის ოქტომბრის დამდეგს ანკარაში საბჭოთა რუსეთის დიპლომატიური მისია ჩავიდა, გაიხსნა საბჭოთა რუსეთის საელჩო. 1920 წლის ბოლოსთვის ანკარას ეწვია რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი – ბუდუ მდივანი.

პარალელურად, საქართველო-რუსეთს შორის მოსკოვში 1920 წლის 7 მაისს დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, საბჭოთა რუსეთი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას დეფაქტო და დე-იურედ ცნობდა თბილისში და ქუთაისში გუბერნიების, ბათუმის, სოხუმისა და ზაქათალას ოლქების ფარგლებში.

რუსეთის მიერ საქართველოს დე-ფაქტო და დე-იურედ აღიარების შემდეგ ინგლისმა, საფრანგეთმა, აშშ-მ, გერმანიამ, იტალიამ, ესპანეთმა და სხვა ქვეყნებმა საქართველო დეიურედ ცნეს და სურვილი გამოთქვეს დაემყარებინათ მასთან დიპლომატიური ურთიერთობა. ასევე, 1920 წლის ნოემბერში თბილისში ანკარის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლის პოლკოვნიკ ქიაზიმ ბეის, ჩამოსვლის შედეგად საქართველოში გაიხსნა თურქეთის საელჩო (ელჩი – ქიაზიმ ბეი), ხოლო 1921 წლის 8 თებერვალს ანკარაში ჩასულ საქართველოს ელჩს, სვიმონ მდივანს შეხვდა მუსტაფა ქემალ ფაშა. ამ შეხვედრაზე მათ ისაუბრეს საქართველოს დამოუკიდებლობის მნიშვნელობაზე რეგიონში და თურქეთის როლზე აღმოსავლეთში. შეხვედრის ბოლოს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ საქართველო დე-იურედ ცნო და დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა. საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს დე-ფაქტო და დე-იურედ აღიარების მიუხედავად 1921 წლის 25 თებერვალს თბილისში მე-11 წითელი არმია შემოვიდა და მეორე დღესვე მოსკოვში ოფიციალურად გაიხსნა რუსეთ-თურქეთის კონფერენცია, რომელზეც ყველაზე დაძაბულად დისკუსია ამიერკავკასიის საზღვრის დადგენასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა: საბჭოთა რუსეთის დელეგაცია მოით-

ხოვდა, რომ საქართველო-თურქეთის საზღვარი დადგენილიყო 1920 წლის 7 მაისის მოსკოვის რუ-სეთ-თურქეთის ხელშეკრულების საფუძველზე, ანუ საქართველოს ხელში დარჩენილიყო ახალ-ციხისა და ახალქალაქის მაზრები, ქ. ბათუმი და ბათუმის ოლქი, თუმ-ცა თურქეთის მხარე ამაზე არ თანხმდებოდა. 9 მარტს მოლაპარაკებებში ღენინის დავალებით ჩატართო იოსებ სტალინი, რომელ-მაც საერთო მდგომარეობა შეცვალა და თურქეთის მხარის წინააღმდეგობის მიუხედავად 16 მარტს დადგებულ იქნა ხელშეკრულება რუსეთსა და თურქეთს შორის. ის შედგებოდა 16 მუხლისგან და 3 დამატებისაგან.

ხელშეკრულების II მუხლის მიხედვით, თურქეთი დათანხმდა საქართველოსთვის დაეთმო ქ. ბათუმი, შესაბამისად, ართვინის, არტაანისა და ყარსის ოკრუგები თურქეთს გადაეცა. მოსკოვის ხელშეკრულების XV-XVI მუხლების თანახმად, რუსეთი იღებდა ვალდებულებას სამხრეთ კავკასიას-თან მიმართებაში გადაედგა ნაბიჯები, რათა მათ ეღიარებინათ მოსკოვის ხელშეკრულება, რომე-ლიც მათ უშუალოდ ეხებოდა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს სამხრეთ კავკასიის სამივე რესპუბლიკა დაპყრობილი ჰქონდა, ჯერ კიდევ არ იყო განსაზღვრული, თუ რა სახით შევიდოდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკები საბჭოთა რუსეთში. სწორედ ამიტომ, გადაწყდა ყარსის მოლაპა-რაკებებში აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის წარმომადგენლების ჩართვა.

23 სექტემბერს ქ. ყარსში გაიხსნა კონფერენცია თურქეთს, საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, რომელშიც სრულუფლებიან მხარედ მონაწილეობას იღებდა რუსეთი. 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულება შემდეგნაირად არის დასათაურებული: „**ხელშეკრულება მე-გობრობის შესახებ ერთი მხრივ სომხეთის სსრ, აზერბაიჯანის სსრ-სა და საქართველოს სსრ-ს მეორე მხრივ თურქეთს შორის, რომელიც დადებულ იქნა რსფსრ-ს მონაწილეობით ყარსში 1921 წლის 13 ოქტომბერს“.**

საქართველოს მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ეროვნულმა კომისარმა სამხედრო და საზღვაო საკითხებში – შალვა ელიავამ და ეროვნულმა კომისარმა საგარეო ურთიერთობებსა და ფინანსებში – ალექსანდრე სვანიძემ.

რუსეთის მხრიდან – იაკობ ვანეცკიმ (ფიურსტენბერგი), რომელიც იმავდროულად წარმოადგენდა კომისარიატის კოლეგიის წევრს რუსეთის საგარეო საქმეებში.

აზერბაიჯანის მხრისან-ბეჭედულ შაჰტახტინსკიმ, თურქეთის მხრიდან – ქიაზიმ ქა-რაბექირ ფაშამ, ველი ბეიმ, მუჰამედ ბეიმ, მემდუშ შევქეთ ბეიმ, სომხეთის მხრიდან – ასკანაზ მრავიანმა და პოლოს მაკინზიანმა.

ყარსის ხელშეკრულება პრაქტიკულად იმეორებდა მოსკოვის ხელშეკრულებას: თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი და ქ. ბათუმთან დაკავშირებული მუხლები უცვლელად იქნა გადმოტანილი. ყარსის ხელშეკრულება შედგებოდა 20 მუხლისგან და 3 დამატებისგან. მათ შორის რამდენიმე ეხებოდა უშუალოდ საქართველოს.

ყარსის ხელშეკრულების I მუხლი ძალადაკარგულად აცხადებდა იმ ხელშეკრულებებს, რომელიც ამიერკავკასიას (სამხრეთ კავკასიას) ეხებოდა. თუმცა ეს არ ეხებოდა რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებას. II მუხლში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს არ უნდა ეცნოთ არც ერთი ხელშეკრულება, რომელიც ეხებოდა თურქეთს და არ იქნებოდა დამტკიცებული თურქეთის დიდი ეროვნული ყრილობის მიერ. თავის მხრივ თურქეთი თავის თავზე იღებდა ვალდებულებას არ ეცნო არც ერთი საერთაშორისო აქტი, თუ მას არ ცნობდა სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო.

IV მუხლში დგინდებოდა, რომ თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი იწყებოდა შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სოფელ სარფთან, შემდეგ მიუყვებოდა ქედის მთას, შავშეთისა და კანნიდალის მთების წყალგამყოფს, არდაგანისა (არტაანისა) და ყარსის სანჯაყების ჩრდილოეთ ადმინისტრაციულ საზღვარს მდინარეების არპა-ჩაისა და არაქსის ტალვეგს.

VI მუხლი ეხებოდა აჭარას: „თურქეთი ეთანხმება დაუთმოს საქართველოს სუვერენიტეტი ქალაქ და პორტ ბათუმზე და ტერიტორიაზე საზღვრის ჩრდილოეთი, რომელიც მითითებულია **IV** მუხლში და შეადგენს ბათუმის ოკრუგის ტერიტორიას შემდეგ პირობებში: **ა)** ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც მითითებულია წინამდებარე მუხლში გამოიყენებს ფართო ადგილობრივ ავტონომიას ადმინისტრაციულ ურთიერთობებში, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული თემის კულტურულ და რელიგიურ უფლებებს და მოსახლეობას ექნება შესაძლებლობა მითითებულ მხარეში და-ადგინოს კანონი მიწის შესახებ, რომელიც მისი მდგომარეობის შესაბამისი იქნება. **ბ)** თურქეთი უზრუნველყოფილი იქნება ყველა სახის საქონლის თავისუფალი ტრანზიტით, რომელიც იქნება გაგზავნილი თურქეთისკენ ან თურქეთიდან ბათუმის პორტის გავლით, უბაჟოდ, ყოველგვარი შეფერხებისა და დაბეგვრის გარეშე, მიუხედავად იმისა, თუ რა რაოდენობის გადასახადიც არ უნდა იყოს გადასახდელი. ასევე თურქეთს მიერიქება ბათუმის პორტის გამოყენების უფლება სპეციალური გადასახადის აკრეფის გარეშე. ამ მუხლის ცხოვრებაში განხორციელებისათვის, ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ შეიქმნება კომისია მომლაპარაკებელი მხარეების წარმომადგენლებისგან.“

ყარსის ხელშეკრულების **XX მუხლის** მიხედვით, **6 მუხლი (VI, XIV, XV, XVI, XVIII, XIX)** ძალაში ხელმოწერის დღიდან უნდა შესულიყო, ანუ 1921 წლის 13 ოქტომბერს. ეს მუხლები ეხებოდა 1918-1920 წლების ომების შედეგად გამხდარ დევნილ მოქალაქეებს, კავკასიის ფრონტზე დამნაშავე პირთა სრულ ამნისტიას, სამხედრო და სამოქალაქო ტყველების გაცვლას, როგორც სავაჭრო ურთიერთობების, ასევე ეკონომიკური და ფინანსური საკითხების დამარეგულირებელი კომისიის შექმნას და საკონსულო კონვენციის დასრულებას 3 თვის ვადაში. დანარჩენი მუხლები ძალაში უნდა შესულიყო ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ. **XX მუხლი** ასევე ავალდებულებდა მხარეებს ერევანში უმოკლეს დროში გაეცვალათ სარატიფიკაციო სიგელები.

ხელშეკრულების I დამატებაში დაწვრილებითაა აღნერილი თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი, II დამატებაში აღნერილია თურქეთის საზღვარი არპა-ჩაისა და არაქსის ზონაში, III განსაზღვრავდა ნახტევანის ავტონომიის საზღვარს.

ყარსის ხელშეკრულება არ შეიცავდა საიდუმლო მუხლებს. მისი მოქმედების ვადა არ იქნა დადგენილი, რაც, სავარაუდოდ, განპირობებულია იმ პრაქტიკით, რომელსაც აწარმოებდნენ ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიები **XVIII–XIX** სს-ებში. რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ მომლაპარაკებელი მხარეები საზავო ხელშეკრულებებში არ უთითებდნენ ხელშეკრულების მოქმედების ვადას. ხოლო მშვიდობა სახელმწიფოებს შორის მყარდებოდა მანამ, სანამ რომელიმე მხარე არ დაარღვევდა ხელშეკრულების პირობებს.

ყარსის ხელშეკრულება გაფორმებული იქნა ხუთ ეგზემპლარად: თურქულ, რუსულ, ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. ხელშეკრულება რატიფიცირებულ იქნა **ერევანში 1922 წლის 11 სექტემბერს.**

ყარსის ხელშეკრულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც რუსეთისთვის, ისე თურქეთისთვის. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როცა მუსტაფა ქემალმა დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, მან მოკავშირე საბჭოთა რუსეთის სახით იპოვა, რადგან ორივე მხარე ებრძოდა ანტანტას, ჰქონდა საკუთარი ინტერესები კავკასიის მიმართ და რაც მთავარია, ორივეს სტირდებოდა მოკავშირე.

გასათვალისწინებელია საქართველოს მდგომარეობაც: როცა საბჭოთა რუსეთი და თურქეთის დიდი ეროვნული კრება საქართველოს დე-ფაქტო და დე-იურედ აღიარებდნენ, პარალელურად საქართველოს ზურგს უკან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ მისსავე წინააღმდეგ. ხოლო როცა 11 თებერვალს XI წითელი არმია საქართველოში შემოიჭრა, თურქეთის ელჩმა საქართველოში, ქიაზიმ ბეიმ წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების სანაცვლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ართვინისა და არტაანის ოკრუგები მოსთხოვა, რომელიც 1920

წელს დიდმა ბრიტანეთმა საქართველოს მთავრობას გადასცა მას შემდეგ, რაც კავკასიიდან ჯარი გაიყვანა. ხოლო უკვე 22 თებერვალს ანკარის მთავრობამ საქართველოს მთავრობას გადასცა ულტიმატუმი და დაუყოვნებლივ მოითხოვა ჯარის გაყვანა არტაანიდან და ართვინიდან. საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა ამ რეგიონებიდან ჯარი გაეყვანა. სწორედ ეს გახდა მიზეზი საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დაკარგვისა.

რაც შეეხება ქალაქ ბათუმს და ბათუმის ოკრუგს, რუსეთი არ აპირებდა ის თურქეთის თვის დაეთმო. თუმცა 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულების მიუხედავად, რომლის თანახმადაც თურქეთი ბათუმს საქართველოს უთმობდა, მეორე დღესვე თურქეთის ჯარი შევიდა და დაიკავა ფოსტა-ტელეგრაფი, მილიციის სამმართველოს შენობა. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ 18-20 მარტს ბათუმისათვის ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო ადგილობრივმა მოსახლეობამ, ქართველმა სოციალ-დემოკრატმა მენშევიკებმა და ბოლშევიკებმა. ხოლო კომისარ ულობას სამხედრო ნაწილები, რომლებიც 19 მარტიდან ბათუმში იმყოფებოდნენ, მონაწილეობა არ მიუღიათ ბათუმის დაბრუნებისთვის, რადგან XI წითელი არმიის დივიზიის მეთაურის, ჰეკერისგან მითითება ჰქონდა მიღებული, არ დაეშვა არავითარი შეტაკება თურქებთან. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ბათუმის დაბრუნება არა წითელი არმიის, არამედ ქართველების დამსახურებაა.

ყარსის ხელშეკრულების შედეგად საერთაშორისო საზოგადოების მიერ ჯერ კიდევ არაღიარებულ საბჭოთა რუსეთსა და ქემალისტურ თურქეთს შორის საბოლოოდ დადგინდა საზღვარი: რუსეთმა აჭარის ნაწილი, მისი უდიდესი ქალაქი ბათუმით და სომხეთის ქალაქი გიუმრი მიიღო, ხოლო თურქეთმა საქართველოსა და სომხეთის ისტორიული ტერიტორიები: ყარსი, ართვინი და არტაანი. სასაზღვრო ზოლის გავლებით თურქეთს მოეხსნა ომის საფრთხე ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვართან და მთლიანად გადაერთო ბერძნების წინააღმდეგ ომში. ქემალისტურ თურქეთს ბერძნების წინააღმდეგ ომში ეხმარებოდა საბჭოთა რუსეთი და აქტიურად ამარავებდა მას ოქროთი, იარაღითა და საბრძოლო ტექნიკით. ყარსის ხელშეკრულებით თურქეთს მიეცა საშუალება თავისუფალი ტრანზიტით ესარგებლა ქ. ბათუმში. შედეგად 1922 წლის სექტემბრისათვის თურქეთმა საბოლოო გამარჯვება მოიპოვა ბერძნებზე და განდევნა ისინი ანატოლიიდან, ხოლო ანტანტის სახელმწიფოებს არ მისცა მისი დაკაბალების საშუალება და ლოზანის კონფერენციაზე თურქეთის დელეგაცია ახალი ტერიტორიული მონაპოვარით წარსდგა.

აუცილებელია განვიხილოთ ყარსის ხელშეკრულება თანამედროვე მდგომარეობით. 1991 წელს დაიშალა საბჭოთა კავშირი, სამხრეთ კავკასიის სამივე რესპუბლიკამ მოიპოვა დამოუკიდებლობა. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკებს შორის დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობების დამოუკიდებლად დამყარება.

საქართველო-თურქეთს შორის 1992 წლის 30 ივლისს თბილისში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება, რომელსაც საქართველოს მხრიდან ხელი მოაწერა ედუარდ შევარდნაძემ (სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ), თურქეთის მხრიდან – სულეიმან დემირელმა (თურქეთის პრემიერ-მინისტრმა).

ხელშეკრულება შედგება 15 მუხლისგან და დასათაურებულია შემდეგნაირად: „**ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკას და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ**“. პრეამბულაში აღნიშნულია, რომ მხარეები „დაიცავენ მათ შორის დადებულ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს დაწყებული 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის შეთანხმებით“.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ყარსის ხელშეკრულება დაიდო საერთაშორისო ნორმების დარღვევით, რადგან საბჭოთა რუსეთი და თურქეთის დიდი ეროვნული კრება არ იყო აღიარებული საერთაშორისო საზოგადოების მიერ. ამავდროულად, საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრილი აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს წარმომადგენლები, საოკუპაციო რეჟიმის პირობებიდან გამომდინარე, იძულებულნი გახდნენ ამ დოკუმენტისთვის ხელი მოეწერათ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბედნიაშვილი ა, დაუშვილი ა, ნათმელიძე მ. საქართველოს ისტორია XIX- XX საუკუნეებში. თბ., 2012.
2. გურული ვ. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921წ). თბ., 2011. <http://sangu.ge/images/2015/gurulisaqruseti.pdf>.
3. საქართველო და გარესამყარო. თბ., 2010. <http://sangu.ge/images/vguruli/19geo.pdf>.
4. საქართველო და გარე სამყარო (XIX- XXI საუკუნეებში). თბ., 2012. <http://sangu.ge/images/vgurl.pdf>.
5. ვაჩნაძე მ, გურული ვ. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1801-1921). თბ., 2009. <http://sangu.ge/images/vquruli/17geo.pdf>.
6. თოიძე ლ. ბრძოლა ბათუმისთვის: 1921 წლის მარტი. საგამომცემლო-ანალიტიკური ცენტრი „ახალი აზრი“. თბ., 2009.
7. ლორდი კინსონი. ათათურქი. „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“ თბ., 2011.
8. ჟორდანია ნ. ჩემი ნარსული. პარიზი 1953.
9. სვანიძე მ. თურქეთის ისტორია. თბ., 2007წ.
10. შალიკაშვილი დ. საქართველოს ნარმომადგენელი თურქეთში 1921წ. იხ. შარაძე – ქართული ემიგრანტული უურნალისტიკის ისტორია, ტ 4. თბ., 2003წ.
11. ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკას და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ. საქართველოს საკანონ-მდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1207454>
12. Договор между Грузией и Россией от 7 мая 1920 года <http://www.osetinfo.ru/ist1>
13. Договор о дружбе между Армянской ССР, Азербайджанской ССР и Грузинской ССР, с одной стороны, и Турцией – с другой, Заключенный при участии РСФСР в Карсе 13 октября 1921 г. <http://www.amsi.ge/istoria/sab/yarsi.html>
14. Московский договор между Россией и Турцией 16 марта 1921 года http://www.hrono.ru/dokum/192_dok/19210316ru_tur.html.

ნანი მანველიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი

„სიზმრები „ქართლის ცხოვრები“ და მათი ისტორიულ- ცყაროთაცოდნეობითი მნიშვნელობა“

„ქართლის ცხოვრება“ ძველი ქართული საისტორიო თხზულებათა კრებულია, რომელიც მოგვითხრობს საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან დღემდე. ის გვანვდის ძირითად ინფორმაციას ფეოდალური საქართველოს შესახებ. „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის რამდენიმე მიმართულება არსებობს: წყაროთმცოდნეობითი, ისტორიოგრაფიული და კულტურული. წყაროთმცოდნეობითი მიმართულება აქცენტს აკეთებს წყაროს ღირებულებაზე, ისტორიოგრაფიული კვლევა გულისხმობს წყაროს მნიშვნელობას ისტორიული აზრის განვითარების თვალსაზრისით. რაც შეეხება კულტურულ კვლევას, იგი კულტურის ისტორიის თვალსაზრისით იკვლევს საკითხს. ყველა ამ კუთხით, ეს ძეგლი საცმაოდ არის შესწავლილი. ამაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ბევრ ცნობილ ქართველოლოგს, პირველ რიგში, ივანე ჯავახიშვილს. ივ. ჯავახიშვილმა ლრმა კვალი დატოვა მეცნიერულ ქართველოლოგიაში.

როგორც აღვნიშნეთ, „ქართლის ცხოვრების“ კვლევის რამდენიმე ასპექტი არსებობს. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა კვლევის ისტორიოგრაფიული ასპექტი, რაც გულისხმობს ისტორიული რეპრეზენტაციის თავისებურებებზე დაკვირვებას. ამიტომ გახდა ჩვენთვის აქტუალური სიზმრები. საინტერესოა, რა ფუნქცია აქვთ სიზმრებს ძველ წყაროებში. ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილია რამდენიმე ღირებული ნაშრომი სიზმრების კვლევასთან დაკავშირებით, მათ შორის ქეთევან ხუციშვილის სადოქტორო ნაშრომი – „სიზმარი ქართულ ყოფაში“; ლელა პატარიძის „პოლიტიკური და კულტურული იდენტობანი IV-VIII სს-ის ქართულ ერთობაში“. თუმცა, ამ შემთხვევაში ჩვენ კვლევის სხვა მიმართულება გვაქვს. ჩვენი მიზანია „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული სიზმრები წარმოვადგინოთ როგორც ისტორიის რეპრეზენტაციის ფორმა. სიზმრების კვლევით დაინტერესებული არიან ევროპელი მეცნიერები. მათ შორის, ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა ქრისტიან ანგელიდისა და ჯორჯ კალოფონოსის კვლევა: „სიზმარი ბიზანტიაში და მის გარეთ. „ხსენებულ წიგნში წარმოდგენილია შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული სიზმრის ფენომენის ახსა-განმარტება.

სიზმარი რეალობის სუბიექტური აღქმაა, ირაციონალური რეალობაა, რომელიც ადამიანის არაცნობიერთან და ქვეცნობიერთან არის დაკავშირებული. იმის თქმა, რომ სიზმარი ცალსახად არაფრის მომტანია და მას არ უნდა დავუკეროთ, რასაკვირველია შეცდომაა. სწორედ სიზმარში იხილა ბევრმა ცნობილმა ადამიანმა იმ კითხვაზე პასუხი, რასაც მრავალი წელი ეძებდა. თუმცა არც ყველა სიზმრის დაჯერებაა სასურველი, რადგან ეს ადამიანის ცხოვრებას მშფოთვარეს გახდის და ადამიანში ცრურწმენებს გააძლიერებს. ფსიქოლოგიაში სიზმრის ფენომენს იკვლევდნენ ისეთი დიდი ფსიქოლოგები როგორებიც იყვნენ ზიგმუნდ ფროიდი და კარლ გუსტავ იუნგი. ფროიდის სიტყვებით, სიზმრების ახსნა არის Via Regina, ანუ ქვეცნობიერის შეცნობის „სამეფო გზა“. მანვე შექმნა სიზმრების ახსნის მეთოდოლოგია. თუმცა კი, ჩვენ მიზანს არ წარმოადგენს სიზმრების ფსიქო-ანალიტიკური ხასიათი, ჩვენი კვლევის მთავარი იდეა შუა საუკუნეებში ისტორიული რეპრეზენტაციის სტილის წინ წამოწევა და სიზმრების იდეოლოგიური ხასიათის წარმოჩენაა.

ვინაიდან, ჩვენი მთავარი სასაუბრო თემა ქართულ ისტორიულ ძეგლს ეხება, გვსურს მოკლედ წარმოგიდგინოთ „ქართლის ცხოვრების“ შექმნის ისტორია, შინაარსი. ქართლის ცხოვრება წარმოადგენს საისტორიო თხზულებათა კრებულს, სადაც შეტანილია ქართველ ისტორიკოსთა ის თხზულებები, რომლებიც თანმიმდევრობით მოვითხოვენ ქართველი ერის თავგადასავალს უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე.

ახლა კი უშუალოდ შევეხოთ სიზმრებს, როგორც სიმბოლური დატვირთვის ელემენტებს ის-ტორიოგრაფიაში. დასაწყისშივე უნდა ითქვას რომ, სიზმრების კვლევა დიდი ხნის განმავლობაში მეტად უინტერესო სფეროდ ითვლებოდა. ბევრი მკლევარი მათ მხოლოდ ზღაპრულ მნიშვნელობაზე საუბრობდა და ამდენად, ამ საკითხის ძირეული შესწავლა არც მომხდარა. თუმცა, სიზმრები არათუ უმნიშვნელო, ხშირ შემთხვევაში ძირითადი იდეის მატარებლად გვევლინება „ქართლის ცხოვრება-ში“. სიზმარი საშუალებაა ირიბად გადმოგვცეს ავტორმა სათქმელი. შეიძლება ისიც დავასკვნათ, რომ სიზმარი ისტორიული თხზულების ყველაზე მნიშვნელოვანი, დატვირთული ნაწილია. ამ შემთხვევაში, შევეცდებით მოკლედ განვიხილოთ „ქართლის ცხოვრებაში“ შემონახული სამი სიზმარი (მეფე ფარნავაზის, წმ. ნინოს და ვახტანგ გორგასლის), მათი მნიშვნელობა და დანიშნულება.

ფარნავაზის შესახებ ინფორმაციას ორი ქართული ისტორიოგრაფიული წყარო გვაწვდის. „მოქცევაი ქართლისაში მასზე მხოლოდ რამდენიმე წინადადებითაა გადმოცემული, ხოლო „ქართლის ცხოვრებაში“ მას მთელი თხზულება ეძღვნება.¹ ფარნავაზის მეფობას წინ უსწრებს აღექსანდრე მაკედონელის ლაშქრობები, აქემენიდური ირანის რღვევა. „მაკედონელთა ლაშქრის ერთ-ერთმა მარბიელმა ამიერკავკასიაშიც მოაღწია და ირანის გავლენისგან გაათავისუფლა არიან დქართლი, რომლის წინამდლოლის ქემ, აზომ, მაკედონელთაგან ზურგმომაგრებულმა ილაშქრა ჩრდილოეთში და გამეფდა მცხეთაში². ასე აღნერს მარიამ ჩხარტიშვილი აზოს დამკვიდრებას ქართლის ხელისუფლების სათავეში. მის მმართველობას ლეონტი „ძნელ და მესისხლე „კაცს უნოდებს. სწორედ აზოს წინააღმდეგ გამოდის ფარნავაზი. იგი, აზოსგან განსხვავებით, ტახტის კანონიერი მემკვიდრე იყო. მართალია, ამას ამტკიცებს ქუჯის მიმართვა: „უკეთუ მოგუეცეს ძლევა შენ ხარ უფალი ჩვენი“. ფარნავაზმა შეძლო და შექმნა განუყოფელი ქართული სახელმწიფო. ქვეყანას სათავეში გადმერთებული მონარქი ედგა. მეფის ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის იდეა, იჩენს თავს ფარნავაზის „ცხოვრების“ დასაწყისიდანვე. ამის დასტურია მისი სიზმარი, რომლის მიხედვით, ფარნავაზი „მზისცვარცხებულია“. მ. ჩხარტიშვილი საინტერესოდ აფასებს ფარნავაზის მეფობის დასასრულს: „ფარნავაზის წარმატებული მეფობის ბოლოსთვის ქართლში უკვე აღარავის ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ გვირგვინოსანი ზეგარდმო ძალების მოვლენილი იყო. ფარნავაზმა ქართული ეთნოსი, ანუ ქართველობა მოიაზრა როგორც განსაკუთრებული, სხვათაგან განსხვავებული მოვლენა; ამიტომაც სახელმწიფო შენობისთვის დუღაბად მან ქართული ენა გამოიყენა, რომელსაც სახელმწიფო სტატუსი მიანიჭა³.³

ამგვარად, ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბება სწორედ ფარნავაზის მეფობით იწყება. „ამან განავრცო ენაი ქართული და არლარა იძრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა⁴. ლეონტი მროველი, რომელიც წერს ფარნავაზის ისტორიას ახსენებს სიზმარს, რომელიც ფარნავაზმა იხილა: „იხილა ფარნავაზ სიზმარი რეცა იგი სახლა შინა უკაცურსა, და ეგულვებოდა განვლა და ვერ განვიდა. მაშინ შემოვიდა სარკუმელსა მისსა შუქი მზისა და მოერტყა წელთა მისსა, და გამიყვანა სარკმელსა მას. და ვითარ განვიდა, იხილა მზე ქუედმდაბლად, მიჰყო ხელი მისი, მოჰხოცა ცუარი პირსა მზისასა და იცხო პირსა მისსა⁵. ამ სიზმარში, ჩვენი აზრით, წარმოჩინდა ლეონტი მროველის მთავარი სურვილი, მოამზადოს ხალხი ფარნავაზის მეფობისთვის. ამ სიზმრის მიზანია დაამტკიცოს ფარნავაზის მეფობის ლეგიტიმურობა. ხსენებული ეპოქა წარმართი სალოცავების ხანაა. მზის კულტი ჯერ კიდევ აქტიურია. ამაზე მეტყველებს თუნდაც თვითონ ფარნავაზის მიერ შექმნილი არმაზის კულტი. არმაზი მზის გამომხატველ მითოლოგიურ სახე-იდეად წარმოაჩენს ლე-

¹ მ. ჩხარტიშვილი; სახეები საქართველოს წარსულიდან, გვ. 7.

² იქვე, გვ. 7.

³ მ. ჩხარტიშვილი; სახეები საქართველოს წარსულიდან, გვ. 14.

⁴ ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ქართლის ცხოვრება, ანასეული ნუსხა (XVII ს.), გვ.46.

⁵ ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ქართლის ცხოვრება, ანასეული ნუსხა (XVII ს.), გვ.40.

ონტი მროველი. ამას სხვადასხვაგვარი ახსნა აქვს. ერთის თანახმად, ძვ. ქართულ თქმულებაში მზე ჩასვლისას ოქროს აფრევევს. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ჩამავალი მზე თავის ნათელს არმაზში ანივთებს. არმაზი მიწიერი მზეა. არსებობს თქმულებაც, რომ მზეს აქვს თავისი სახლი და იგი სპილენძისაა, ისევე როგორც არმაზის კერპი. ლეონტი მროველის თხზულებაში ნახსენები სიზმრის მიხედვით, ფარნავაზ მეფე მზის ნათელთანაა წილნაყარი და მზიურობას ანივთებს თავის აღმართულ კერპში. ლეონტი მროველმა ფარნავაზის გზის მისივე სიზმარი დასახა. სიზმარი, არა მხოლოდ სახის-მეტყველებით, არამედ სააზროვნო სახე-იდეას ქმნის. ტექსტში მზის ხილვის აღწერა ნათლის განფენის მომასწავებელია. სიზმარში მზე ცის კაბადონზე ჩამოდის და მისი ნაწილი ფარნავაზს ერგება წილად. ეს პასაუი, ჩვენი აზრით, წარმოსახავს ფარნავაზის, როგორც გამორჩეული მმართველის მეფობას. ფარნავაზი ნიშნავს ნათელს, მზიურს, მეფურ დიდებას. ფარნავაზის ლვთიურობაზე მიუთითებს მისი საქმეები. მათ შორის უმნიშვნელოვანესი ქართული ენის შექმნა და საერთო რელიგიური კულტის შექმნა. ლეონტის თხზულებაში ასახული ფარნავაზის პიროვნება ლვთის და კერძოდ მზის „ნაწილიანია“.⁶ მისი საქმენიც მზიურ სიძლიერეს, სიდიადეს და სიზმინდის გაცხადებაა. ხსენებული გამოკვლევა ვფიქრობთ, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ფარნავაზის მეფობის შესახებ. ლეონტი მროველი სიზმრის საშუალებით ირიბად გადმოგვცემს თხზულების მთავარ სათქმელს, ხსენებული ტექსტი მეფის ლეგიტიმურობის დამამტკიცებელია და, ჩვენი აზრით, ძირითადი აზრის იდეის მატარებელია.

ნმ.ნინო

სხვა კუთხით წარმოვაჩინოთ წმ. ნინოს ისტორია. ადრეულ პერიოდში წმ. ნინოს ცხოვრების ორი რედაქციაა შექმნილი. ისინი შატბერდულ-ჭელიშურმა რედაქციებმა შემოგვინახა. ნინო შემოსვლის შემდეგ მცხეთაში, მეფის სასახლეში დასახლდა. სამეფო ბალის მცველებმა შეიფარეს იგი. იმავე ხანებში, წმინდანმა, ბალში მუხლებზე ასკეტურად მთვლემარემ, რამდენიმეჯერ ნახა სიზმრად, რომ მრავალფერადი ჩიტები მოფრინდებოდნენ, მდინარეში გაიბანებოდნენ და ბალში რტოებს მოკენევდნენ, მერე ნინოს ეჭიკიცებოდნენ და გარშემო ევლებოდნენ ჟღურტულით. ქალწულმა ეს სიზმარი მოუთხრო სიდონიას, აბიათარ მღვდლის ასულს, რომელმაც იგი ისე განუმარტა, რომ წმინდანის მიერ ეს სამეფო ბალი ლვთის სადიდებელ ბალად გადაიქცევა. რამდენიმე წლის შემდეგ, სწორედ იმ ადგილას, სამეფო ბალში, აშენდა ქართლის სამეფოში პირველი ეკლესია, რომელსაც, მოგვიანებით, სვეტიცხოველი ეწოდა. „მოვიდიან მფრინველნი ცისანი, შთავიდიან მდინარესა, დაიბანნიან და მოვიდიან სამოთხეს ამას, და ბაბილოს ამას მოისთულებდიან და ყუავილს ამას ძოვდიან, და მოწლედ ჩემდა მოღალადებედ, რაცა ჩემი არს სამოთხეს იგი, გარემომაღილი უღავილით და წმობედ ჩემდა მომართ; მრავალ-ფერად და შუენიერად იყო ხილვად იგი მათი. და მრავალ გზის იყო ესე“.⁷

მხატვრული და სახისმეტყველებითი თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია წმ.ნინოს სიზმრის ეპიზოდი, სადაც საუბარია სამეფო ბალზე, რომლისა აღწერილობაც საკმაოდ დამაჯერებლად-ჰყავს ბიბლიური სამოთხის ბალს, და ფრინველებზე, რომლებიც მდინარეში ჩადიან, „ბაბილოსა მოისთულებდიან“ და ამბობენ, რომ წმინდა ნინოს ეკუთვნის სამოთხე. საყურადღებოა ის მომენტი, რომ სხვადასხვა რედაქციაში სხვადასხვა ხეზეა საუბარი და ზოგვან, მისი სახელი საერთოდ არ იხსენიება. ეს ფაქტი შეიძლება სამეფო ბალის ბიბლიური სამოთხის ბალთან მსგავსების კიდევ ერთ მაგალითად მივიჩნიოთ, რადგან ზუსტად არ არის ცნობილი, თუ რისი ხე იდგა სამოთხეში. როგორც ბიბლიურ, ისე ამ სიუჟეტში ყურადღება გამახვილებულია არა ხეების სახეობაზე, არამედ მათ მნიშვნელობაზე, ასევე შესაძლებელია, ის მდინარე, რომელიც სამეფო ბალში მოედინებოდა და რომელშიც ჩიტები ჩადიოდნენ, სამოთხის ბალის ოთხ მდინარეს დავუკავშიროთ. ფრინველი სულინმინდის სიმბოლოა, რომელიც მდინარეში ჩადის, ანუ ერთგვარად სიმბოლურად მაღლს გადასცემს, რომელიც შემდგომ მთელ ბალს მოეფინება. სამოთხის ოთხ მდინარესაც, რომლებიც სიცოცხლის ხესთან იღებდა სათავეს, სასიცოცხლო ენერგია გადაპქონდა სამყაროს ოთხივე კუთხეში (8,73). თუ წინა ეპიზოდს ქართული ხალხური ლეგენდა დავუკავშირეთ, როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში უკვე

⁶ მ. ჩხარტიშვილი; სახეები საქართველოს წარსულიდან, გვ.14.

⁷ http://www.amsi.ge/istoria/gm/ქართლის_მოქადაცება.pdf pg. 14.

ბიბლიურ წინამდღვრებთან გვაქვს საქმე. წმ. ნინოს კურნებას სწორედ ამ გამორჩეული ხეების სამყოფელში აღესრულება, რადგან ის ქრისტიანული მადლით აივსო, ძველს დაეფუძნა ახალი, ქრისტიანული ცნობიერება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ „წმ. ნინოს ცხოვრებაში“ სიზმარს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. ხსენებული სიზმარი ირიბად წარმოაჩენს ქრისტიანობის დამკვიდრებას ქართში და ზეციური სასუფევლის გადმოტანას ქართლის დედაქალაქ მცხეთაში. ვფიქრობთ, უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ ამგვარი მნიშვნელობის მქონე პასაჟი.

ვახტანგ გორგასლის ცხოვრების ისტორიკოსი – ჯუანშერი პირუთვნელი მეისტორიეა. მის ამ თხზულებაში გამოვლენილია ქრისტიანული რელიგიის ზნეობრივი მსოფლმხედველობა. ჯუანშერის ისტორიული აზროვნება პროვიდენციალისტურია – ის არამარტო აღწერსისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს, არამედ მიზეზებსაც არკვევს და ამდენად, ის შემფასებელია და ეს შეფასება გაჯერებულია წმ. წერილის სულით. ავტორი ისტორიულ ფაქტებში ეძებს „მიმალულ“ სულიერ აზრს. ჯუანშერის თხზულება „ვახტანგ გორგასლის ცხოვრება“ ქრისტიანობის აპოლოგია.

ვახტანგ გორგასლის შესახებ საინტერესო კვლევა წარმოგვიდგინა ლელა პატარიძემ. მისი აზრით, ჯუანშერი „ქრისტიანობის უნივერსალობის ხაზგასმით, ისტორიას შორსმიმავალ მიზანს უსახავს: ქართველობის საღვთო გზაზე მიპრუნებას, წარმავალი სამყაროს ნაცვლად მარადიული იდეალების დამკვიდრებას, ეკლესიის როლის აღზევებას და თეოკრატიული პრინციპების პოპულარიზაციას“.⁸ ამდენად, ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი შუა საუკუნეობრივად მოაზროვნე პიროვნებაა და პროვიდენციალისტური სახით წარმოგვიდგენს სამყაროს.

ვახტანგ გორგასლის ზეობის ეპოქა ქართლის სამეფოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ხანაა. საინტერესოა, ის იდეები რასაც შეიცავს და ამკვიდრებს ვახტანგ გორგასლის ცხოვრება ზოგადად მეფობის და კერძოდ, ვახტანგის მეფობის ლეგიტიმურობის შესახებ. ვახტანგამდელ მონაკვეთში მირიანის მეფობის წამყვანი იდეებია: მირიანის სასანური წარმომავლობა, ფარნავაზიან მეფეებთან კულტურული სიახლოვე და მეფის გაქრისტიანება. განსხვავებული იდეები უდევს საფუძვლად ვახტანგ გორგასლის მეფობის ლეგიტიმაციას. პირველი ეხება ვახტანგის მეფობის შედარებას ბიბლიურ დავითთან. მეორე, ვახტანგის მეფობა ბიზანტიის იმპერატორის „კეისრის“ ხელდასხმულია და, შესაბამისად, ბიზანტიური თეოკრატიის პრინციპებს ეთანხმება. ვახტანგი, როგორც მირიან მეფის შთამომავალი, სპარსთა სამეფო დინასტიის ნათესავია და სასანიანთა იმპერიის იდეოლოგიურ მოთხოვნებსაც აკმაყოფილებს. ჯუანშერი, ვახტანგის პროტოტიპად ბიბლიურ დავითს წარმოგვისახავს. ამ ფაქტს ლეგიტიმაციის ფუნქციაც გააჩნია. ვახტანგის ცხოვრების დასაწყისი მიჰყვება ბიბლიურ სიუჟეტს. ოვსებთან დაპირისპირება ავტორმა წარმოადგინა ერთგვარ გამოცდად, რომელმაც უნდა აჩვენოს თუ რამდენად მზად არის ვახტანგი მეფობისთვის და ღვთისგან თუა მისი მეფობა კურთხეული. გოლიათებთან ომის სიუჟეტი ასევე ძალიან გავს დავითის შებრძოლებას ფილისტიმელ გოლიათთან. ლეგიტიმაციის მეორე მთავარი საფუძველია მირიან მეფესთან ნათესაური კავშირი. თხზულებაშია ნათქვამია: „მამის მამა ჩემი მირიან ოდეს შემოჰყვა მეფესა სპარსთასა“,⁹ ასევე ვახტანგი თავს ნებროთ გმირის ნათესავად მიიჩნევს და სპარსებს ძმებს უწოდებს. ნებროთ გმირთან ნათესაობა მიჩნეულია სამეფო ძალაუფლების ლეგიტიმურობის წყაროდ. ნებროთანობა სასანური წარმომავლობის სინონიმია. ამგვარად, ჯუანშერი იცნობს მირიანის სასანური წარმომავლობის შესახებ არსებულ მოსაზრებას, და ამკვიდრებს მას. ვახტანგ გორგასლის ცხოვრების აღწერის ერთ-ერთი მიზანი არის მეფის გამართლება, ვინაიდან, როგორც ჩანს, ამ დროს ბევრი პასუხებულები კითხვა დაგროვდა. მეფის პოლიტიკის მიმართ დამოკიდებულება ბევრი საყვედურით შეხვდა ვ. გორგასლის გადაწყვეტილებას. მაგ., პეტრე მლვდელი, შემდეგში პირველი კათალიკოსი კიცხავს მეფეს, რადგან ვახტანგი სპარსეთის მეფის მხარეს იბრძოდა და ქრისტიანულ ბიზანტიის ზურგს აქცევდა. პეტრე მოითხოვს ვახტანგისგან პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლას. სწო-

⁸ ლ. პატარიძე, პოლიტიკური და კულტურული იდენტობაზი IV-VIII სს-ის ქართულ ერთობაში, გვ.48.

⁹ იქვე, გვ.47-49.

რედ აქ მივდივართ იმ ძირითად საკითხთან , რომელიც ხილვაში ცხადდება. პეტრე მღვდელი იცნობს საპარსთა და ვახტანგის ნათესაობის იდეას, მაგრამ ამას უპირისპირებს ახალი აღთქმისეულ ჭეშმარიტებას. ქრისტიანობა აუქმებს ხორციელი ნათესაობის უპირატესობას, ვინაიდან ქრისტიანობა სულიერად უშუალოდ ღვთის ძეობაზეა დაფუძნებული. „მეგობარი კეისირისა“ მხოლოდ ეს აქცევს ვახტანგს ღვთითკურთხეულ მეფედ. გავეცნოთ უშუალოდ სიზმარს.: მეფე ვახტანგი ძილის წინ ილოცებს და ხედავს სასწაულებრივ სიზმარს: მასთან მიდის წმიდა წინ და იგი ზეცისა და ქვეყნის მეფეებთან მიჰყავს. ვახტანგი ხედავს კონსტანტინეს ქალაქს და ორ საყდარს: ერთზე დაბრძანებულია გვირგვინოსანი ჭაბუკი, ხოლო მეორეზე – სპეტაკი ზენრით შემოსილი მოხუცებული, რომელსაც თავზე ნათლის გვირგვინი ადგას. ვახტანგის მარჯვენა ხელი პეტრე მღვდელს უბყრია, ხოლო მარცხენა – სამოელ მონაზონს. სამოელი მას ეუბნება, რომ პირველად თაყვანი სცეს გრიგოლს (პართელს) – ზეცისმთავარს. გრიგოლი მას განურისხდება იმის გამო, რომ მოაოხრა მისი ბანაკი და მხეცებს შეაჭამა მისი ცხოვარნი. და მხოლოდ პეტრე მღვდელის, სამოელ მონაზონისა და წმიდა წინოს მეოხებით, რომელიც ღვთისმშობელ მარიამთან ერთად მარადის იღვწის ქართველთათვის, აღარ იძიებს შურს ვახტანგზე. წმიდა წინოს შუამდგომლობით ვახტანგი მიდის კეისართან, რომელიც მას გვერდით დაისვამს და ბეჭედს მისცემს. კეისარი მას ალუთქვამს გვირგვინს იმ პირობით, რომ იგი იბრძოლებს მისი მფრების წინააღმდეგ. შემდეგ ვახტანგი იხილავს ჯვარს, რომლის ფრთებზეც არის გვირგვინი. წმიდა წინო, პეტრე და სამოელი ერთითა პირითა იტყვიან: „ჩვენ ვართ თავსმდებნი, ვითარმედ უმეტეს ყოველთა საწარემართოს, პოლ ჯვარო, უძლევებლო“¹⁰ მაშინ კეისარი მეფეს გვირგვინს თავზე დაადგამს. ეპისკოპოსი კი სამჯერ იტყვის: „–ვახტანგ! უმეტეს მორწმუნე იყო შენ ყოველთა შორის ნათესავსა სპარსთასა, – შენგან აღეშენენ ეკლესიანი და განენესნენ ეპისკოპოსნი და ეპისკოპოსმთავარნი – გვირგვინი წამების მიიღო“. იმავე სიზმარს ხედავენ ცალ-ცალკე: პეტრე მღვდელი და სამოელიც. ამ სასწაულს ის ფუნქცია აქვს, რომ აჩვენოს განგების ძლიერება, მისი ყველგანმყოფობა. ვახტანგი დარწმუნდება, რომ ეს არის ღვთის ნება და იგი საბოლოოდ ორიენტაციას ბერძნებისკენ აიღებს.

ამდენად, თუ ვახტანგს შურს იყოს ჭეშმარიტი ხელისუფალი კეისრის მეგობრად უნდა იქცეს. ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში ვახტანგი ხსენებული ხილვით დარწმუნდა, ასევე, ჯუანშერი ამ სიზმრით თითოეულ მეითხველს ჩაუნერგავს ახალ იდეას. მეფის ლეგიტიმურობა მტკიცდება. ამას ზეციური ხილვა ამტკიცებს. მნიშვნელოვანი მონაკვეთია, ბიზანტიის იმპერატორის მიერ ვახტანგისთვის გვირგვინის თავზე დადგმა. ბიზანტიურ სამეფო წესდებაში ბასილევსად კურთხევის ცერემონიალში გვირგვინის დადგმა უმთავრესი რიტუალია. ამ ხილვაშიც მისი ხსენება როგორც ქრისტიანულ-ბიზანტიური სიმბოლიკისა ვახტანგის მეფობის ხელახალი ლეგიტიმაციის მცდელობაა. ამგვარად, მთლიანობაში ცხოვრება ვახტანგისი ლეგიტიმაციის დანიშნულების მქონე ტექსტია. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ის „ზღაპრული“ თუ „სასწაულებრივი“ ელემენტების უკან, რომლებიც მრავლად გვხვდება ტექსტში, პოლიტიკური იდები დგას. რთული პოლიტიკური ვითარება თან სდევს ვახტანგის ცხოვრებას. სპარსეთის მზე ჩაესვენა, ბიზანტიის ძალები კი იზრდება. ვახტანგ მეფემ სწორი არჩევანი გააკეთა, ისტორიული გარდატეხის მომენტში ქრისტიანული სამყაროს მხარეზე დადგა. ხსენებული ხილვა ნაწილია ავტორისეული მცდელობისა მეფის ღვთითკურთხეულობის შესახებ.

ამდენად, შეუძლებელია, გულგრილად შევხედოთ ე.წ. ზღაპრულ სიუჟეტებს, რომლითაც მდიდარია ქართული ისტორია. ეს იყო მცირედი ნაწილი საკითხის კვლევისა. ვფიქრობთ, ხსენებული საკითხი საინტერესოა როგორც ისტორიის მკვლევართათვის, ასევე ისტორიით დაინტერესებული პირებისათვის. კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა სიზმრების, როგორც შუასასაუკუნეობრივი ისტორიის რეპრეზენტაციის ფორმის წარმოჩენა. მართალია სიზმრების კვლევა ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია, თუმცა მათ წყაროთმცოდნეობით მნიშვნელობაზე ნაკლებია დაწერილი და

¹⁰ ლ. პატარიძე, პოლიტიკური და კულტურული იდენტობანი IV-VIII სს-ის ქართულ ერთობაში, გვ. 48.

ნათქვამი. თუმცა კი, ვფიქრობთ, რომ სამივე განხილულ მაგალითში სიზმრებს ძირითადი დანიშნულება ჰქონდათ. სიზმრები წარმოგვიდგნენ როგორც უმთავრესი მესიჯი, ძირითადი აზრი, რომელიც ავტორმა ირიბად, შეფარვით გადმოგვცა. ხსენებული გამოკვლევა ახალი სახით წარმოგვიდგნენს საისტორიო კრებულს „ქართლის ცხოვრების“ მნიშვნელობას. წყაროში დაცული სიზმრების ახსნა კი გვეხმარება ღრმად ჩავწერეთ და ამოვიცნოთ ავტორის დაფარული განზრახვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მეტრეველი 2008: რ. მეტრეველი, ქართლის ცხოვრება; თბ., 2008.
2. პატარიძე 2009: ლ. პატარიძე, პოლიტიკური და კულტურული იდენტობანი IV-VIII სს-ის ქართულ ერთობაში; თბ., 2009.
3. ქავთარია 1999: გ. ქავთარია, ფარნავაზი; თბ., 1999.
4. ჩხარტიშვილი 2009: მ. ჩხარტიშვილი, სახეები საქართველოს წარსულიდან; თბ., 2009.
5. http://www.amsi.ge/istoria/qm/qarTlis_moqceva.pdf.

რეზო მარნაძე

გორის სახელმწიფო სასხავლო უნივერსიტეტი, მაკისტრატურა
ხელმძღვანელი: პროფესორი მამუკა ჯოლბირდი

დაპა სურამის ისტორიიდან (16-იანი სანა)

დაბა სურამი ხაშურიდან 5 კმ. მოშორებით, ლიხის ქედის აღმ. კალთის ძირას, ზღვის დონიდან 740 მ, მდ. სურამულას ნაპირებზე მდებარეობს. იგი სადაბო საბჭოს ცენტრია (შედის სოფლები: ბიჯნისი, ბულაურა, გვერდისუბანი, დიდი ბეკამი, პატარა ბეკამი, ზეკოტა, იტრია, ურთხვა, ჩუმა-თელეთი) [8: 610].

სურამის ნარმოშობაზე არსებობს ხალხური თქმულებაც, რომლის თანახმად, სურამში მცხოვრებ ახალგაზრდა ქალ-ვაჟს, რომელთაგან ქალს – სუ რქმევია, ვაჟს – რამი ერთმანეთი ძალიან ჰყვა-რებიათ და რადგან მშობლები ერთად ყოფნას უშლიდნენ, გადაწყვიტეს ჩუმად დაქორნინებულიყვნენ. იმ უბანს, სადაც ისინი დასახლებულან, მათი ერთობლივი სახელი – სურამი დარქმევია, მოგვიანებით კი ეს ტოპონიმი მთელ დაბაზე გავრცელებულა.

სურამში ადამიანთა დასახლების უძველესი კვალი ადრებრინჯაოს ხანიდან ჩანს, რასაც მონ-მობს მდიდრი არქეოლოგიური მასალა. კერძოდ, სურამში შემთხვევით აღმოჩნდა გვიანი ბრინჯაოს ხანის ნივთები: ბრინჯაოს საკინძი, რგოლი, სამაჯური და საკიდი, ასევე მიკვლეულია გვიანანტიკური ხანის ჭვირული ბალთა, აქემენიდური ვერცხლის მონეტა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სუ-რამი არქეოლოგიურად შეუსწავლელია [7: 493].

სურამი ანტიკური ხანის საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან დასახლებას წარმოადგენდა. ადრეულ პერიოდში სურამზე გადიოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო გზა. ადრეანტიკურ ხანაში სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა დასავ-ლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის წარმოებდა სურამის ულელტეხილით, რასაც ადას-ტურებს 1856 წელს სურამში აღმოჩნდილი ძვ.ნ.აღ-ის VI-V ს.ს. ვერცხლის აქემენიდური სიკლა კოლხურ „თეთრთა“ ერთად. ამავე პერიოდში აღნიშნული ულელტეხილით ბერძნული იმპორტი იჭ-რება აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო ელინისტური ხანიდან, როცა ვაჭრობა იღებს ე.ნ. „მსოფ-ლიო“ ხასიათს და მასში არა მხოლოდ მცირე აზია, მესოპოტამია და ეგვიპტე, არამედ შუა აზიის ქვეყნები, ინდოეთისა და ჩინეთის შორეული რაიონებიც ებმება, იქმნება ერთიანი დიდი სავაჭრო გზა ინდოეთიდან ფაზისისაკენ [5: 13].

თუმცა, საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა აქემენიდურ სამყაროსთან ჯერ კიდევ სუსტი იყო. როგორც ე. ა პახომოვი წერს: „აქემენიდთა ხანაში (VI-IV ს.ს.) კავკასიის აზერბაიჯანმა, მთელი კავკასიის უმეტესი ნაწილის მსგავსად, ჯერ კიდევ არ იცოდა სამონეტო მიმოქცევა. თვით ისეთი ხალხი, როგორიც კოლხებია, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროზე და ელიანთა სავაჭრო ცენტ-რებთან ახლოს მოსახლეობენ, მიზანშენონილად თვლიდნენ დარიოს I (522-485) დროს გადასახადები გადაეხადათ მონებით და არა ფულით. ეს აიხსნება აქემენიანთა მონეტების იშვიათობით ამიერკავ-კასიაში. ჩემთვის ცნობილია მხოლოდ ორი შემთხვევა, როდესაც ვერცხლის მონეტები აღმოჩნდა სურამსა და ერევანში“ [6: 58-59].

ამრიგად, ქართულ-აქემენიდური სავაჭრო ურთიერთობების სისუსტე, ამიერკავკასიაში აქე-მენიანთა მონეტების იშვიათობა და მხოლოდ ორი მონეტის აღმოჩენა მათ შორის ერთ-ერთისა სურამში, კიდევ უფრო ამყარებს მოსაზრებას, რომ სურამზე გამავალ გზას ანტიკურ პერიოდში მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური ფუნქცია ჰქონდა, როგორც დამაკავშირებელს აღმო-სავლეთსა და დასავლეთს შორის, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა სურამის დაწინაურებას.

სურამზე გამავალი გზის შესახებ ცნობები ჯერ კიდევ ძვ.წ.აღ-ის IV-III ს.ს. ბერძენი ავტორების – არისტოტელეს, ერატოსთენეს და პატროკლეს შრომებში გვხვდება. სტრაბონი მათ ცნობებს ასე გადმოგვცემს: „არისტობულე ოქსოს (ე.ი. ამუდარიას) მიიჩნევს უდიდეს მდინარედ... არისტობულე და, პატროკლეს სიტყვით, ერატოსთენეც ამბობენ, რომ ეს მდინარე სანაოსნოა და ამ მდინარით ბევრი ინდური საქონელი შემოაქვთ ჰირკანის (ე.ი. კასპიის) ზღვაში, ხოლო აქედან ალბანიაში გადააქვთ და შემდეგ მტკვრითა და მის მომდევნო ადგილებით ევესინის (ე.ი. შავ) ზღვაში ჩააქვთ“ [11: 75].

ზემოთ მოტანილი წყაროდან გამომდინარე „მტკვრითა და მის მომდევნო ადგილებით“-ში სავარაუდოდ ისინი გულისხმობდნენ სურამის მიდამოებს და უღელტეხილს.

6. ბერძენიშვილი ამის შესახებ წერდა: „ინდური საქონელი მდ. ამუდარით ჩაჰქონდათ კასპიის ზღვაში და იქიდან მტკვრით ამოჰქონდათ აღმოსავლეთ საქართველოში. აქედან კი, უკვე ხმელეთით – სურამის უღელტეხილით – ეზიდებოდნენ დასავლეთ საქართველოში, სადაც საქონელი მდ. რიონით შავი ზღვის სანაპირო ქალაქებს, კერძოდ ფაზისს ანუ ფოთს აღწევდა, რომელიც იმ დროისათვის ფრიად მნიშვნელოვან ნავსადგურად იქცა“ [2: 47].

ძველი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი (დაახლ. ძვ. წ. 64 – ახ. წ. 24 წწ.) და პლინიუსი გადმოგვცემენ რა ამ გზის აღწერილობას, ადასტურებენ რიონზე 120 გადასასვლელი ხიდის არსებობას, კერძოდ სტრაბონი წერს, რომ: „შორაპანზე და მასთან არსებულ ვიწროებზე, რომლებზედაც ფაზისი მიმდინარეობს, სწრაფი და მიემართება კოლხიდაში, (რომელზედაც [ე.ი. ფაზისზე] 120 ხიდით გადაისვლება მისი მიხვეულ-მოხვეულობის გამო)... ასეთია კოლხიდიდან იბერიაში შესავალი, დახშული კლდეებით, სიმაგრეებითა და ხეობიანი მდინარეებით“ [10: 128–129]. იგი ასევე წერს, რომ „[შორაპნიდან] ფეხით, საურმე გზით 4 დღეში მიისვლება მტკვრამდე“ [10: 123]. ის გარემოება, რომ რიონზე 120 ხიდი იყო მოწყობილი მიუთითებს იმაზე, რომ ამ სავაჭრო-საქარავნო გზის მოწყობას დიდი ყურადღება ექცევოდა და ამ გზის სავაჭრო-ეკონომიკური დატვირთვა, რომელიც ევროპას და აზიას აკავშირებდა, რომელიც თავის მხრივ სურამზეც გადიოდა, უდიდესი იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ სურამზე გამავალი სავაჭრო-საქარავნო გზის არსებობასა და ძვ. ბერძენი ისტორიკოსებისა და გეოგრაფების გადმოცემით მდ. მტკვრის სანაოსნოდ გამოყენებას ადასტურებს სოფ. ცხრამუხასთან ახლოს მდ. მტკვარში XIX ს-ის 90-იან წლებში ნაპოვნი გემის ღუზა. 1890 წ. 1 სექტემბერს გაზით „ივერია“ წერდა: „როგორც შევიტყეთ ს. ცხრამუხას ახლო, გორის მაზრაში, მტკვარში მეტივეებს უპოვნიათ ერთი ღუზა... სულ უძველეს დროს, როგორც ისტორიიდან ვიცით მტკვარზედ იალენიანი გემები და სურამის ახლო, ცხრამუხასა და ქვიშეთს შუა, ნავსადგური ყოფილა გამართული. ნაპოვნი ღუზა გემისაა. ეს ახლად (ნაპოვნი) ღუზა ცხადად ამტკიცებს ძველი ისტორიკოსების გადმოცემას, რომ კასპიის ზღვიდგან სურამამდე საქონელი გემებით გადაჰქონდათ და მტკვარი სანავოსნო მდინარე იყოვო“ [5: 14].

ამ ფაქტს მოგვიანებით „სახალხო გაზით“ მიუბრუნდა და 1913 წლის 9 იანვარს გამოაქვეყნა მღვდელ ქრისტოფორე ციცქიშვილის წერილი სათაურით – „მტკვარში ნაპოვნი ღუზა“, რომელშიც წერია: „ქართულ საეთნოგრაფიო საზოგადოების დავალებით, 29 დეკემბერს 1912 წელს ავედი სურამის ახლო მდებარე სოფელ ბეკამში, სადაც მღვდელს იოანე ციცქიშვილს ჰენახული ძველი ღუზა, რომ ეს ჩამომეტანა ტფილისში. ეს ღუზა უპოვნია ამ ოცდახუთი წლის წინად სოფელ სავანლის ტეზრის გლეხს ბადრიაშვილს მდინარე მტკვარში სოფელ ტაშისკარის ახლო. ამ გლეხს ტივი მოჰქონებია, ტივი წამოსდებია ღუზის კაპს და გაჩერებულა. მეტივეს გაუთავისუფლებია ტივი და უნახავს წყლიდამ ამოშვერილი რკინა. დაუბამს კამეჩები ამ რკინისათვის, გამოუთრევია ნაპირზე, წამოულია შინ სავანლის ტეზერში და დაუგდია თავის ეზოში. მერე ეს გლეხისათვის უცნაური რკინა უნახავს მღვდელს მამა იოანე ციცქიშვილს, შეუცვნია ღუზად, შეუსყიდნია და მოუტანია თავის სახლის ეზოში, სადაც ეგდო მას შემდეგ დღემდის. დღეს ეს ღუზა ჩამოტანილია ტფილისში და გადაცემულია საისტორიო-ეთნოგრაფიის საზოგადოებისადმი, რომელსაც დღევანდელმა პატრონმა ღუზისა უფასოდ შესწირა.

ღუზა წონით რვა ფუთია. ჰქონია ოთხი რომელთაგან ორი მოსტებია. სიგრძით იქნება ორი არშინი.

ჩემი ფიქრით წმინდა რკინა არ უნდა იყოს, რადგანაც უანგს მაგრე რიგად ვერაფერი დაუკლია.

თუ ეს რკინა მართლა ძველი დროის ღუზა გამოდგა, ძალიან შესანიშნავ ისტორიულ განძად ჩაითვლება, რადგანაც იგი იქნება დამამტკიცებელი საბუთი იმ ძველი ცნობისა, რომ უნინ გემები დადიოდნენ მდინარე მტკვარზე, და რომ გემებით ინდოეთის საქონელი ამოჰქონდათ სურამამდე, აქედან ხმელეთით გადაჰქონდათ შორაპნამდე და მერე ისევ გემებით ჩაჰქონდათ შავ ზღვამდეო. ეს მდინარეები, უნდა ვიფიქროთ, მაშინ ერთი-სამად და ერთი-ხუთად მეტ იქნებოდა დღევანდელთან შედარებით. იმედია, მცოდნე პირები დაათვალიერებენ აღნიშნულ ღუზას და თავისს აზრს გა-მოსთევამენ“ [5: 14–15].

სურამზე გამავალ გზას სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონდა, პომპეუსი იბერი-იდან კოლხეთში, როგორც ჩანს, გადასულა სურამის უღელტეხილით და შემდეგ მდ. ფაზის (ე.ი. ყვირილასა და მერე რიონს) ჩაჰყოლია [4: 110].

ძველი ბერძენი გეოგრაფი კლავდიოს პტოლემაქოსი (100-178) თავის ნაშრომში ასახელებს იბერიაში მდებარე 9 ქალაქება და სოფელს: ლუბიონი, აგინა, ვასაიდა, ვარიკა, სურა, არტანისა, მესტლეტა, ძალისა, ჰარმაქტიკა. ს. ყაუხეჩიშვილი მიიჩნევს, რომ ლუბიონი, აგინა, ვასაიდა, ვარიკა და სურა დამახინჯებული ფორმით არის მოღწეული და მათი გაიგივება ჩვენთვის ცნობილ დაბა-ქალაქებთან არ ხერხდება, თუ არ ვივარაუდებთ, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ „აგინა“ შეიძლება იყოს „ძალინა“ (მდ. ფცის აუზში), ხოლო „სურა“ – სურამი [11: 72].

მეტად სარწმუნოა თ. ყაუხეჩიშვილის მოსაზრება, რომელიც კლავდიოს პტოლემაიშოსის ცნობაზე დაყრდნობით ასახელებს იმ დასახლებულ პუნქტებს, რომელთა იდენტიფიკაცია ხერხდება თანამედროვე ან სხვა წყაროებით ცნობილ დასახლებებთან. იგი ასახელებს „სურა“-ს და ვარაუდობს, რომ ეს შესაძლებელია იყოს სურამი, „ჰარმაქტიკა“-ს (იგივე ჰარმოზიკე, ანუ არმაზციხე), „მესტ-ლეტა“-ს (მცხეთა), „ძალისავ“-ს (დღევანდელი ძალისი მუხრანის დაბლობზე) და „არტანისა“-ს (იგივე არტანუჯი) [9: 165–166]. მკვლევარი ასევე წერს: „ის გარემოება, რომ კლავდიუს პტოლემაიშოსი იცნობს ამ ქალაქებს, იმის მომასწავებელია, რომ მისი დროისათვის ისინი მნიშვნელოვნად დასახლებულ ადგილებს წარმოადგენენ და თუ სტრაბონი კმაყოფილდება იმის აღნიშვნით, რომ „იბერია მეტნილად კარგად არის დასახლებული დაბებითა და ქალაქებით“ კლავდიოს პტოლემაიშოსი კიდევაც აღნიშნავს ამ კარგად დასახლებულ პუნქტებს“ [9: 166].

ვ. გვასალიაც ადასტურებს, რომ „სურა“ შეიძლება იყოს პტოლემაიშოსის მიერ დასახელებული „სურა“ [3: 140].

პტოლემაიშოსის მიერ დასახელებული იბერიის ერთ-ერთი ქალაქი – „სურა“ სურამი უნდა იყოს, რომელიც დამახინჯებული ფორმით არის მოღწეული, რადგან სახელწოდება „სურა“, სურამის გარდა, არ შეესაბამება იბერიის არცერთ დასახლებას.

დვ. რომაელი ისტორიკოსი, გეოგრაფი პლინიუსი სურამს – სურიუმს უწოდებს [1:120].

შ. მესხია სურამს უძველესი დროიდან დასახლებულ პუნქტად თვლის და აღნიშნავს, რომ სურამი „იმდროინდელი საქართველოს მნიშვნელოვანი პუნქტი უნდა ყოფილიყო. ამის შემდეგ, მიუხედავად მრავალგვარი საშინაო და საგარეო ცვლილებებისა, სურამი სავსებით არასოდეს გამქრალა ამ მხრივ მას დიდად უწყობდა ხელს თავისი მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა“ [6: 228].

თ. ლაცაბიძის დასკვნით: „სურამის როგორც ქალაქის აღმოცენება იწყება ძვ.წ. IV-III საუკუნეების მიჯნაზე, ხოლო III საუკუნის ბოლოსთვის მას უკვე მკვეთრად გამოხატული ქალაქური იერსახე უნდა მიეღო“ [5:14]. იგი აგრეთვე ვარაუდობს სურამის გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით აქ საბაჟოს არსებობას, რაც გვიანდელი პერიოდის მრავალი დოკუმენტით

დასტურდება – „როგორც ცნობილია, საბაჟო იქ არსებობს, სადაც ციხე-სიმაგრეა. ამავე პრინციპით უნდა ყოფილიყო გამართული საბაჟოები ხაშურის დღევანდელ რეგიონშიც. აქ არსებული სამივე საბაჟო ფუნქციონირებს იქ, სადაც ციხე-სიმაგრე ან რაიმე თავდაცვითი ხასიათის ნაგებობაა (მაგ., კოშკი). ალის საბაჟო ალის ციხეშია, ტაშისკრისა – ტაშისკრის კოშკში, სურამის საბაჟოც, რა თქმა უნდა, სურამის ციხე-სიმაგრეში უნდა ყოფილიყო განთავსებული და მასზე დაყრდნობით მოეხდინა თავისი ფუნქციების განხორციელება“ [5:15].

ამრიგად, ზემოთ მოტანილი საისტორიო მასალის შესწავლა გვაფიქრებინებს, რომ სურამის ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ, მისმა აქტიურმა ჩაბმამ საშინაო თუ საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში განაპირობა სურამის ქალაქური ტიპის დასახლებად (დაბად) ჩამოყალიბება, რომელიც, სავარაუდოდ, უნდა მომხდარიყო ელინისტურ ხანაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აიხვალდი 2005, ე. აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძინებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბილისი, 2005.
2. ბერძენიშვილი 1956; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1956.
3. გვასალია 1983; ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბილისი, 1983.
4. კასიოსი 1966; დ. კასიოსი, ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და კომენტარები დაურთო ნ. ლომოურმა, თბილისი, 1966.
5. ლაცაბიძე 2012; თ. ლაცაბიძე, ამბავი სურამის ციხისა, ხაშური, 2012.
6. მესხია 1983; შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, ტ. II, თბილისი, 1983.
7. ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 2013.
8. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IX, თბილისი, 1985.
9. ყაუხჩიშვილი 1976; თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბილისი, 1976.
10. ყაუხჩიშვილი 1957; თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბილისი, 1957.
11. ყაუხჩიშვილი 1964; ს. ყაუხჩიშვილი, რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1964.

მაია ახალკაციშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ბაქალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი **მადონა ქებაძე**

საქართველოდან დეპორტირებული „თურქი მასხების“ რეპატრიაციის საკითხი საქართველოში

საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო წარსულში არაერთი ქვეყნის ინტერესის და ქვეყნებს შორის დაპირისპირების ობიექტს წარმოადგენდა. ამ მხრივ საქართველოს თითოეულ კუთხეს თავისი ისტორია გააჩნია, რომელიც მთლიანობაში ავსებს და ქმნის საქართველოს ისტორიას. თითოეული დამპყრობელი საქართველოს ნებისმიერ კუთხეში დამკვიდრებისთვის ცდილობდა გამოეყენებინა ისეთი მეთოდები როგორიცაა: მოსახლეობის ასიმილაცია, გადასახლება (რომელთაც თან სდევდათ დევნა, რელიგიური და ეკონომიკური შევიწროება). ორივე ეს მეთოდი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით, ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზე მცხოვრებმა მოსახლეობამ სხვადასხვა დროს საკუთარ თავზე გამოსცადა და წლებია უკვე რაც ისტორიული სამშობლოს საზღვრებს გარეთ ცხოვრობენ ყაზახეთში, ყირგიზეთში, უზბეკეთში, რუსეთში, აზერბაიჯანში, თურქეთსა და აშშ-ში. ამ ადამიანებს წლების განმავლობაში არ ჰქონდათ პასუხი კითხვებზე: რა ეროვნების ხარ? ვინ ხარ? სადაა შენი ადგილი? სად არის შენი მშობლიური მიწა-წყალი? დღემდე ამ კითხვებთან დაკავშირებით არ არსებობს ერთაზროვანი პასუხი და დამოკიდებულებაც მათდამი მიმღები სახელმწიფოს (ამ შემთხვევაში იგულისხმება საქართველო) მოსახლეობისაა არაა ერთგვაროვანი, რაც ართულებს მათი რეპატრიაციის საკითხს.

და მაინც სად იწყება და სადამდე გრძელდება მესხური პრობლემა?! რა არის გასათვალისწინებელი ამ პრობლემის გადაჭრისას, როგორი იყო სახელმწიფოს მიდგომა ამ საკითხისადმი და როგორია ე.წ „თურქი მესხების“ განწყობა, კარგავენ თუ არა სამშობლოში დაბრუნების იმედს (ამაზე ოდნავ მოგვიანებით, მანამდე კი მიმოვიხილავ ისტორიული მესხეთის ქრონიკას).

მესხეთის ისტორიული ქრონიკა

დასაწყისში უნდა აღვნიშნოთ, რომ ისტორიული მესხეთის (სამხრეთ-დასავლეთ საქართველო) შემადგენლობაში შედიოდა: არტაანი, ერუშეთი, კოლა, შავშეთი, ტაო, კლარჯეთი, თორი, ჭანეთი, სპერი, სამცხე, ჯავახეთი. დღეს XXI საუკუნეში მესხეთის დიდი ნაწილი დაახლოებით 34230 კვ.კმ. თურქეთის შემადგენლობაშია.

1578 წლიდან ეს მხარე ოსმალებმა დაიკავეს და ბატონობის გასამყარებლად მოსახლეობის ისლამიზაციის პროცესი დაიწყეს, ამისათვის შემოიღეს და გაატარეს ისეთი კანონები, რომ მოსახლეობა იძულებული ხდებოდა მიეღო მაჰმადიანობა, კერძოდ, მიწაზე საკუთრების უფლება მხოლოდ სამხედრო ვალდებულს ჰქონდა, რომელიც ამავდროულად მაჰმადიანი უნდა ყოფილიყო. სავალდებულო სალაპარაკო ენად თურქული ითვლებოდა (მესხებს ყურძნის მოვლაც აეკრძალათ, რადგან ყურანით ღვინის სმა იკრძალებოდა). გამაჰმადიანებულთათვის შემოიღეს შეღავათები, გაათავისუფლეს მთლიანად ან ნაწილობრივ გადასახადებისგან. ისლამიზაციის პროცესი ხდებოდა ძალდატანებითაც (მაგალითად: „აბუსერიძეები, ავალიშვილები, ამილახორები, ვაჩაძეები, თათქარიძეები ჩიხლაძიები და სხვ“), მაგრამ მეთვრამეტე საუკუნეშიც ქართველი მეფეები არ კარგავდნენ იმედს მისი შემოერთებისას და კვლავაც მიჩნეული იყო ქართლის ნაწილად.

1783 წლის 23 ივლისს გეორგიევსკის ტრაქტატის ერთ-ერთი მუხლი ასევე ითვალისწინებდა საქართველოს ისტორიული ტერიტორიების მათ შორის ოსმალეთისგან მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებას.

თურქეთის 250 წლიან ბატონობას მესხეთში კითხვის ნიშნები გაუჩნდა 1801 წელს, როცა რუსეთის ინტერესის ობიექტი გახდა კავკასია. 1828-1829 წ.წ ამ ორ ქვეყანას შორის ომის შედეგად (ად-

რიანოპოლის ზავით) რუსეთმა დაიკავა კიდეც მესხეთის ჩრდილოეთი ნაწილი. მიმაჩნია, რომ ადეკვატური იქნებოდა თუ ისინი უზრუნველყოფდნენ ამ მოსახლეობის ქრისტიანულ საწყისებთან დაბრუნებას, მითუმეტეს მოსახლეობის მხრიდან იყო ამის მზაობა „ქართველ მაჰმადიან ბეგთა ნაწილმა პასკევიჩს მიმართა წინადადებით, რომ ისინი მიიღებდნენ მართლმადიდებლობას თუ მათ დაუბრუნდებოდათ ქართველ თავადაზნაურთა წოდება და მეფეების მიერ მათვის ნაბოძები მიწების გადაცემაც, რომლის სიგელებიც მათ ხელთ გააჩნდათ“ (თ.ჩაგელიშვილი „მესხები“ დოკუმენტური ფილმი). რუსეთმა ეს წინადადება არ მიიღო, და პირიქით ხელს უწყობდა მათ გათურქებას (რათა მომავალში უფრო ადვილად განეხორციელებინა თავისი მიზნები), რასაც მოწმობს მათ მიერ გახსნილი თურქული სკოლები, ვინაიდან მის გეგმებში მათი არა ე.ნ. „მოქცევა“, არამედ განდევნა და მათ ადგილზე არზრუმელი ქრისტიანი სომხების და რუსების ჩამოსახლება წარმოადგენდა. 1830 წელს დაიწყო გადასახლების პირველი ტალღა, 75 000 ქართველი მაჰმადიანი თურქეთში გადასახლეს, რადგან არასაიმედო ხალხად იქნენ მიჩნეულნი (ზოგადად, იმ პერიოდში ითვლებოდა, რომ რწმენა და ეროვნება ეს ერთი და იგივე იყო). ქართველი მაჰმადიანების ადგილებზე ჩამოსახლეს დაახ. 32000 არზრუმელი ქრისტიანი სომხეთი რუსები თვლიდნენ, რომ ასე უფრო დაცული იქნებოდა იმპერიის სამხრეთ საზღვარი.

გადასახლების მეორე ტალღა უკავშირდება 1877-1878 წწ.-ში მიმდინარე რუსეთ-თურქეთის მორიგ ომს, რომელიც რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა, რაც დადებითი იყო საქართველოსთვის იმ მხრივ, რომ ამას მოჰყვა ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების გათავისუფლება, კერძოდ შავშეთი, კლარჯეთი იმერხევი, კოლა-არტაანი, ოლთისი და აჭარა. დაიწყო და მან მოიცვა ტაო, კლარჯეთი, სამცხე, აჭარა, ქვემო გურია, მაგრამ იქ მცხოვრები მაჰმადიანი ქართველებისთვის ეს უარყოფითი ხასიათის მოვლენად იქცა, დაიწყო მუჰაჯირობა და მან მოიცვა ტაო, კლარჯეთი, სამცხე, აჭარა, ქვემო გურია.

გადასახლების მესამე ტალღა 1921 წელს მოხდა (ყარსის ხელშეკრულებით თურქეთმა საქართველოს გადასცა მთლიანი აჭარა), მაგრამ ამ შუალედში ადგილი ჰქონდა ისეთ მნიშვნელოვან პროცესებს როგორიცაა: პირველი მსოფლიო ომი, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება. პირველ მსოფლიო ომში მონაწილე ყველა ქვეყანას თავისი მიზნები ჰქონდა, თურქეთს (გერმანიის მოკავშირე) იმ ტერიტორიების შემოერთება სურდა რომელიც მათი მოდგმის ხალხით იყო დასახლებული და სურდა „დიდი თურანის შექმნა“. რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოც, რომელიც მაჰმადიანებით დასახლებულ ტერიტორიას წარმოადგენდა, რომლის მოსახლეობის ნაწილი პანთურქიზმის იდეით იყო შეპყრობილი, რუსეთისადმი უარყოფითად იყვნენ განწყობილი და თავიანთ მომავალს თურქეთს უკავშირებდნენ, ამას მოწმობს 1917 წელს ახალციხეში გამართული მაჰმადიანთა ყრილობაც, სადაც ომარ ფეიქრ ყიფიანი სიტყვით გამოვიდა: „რუსეთის ბატონობა უკანასკნელ დღეებს ითვლის. ჩვენი მიზანი ნათელია აჭარის, ფოცხოვის, ახალციხის, ახალქალაქის მაზრების გამოყოფა თბილისის გუბერნიისგან... ქრისტიანებმა უნდა გაიგონ, რომ მათი ადგილი აქ არ არის, ჩვენი მომავალი მოძმე თურქეთთანაა... აზერბაიჯანელებთან და თურქებთან ერთად შევქმნით დიდ პანისლამურ სახელმწიფოს“. თ. ჩაგელიშვილი დოკუმენტური ფილმი „მესხები“ (მიმაჩნია, რომ ეს იმჟამინდელი რუსეთის მესვეურთა პოლიტიკის შედეგიც იყო, როგორც ზემოთ აღნიშნე, მათ ამ ადამიანების გაქრისტიანებისთვის, დანარჩენ მოსახლეობაში ინტეგრაციისთვის არაფერი გაუკეთებიათ, სამაგიეროდ ხდებოდა მათი რელიგიური და ეკონომიკური შევიწროება. ბევრი ქართველი მაჰმადიანი სწავლა-განათლებას სტამბოლში, ბაქოში, არზრუმში იღებდა, რამაც დიდ წილად განაპირობა მათში პანთურქიზმის იდეების გავრცელება, ანტირუსული განწყობილება, ვფიქრობ იმჟამინდელ რუსეთს აწყობდა კიდეც ასეთი განწყობილების არსებობა, რადგან ეს გაუადვილებდა და გაამართლებდა მის პოლიტიკას განხორციელებულს ქართველი მაჰმადიანებისადმი (გადასახლება). 1918 წ. 18 მარტს ბრესტ-ლიტოვსკის ზავით რუსეთმა 1877-1878 წ.წ.-ში დაკავებული ტერიტორიები თურქეთს დაუბრუნა. თავის მხრივ, მუდროსის ზა-

ვით (1918 წ. 30 ოქტომბერი) ოსმალეთის ჯარებმა გამოაცხადეს კაპიტულაცია. თურქეთი ამიერკავკასიაში 1877 წლის საზღვარს უნდა დაბრუნებოდა, მაგრამ მან მოახერხა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ე.წ. ყარსის რესპუბლიკის შექმნა (მხოლოდ 4 თვე იარსება). ქართველებმა დაიკავეს ტაო-კლარჯეთი და 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, რაც დიდხანს არ გაგრძელებულა 1921 წ. 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთმა მისი ოკუპაცია მოახდინა.

სსრკ-ის მემკვიდრეობა და გზა შუა აზიისკენ

1921 წელს რუსეთისა და თურქეთის ლიდერებს ლენინსა და ათათურქს შორის ხელი მოეწერა ყარსის ხელშეკრულებას, რომლის თანახმად მესხეთი ორ ნაწილად გაყოფილი აღმოჩნდა. საქართველოს შემადგენლობაში რჩებოდა აჭარა და სამცხე-ჯავახეთი.

საბჭოთა რუსეთმა მემკვიდრეობა განაგრძო და წინაპრების გზას არ გადაუხვია ანუ მისი პოლიტიკა ქართველი მაჰმადიანების მიმართ არაფრით არ განსხვავდებოდა მეფის რუსეთისგან. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ მან ქართველი მაჰმადიანები აზერბაიჯანელებად „მონათლა“. დაინტყო აზერბაიჯანული სკოლების გახსნა, აზერბაიჯანელი პედაგოგების შემოყვანა, საქსებით მართებულია დაისვას კითხვა თუ შესაძლებელი იყო აზერბაიჯანული ენის სწავლა რატომ არ შეიძლებოდა ქართული ენის სწავლა (ამის მოთხოვნა არსებობდა კიდეც) პასუხი მარტივია თუ ჩვენ რუსეთის პოლიტიკას მიმოვისილავთ ზოგადად საქართველოში კერძოდ ქართული ენის რუსული ენით ჩანაცვლება, რომლის მიზანსაც ქართველი ერის გარუსება ნარმოადგენდა.

არც გადასახლების მხრივ შეცვლილა რამე, პირიქით მეორე მსოფლიო ომის დროს ეთნიკური ნიშნით დეპორტაციამ მასშტაბური ხასიათი მიიღო. მარტო ერთ წელს 1.9 მლნ ადამიანი იქნა გადასახლებული ციმბირსა და ცენტრალურ აზიაში, რომელთა შორის იყვნენ ქურთები, ჰემშინები, ყარაჩაელები, ყალმუხები, მაჰმადიანი მესხები, ბალყარელები, ჩეჩენები, ყირიმელი თათრები, ინგუშები და ა. შ. ყველა საზღვრისპირა (თურქეთის, ავღანეთის, ირანის) რაიონებში მცხოვრები მოსახლეობა გამოცხადდა „ანტისაბჭოთა ელემენტებად“. მათი გადასახლების მიზეზად სახელდებოდა საბჭოთა რუსეთის მიერ ცენტრალურ აზიაში არსებული ბუნებრივი რესურსების ათვისებაც.

1944 წელს ლავრენტი ბერიამ სტალინს საიდუმლო მოხსენება გაუგზავნა, სადაც იგი ხაზს უსვამდა ქართველი მაჰმადიანების არასაიმედოობაზე, მათ ურთიერთობებზე მესხეთის იმ პროვინციებთან, რომელიც თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა და მათი გადასახლების საჭიროებაზე. 1944 წლის 10 ნოემბრის დამეს საბჭოთა ხელისუფლებამ ახსნა-განმარტების გარეშე მესხეთის რამდენიმე სოფლიდან მოსახლეობა აჰყარა და შუა აზიის გზას გაუყენა, მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთა შვილები მეორე მსოფლიო ომში რუსეთის მხარეს იბრძოდა (მოგვიანებით ეს მებრძოლებიც ასევე გადასახლეს). მათი მიწები, საცხოვრებელი ადგილები სახელმწიფო კუთვნილებად ცხადდებოდა (გადასახლებულთა ცხოვრება შუა აზიაში არ იყო ადვილი, ეს მრავალ სირთულესთან იყო დაკავშირებული).

„ბრძოლა“ დასაბრუნებლად

1956 წლიდან, მას შემდეგ რაც სსრკ-ის ხელისუფლებაში მოსულმა ნ. ხრუშჩოვმა 1944 წლის გადასახლება არასამართლიანად სცნო, გადასახლებულებს, გარდა ე. წ. თურქი მესხებისა, უკან, სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცა, მესხებმა მშვიდობიანი დემონსტრაციები გამართეს, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს. ვფიქრობ ამის მთავარი მიზეზი მათ მიერ მიჩნეული სამშობლო იყო, რომელშიც ზოგი საქართველოს, ზოგიც თურქეთს გულისხმობდა, იყვნენ ისეთებიც, რომელთაც გადაჭრით რაიმეს თქმა არ შეეძლო, და ამ ერთიანობის არ არსებობამ მათი ბრძოლა უშედეგო გახადა.

მოგვიანებით ჩამოყალიბდა ორგანიზაციები, რომლებიც იცავდნენ და ითხოვდნენ ცალკეული და არა ერთიანი ჯგუფის ინტერესებს და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ესენია: „ვათანი“ – დაარსდა 1990 წელს იგი პროთურქულია, რადიკალურად ითხოვენ მხოლოდ მესხეთში დაბრუნებას, კულტურული ავტონომიის მიღებას და მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების მიღებას. „ხსნა“ – დაარსდა 1992 წელს (1999 წლიდან ორგანიზაციამ მიიღო „ქართველ რეპატრიანტთა კავშირის“ სა-

ხელი) ისინი „თურქ მესხებს“ ეთნიკურ ქართველებად თვლის და თანახმაა იცხოვროს საქართველოს ნებისმიერ რაიონში. „უმიდი“ – 1984 წელს ჩამოყალიბდა და მის მიზანს თურქეთში დასახლება წარმოადგენს.

ამრიგად, მესხთა რეპატრიაციის მთავარ პრობლემას წარმოადგენს მათ შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობა სამშობლოს მიმართ. „უმიდის“ და „ხსნის“ პოზიცია ვფიქრობ შესაძლებელი და მოგვარებადია, მაგრამ „ვათანის“ რადიკალური მოთხოვნები დაფიქრებას საჭიროებს .

რეპატრიაციის საკითხი

საქართველოს ინტელიგენციის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის პერიოდში 1960-1980 - იან და 1982-1990 იან წლებში რამდენიმე ათასი მესხი დაბრუნდა საქართველოში, მაგრამ 1990-1992 წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად (ეთნოკონფლიქტები), და მათდამი მოსახლეობის ნეგატიური განწყობილების გაზრდის გამო ბევრმა მათგანმა კვლავ დატოვა საქართველო. 2005 წელს სტატისტიკური მონაცემების თანახმად საქართველოში 592 მესხი ცხოვრობდა აქედან 163-მა ეკონომიკური პრობლემების გამო საქართველო დატოვა (თუმცა მათ უკვე აქვთ მიღებული საქართველოს მოქალაქეობა).

შევარდნაძის მთავრობა მესხებთან დაკავშირებით იღებდა ბრძანებულებებს მაგალითად „1992 წელს შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის პრობლემები“, მოლაპარაკების წარმოება დაიწყო კრასნოდარის მხარესთან (მესხები აქ, ძირითადად, 1989 წლის ფერლანაში განვითარებული მოვლენების შემდეგ დასახლდნენ) შეთანხმების თანახმად იქმნებოდა 1944 წელს მესხეთისა და ჯავახეთის დეპორტირებული მოსახლეობის რეპატრიაციის შესახებ კონცეპტუალური გეგმა, „დეპორტირებულ მესხთა სოციალური პრობლემების მოგვარების შესახებ“ (ვ. მოდებაძე, გვ.117). მაგრამ ეს და სხვა განკარგულებები რეალურად ცხოვრებაში არ გატარებულა.

1999 წელს საქართველო ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა გახდა და აიღო ვალდებულება რასაც ე. ნ „თურქი მესხების“ რეპატრიაცია ეწოდება და რაც 2011 წლამდე უნდა დაესრულებინა. მაგრამ ამ კუთხით რაიმე ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა.

ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ რეპატრიაციასთან დაკავშირებით მიიღო კანონი 2007 წლის 1 იანვარს, რომელსაც ოფიციალურად ეწოდა „საქართველოს კანონი ყოფილი სსრკ-ის მიერ მე-20 საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“. ეს კანონი ეხება 1944 წელს აჭარიდან და სამცხე-ჯავახე-თიდან გადასახლებულებს: ჰემშინები, ყარაფაფახები, თარაქამები, ქურთები, თურქები და ბოშები.

მთლიანობაში 5841-მა ოჯახმა შეიტანა განაცხადი, რომელთაგან რეპატრიაციის სტატუსი 1349 მიენიჭა, მაგრამ ამით არ დასრულებულა, ეს საკითხი ამით მხოლოდ დაიწყო.

ამასთან, არსებობს ორგანიზაცია „ჯავახეკი – თურქული დიასპორა“ რომელიც მესხების რეპატრიაციას უარყოფითად აფასებს და საუბრობს მოვლენების ისეთ განვითარებაზე, რასაც მოჰყვება მათი მხრიდან „თურქეთთან შეერთების“ მოთხოვნა.

დასკვნა

ამ თემაზე მუშაობისას მინდოდა ახალგაზრდებს შორის გამოკითხვა ჩამეტარებინა და აღმოჩნდა რომ ახალი თაობის ნაწილმა არ იცის ე.ნ. „თურქი მესხების“ უკან არსებული პრობლემების შესახებ. ამიტომ ვფიქრობ აუცილებელია ამ კუთხით საზოგადოების სწორი ინფორმირებულობა. საქართველო, რომელსაც დღევანდელი გადმოსახედიდან სურს ნატოსა და ევროკავშირის სტრუქტურებში განვითარება უნდა შეასრულოს ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებები, ერთერთი მათგანი მესხების რეპატრიაციას შეეხება. პროცესი უკვე დაწყებულია ამიტომაც არასწორად მიმაჩნია საუბარი იმაზე სწორია თუ არა, ვალდებულია თუ არა ქართული მხარე და ა.შ. დღეს ძირითადი ყურადღება უნდა ექცეოდეს ისეთი პრობლემების დადგენასა და აღმოფხვრას რის წი-

ნაშეც აღმოჩნდებიან ე.წ. „თურქი მესხები“ და ქართული საზოგადოება. ამისათვის აუცილებელია ქართული საზოგადოების დამოკიდებულების შესწავლა და მოსალოდნელი დაძაბულობის განეიტ-რალება, რეპატრიანტების დამოკიდებულება საქართველოსთან მიმართებაში, ვინაიდან მათ მოქალაქეობის მიღების შემდეგ კონსტიტუციით აქვთ უფლება თავისუფლად გადაადგილდნენ და დასახლდნენ იქ სადაც მათ სურთ ანუ საქართველოს ნებისმიერ კუთხეში, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიას ეს შეიძლება იყოს კახეთი, გურია, სამცხე-ჯავახეთი და ა.შ. 2009 წელს სამცხე-ჯავახეთში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად (რომელსაც გავეცანი ვ. მოდებაძის წიგნში) შეიძლება ითქვას, რომ მათ ამ რეგიონში დასახლებას ნაკლები ადამიანი უჭერს მხარს, თვლიან რომ ისინი მოითხოვენ წინაპრების მიწა-წყლის დაკავებას, სადაც ამჟამად თავად ცხოვრობენ (ძირითადად სომხები) და არ უარყოფენ ეთნოკონფლიქტების დაწყებას.

კიდევ ერთი პრობლემა რის წინაშეც ე.წ. მესხები აღმოჩნდებიან არის ქართული ენის არცოდნა, რაც აუცილებელია საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის და საკუთარი თავის უკეთ რეალიზაციისთვის, მე ეჭვიც არ მეპარება რომ სახელმწიფო მიიღებს ამ მხრივ ღონისძიებებს, ამ კუთხით დღესაც მოქმედებს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რაიონებისთვის პროექტი „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“, მაგრამ აუცილებელია მათგანაც იყოს მზაობა ენის შესწავლისა, რათა შედეგიანი აღმოჩნდეს სახელმწიფოს მხრიდან გატარებული ღონისძიებები.

აუცილებელია ასევე საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ქვეყნის შიგნით არსებულ ლტოლვილებზე, დასაქმების და უმუშევრობის პრობლემაზეც ყურადღების გამახვილება. კარგი იქნებოდა თუ ამის შესახებ მათ ეცოდინებათ, ვინაიდან სავსებით შესაძლებელია არასახარბიელო მდგომარეობის გამო მათ კვლავ დატოვონ საქართველო.

რაც შეეხება საზოგადოების ნაწილის უარყოფით დამოკიდებულებას მათდამი, აიხსნება ერთი მხრივ, ინფორმაციის ნაკლებობით, ხოლო მეორე მხრივ, თავად მესხების მხრიდან წამოყენებული რადიკალური მოთხოვნებით. საზოგადოებას ეს ღრმად აფიქრებს მაშინ როდესაც საქართველო ისედაც მრავალეთნიკურია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალ. ბენდიანიშვილი, „საქართველოს ისტორია“, თბ., 1999.
2. ო. გიგინეიშვილი, „თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა“, თბ., 1963.
3. ზ. დავითაშვილი, „ნაციონალიზმი და გლობალიზაცია“, თბ., 2003.
4. ნ. ვაჩნაძე, „დეპორტირებული მესხი ქალის- ნაზირას წიგნი“, თბ., 2005.
5. დ. კოუორიძე, „სამცხე-ჯავახეთი- წარსული და დღევანდელობა“, თბ., 1987.
6. გ. მამულია (რედ.), „სტალინი ისტორიასა და ისტორიკოსთა შეფასებები“, თბ., 2002.
7. ვ. მოდებაძე, „მესხური პრობლემის ანალიზი“, თბ., 2010.
8. მ. სვანიძე, „თურქეთის ისტორია 1923-2000 წ.წ“, თბ., 2005.
9. მ. ქასაძი, „ოსმალეთის ქართველები“, სტამბოლი, 2012.
10. თ. ნავროზაშვილი, „თურქი მესხები – სტალინის მიერ თურქებად შერაცხული ქართველები“ (სტატია), 22.09.2010.
11. 6. ნარიმანაშვილი, „ახალციხე“ (სტატია), 30. 05. 2014.
12. <https://diaokh.wordpress.com/.../ისტორიული-მესხეთი>.
13. თ.ჩაგელიშვილი, დოკუმენტური ფილმი „მესხები“, 2013.

ილონა ბუიშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი ირინა დვინერია

ტერორისტული აქტები ქართული არხების ობიექტით

XXI საუკუნემ კაცობრიობის ცხოვრებაში ბევრი სიახლე მოიტანა – გლობალიზაციის მზარდი ტემპი, ახალი ტექნოლოგიები და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მასობრივი საშუალებების კონტინტი.

საინფორმაციო სივრცის ახალ ამბებს შორის, ბოლო წლებში დიდი ადგილი, სამწუხაროდ, ტერორიზმის სხვადასხვა გამოვლინების გაშუქება იყავებს ადგილს. რამდენად პროფესიულად შექდება ეს მოვლენები? ხდება თუ არა ამ მოვლენების ანალიზი? რა დასკვნების გამოტანას შეძლებს რიგითი მაყურებელი საინფორმაციო გამოშვებებში ასეთი კადრების ხილვის შემდეგ? ეს კვლევა პასუხობს ამ და კიდევ ბევრ სხვა კითხვას.

ტერორიზმის ცნება

უპირველესად გავარკვიოთ, რა არის ტერორიზმი. ძალადობრივი აქტი, განხორციელებული სამოქალაქო პირების წინააღმდეგ, რომელიც ჩადენილია გარკვეული მიზნებისთვის. ეს იქნება, პოლიტიკური, რელიგიური თუ იდეოლოგიური საფუძვლები. რეიტინგისთვის ბრძოლაში, მასობრივი ინფორმაციის წყაროები ხშირად აშუქებენ ისეთ ინფორმაციას, რომელიც სავალალო შედეგამდე შესაძლოა მიიყვანოს მდგომარეობა.

აუცილებელია, განვასხვაოთ ტერორიზმი სხვა კრიმინალური ორგანიზაციების მიერ, მსგავსი ტაქტიკის გამოყენებით, ჩადენილი დანაშაული, მაგ., ფულის ან ინფორმაციის გამოძალვა, არ შეიძლება ჩაითვალოს ტერორიზმად თუ მის ქვეშ არ მოიაზრება პოლიტიკური მოტივაცია.

ტერორისტული აქტების გაშუქების პროფესიული სტანდარტი

ამ ტერმინის არასწორი გამოყენება საჯარო პირების მიერ, უწყობს ხელს ადამიანების დაყოფას და მათ სტიგმატიზაციას.

ადამიანები სულ უფრო მეტ დროს ატარებენ ტელეეკრანთან, თუმცა, დაბალი ესთეტიკური ღირებულების და მდარე გასართობი გადაცემების უხვი რაოდენობა, არ იძლევა სათანადო ანალიტიკური მსჯელობის საშუალებას, რის გამოც მნიშვნელოვანი რეგრესით ინევს საზოგადოების კულტურული განვითარება. ხოლო, ძალადობის ხშირი დემონსტრირება საზოგადოებაში, აღიქმება ბუნებრივ მოვლენად. ჩვენი მიზანია, ვაჩვენოთ თუ რა სპეციფიკით უდგება დიამეტრალურად საპირისპირო ინფორმაციული პოლიტიკის მქონე ორი ტელეარხი განსხვავებული პრიორიტეტებითა და ღირებულებით, ამა თუ იმ ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს.

პარიზი

ეთიკური სტანდარტები: პირდაპირ ეთერში ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების დროს ჟურნალისტი აწყდება მრავალ დაბრკოლებას, სირთულეს. დგება საკითხი: შეიძლება თუ არა ამ ინფორმაციის გაშუქება? ცხადია, საეჭვოა, რომ საფრანგეთში მომხდარი ტერორისტული აქტის დროს აფეთქების ორგანიზატორები, „რუსთავი-2“-ის 15:00 საათიან გამოშვებას უყურებდნენ, სადაც თამარ ნუცუბიძე ასახელებდა პარიზის ქუჩის კონკრეტულ მისამართსა და სავარაუდო გეგმას, თუ რა მიმართულებით გაგრძელდებოდა სამძებრო ოპერაციები ქალაქის მასშტაბით. ჟურნალისტი არის ფიგურა, რომელიც უნდა ავრცელებდეს სანდო ინფორმაციას, რათა საზოგადოება იყოს საქმის კურსში. თუმცა, ჟურნალისტური საქმიანობა მთავრდება იქ სადაც, იწყება სხვა ადამიანებისთვის ხელის შეშლა.

„კურიერის“ ჟურნალისტი თამარ ნუცუბიძე ვერ გაუმკლავდა ემოციების მოზღვავებას და ამის ფონზე, მისი საუბრის მანერა იყო პანიკის შემცველი, დაძაბული. ამ ემოციურობას ამწვავებდა, ნარმოთქმული ფრაზები: საზოგადოებაში პანიკაა, ფრანგი ხალხი შოკირებულია, საზოგადოება სა-სოწარკვეთილია, მასობრივი ტრაგედია და სხვ. ამის საპირისპიროდ, „მოამბის“ ჟურნალისტმა ქეთი ქარდავამ, რომელიც ასევე იმყოფებოდა მოვლენების ეპიცენტრში, მოახერხა, ჩამოეყალიბებინა კონკრეტული მოვლენების ქრონოლოგიური სურათი. ის ერიდებოდა წინასწარი შეფასებების გა-კეთებას. მისი ინფორმაცია ლაკონიური და სხარტი იყო.

ქრონომეტრაჟი: უნდა აღინიშნოს, რომ იგი განხორციელდა 13 ნოემბერს, ადგილობრივი დროით 21:20 წუთზე (საქართველოს დროით 00:20 სთ.). იქიდან გამომდინარე, რომ შაბათი დღე იყო 10:00 საათიანი „კურიერი“ და „მოამბე“ არ გასულა პირდაპირ ეთერში. პირველი ცნობა, პარიზში მომხდარი აფეთქების შესახებ, 11 საათისა და 40 წუთის დაგვიანებით ქართულ ტელესივრცეში, საინფორმაციო გამოშვება „კურიერში“ სათაურით „ისლამური სახელმწიფოს პასუხი საერთაშორი-სო კოალიციას“ გავრცელდა. ამკარაა, რომ ოპერატორის კვალი ძალიან ბუნდოვანია, მეორე მხრივ, დროის გასვლის შემდეგ მოძიებული ინფორმაცია, უფრო სრულყოფილია, ვერსიებსა და ვარაუდებისაგან თავისუფალი და დაბალანსებული. დროის ხანგრძლივობის მხრივ კი, მთელი დღის განმავლობაში „კურიერის“ ეთერში პარიზის ტერაქტს დაეთმო 1. 40 წუთი. „მოამბის“ შემთხვევაში ეს დრო 1,12 წუთს უტოლდებოდა.

საინფორმაციო გამოშვებაში, ინფორმაციული ცნობები ხშირად მეორდებოდა, ამიტომაც, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ჟურნალისტი ახდენდა ერთი ინფორმაციის ტირაჟირებას სხვა-დასხვა ინტერპრეტაციით. იგრძნობოდა ასევე, არსებული კადრების სიმცირეც.

მოპოვებული კადრები: უმრავლეს შემთხვევაში კადრები გადაიცემოდა არარედაქტირებული სახით, არ ხდებოდა მათი დამუშავება (უსიამოვნო სანახაობისაგან მაყურებელთა არიდება, და-ბურვა, დაფარვა). არ ჩანდა ასევე წყარო თუ საიდან არის არსებული კადრები აღებული, რაც სან-დონიბის ეფექტს უკარგავდა. როდესაც, მაყურებელი გათვითცნობიერებულია და იცის მოცემული კადრების წარმომავლობა იზრდება ან მცირდება (წყაროდან გამომდინარე) დამაჯერებლობის და სანდონიბის ეფექტი. Breaking new სტილი საქართველოს ტელევიზია საერთოდ არ იყენებს, ძირი-თადად, უხმო კადრებს ყოველთვის ემატება ჟურნალისტის საუბარი.

კომენტარები: არ შეიძლება უარვყოთ, რომ ჟურნალისტები მოეკიდნენ ამ თემას პასუხის-მგებლობით, რაც გულისხმობს მთელი სამუშაო რედაქციის ფეხზე დაყენებას, ამ სიტყვის პირ-დაპირი მნიშვნელობით. ეს ეხება, „რუსთავი-2“ის ჟურნალისტებს. დავით ქაშიაშვილი უკვე საქართ-ველოში, ადგილობრივი პოლიტიკოსების მისამიმრებისა თუ მხარდამჭერ განცხადებებს ერთად უყრიდა თავს.

ორივე ტელევიზიის ჟურნალისტებს არ ავინყდებოდათ, მოვლენების ეპიცენტრში, საქართ-ველოს მოქალაქეების შესაძლო არსებობის შემთხვევები. სწორედ ამიტომ, პირველი ზარი, ყოველთ-ვის იყო საქართველოს ელჩითან.

საინტერესოა, თუ რას ფიქრობენ ანალიტიკოსები, ექსპერტები მომხდარზე. „მოამბის“ ეთერში, მხოლოდ დღის ბოლოს გამოჩენდა ასეთი შეფასებები „კურიერის“ შემთხვევაში კი დღის პირველ ნახევარში. მოკლე მონოლოგები 3-4 ექსპერტთა მხრიდან, ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ ერთი იდეის გავრცელებას ემსახურებოდა ეს კომენტარები. მათი სრული უმეტესობა რუსეთის პოლიტი-კის მოწინააღმდეგე იყო და თვლიდნენ, რომ რუსეთი „ხელს ითბობს“, „სარგებლობს“, „იყენებს“ ასეთ მოვლენებს. ამ შემთხვევაში, უფრო მნიშვნელოვანი იყო ექსპერტებს დაენახებინათ ბოლო პე-რიოდში განვითარებულ მოვლენათა შორის ლოგიკური კვანძი, რომელიც განხორციელდა პარიზში და ბრიუსელში.

ანკარა

ეთიკური სტანდარტები: ამ ინფორმაციის გაშუქებისას უცხოურ საიტებზე მოძიებული ინ-ფორმაციით შემოიფარგლენენ. თითქოს მაყურებელს შეუგდეს მეორეხარისხოვანი, თემა რომელიც

არ საჭიროებს სიღრმისეულ ჩაღრმავებას. რადგან საინფორმაციო გამოშვების სპეციფიკა უნდა იყოს აგებული 3 ძირითად პრინციპზე: სიზუსტეზე, ოპერატიულობაზე და ობიექტურობაზე.

ქრონომეტრაჟი: უურნალისტები არ ჩასულან მომხდარის ადგილზე და არც ანალიტიკოსთა მოსაზრებებით დაინტერესებულან. „მოამბის“ შემთხვევაში, კი ინფორმაცია იყო ზერელე, ზოგადი, ბუნდოვანი და არასრული. 35 წუთი დაეთმო „კურიერში“, ხოლო „მოამბეში 44 წუთი.

მოპოვებული კადრები: ინფორმაცია, რომელიც „რუსთავი-2“-ისა და „საზოგადოებრივი მაუნიებლის“ საინფორმაციო გამოშვებებში გამუქდა მთელი დღის განმავლობაში, იყო მნირი. ამ აფეთქებას კი 100-მდე გარდაცვლილი და 125-ზე მეტი დაზარალებული მოჰყვა.

17 თებერვლის ტერაქტზე – საზოგადოებრივი მაუნიებლის უურნალისტის მტკიცებით, სავარაუდოდ, ერთ-ერთი ტერორისტი ქალია. მოხდა დამნაშავეთა გაყოფა სქესის ნიშნით. როდესაც სავარაუდო დამნაშავეთა შორის მამაკაცები ფიგურირებენ ხაზგასმით არასდროს ხდება მათი მოხსენიება, „რომ ერთ-ერთი დამნაშავე მამაკაცია“. ეროვნების მიხედვით განასხვავეს „რუსთავი-2“-ის უურნალისტებმა სავარაუდო ეჭვმიტანილი. ხსირად, იყენებდნენ ქსენოფობიურ მტკიცებულებას, რომ შესაძლო დამნაშავე „სირიელი ქურთები“ არიან. ამ შემთხვევაში ნეგატიური ყურადღება ექცევა ეროვნებას, რომელსაც ტერორიზმთან კავშირი არ აქვს.

სტამბოლი

ეთიკური სტანდარტები: გაუგებარია, რა მიზეზით დაეთმო მინიმალური ყურადღება თურქეთისა და ანკარის ტერაქტებს, საქართველოს მედიაში. იმის გათვალისწინებით, რომ თურქეთი სამხრეთელ მეზობლად ითვლება და უშუალო მოსაზღვრე ქვეყანაა, რაც არ უნდა დასავლური ლირებულებებისაკენ ვისწრაფვოდეთ, არ უნდა დაგვავინყდეს ტერიტორიული სიახლოვე და მოსალოდნელი საფრთხეები, რომელიც შესაძლოა ჩვენს ტერიტორიაზეც აისახოს. ამიტომ, ყოვლად გაურკვეველია, რატომ არ მოახდინა სათანადო რეაგირება ქართულმა მედიამ ამ მნიშვნელოვან მოვლენებზე.

ქრონომეტრაჟი: თურქეთში მომხდარ მოვლენებს, რომელსაც თითქმის იგივე მსხვერპლი მოყვა (როგორც ბრიუსელში), დაეთმო ძალიან მცირე დრო. 8 წუთი მთელი დღის განმავლობაში „კურიერში“, 4 წუთი „მოამბეში“. უურნალისტები მოვლენების გაშუქებას სტუდიიდან გაუსვლელად ამჯობინებდნენ.

ბრიუსელი

ეთიკური სტანდარტები: ქეთი ქარდავას მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია გამოირჩეოდა ემოციურობით, ეს შეინიშნებოდა მის ხმაშიც, მისი მძიმე ემოციური ფონის მიუხედავად, საუბარი არ გადაიქცა ცარიელ პანიკად. იგი ცდილობდა, მაქსიმალურად მიუკერძოებლად გადმოეცა მომხდარის დეტალები. ჩართვისას, იყენებდა: სატელეფონო საუბარს, „SKYPE“-ს. თუმცა, ფერხდებოდა კომუნიკაციის დამყარება და იყო ხარვეზები (ხმის გაწყვეტა, კავშირის დამყარება, ინტერნეტის სუსტი მიწოდების ხარისხის გამო) რაც ართულებდა ინფორმაციის აღქმას.

ქრონომეტრაჟი: 1,12 წუთი „კურიერში“, 1,40 წუთი „მოამბეში“. მთელი დღის განმავლობაში, გადაიცემოდა პირველ განყოფილებაში და იყო დღის მთავარი თემა. საინფორმაციო გამოშვებების გარდა, ანალიტიკურ გადაცემებშიც გაგრძელდა ბრიუსელის ტერაქტის შესახებ მსჯელობა.

კომენტარები: სოციალური ქსელები ამართლებენ თავის სახელს და უურნალისტებიც იყენებენ მათ, როგორც ერთ-ერთ სანდო წყაროს. კომენტატორის როლში, „კურიერის“ უურნალისტი სოფო ზურაბიანი მოგვევლინა. ზაალ უდუმაშვილის დამაჯერებელი არგუმენტის საფუძვლად, თითქოს იგი დიდი ხანი ევროპაში ცხოვრობდა და თამამად შეეძლო შეეფასებინა ტერაქტების მასშტაბები. ზურაბიანმა მართლაც წამოაყენა რამდენიმე პრობლემური საკითხი, რომელიც იდგა ბრიუსელის წინაშე. დასვა მწვავე მაგრამ რიტორიკული შეკითხვები.

ლაპორი

ეთიკური სტანდარტები: 70 უდანაშაულო ადამიანის დაღუპვა მათ შორის 30 პავშის, ნამდვილად არ არის უმნიშვნელო სიახლე, რომელიც „უცხოეთის რუბრიკაში“ უნდა ვრცელდებოდეს. მაგ-

რამ, როგორც ჩანს, ასე არ ფიქრობს კვლევაში განხილული ორი ტელევიზია. ამის მაგალითი, კი სახეზეა. პაკისტანის ქ. ლაპორში მომხდარ აფეთქებას, მასმედიის მხრიდან იმაზე ნაკლები ყურადღება დაეთმო, ვიდრე წარმოვიდგენდით. ქრონომეტრაჟი, ძალზედ მცირეა, 4 წუთი „კურიერში“, 5 წუთი „მოამბეში“.

ქრონომეტრაჟი: დროითი სიმცირის გარდა, „ნიუსის“ განლაგება საინფორმაციო ბადეშიც, არ შეესაბამებოდა მომხდარის შინაარსს. (უმრავლეს შემთხვევაში ამ თემაზე გაკეთებულ სიუჟეტს გადაცემის მიზურულს, სპორტისა და ამინდის პროგნოზის დონეზე გადმოსცემდნენ).

კომენტარები: არცერთი, ანალიტიკური კომენტარი, არცერთი კონკრეტული ფრაზა. მხოლოდ ვარაუდი. წამყვანმა ხაზი გაუსვა, რომ აღდგომის დღესასწაულზე მომხდარი აფეთქება საბავშვო მოედანზე ქრისტიანების წინააღმდეგ შეთქმულებას უნდა ნიშნავდეს. უურნალისტმა არ ჩათვალა საჭიროდ, ამ თემის ფართო ჭრილში განხილვა, თუმცა საინტერესო იქნებოდა ანალიტიკური მსჯელობა, რომ რელიგიური ნიშნით ადამიანის მოკვლა 21-ე საუკუნეშიც გრძელდება.

მოპოვებული კადრები: იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოდან არცერთი უურნალისტი არ ჩასულა, კადრები იყო მხოლოდ საზღვარგარეთის მედიის მიერ გადაღებული.

ამ თემამ განვითარება და გაგრძელება არ ჰქოვა. ყურადღების ნაკლებობა კი შეიძლება რამდენიმე ფაქტორით იყოს განპირობებული: 1) პაკისტანი განვითარების დონით ქვედა ზღვარზე იმყოფება; 2) არ არის ევროპის ქვეყანა; 3) არ არის „ნატოს“ წევრი; 4) სოციალურ-ეკონომიკური დონით განუვითარებელ ქვეყნად მოიაზრება; 5) არ მოიაზრება დემოკრატიული ქვეყნების სიაში; 6) ასეთი თავდასხმები ხშირია და აღიქმება ჩვეულებრივ მოვლენად.

დასკვნა: შერჩეულია დიამეტრალურად საპირისპირო ინფორმაციული პოლიტიკის მქონე ორი ტელეარხი განსხვავებული პრიორიტეტებითა და ღირებულებებით. განსხვავებულია ასევე მათი დაფინანსების სპეციფიკაც „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ არის დაფინანსებული მშპ-ით და „რუსთავი-2“ არის კერძო ტელესივრცე. „საზოგადოებრივი არხის“ პრინციპია, იზრუნოს საზოგადოების თვითშეგნების ამაღლებაზე, კერძო – კომერციული ტელევიზია მოგებაზეა ორიენტირებული.

საჭიროა, რომ მოცემულმა ტელეარხებმა გადახედოს იმ პრიორიტეტებს რაც მათ წინაშეა, რათა სწორად მოახდინონ დროისა და მნიშვნელობის გადანაწილება. ასევე გაურკვეველია, რა ინფორმაციული პოლიტიკის მატარებლები არიან ისინი, როცა მეზობელი ქვეყნის ტერაქტებს უთმობენ მინიმალურ დროს, ხოლო პარიზისა და ბრუსელის ტერაქტებს ყველა მოვლენაზე პრიორიტეტულად თვლიან.

უურნალისტი ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს მოვლენებზე მუშაობას. განსაკუთრებით თუ ის ტელევიზია, სადაც ის მუშაობს, არის „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ან ერთ-ერთი რეიტინგული არხი, რომელსაც ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი უყურებს. არ შეიძლება არ გაუღერდეს, რომ „საქართველოს უურნალისტური ეთიკის ქარტიამ“ რამდენიმე საინტერესო და საჭირო რეკომენდაციები წარმოუდგინა უურნალისტებს ტერაქტებს ყველა მოვლენაზე ქვებასთან დაკავშირებით.

რამდენად პარადოქსულად არ უნდა ჟღერდეს, წარმოიქმნება ინფორმაციული ვაკუუმი, ერთი მხრივ, მოდის ინფორმაციის დიდი ნაკადი, მეორე მხრივ, ამ ინფორმაციის სანდოობა და ავთენტურობა საეჭვოა. სწორედ ამიტომ, როცა არ არის გაკეთებული ოფიციალური განცხადება არც სახელმწიფოს არც სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან, ინფორმაციული დეფიციტის ფონზე, უურნალისტები ცდილობენ მოიძიოს და გააშუქოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რათა შეავსოს სამაუწყებლო ბადე ან, უარესს შემთხვევაში, ავრცელებს თავიანთ მოსაზრებებს რაც, არცთუ იშვიათად არაობიერტურია. სწორედ ამიტომ, მხოლოდ გადამოწმებული ინფორმაციის უნდა გავრცელდეს, რათა არ მოხდეს საზოგადოების დეზინფორმირება.

ანა ზაბახიძე, ეთიკო შაყულიშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ბაქალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი ნინო ჭალავანიძე

რეგიონული გაუცხადლობის გაშუქების საეციფიკა თანამედროვე ქართულ სამაუცხადლო მაღიაზი

(ტელეკომაცია „მარწველი TV“-ის მაგალითზე)

სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობა აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საქართველოს შორის პირველად 1918 წელს დამყარდა. 1920 წელს ბოლშევიკების მიერ აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ იქაური პოლიტიკური ელიტის ნაწილი თბილისში გადმოვიდა, მაგრამ 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთმა საქართველოც დაიპყრო. 1922 წლის 30 დეკემბერს ორივე ქვეყანა საბჭოთა კავშირის ნაწილი გახდა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში, რომელიც 1936 წელს გაუქმდა და შეიქმნა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სსრ-ები.

ამ ვითარებამ, თავის მხრივ, განაპირობა 2 სახელმწიფოს შორის მჭიდრო დიპლომატიური, კულტურული და სხვა სახის კავშირი.

ოფიციალურად, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთერთობები 1992 წლის 18 ნოემბერს დამყარდა, მას შემდეგ 100-ზე მეტი სახელშეკრულებო-სამართლებრივი დოკუმენტი არსებობს, რომელიც არეგულირებს თანამშრომლობის ყველა სფეროს. (მუდმივი პოლიტიკური დიალოგი; თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში;

თანამშრომლობა ტრანსპორტის სფეროში; ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობები;

ინვესტიციები; ტურიზმი; სისტემატურად ტარდება ერთი ქვეყნის კულტურის დღეები მეორე ქვეყანაში, მის ფარგლებში იმართება საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის კულტურის საკითხთა კომისიის სხდომები, სადაც განიხილება ორ ქვეყანას შორის კულტურის სფეროში თანამშრომლობის მიმართულებები).

დროთა განმავლობაში გამოვლენილმა ამ მეგობრულმა თუ დიპლომატიურმა ურთიერთკავშირმა განაპირობა აზერბაიჯანში ქართველთა დასახლება – ანალოგიურად საქართველოს ტერიტორიაზეც.

აზერბაიჯანელები საქართველოში დაახლოებით 7%-ს შეადგენენ, მათი საერთო რაოდენობის 19,2% ქალაქად ცხოვრობს, დანარჩენი – სოფლად. ბოლო 2002 წლის აღწერით საქართველოში ცხოვრობდა 284,761 აზერბაიჯანელი, მათ შორის თბილისში – 10,942.

ეთნიკურ აზერბაიჯანელთა ყველაზე დიდი ნაწილი საქართველოში მარნეულის ტერიტორიაზეა.

აზერბაიჯანელები 86.4%;

ქართველები 7.8%;

სომხები 5.2%;

რუსები 0.2%;

ბერძნები 0.2%^[2];

მათი რაოდენობა, ქართველებთან შედარებით, გაცილებით მეტია (დაახლოებით 80%-ით მეტი).

აზერბაიჯანელთა ასეთმა რიცხობრივმა უპირატესობამ, (განსაკუთრებით მარნეულის ტერიტორიაზე) თავის მხრივ განაპირობა, რომ შექმნილიყო ინოვაციური ტელევიზია, ორენოვანი მაუწყებლობის ფორმატით, რომელიც ადაპტირებული იქნებოდა როგორც ქართველებისთვის, ასევე ეთნიკური აზერბაიჯანელებისათვის.

2006 წელს, ჩამოყალიბდა ტელეკომპანია „მარნეული TV“, იმავე წელს აქტიურად შეუერთდა რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის რიგებს და, მიუხედავად იმისა, რომ მაუწყებლობა პრაქტიკულად ნოლიდან, განვადებით შეძენილი აპარატურით დაიწყო, საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწია და მაყურებელთა ნდობაც მოიპოვა.

2006 წლის 1 ივნისს შექმნილმა ტელევიზიამ, განვითარების თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესო გზა განვლო. წარმატებული სტარტი აღმოჩნდა „ინტერნიუს საქართველოს“ ფოკუსში მოხვედრა, რომელმაც შემდგომ დიდი როლი ითამაშა როგორც პერსონალის შერჩევისა და გადამზადების, ისე ტექნიკური გადაიარაღების საქმეში.

ზოგადად, ამ ტელევიზიაში მუშაობა, რა თქმა უნდა, სირთულეებთან არის დაკავშირებული და უურნალისტებიც, რომლებიც აქ საქმდებიან, გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდნენ.

ერუდირება, კომპიუტერული უნარჩვევების ცოდნა, პროფესიონალიზმი, ლინგვისტური მრავალფეროვნება (სასურველია აზერბაიჯანული და რუსული) შერჩევის პროცესში გადამწყვეტ როლს ასრულებს. ქართული ენის სრულყოფილი ცოდნის გარეშე კი ტელევიზიაში დასაქმება პრაქტიკულად წარმოუდგენელია.

რთული სტრუქტურიდან გამომდინარე, ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ რამდენად წარმატებულია ორენოვანი ტელევიზია, და რა სახის ხარვეზები იკვეთება მაუწყებლობაში.

კვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ მოსახლეობა საკმაოდ დადებითად არის განწყობილი „მარნეული TV“-ის მიმართ, მაღალია ნდობის ხარისხიც. თავად ტელევიზია, თავისთავად დიდ როლს თამაშობს მოსახლეობის ინფორმირების საკითხში, თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ იგი ერთგვარი დამაკავშირებელიცა ხალხსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის, რაც საკმაოდ კარგად ვლინდება ორმხრივ პროცესში „კითხვები გამგებელთან“, სადაც მოსახლეობას საშუალება აქვს ამომწურავად მიიღოს მისთვის საინტერესო კითხვებზე პასუხი.

ტელევიზია თავის მხრივ ფეხს უწყობს ქვეყანაში მიმდინარე მწვავე პროცესებს. აქტიურად არის ჩართული საგრანტო პროექტებშიც, გამომდინარე იქიდან, რომ დღესდღეობით საქართველოში საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს ქალთა მიმართ ძალადობა, საეთერო დრო ეთმობა გადაცემას „საუბრები ქალთა საკითხებზე“, რომელიც საკმაოდ რეზონანსული აღმოჩნდა.

ტელეკომპანიის ზოგადი საეთერო ბადე განსხვავებული და არაერთგვაროვანია. დროის უდიდესი ნაწილი ეთმობა საინფორმაციო გამოშვებებს, დატვირთულია პირდაპირი ეთერითა და თოქ-შოუებით. სხვადასხვა საინტერესო გადაცემებთან ერთად კი, მაუწყებლობის პროცესში ვხვდებით განსხვავებულ, ინოვაციურსა და ეროვნული საქმისთვის სასარგებლო „ქართული ენის გაკვეთილებს“, რომელმაც საკმაოდ დიდ როლი შეასრულა სასაუბრო ქართულის დახვენაში, იგი თავის მხრივ ავითარებს წერით უნარებს და მეტყველების სტილს.

ქართულ ენაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც პირდაპირ ეხება ტელეკომპანიას რის მიხედვითაც ინფორმაცია მხოლოდ სახელმწიფო ენაზე უნდა მიაწოდონ მოსახლეობას. მოგეხსენებათ, რომ მარნეულის მცხოვრებთა დიდმა ნაწილმა ქართული ენა არ იცის; აქედან გამომდინარე, „გარბის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მათთვის ალტერნატივა რუსული არხების მეშვეობით ინფორმაციის მიღება იქნება, რაც შესაძლოა რუსულ პროპაგანდაზე წყლის დასხმაც კი აღმოჩნდეს. „პარტნიორობა თავისუფალი არჩევნებისთვის“ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით საზოგადოებას მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები წარუდგინა.

არასამთავრობო ორგანიზაციების გაერთიანებაში აცხადებენ, რომ მაუწყებლობის შესახებ კანონში პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით მიღებული ცვლილებები, რომლის თანახმადაც, მაუწყებლობაზე ავტორიზებული ლიცენზირებული ტელემაუწყებელი ვალდებულია, ეთერში პროგრამები მხოლოდ სახელმწიფო ენაზე გაუშვას, აღნიშნული რედაქციის საბოლოო დამტკიცების შემთხვევაში, უმცირესობების უფლებები შეიზღუდება.

„რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ აღმასრულებელი დირექტორის ნათია კუპრაშვილის განცხადებით კი ამ ცვლილებების დამტკიცების შემთხვევაში, ეთნიკური უმცირესობები საარჩევნო პერიოდში, საინფორმაციო ველის მიღმა დარჩებიან. იგი განმარტავს იმასაც, რომ ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივმა მოსახლეობამ ქართული ენა თითქმის არ იცის და მაუწყებლობის მხოლოდ სახელმწიფო ენაზე განხორციელების შემთხვევაში მათთვის ალტერნატივა შესაძლებელია რუსული არხები გახდეს.

ზოგადად ტელევიზიის რეიტინგს განაპირობებს მისი გავრცელებისა და დაფარვის არეალი. საქართველოში არსებულ რეგიონულ ტელევიზიებს ეს პრობლემა ასე თუ ისე დღემდე გააჩნია, თუმცა, „მარნეული TV“-ს ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად მოგვარებული აქვს. ციფრული მუქსის საშუალებით, გარდა მარნეულისა ტელევიზია მაუწყებლობს ბოლნისსა და თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტებში. გლობალ TV-ს საშუალებით კი პრაქტიკულად მთელ საქართველოს ფარავს.

მნიშვნელოვანია, რომ გლობალური ინტერნეტიზაციის პირობებში, ინტერნეტ პორტალი myvideo.ge ონლაინ და გადახვევის რეჟიმებთან ერთად, ეხმარება იმ ადამიანებს, ვისაც ტელეკომპანიაზე ხელი არ მიუწვდება.

არხის მიერ განთავსებული სიუჟეტები მოთხოვნადია ყოუტუბე-ზეც, რასაც ერთ-ერთი ვიდეოს მნახველთა რაოდენობა ადასტურებს, იგი 10 000-ს აჭარბებს.

მოთხოვნადობიდან გამომდინარე, ტელეკომპანია მაუწყებლობს ონლაინ რეჟიმშიც, www.marneuliTv.ge-ს საშუალებით. ზოგადად საიტი მულტიფუნქციურია. დაყოფილია თემატიკის მიხედვით. აქ განთავსებულია შესაბამისობის დეკლარაცია, ინფორმაცია თანამშრომლების შესახებ, ასევე ორგანიზაციის მისია. დართულია სარეკლამო დროის ფინანსური მხარეც (შპს „მარნეული ტვ“ სარეკლამო პრაისი, ფასდაკლებები წუთობრივი პაკეტების მიხედვით, ერთი წუთის ღირებულებაა 30 ლარი +18% დღგ=35ლ 40ტ).

მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებებში ერთი წუთის ღირებულებაა 60 ლარი +18% დღგ=70ლ 80ტ.

პაკეტი 40 წთ-დან – 3%;

პაკეტი 50 წთ-დან – 5%;

პაკეტი 60 წთ-დან – 10%;

პაკეტი 75 წთ-დან – 15%;

პაკეტი 90 წთ-დან – 20%;

პაკეტი 105 წთ-დან – 25%;

პაკეტი 120 წთ-დან – 25%;

პაკეტი 135 წთ-დან – 30%;

პაკეტი 150 წთ-დან – 33%;

პაკეტი 165 წთ-დან – 35%;

პაკეტი 170 წთ-დან – 36%

პაკეტი 185 წთ-დან – 38%;

პაკეტი 195 წთ-დან – 39%;

პაკეტი 205 წთ-დან – 40%;

პაკეტი 220 წთ-დან – 42%;

განცხადება – ერთი სიტყვის ღირებულება 50 თეთრი + დღგ;

ერთ წუთამდე სარეკლამო რგოლის გადაღება და მონტაჟი 210 ლარი დღგ-ის ჩათვლით;

საეთერო დრო – ერთი წუთის ღირებულება 50 ლარი+დღგ;

ფასები პოლიტიკური რეკლამისთვის;

წუთის ფასი არაპრაიმთაიმში – 80 ლარი დღგ-ის ჩათვლით;

წუთის ფასი პრაიმთაიმში 19სთ–22 სთ – 150 ლარი დღგ-ის ჩათვლით;

წუთის ფასი საეთერო დრო, პირდაპირი ეთერი – 65 ლარი დღგ-ის ჩათვლით;

(შენიშვნა: პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ფასდაკლებას არ ექვემდებარება).

ვიზიტორს თავისუფლად შეუძლია მოიძიოს ტელევიზიის საეთერო ბადე, აქვე გაეცნოს ამინდის პროგნოზს, იხილოს კალენდარი და ვალუტის კურსიც. საიტს აქვს არქივიც, სადაც შესაძლებელია ძველი გადაცემების მოძიება. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს არხის გამჭირვალეობას, რადგან აქ წარმოდგენილია ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია და დართულია ადმინისტრაციას-თან საკონტაქტო რეკვიზიტებიც.

ტელეკომპანიას მემორანდუმი მხოლოდ „სტუდი რე“-სთან აქვს, რაც გადაცემების მიწოდებას გულისხმობს. არ აშუქებს აზერბაიჯანში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს და არც სპეციალურად მივლენილი კორესპონდენტი ჰყავს, თუმცა, სამომავლოდ გეგმავს მრავალ რეფორმას, განახლებას, გაფართოებას და სხვა ინოვაციების დანერგვას.

მოსახლეობაში არსებული ენობრივი ბარიერიდან გამომდინარე, მსგავს ტელევიზიას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მისი საშუალებით ბალანსდება ინფორმაციის მიწოდება როგორც ქართულ, ისე აზერბაიჯანულ ენოვანი მოსახლეობისათვის. როგორც მარნეული TV-ს დირექტორი, ბატონი შალვა შუბლაძე აცხადებს „მომავალში „მარნეული TV“ მოსახლეობა უნდა ელოდოს უფრო მეტ მხარდაჭერას ვიდრე აქამდე იყო.“

(ნაშრომში გამოყენებული ზოგიერთი ინფორმაცია შესაბამისი იყო კვლევის პერიოდისათვის და შესაძლოა დღეს ძველი ფორმით აღარ ვხვდებოდეთ.)

ლია ზამბახიძე

იღიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი თამარ კინწურაშვილი

მრავალფეროვანი და გამარტინირებული საკითხების გაშუქება, საქართველოს საზოგადოებრივი გაუცხადების პირველი არხი

(20.10.14-02.11.14 – 14.12.15-28.12.15)

კვლევის საგანი: მედიის ანგარიშვალდებულებები აყალიბებს მისსავე ფუნქციებს, რომელთა შორის უმთავრესი საზოგადოების ყველა წევრის საჭიროებების ასახვა და ჩამოყალიბებული სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლაა. ეს უკანასკნელი ავალდებულებს მედიასაშუალებებს, გააშუქონ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საკითხები და გაითვალისწინონ საზოგადოების თითოეული წარმომადგენლის ინტერესები.

საინტერესოა, როგორ ასრულებს საზოგადოებრივი მაუწყებელი აღნიშნულ ვალდებულებებს, რომელსაც მას კანონი და აუდიტორიის გარკვეული სევმენტი აკისრებს. ის მოვალეა, წარმოადგენდეს საზოგადოების ნებისმიერი ჯგუფის ინტერესების დამცველს. ამასთან, საჭიროა, რომ აღნიშნული ინტერესების გათვალისწინებისა და გამუქების პროცესი არ იყოს პრიორიტეტი მხოლოდ კონფლიქტის, დაძაბულობის, ნეგატიური ინციდენტისა და დაპირისპირებების დროს.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, კვლევის მიზანს წარმოადგენს გამოავლინოს არა მარტო ის, თუ რა სიხშირით და როგორ ხდება მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება, არამედ გვიჩვენოს:

1. როდის ინტერესდება მედია მრავალფეროვნებასთნ დაკავშირებული საკითხებით;
2. არის თუ არა თავად ინიციატორი, მიაწოდოს საზოგადოებას მისი თითოეული წევრის ინტერესები და საჭიროებები;

კვლევის ობიექტი: კვლევის ობიექტია საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის მთავარი საინფორმაციო გამოშვება – „მოამბე“ 20:00 საათზე. აქ ჟურნალისტები დღის მნიშვნელოვან მოვლენებს აჯამებენ და საზოგადოებას ყველაზე საჭირო და აქტუალურ ინფორმაციას აწვდიან.

დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვება პრაიმ-თაიმში გადის ეთერში. ეს სწორედ ის დროა, როცა მაყურებლის რიცხვი საკმაოდ მაღალ ნიშნულამდე ადის და ამასთან, მისი შემადგენლობაც შედარებით მრავალფეროვანია. შესაბამისად, საინტერესოა, რამდენად წარმოადგენს მოცემული მედიასაშუალების მთავარი საინფორმაციო გამოშვება საზოგადოების თითოეული წევრის ხმას საჯარო სივრცეში, რა სიხშირით უთმობს ტრიბუნას უმცირესობების წარმომადგენლებს და როგორ აშუქებს მათ ინტერესებსა და საჭიროებებს.

კვლევის მეთოდოლოგია: წინამდებარე ანგარიში მრავალფეროვნების პირველად განზომილებებს ასახავს, ისეთს როგორიცაა: გენდერი, სექსუალური იდენტობა, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირები და რელიგიური კუთვნილება.

მონიტორინგი დროის ორ სხვადასხვა მონაკვეთში ჩატარდა. პირველი ეტაპი 2014 წლის 20 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე შუალედს ასახავს. მეორე ეტაპი კი – 2015 წლის 14 დეკემბრიდან 28 დეკემბრამდე პერიოდს.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მოცემული პერიოდები მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული მიმდინარე მოვლენების თვალსაზრისით არაერთგვაროვანია.

პირველი მონაკვეთი „ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ მიმდინარე კამპანიას, იღიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორის – მაკა წივწივაძის მკვლელობასა და ადიგენში, ადგილობრივი მუსლიმების საპროტესტო აქციას ემთხვევა.

რაც შეეხება მეორე ეტაპს, ამ შემთხვევაში, მოვლენების განვითარების თვალსაზრისით, ნეიტრალური პერიოდი შეირჩა.

კვლევაში გამოყენებული რაოდენობრივი მეთოდების საშუალებით დადგინდება, რამდენად ინტენსიურად შუქდება მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საკითხები „მოამპეში“. ამ შემთხვევაში მთავარია შემდეგი ასპექტები:

1. მთავარი საინფორმაციო გამოშვების საერთო დროის რა ნაწილს იკავებს მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საკითხები;

2. მრავალფეროვნების პირველადი გაზნომილებებიდან რომელი მათგანი რა ინტენსივობით შუქდება;

ამას გარდა მნიშვნელოვანი იყო მოცემული ორი პერიოდის შედარება, მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების ინტენსივობის კუთხით. ასე ჩვენ შევძლებთ დავადგინოთ, როდის ხდება მედიისთვის აქტუალური უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხები.

რაც შეეხება თვისობრივ მეთოდებს, მათი საშუალებით შევაფასებთ, მრავალფეროვნებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობისას, როგორაა დაცული პროფესიული და ეთიკური ნორმები, რომელსაც მედიას „საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ“, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ და „ეთიკის ქარტია“ უწესებს.

გაშუქების სტანდარტების შესაფასებლად გამოვიყენეთ მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ შემუშავებული სტანდარტები. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვეცადეთ დაგვედგინა როგორ ასრულებს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი შემდეგ საკითხებს:

➤ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საკითხების ინიცირება და არა მხოლოდ პროტოკოლური გაშუქება;

➤ უმცირესობები როგორც მასალის „სუბიექტები“ და არა „ობიექტები“;

➤ ეთნიკური, რელიგიური თუ სოციალური დაპირისპირების სათავავეებთან მისვლა და რეალური მიზეზების ძიება;

➤ უმცირესობების რეალური ინტერესებისა და საჭიროებების ჩვენება;

➤ სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მიმართ არსებული დამოკიდებულებების სწორად, სიძულვილის ენის გარეშე გადმოცემა;

➤ მოვლენების განვითარების ბოლომდე გაშუქება.

საკანონმდებლო ნორმები და რეგულაციები: მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების რეგულირების ჩარჩო დოკუმენტს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი წარმოადგენს.

კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ შეიმუშავა. დოკუმენტს არ გააჩნია კანონის ძალა და მისი იმპლემენტაციაც თვითრეგულირების დონეზე ხდება.

ამას გარდა, საზოგადოებრივ მაუწყებელს საკუთარი ქცევის კოდექსი გააჩნია, რომელშიც ცალკეული თავი ეთმობა მრავალფეროვნების გაშუქების საკითხებს.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მეთექვსმეტე მუხლი მაუწყებლებს შინაარსობრივ ვალდებულებებს უწესებს:

„თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია: „პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება;“

რაც შეეხება მაუწყებელთა ქცევის კოდექსს, ის შემდეგ რეგულაციას უწესებს საზოგადოებრივ მაუწყებელს:

მუხლი 31. მრავალფეროვნებისა, თანასწორობისა და შემწყნარებლობის პრინციპი:

მაუწყებელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი მასალის გამოქვეყნებისგან, რომელიც გააღვივებს სიძულვილს ან არატოლერანტობას რასის, ენის, სქესის, რელიგიური კუთვნილების, პოლიტიკური შეხედულებების, ეთნიკური, გეოგრაფიული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე.

ამასთან, მაუწყებელი ვალდებულია განათავსოს ზუსტი, სარწმუნო და დაბალანსებული ინფორმაცია. მან პატივი უნდა სცეს აზრის სინდისის და რწმენის თავისუფლებას (მუხლი 32).

კოდექსის მიხედვით, მაუწყებელმა თავი უნდა აარიდოს შეცდომაში შემყვანი განცხადებების გაკეთებას და ხელი არ უნდა შეუწყოს სტერეოტიპების ჩამოყალიბებას. ამას გარდა, 33-ე მუხლში ჩამოყალიბებულია ის სახელმძღვანელო რეკომენდაციები, რომლითაც მედიასაშუალებამ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას უნდა იხელმძღვანელოს.

პროფესიულ სტანდარტებსა და არხის ეთიკურ პრინციპებს განსაზღვრავს ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი. ის 2006 წელსაა მიღებული და პროგრამისადმი ნდობის გაზრდას ისახავს მიზნად.

კოდექსის 15 თავი პროგრამაში მრავალფეროვნების ასახვას ეხება. აქ ცალკე ქვეთავებადაა განხილული, როგორ უნდა აშუქებდეს მაუწყებელი რელიგიურ, ეთნიკურ, სექსუალურ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებს. რა ტერმინოლოგიას უნდა იყენებდეს ქალებთან და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას და ა.შ.

ზოგადად, კოდექსის ამ თავის მიზანს წარმოადგენს „სრულფასოვნად და სამართლიანად გააშუქოს საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხი და კულტურა, პატივი სცეს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებებს და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას“.¹¹

მაუწყებლებს გარკვეულ რეგულაციას უნესებს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიაც, რომლის მე-7 მუხლის მიხედვით: „ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით“.

ამას გარდა, აუცილებლად უნდა მოვიყვანოთ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვეცია, რომლის მე-10 თავის მიხედვით: „ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, პენდენტების შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად“.

მოყვანილი მუხლი, თავის მხრივ, მედიასაც ავალდებულებს, პატივი სცეს საზოგადოების ყოველი წევრის უფლებას, გაავრცელოს ნებისმიერი ჯგუფისთვის საჭირო ინფორმაცია და იყოს აუდიტორიის თითოეული წარმომადგენლის ინტერესების დამცველი.

ლიტერატურის მიმოხილვა: ემპირიული წანილის სწორად გააზრებასა და განხილვაში მრავალფეროვნების გაშუქებასთან დაკავშირებით არსებული ლიტერატურა დაგვეხმარა.

თავისუფალი ინსტიტუტის სახელმძღვანელოში – „თავისუფლება“ გამოქვეყნებულია მასმედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორის, მილიცა პეშიცის წაშრომი „მრავალფეროვნების გაშუქება: მედია – საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის საშუალება“.

„მრავალფეროვნების“ დაბალანსებული, სამართლიანი და ზუსტი ასახვა საშუალებას აძლევს ჟურნალისტებს, უფრო მრავალსახოვანი გახადონ და გაამდიდრონ მედია; უფრო მჭიდრო კონტაქტი დაამყარონ აუდიტორიასთან; მოიპოვონ იმათი ნდობაც, ვისაც მიაჩნდა, რომ მედია არ ასახავდა მათ ცხოვრებას და შეხედულებებს“.¹² – აღნიშნულია წაშრომში.

¹¹ საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი. 2006 წ. თავი 15. გვ 46.

¹² მილიცა პეშიცი – „მრავალფეროვნების გაშუქება: მედია – საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის საშუალება“; „თავისუფლება“ 2003 წ. 10.

აქვე ავტორი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ჩატარებული მონიტორინგის ძირითად დასკვნებსა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის რეკომენდაციებს გვთავაზობს უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების პროფესიონალურად გაშუქებისათვის.

„მედია ეთიკა და პროფესიული სტანდარტები“ – მედიის განვითარების ფონდის მიერ გამოცემული თვითრეგულირების გზამკვლევია, რომლის ცალკეული თავები ჰომოფობიასთან, სექსუალურ ძალადობასა და შშმ პირებთან დაკავშირებული მასალების განხილვას ეთმობა. გზამკვლევში აღნიშნული კუთხით 2013 წელს სხვადასხვა მედიასაშუალებებში აღმოჩენილი ხარვეზები და რეკომენდაციებია გაერთიანებული.

რაც შეეხება „მრავალფეროვნების გაშუქების სახელმძღვანელოს“, ის დევიდ ტალერის ავტორით „მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტმა“ 2004 წელს გამოსცა. მასში გარკვეული მაგალითები და რეკომენდაციებია ნარმოდგენილი, თუ როგორ უნდა იმუშაოს ჟურალისტმა მრავალფეროვნებასთნ დაკავშირებულ საკითხებზე.

ცალკეულ თავებადაა დაყოფილი ზოგადი რეკომენდაციები, ასევე გენდერთან, სექსუალურ, ეთნიკურ, რელიგიურ უმცირესობებთან და კავშირებული კონკრეტული ქეისები და რჩევები.

მრავალფეროვნების ცალკეულ განზომილებებზე მედიის განვითარების ფონდსაც აქვს გამოქვეყნებული რამდენიმე კვლევა, რომლებიც გენდერულ და ეთნიკურ უმცირესობებს შეეხება.

ერთ-ერთი ბოლო ანგარიში, რომლის ცალკეულ კომპონენტს მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება შეადგენს, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას ეკუთვნის. ის საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებლებს შეეხება და 2014 წლის 15 ოქტომბრიდან 15 დეკემბრამდე პერიოდს მოიცავს.

კვლევაში ცალკე თავი ეთმობა სოციალურ თემატიკას, უმცირესობებსა და მათ ინტეგრაციას. ანგარიშის მიხედვით, სხვადასხვა დაუცველი ფენების შესახებ თემები ცალკეულ საინფორმაციო გამოშვებებში მაშინ ხდებოდა აქტუალური, როცა მიმდინარე ახალ ამბებს უკავშირდებოდა.

მონაცემთა ანალიზი


რაოდენობრივი კვლევის შედეგები

➤ კვლევის პირველი პერიოდი


რაოდენობრივმა კვლევამ აჩვენა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში გასული 182 თემიდან მრავალფეროვნების საკითხებს მხოლოდ 18 მათგანი შეეხებოდა, რაც საერთო ეთერის 9%-ს შეადგენს (დიაგრამა 1).

N1 "მოამბე" 20:00 საათზე

■ სხვა საკითხები ■ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საკითხები



რაც შეეხება თვითონ მრავალფეროვნების პირველად განზომილებებს, უმცირესობებთან დაკავშირებული თემატიკის საერთო რაოდენობაში (18 თემა) მათი მიმართება შემდეგნაირი იყო: გენდერი – 39%, რელიგიური უმცირესობები – 44%, ლგბტ თემატიკა – 6%, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირები – 11% (დიაგრამა 2).



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გენდერთან დაკავშირებული თემატიკის სრული უმრავლესობა მიმდინარე ახალ ამბებს გადმოსცემდა. მოცემული 39%-დან არცერთი მასალა არ მომზადებულა მედიის ინიციატივით. თითოეული მათგანი იმ პერიოდში განვითარებული მოვლენების, აქციების, ანგარიშების, სამთავრობო შეხვედრებისა და ინიციატივების მექანიკურ ასახვას წარმოადგენდა.

აღნიშნული ტენდენცია მეორდება დანარჩენ შემთხვევაშიც. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებით, ლგბტ თემატიკითა და რელიგიური უმცირესობების პრობლემატიკით დაინტერესების მიზეზი მიმდინარე დაპირისპირება ან პროტესტი გახდა.

პირველი პერიოდისგან განსხვავებით, კვლევის მეორე მონაკვეთში (14.12.15-28.12.15) არცერთი წუთი დათმობია საქართველოში მცხოვრებ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებს.

თუ მოცემულ ორკვირიან (14 დღიან) პერიოდებს შევადარებთ დავინახავთ, რომ კვლევის პირველ პერიოდში მრავალფეროვნების საკითხებს ყველაზე მეტი დრო დაეთმო მესამე დღეს – 22 ოქტომბერს, როცა ადიგენის რაიონში ადგილობრივმა მუსლიმებმა საპროტესტო გამოსვლები დაიწყეს. სიტუაციის განმუხტვასთან ერთად უმცირესობებთან დაკავშირებული მასალების რაოდენობაც იკლებს, ბოლო დღეებში კი წულს უტოლდება (დიაგრამა 3).

თვისობრივი კვლევის შედეგები:

რაც შეეხება თვისობრივ წარმოშობის მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას, მედია მხოლოდ ფაქტების კონსტანტაციას ახდენდა, არ ჩანდა ანალიზი და თემატიკა სილრმისეულად არ იყო გაშუქებული. დარღვევები გამოვლინდა შემდეგი მიმართულებით:

უმცირესობები, როგორც მასალის „სუბიექტები“ და არა „ობიექტები“

ოცი ოქტომბრის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ბოლო თემად გავიდა ქართულ-ებრაული ურთიერთობის 26 საუკუნოვანი იუბილე. ღონისძებას ისრაელიდან 120-კაციანი სამთავრობო დელეგაცია სტუმრობდა. კომენტარი მხოლოდ პრემიერ-მინისტრმა და დელეგაციის ერთეულმა წევრმა გააკეთეს. სიუჟეტში არ იყო წარმოდგენილი საქართველოში მცხოვრები ებრაელების მოსაზრება.

სოფელ მოხეში რელიგიური უმცირესობების საპროტესტო აქცია 22 ოქტომბრის „მოამბის“ მთავარ თემად იქცა. გამოშვების ბოლოს, ვასილ ივანოვ-ჩიქოვანის ბლოკი სოფელ მოხეში მდებარე შენობის გარშემო არსებული დაპირისპირების გამო, აქციის დროს დაკავებული თოთხმეტი ადგილობრივი მუსლიმის მდგომარეობასა და სამართალდამცავებთან შეტაკებას შეეხებოდა. უურნალისტის კითხვებს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიური საბჭოს წევრი სოფიო შემანირი და უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებზე საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ანი კაციტაძე პასუხობდა. ბლოკში მონაწილეობა არ მიუღია რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელს. აღნიშნულის მიზეზი უურნალისტს არ განუმარტავს.

ეთნიკური, რელიგიური თუ სოციალური დაპირისპირების სათავეებთან მისვლა და რეალური მიზეზების ძიება;

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კამპანია და სოფელ მოხეში მიმდინარე დაპირისპირება „მოამბის“ მთავარ გამოშვებაში რამდენიმე დღის განმავლობაში აქტიურად შუქდებოდა.

23 ოქტომბერს საინფორმაციო გამოშვების მთავარ თემად კვლავ სოფელ მოხეს ინციდენტი დარჩა. ადგილობრივი მუსლიმები შენობის სტატუსსა და აქციის მონაწილეების დაკავების ფაქტს აპროტესტებდნენ. შეწყვეტილი იყო სასწავლო პროცესიც. როგორც სიუჟეტში ერთ-ერთი ადგილობრივი მუსლიმი აცხადებდა, ბავშვებს სკოლაში რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის გამო არ უშვებდნენ.

მიუხედავად ჩამოთვლილი ფაქტებისა ამავე თემაზე მომზადებული მასალებში არცერთი წუთი დათმობია უურნალისტის მხრიდან შემდეგი საკითხების დაზუსტებასა და გამოძიებას:

1. პრობლემის წარმოშობის რეალური მიზეზების ძიება, რაც შესაძლოა დისკრიმინაციის ფაქტები იყოს;

2. სკოლაში არსებული სიტუაცია და სასწავლო დაწესებულებებში რელიგიური უმცირესობების მიმართ დამოკიდებულება;

3. აქციის მონაწილეების დაკავების ლეგიტიმურობა და პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტების შესაძლებლობის გამოძიება.

რაც შეეხება ქალთა მიმართ ძალადობას, ამ შემთხვევაში სიუჟეტები მხოლოდ კანცელარიასთან მიმდინარე აქციებს, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ დაგეგმილი კვლევას, სამთავრობო ინციდენტებსა და სახალხო დამცველის ანგარიშს შეეხებოდა. მასალებში არ უმსჯელიათ პრობლემების წარმოშობის რეალურ მიზეზებსა და ამ მხრივ არსებულ საჭიროებებზე.

უმცირესობების რეალური ინტერესების, საჭიროებების ჩვენება

აღნიშნული პუნქტი, პირველ რიგში, გულისხმობს მრავალფეროვნებასთნ დაკავშირებული საკითხების ინტენსიურ, პოზიტიურ გაშუქებას უმცირესობების რეალური საჭიროებების ჩვენებით.

მონიტორინგის პროცესში „მოამბის“ ერთადერთი სიუჟეტი შეეხო განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებს. 21 ოქტომბერს გასულ მასალაში „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მშობელთა კომიტეტის“ მიერ მთავრობის სახელზე მომზადებულ პეტიციაზე ისაუბრეს. სიუჟეტში 16 წლის გიორგის მაგალითზე აჩვენეს ის პრობლემები, რომლებიც ამ კუთხით ქვეყანაში არსებობს. რაც შეეხება კომენტარებს, მთავარ მოთხოვნებსა და პრობლემებზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მშობელთა კომიტეტის წევრმა – ნათია შარვაძემ ისაუბრა. საზოგადოების მხრიდან დამოკიდებულების შეცვლასა და აღსრულების მექანიზმების არაეფექტურობაზე გაამახვილა ყურადღება „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის“ თავმჯდომარემ რატი იონათამიშვილმა. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ რატი იონათამიშვილი განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირია, სიუჟეტში ნაკლებად ჩანდა თავად პრობლემის წინაშე მდგარი პირების სურვილები და საჭიროებები. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ „მოამბის“ მიზანი არა პრობლემებზე საუ-

ბარი და მათი მოგვარების გზების ჩვენება, არამედ კომიტეტის მიერ მომზადებული პეტიციის წარდგენის პროცესის გაშუქება იყო.

სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მიმართ არსებული დამოკიდებულებების სწორად, სიძულ-ვილის ენის გარეშე გადმოცემა.

29 ოქტომბრის „მოამბეში“ ერთ-ერთი სიუჟეტი შეეხებოდა არსამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც, მესამე სექტორის ზოგიერთი წარმომადგენელი დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს თანამდებობის დატოვებისკენ მოუწოდებდნენ. მათი პროტესტი საგაზეთო პუბლიკაციას უკავშირდებოდა, რომლის საფუძველზეც არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობას“ გენერალური დირექტორი ირაკლი ვაჭარაძე სანდრო ბრეგაძეს მუქარაში ადანაშაულებდა.

სტატიაში სანდრო ბრეგაძე ერთუჯრედიანს უწოდებს ვაჭარაძეს, რომელმაც პატრიარქზე გამოთქვა საკუთარი აზრი და მოღალატედ მოიხსენია. ბრეგაძის არგუმენტით მის რელიგიურ გრძნობებს მიაყენეს შეურაცხყოფა.

სიუჟეტში ორივე მხარესთან ერთად მოყვანილია საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, გედევან ფოფხაძის კომენტარიც, რომელიც დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს თმენის ვალდებულებას ახსენებს.

მასალაში მხოლოდ აღნიშნული დისკრიმინაციის ფაქტია გადმოცემული რეალური პრობლემის განხილვის გარეშე. აღნიშნული კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ უმცირესობებთან დაკავშირებული პრობლემები კონფლიქტის, მათ მიმართ სიძულვილის ენის გამოყენებისა და დისკრიმინაციის დროს ხდება აქტუალური. ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც, მასალა მხოლოდ კონკრეტულ, ნეგატიურ ფაქტზეა აქცენტირებული.

მოვლენების განვითარების ბოლომდე გაშუქება როგორც მონიტორინგის რაოდენობრივი კვლევის შედეგი აჩვენებს, მოამბე მონიტორინგის პერიოდის ბოლო ეტაპზე არ შეხებია მრავალფეროვნების საკითხებს არცერთ კონტექსტში.

სოფელ მოხეში დაპირისპირების შესახებ მოამბის ბოლო მონაცემებით გამგეობამ რეაბილიტაციის პროცესი შეაჩერა, შენობას პოლიცია იცავს, დაკავებული თოთხმეტი პირიდან სამი გამოუშვეს, დანარჩენი თერთმეტისთვის განაჩენი არ გამოუტანიათ, მხარეებს შორის კონსულტაციები მიმდინარეობს შენობის სტატუსის დასადგენად და კონკრეტული მხარის მფლობელობაში გადასაცემად. აღნიშნულის შემდეგ, მონიტორინგის პროცესში, „მოამბე“ თემას აღარ დაბრუნებია.

არ გაშუქებულა ასევე 21 ოქტომბერს „შშმ პირების მშობელთა კომიტეტის“ მიერ შედგენილი პეტიციის შედეგები. კერძოდ, მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთვევაში სიუჟეტის ბოლოს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მშობელთა კომიტეტმა“ აქცია დააპიროსა, თუმცა მონიტორინგის პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებელი თემას აღარ დაბრუნებია. აქედან გამომდინარე, საზოგადოებისთვის უცნობი დარჩა დაინტერესული თუ არა შესაბამისმა უწყებებმა პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვა, ახლა რა მდგომარეობაში არიან სიუჟეტის გმირები და ზოგადად რა კეთდება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირების საზოგადოებაში მეტად ინტეგრირებისთვის.

რაც შეხება კვლევის მეორე ეტაპს, ამ პერიოდისთვის „მოამბის“ პრიორიტეტი ვიზალიბერალიზაცია, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ ლევან მურუსიძის დანიშვნა, ე.ნ. შეწყალების საქმე და სამთავრობო ცვლილებები აღმოჩნდა.

წინა პერიოდისგან განსხვავებით, მთავარი საინფორმაციო გამოშვება საერთოდ არ შეხებია მრავალფეროვნებასთნ დაკავშირებულ საკითხებს.

25 დეკემბრის „მოამბეში“ ერთ-ერთი ბოლო თემა კათოლიკური შობა და მისი აღნიშვნა იყო. სიუჟეტში მიმოიხილეს როგორ შეხვდა კათოლიკური სამყარო დღესასწაულს. მოყვანილი იყო ნაწყვეტი რომის პაპის საშობაო ქადაგებიდანაც.

მასალაში არცერთი წუთი დათმობია საქართველოში მცხოვრებ რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლებს. არც ბაპტისტურ-ევანგელისტურ და კათოლიკურ ეკლესიებში გამართული ლოთისმსახურებების ამსახველი ვიდეომასალა გაუშვიათ ეთერში და არც შესაბამისი კონფესის წარმომადგენლისთვის მიუციათ საშუალება გამოეხატათ საკუთარი ემოციები და მოსაზრებები.

ძირითადი მიგნებები:

მედია მრავალფეროვნების საკითხებს მხოლოდ მიმდინარე, დაძაბული მოვლენების შემთხვევაში აშუქებდა;

მრავალფეროვნებასთან დაკავშირებულ საკითხების გაშუქებისას საზოგადოებრივი მაუნიყებლის პირველი არხის მთავარი საინფორმაციო გამოშვება, უმეტესად, პროტოკოლური ნიუსებით შემოიფარგლებოდა;

უურნალისტები ბოლომდე არ მიყვებიოდნენ თემას და არ გვაჩვენებდნენ სიტუაციის განვითარებას ან პრობლემის მოგვარების გზებს;

პოზიტივთან დაკავშირებულ მასალებში უმცირესობები წარმოდგენილნი იყვნენ როგორც მასალის ობიექტები. როგორც მოვლენის სუბიექტებს, ზოგიერთ შემთხვევაში, არ ეძლეოდათ საკუთარი აზრის დაფიქსირების საშუალება.

მონიტორინგის პროცესში არ გასულა სიუჟეტი უმცირესობების ცხოვრების, კულტურისა და შეხედულებების შესახებ, რაც ხელს შეუშლიდა სტერეოტიპების ჩამოყალიბებას.

დასკვნა:

საზოგადოებრივი მაუყებელი საკუთარი ქცევის კოდექსის მთავარ მიზანს „სრულფასოვნად და სამართლიანად გააშუქოს საქართველოში მცხოვრები ყველა ხახლი და კულტურა, პატივი სცეს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებებს და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას“ პერიოდულად ემსახურება.

კვლევის ორმა სხვადასხვა პერიოდმა ცხადყო, რომ საზოგადოებრივი მაუნიყებლის ობიექტივში მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საკითხები მხოლოდ კონფლიქტური სიტუაციის, რადიკალიზმის, დაძაბულობისა და ნეგატივის შემთხვევაში ხვდება.

ამასთან უნდა ითქვას, რომ მთავარი საინფორმაციო გამოშვების დღის წესრიგს მიმდინარე მოვლენები, საპროტესტო აქციები, პრესკონფერენციები და პოლიტიკოსების კომენტარები ადგენს, თავად მედია კი იშვიათად ხდება უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების წინ წამოწევისა და განხილვის ინიციატივი, განსაკუთრებით პოზიტიურ კონტექსტში.

რეკომენდაციები:

1. საზოგადოებრივი მაუნიყებლის პირველმა არხმა და მისმა მთავარმა საინფორმაციო გამოშვებამ, როგორც საოგადოების წინაშე განსაკუთრებული ვალდებულებების მქონე გადაცემამ, პრიორიტეტული უნდა გახადოს მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება;

2. უმცირესობებისათვის საეთერო დროის დათმობა არ უნდა მოხდეს მხოლოდ ნეგატივისა და დაპირისპირების შემთვევაში;

3. საზოგადოებრივმა მაუნიყებელმა ხელი უნდა შეუწყოს უმცირესობების მიმართ შემრიგებური და ტოლერანტული დამოკიდებულებების ჩამოყალიბების პროცესს;

4. „მოამბერ“ უნდა გააშუქოს უმცირესობების ყოველდღიური ცხოვრება, მათი შეხედულებები, ინტერესები, რათა საზოგადოებამ შეძლოს რეალური სურათის დანახვა და მიღება;

5. საზოგადოებრივი მაუნიყებლის პირველი არხის წარმომადგენლებმა უნდა გააცნობიერონ, რომ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საკითხების ინტენსიური და სისტემური გაშუქება ხელს შეუშლის სტერეოტიპებისა და მასტიგმატიზირებელი შეხედულებების ჩამოყალიბებას.

ბოლოს შეიძლება აღინიშნოს, რომ სამაუნიყებლო მედიამ, როგორც მასობრივი კომუნიკაციის ფართოდ გავრცელებულმა საშუალებამ საზოგადოების ნებისმიერი წარმომადგენლის ინტერესი უნდა დაიცვას. ის ვალდებულია თითოეული მათგანის ხმა მიიტანოს აუდიტორიამდე. ეს ვალდებულება შესაძლებელია ორმხრივად მომგებიანი აღმოჩნდეს. ერთი მხრივ საზოგადოებისთვის, რო-

მელიც სწორედ რომ უმცირესობებისგან შედგება. მეორე მხრივ კი მედიისთვის – „ამ შემთხვევაში მასმედიის წარმომადგენლები მოვლენათა უფრო ფართო სპექტრს გააშუქებენ, მათ საშუალება მიეცემათ ამჟამად ვიწროდ დაყოფილი ბაზრის უფრო დიდი ნაწილი დაიკავონ. ისინი აღმოაჩენენ, რომ შეუძლიათ გააძლიერონ თავიანთი კავშირები პოტენციურ აუდიტორიასთან, განსაკუთრებით კი მათთან, ვისაც არასდროს უგრძვნიათ, რომ მათ ცხოვრებასა და პერსპექტივებს პატივს სცემენ ან კარგად აშუქებენ“ (დევიდ ტალერი).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „მედია ეთიკა და პროფესიული სტანდარტები“, 2013.
2. „თავისუფლება“ – თავისუფლების ინსტიტუტის სახელმძღვანელო, 2014.
3. „მრავალფეროვნების გაშუქების სახელმძღვანელო“, 2004.
4. საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი, 2006.
5. საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ.
6. მაუწყებელთა ქცევის კოდექსი.
7. უურნალისტური ეთიკის ქარტია.
8. დევიდ ტალერი – „მრავალფეროვნების გაშუქების სახელმძღვანელო“, 2004, გვ.17.

დავით თოთაძე

კავკასიის უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი,
ხელმძღვანელი: პროფესორი აკაკი ცომაია

სოციალური მართვა-მოწყობა და საქართველო

უკანასკნელი 20 წლის მანძილზე სულ უფრო ხშირად ისმის ტერმინი „სოციალური მეწარმეობა“. იგი გასული საუკუნის 70-იან წლებში არამომგებიანი ორგანიზაციების მიერ დამკვიდრდა, როდესაც მათ დაიწყეს საკუთარი ბიზნესების ამოქმედება უსახლკარო, შემბ და სხვა რისკის ქვეშ მყოფი ადამიანებისათვის სამუშაო ადგილების შესაქმნელად. მისი განსაკუთრებით დინამიური განვითარება 90-იანი წლებიდან დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მეწარმეობის სამოქმედო არეალი მსოფლიოს მასშტაბით სულ უფრო იზრდება, ტერმინის ერთმნიშვნელოვანი და მკაფიო განმარტება დღემდე არ არსებობს.

დღეს სხვადასხვა ქვეყანაში სოციალური მეწარმეობა განსხვავებული პრაქტიკით ხორციელდება და, შესაბამისად, სხვადასხვაგარად განიმარტება. თუმცა ყველა ამ განმარტებას ერთი რამ აქვს საერთო, ეს არის ბიზნესი მიდგომა სოციალური მიზნებისთვის. იმისთვის, რომ სოციალური მეწარმეობის არსი უკეთ გახდეს გასაგები, გავეცნოთ მის ერთ-ერთ განმარტებას. სოციალური მეწარმეობის ალიანსის (Social Enterprise Alliance)¹³ განმარტებით, სოციალური საწარმო არის „ორგანიზაცია ან საწარმო, რომელიც ახორციელებს სოციალურ მისიას სამეწარმეო, შემოსავლის მომტანი სტრატეგიებით“. სოციალურ საწარმოებს შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა ფორმა და ზომა, თუმცა ყველა მათგანს აქვს მკვეთრად გამოხატული მახასიათებლები, რაც განასხვავებს მათ ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობისგან. 1996 წელს შექმნილმა ევროპულმა კვლევითმა ქსელმა (European Research Network – EMES)¹⁴, რომლის მიზანსაც სოციალური მეწარმეობის ირგვლივ თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ჩამოყალიბება წარმოადგენს, შეიმუშავა გარკვეული კრიტერიუმები,¹⁵ რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სოციალური საწარმო. კრიტერიუმები სამ ჯგუფად არის დაყოფილი: ეკონომიკური (The economic criteria), სოციალური (The social criteria) და თანამონაწილეობითი (The governance criteria) მართვის კრიტერიუმები. არ არის აუცილებელი, რომ სოციალური საწარმო აკმაყოფილებდეს შემუშავებულ ცხრავე კრიტერიუმს. ეს არის ერთგვარი „იდეალური სოციალური საწარმოს“ მახასიათებლები და წარმოადგენს თვითშეფასების ინსტრუმენტს სოციალური საწარმოებისთვის.

სოციალური საწარმო იმყოფება სამი სექტორის: სახელმწიფო, კერძო და მესამე სექტორის გზაჯვარედინზე. მათი გადაკვეთა იძლევა ძალიან კარგ საფუძველს მესამე სექტორის განვითარებისათვის. მესამე სექტორში სოციალური საწარმოების შექმნა განაპირობა სექტორში და ზოგადად გარემოში არსებულმა დინამიკამ. ამ ცვლილებების შედეგად ფონდებმა ან შეითავსეს ეკონომიკური საქმიანობები ან შეიქმნა ორგანიზაციები, რომლებც სოციალურ საწარმოებად ჩამოყალიბდნენ.

იმისათვის, რომ უფრო ცხადად დავინახოთ თუ რა ადგილი უკავია სოციალურ მეწარმეობას არსებულ ორგანიზაციათა შორის, რომლებიც სოციალურ აქტივობებს ახორციელებენ, გამო-


¹³ www.socialenterprise.us.

¹⁴ www.emes.net.

¹⁵ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (2013) სოციალური მეწარმეობის სახელმძღვანელო. http://www.segeorgia.org/FILES/doc/11_სოცმენარმეობის%20სახელ.pdfგვ. 10-11.

ვიყენოთ კიმ ალტერის (Kim Alter) ნაშრომი¹⁶. ავტორი მეტ-ნაკლებად, საერთო კლასიფიკაციისათვის გვთავაზობს ორგანიზაციების გამოყოფა მოხდეს მისი სოციალური და ეკონომიკური საწყისების მიხედვით. შედეგად მივიღებთ სამ ჯგუფს: (1) აბსოლუტურად საქველმოქმედო ორგანიზაციები, (2) აბსოლუტურად კომერციული კომპანიები და (3) ამ ორის სინთეზის შედეგად მიღებული ჰიბრიდი. სოციალური საწარმო სწორედ ამ უკანასკნელს მიეკუთვნება, თუმცა სრულად მაინც არ ფარავს მის სპექტრს.

ჰიბრიდული სპექტრი¹⁷



- ← სოციალური მოტივი → ეკონომიკური მოტივი
- ← დაინტერესებულ პირთა ანგარიშვალდებულება აქციონერთა ანგარიშვალდებულება →
- ← სოციალურ პროგრამებში რეინვესტირება მოგების აქციონერთა შორის განაწილება →



სოციალური საწარმოს სოციალური მიზნების სპექტრი ისევე მრავალფეროვანია, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციების სამოქმედო სფეროები. ეს ორგანიზაციები სხვადასხვა გზით აღწევენ გარემოში სოციალურ ცვლილებას და სხვადასხვაგვარ როლს თამაშობენ საზოგადოებაში. იქნება ეს მარგინალური მოსახლეობისათვის სერვისების მიწოდება, დაბალშემოსავლიანი ან რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის დასაქმება (Work Integration Social Enterprise – WISE) თუ სოციალურ მიზნებზე ორიენტირებული ბიზნესსაქმიანობა. ერთი რამ ცალსახაა, ამ ტიპის საწარმოები საზოგადოებისათვის დადებითი ეფექტის მომტანია. თავის მხრივ, საგრძნობი კეთილდღეობა მოაქვს იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვისაც, რომლებიც სოციალურ საწარმოებს აფუძნებენ. ამის მიზეზი რამდენიმე შეიძლება იყოს, მაგალითად, ის იძლევა პრობლემების ახლებურად და უფრო ეფექტურად მოგვარების საშუალებას, ხელს უწყობს ორგანიზაციას მისიის უფრო სრულად შესრულებასა და გრძელვადიანი მიზნების დასახვა-განხორციელებაში. ეკონომიკური შემოსავალი ორგანიზაციას აძლევს სტაბილურობის განცდას, ეხმარება, უფრო მეტად დარჩეს მისიაზე ორიენტირებული და არ მოუხდეს მიმართულებათა მუდმივი ცვლა დონორთა მოთხოვნის შესაბამისად. თუმცა ყველაფერ ამასთან ერთად სოციალური მეწარმეები გარკვეულ სირთულეებსაც აწყდებიან. ძალიან ბევრ ქვეყანაში არ არსებობს სოციალური საწარმოს ზუსტი იურიდიული ფორმა. ამის შედეგად კი არსებული სოციალური საწარმოები ხშირ შემთხვევაში ძალიან მძიმე ბიუროკრატიულ ზენტრალის განიცდიან და ქვეყნის შიგნით საგადასახადო შეღავათებით ვერ სარგებლობენ. რიგ ქვეყნებს აქვთ მცდელობა შექმნან ახალი იურიდიული ფორმები, იქნება ეს საზოგადოებრივი ინტერესის ორგანიზაციები, თუ საზოგადოებრივი ინტერესის კომპანიები, მაგრამ კრიტიკოსების აზრით არც ერთი მათგანი არ ქმნის სოციალური მეწარმეობის სამომავლო განვითარების მკაფიო სტრუქტურას.

¹⁶ Kim Alter (2003) Social Enterprise: A Typology of the Field Contextualized in Latin America <http://idbdocs.iadb.org/wsdocs/getdocument.aspx?docnum=383929>

¹⁷ Kim Alter (2003) Social Enterprise: A Typology of the Field Contextualized in Latin America <http://idbdocs.iadb.org/wsdocs/getdocument.aspx?docnum=383929> გვ. 15.

რაც შეეხება სოციალურ მენარმეებს, ესენი არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთ თავზე იღებენ სამენარმეო საქმიანობის გარკვეულ რისკს მათი ორგანიზაციების ბენეფიციარების სასარგებლობდ. ტრადიციულად, ბიზნესში მენარმეები რისკს იღებენ საკუთარი, ან ბიზნესის მფლობელების სასარგებლობდ. ეს მნიშვნელოვანი განსხვავებაა და ეს განსხვავება უკავშირდება ორგანიზაციათა მისიას. საზოგადოებრივ (არამომგებიან) ორგანიზაციებში ლიდერები, თანამშრომლები იღებენ გადაწყვეტილებას, გასწიონ სამენარმეო საქმიანობა და შესაბამისად თავის თავზე აიღონ მეტი რისკი, იმ მიზნით, რომ უკეთ შეასრულონ ორგანიზაციის მისია.

სოციალური საწარმოს იურიდიულ-ორგანიზაციული ფორმები და საგადასახადო რეგულირება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში

სოციალურ სფეროში მესამე სექტორის როლის აღორძინების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი ის სიძნელეები იყო, რომლებიც გაჩნდა სახელმწიფო სოციალური დაცვის სისტემებში. შეიძლება ითქვას, რომ ბევრ ქვეყანაში სოციალური დაცვის სახელმწიფო მოდელმა ვერ გაამართლა. იგი სრულად ვერ აკმაყოფილებდა მოქალაქეების მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. მესამე სექტორი სწორედ ამ დროს გამოდის ასპარეზზე. იგი ითავსებს გარკვეულ ფუნქციებს და ცდილობს ინოვაციური მიდგომებით გადაწყვეტოს ურთულესი პრობლემები. ევროპაში მესამე სექტორი მოიცავს სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებს, როგორიცაა კოოპერატივები, ასოციაციები, ფონდები და ა.შ. ორგანიზაციათა ეს ჯგუფი ხშირად მოიხსენიება როგორც „სოციალური ეკონომიკის“ ორგანიზაციები. რაც შეეხება სოციალური საწარმოს განვითარებას, პირველი იმპულსი ევროპაში იტალიის კოოპერატიული მოძრაობიდან განვითარდა. 1991 წელს იტალიის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელმაც შემოიტანა კოოპერატივების ახალი, სპეციალური ფორმა „სოციალური კოოპერატივი“. მას შემდეგ ევროპაში სოციალური მენარმეობა სწრაფად იწყებს განვითარებას. ზოგიერთ მათგანში კანონმდებლობით განისაზღვრა სოციალური საწარმოს იურიდიული ფორმაც. ამ ტიპის საქმიანობას ხელისუფლების ორგანოებისგან მრავალ ქვეყანაში საკმაოდ მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აქვს. ასევე მნიშვნელოვანია საკითხისადმი ინტერესი და მხარდაჭერა ევროკავშირში. 2011 წელს ევროკავშირმა წამოიწყო ახალი ინიციატივა სოციალური მენარმეობის მხარდასაჭერად, რომელიც მის წევრ ქვეყნებში სოციალური მენარმეობის ხელშემწყობი გარემოს განვითარებას გულისხმობს. სოციალური საწარმოების სფეროები მრავალფეროვანია და მათი სოციალური მისია შესაძლოა სხვადასხვა სფეროს მოიცავდეს. მიუხედავად ამისა, ევროპაში განსაკუთრებით გავრცელდა სოციალური საწარმოები, რომელთა მიზანია „ინტეგრაცია დასაქმების გზით“ (Work Integration Social Enterprise – WISE)

ამერიკის შეერთებულ შტატებში არამომგებიანი ორგანიზაციები მსგავს საქმიანობას XIX საუკუნის ბოლოდან ახორციელებენ. ეკონომიკური მიდგომების გამოყენებით სხვადასხვა სოციალური პრობლემის მოგვარების მაგალითები არასამენარმეო ორგანიზაციების მიერ განსაკუთრებით გაიზარდა 70-იანი წლების შემდეგ, როდესაც სულ უფრო და უფრო მეტმა ორგანიზაციამ წამოიწყო ბიზნეს ტიპის საქმიანობა სხვადასხვა სოციალურად დაუცველი ჯგუფებისათვის სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით და ასევე გამოჩენდნენ პირველი მიკროსაკრედიტო ორგანიზაციები. 1980 წელს ბილ დრეიტონმა (Bill Drayton)¹⁸ პირველად გააუღერა ტერმინი „სოციალური საწარმო“. აშშ-ში სოციალური მენარმეობის ორი მიდგომაა¹⁹ განვითარებული. პირველი – საბაზრო პრინციპების სკოლა, ხოლო მეორე – ინოვაციასა და ინოვატიორ ლიდერებზე დამყარებული სკოლა.

სოციალური მენარმეობის ადგილი ქვეყნის ეკონომიკაში დამოკიდებულია ისტორიულ, ეკონომიკურ, კულტურულ ფაქტორებზე და იმაზე თუ რა ურთიერთობა აქვს სოციალურ საწარმოებს საჯარო ორგანიზაციებთან.

¹⁸ ორგანიზაცია „Ashoka-L“ დამფუძნებელი. <https://www.ashoka.org/team/drayton>

¹⁹ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (2013). სოციალური მენარმეობის სახელმძღვანელო. http://www.segeorgia.org/FILES/doc/11_socmewarneobis%20saxel.pdf გვ.3-5.

საზღვარგარეთის ქვეყნებში (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, პოლონეთი, იტალია, ფინეთი, ჩეხეთი, სლოვენია, კანადა და ბრაზილია) სოციალური საწარმოების სამართლებრივი რეგულირება და შექმნის წესი განისაზღვრება, როგორც სამეწარმეო კანონმდებლობის (Law on Enterprises, Law on Social Entrepreneurship, Commercial Law) მიხედვით, ასევე ასოციაციების, ფონდებისა და საქველმოქმედო ორგანიზაციების შესახებ კანონმდებლობით (Law on Associations, Law on Foundations, Charity Law). აღნიშნული კანონმდებლობით განისაზღვრება სოციალური საწარმოების სამართლებრივი ფორმები: შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, კოოპერატივი, კორპორაცია და ა.შ. სოციალური საწარმოები შეიძლება დაფუძნდეს როგორც ასოციაციების, ასევე ფონდების სახით. ქვემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით მოქმედებს ორი სახის საგადასახადო შეღავათი: გადასახადის შემცირება და საგადასახადო კრედიტი. გადასახადის შემცირება გულისხმობს საგადასახადო განაკვეთის შემცირებას, ხოლო საგადასახადო კრედიტი კი გადასახდელი თანხის შემცირებას.

დიდი ბრიტანეთი: სოციალური საწარმოები თავისუფლდებიან საშემოსავლო, მოგების, მიწის, სამემკვიდრეო და კაპიტალური შემოსავლების²⁰ გადასახადისგან. ასევე ორგანიზაციები არ იხდიან გადასახადს საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალზე. სოციალური საწარმოს საქმიანობა წარმოადგენს დღგ-ს 20%-იან დაბეგვრის ობიექტს, იმ შემთხვევაში თუ მისი საქონლისა და მომსახურების მთლიანი ღირებულება წელიწადში აღემატება 77000 ფუნტ სტერლინგს, ხოლო თუ აღნიშნული ღირებულება 77000 ფუნტ სტერლინგზე ნაკლებია, მაშინ დღგ-ს განაკვეთი მცირდება 5%-ით.

საფრანგეთი: საგადასახადო კანონმდებლობით ყველა ის სოციალური ასოციაცია, კორპორაცია და კოოპერატივი, რომელიც დაკავებულია ქველმოქმედებით, თავისუფლდება საშემოსავლო, ბრუნვის (Turnover Tax) და პროფესიული მომსახურების გადასახადისაგან (Professional Tax). დღგ-ს სტანდარტული განაკვეთი შეადგენს 19,6%-ს, ხოლო რიგი საქმიანობების შემთხვევაში განაკვეთი მცირდება 5,5%-ით.

გერმანია: სოციალური საწარმოები, რომელთა ძირითად საქმიანობას ქველმოქმედება წარმოადგენს, თავისუფლდებიან როგორც საშემოსავლო და დამატებითი ღირებულების გადასახადისგან, ასევე სხვა დანარჩენი გადასახადებისაგან.

პოლონეთი: საგადასახადო კანონმდებლობით სოციალური საწარმოები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. ხოლო დღგ-სგან თავისუფლდება საქმიანობები, რომლებიც მოიცავს საქონლისა და მომსახურების მიწოდებას კვლევისა და განათლების სფეროში. ასევე, მომსახურებას ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში.

იტალია: სოც. საწარმოებისათვის დღგ-ს გადასახადი 4%-ია, სტანდარტული 20%-ის ნაცვლად. კოოპერატივები იხდიან ნაკლებ მოგების გადასახადს, ვიდრე კერძო კომპანიები. საგადასახადო შეღავათები აგრეთვე გათვალისწინებულია მათთვის, ვინც ყიდულობს არამომგებიანი საქმიანობის დასაფინანსებლად გამოშვებულ ე. წ. „სოლიდარობის ობლიგაციებს“.

ფინეთი: საგადასახადო კანონმდებლობით სოციალური საწარმოებისათვის მოქმედებს საგადასახადო კრედიტი. ორგანიზაციებს უმცირდებათ დასაბეგრი შემოსავლის თანხა 240 ევროდან 25000 ევრომდე წელიწადში.

ჩეხეთი: სოციალური საწარმოები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. თუ საქონლისა და მომსახურების მთლიანი ღირებულება აღემატება 30000 ევროს წელიწადში, მაშინ საწარმო იბეგრება დღგ-ს სტანდარტული განაკვეთით (20%). სხვა შემთხვევაში (30000 ევროზე ნაკ-

²⁰ კაპიტალური შემოსავლის გადასახადი – კაპიტალური აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი. კაპიტალური აქტივები შეიძლება იყოს როგორც უძრავი ქონება, ისე ფინანსური აქტივები (აქციები, ობლიგაციები).

ლები) გადასახადის განაკვეთი მცირდება 6%-ით. ასევე სოციალური საწარმოები თავისუფლდებიან იმპორტის გადასახადისაგან, თუ ევროკავშირის ქვეყნებიდან მათ მიერ იმპორტირებული საქონლის ღირებულება არ აღემატება 10000 ევროს წელიწადში.

სლოვენია: სოციალური საწარმოები, რომელთა ძირითად საქმიანობასაც ქველმოქმედება წარმოადგენს, თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისაგან. იმ შემთხვევაში, თუ საქონლისა და მომსახურების მთლიანი ღირებულება წელიწადში არ აღემატება 25000 ევროს, მოქმედებს დღგ-ს 8,5%-იანი განაკვეთი, ნაცვლად 20%-იანი განაკვეთისა.

უკრაინა: კანონმდებლობით არ არის განმარტებული თუ რას ნიშნავს სოციალური საწარმო. თუმცა მასში არის მუხლები, რომლებიც არეგულირებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციის ეკონო-მიკურ საქმიანობას.

კანადა: თუ სამეწარმეო ორგანიზაციის საქმიანობა მიმართულია სიღარიბის შემსუბუქების, განათლების მხარდაჭერისა და განვითარების, რელიგიის მხარდაჭერისა და სხვა მიზნების განხორ-ციელებისკენ, რომლებიც სასარგებლოა მთელი საზოგადოებისთვის და სასამართლომ ცნო, რო-გორც საქველმოქმედო ორგანიზაცია, თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან.

ბრაზილია: გადასახადების აკრეფის უფლება განაწილებულია ფედერალურ, შტატისა და მუნიციპალიტეტის დონეზე და მთლიანობაში საგადასახადო ტვირთი საკმაოდ მაღალია. თუმცა, აღსანიშნავია საგადასახადო შეღავათებიც, რომელთა მოპოვებაც ორგანიზაციის ტიპის მიხედვი-თაა შესაძლებელი.

ამდენად, სოციალური საწარმო ბიზნეს პრინციპებით მოქმედი საწარმოა, რომელსაც სოცია-ლური მისია აქვს. ეს არის ორგანიზაცია, რომელიც ბიზნესის ინოვაციურ მიდგომებს საზოგადო-ებრივი პრობლემების მოსაგვარებლად იყენებს, თუმცა, ჩვეულებრივი ბიზნესისგან განსხვავებით, მოგებას ისევ სოციალური მიზნებისკენ მიმართავს.

ქვეყნებში სადაც სოციალური მეწარმეობა განვითარებულია, მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში. სურათის თვალსაჩინოებისათვის შოტ-ლანდის მაგალითი განვიხილოთ. 2015 წლის მონაცემებით შოტლანდიაში 5 199 სოციალური სა-წარმო ფუნქციონირებდა, სადაც 112 409 ადამიანი იყო დასაქმებული. ამ საწარმოთა 42% ბოლო 10 წლის მანძილზეა შექმნილი და მათმა წლიურმა შემოსავალმა ჯამში 3,63 მილიარდი ფუნტი შეად-გინა. სოციალურ საწარმოთა 66% მომავალ წელს შემოსავლების ზრდას მოელის, ხოლო ყოველ წელს 200-ზე მეტი ახალი სოც. საწარმო იქმნება. აქ ნათლად ჩანს, თუ რამხელა ეკონომიკური სარ-გებლის მოტანა შეუძლია ამ ტიპის საქმიანობას ქვეყნისათვის.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ინოვაციური მიდგომებისა და ფორმების გამოყენების საზოგადო-ებრივი მნიშვნელობა. ამ მიმართულების პოპულარიზაციისა და განვითარებისთვის სხვადასხვა ქვე-ყანაში შექმნილია რამდენიმე ძლიერი ფონდი: „Schwab Foundation for Social Entrepreneurship“²¹, „Skoll Foundation“²², „Ashoka Foundation“²³ ასეთი ფონდების საქმიანობა მიმართულია სოციალური ნოვატო-რების მოსახებნად მთელ მსოფლიოში და სხვადასხვა ფორმით (რესურსების მიწოდებით, ტექ-ნოლოგიების და გამოცდილების გაზიარებით, ინოვაციური სოციალური საწარმოების ქსელის შექმ-ნით) მათი მხარდაჭერისკენ. ამ მიდგომაში ხაზგასმულია სოციალური მეწარმის როლის, როგორც ლიდერისა და სოციალური ცვლილებების მთავარი მამოძრავებელი ძალის, წინ წამოწევა.

საქართველოში საკმაოდ მძიმე სოციალური ფონდია. მოსახლეობას არაერთი პრობლემა აწუ-ხებს. ამიტომ, ჩემი აზრით, ისეთი ტიპის ორგანიზაციების არსებობა, რომლებიც სოციალური პრობ-ლემების მოგვარებას უწყობენ ხელს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სოციალური მეწარმეობის

²¹ www.schwabfound.org.

²² www.skoll.org.

²³ www.ashoka.org.

უპირატესობა სწორედ ის არის, რომ ის ზრუნავს არა რომელიმე კონკრეტული პირის ფინანსურ სარგებელზე, არამედ ხელს უწყობს საზოგადოებაში არსებული პრობლემების მოგვარებას.

ქართული საზოგადოებისათვის სოციალური მენარმეობის კონცეფცია ნაკლებადაა ცნობილი. თავად სოციალური საწარმოებიც განსხვავებულად აღიქვამენ სოციალური საწარმოს არსს. როგორც ადგილობრივი ისე ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები არ ფლობენ პრაქტიკულად არანაირ ინფორმაციას სოციალური მენარმეობის შესახებ და განსაკუთრებით იმ პოტენციური სარგებლის შესახებ, რაც სოც. მენარმეობამ შეიძლება მოიტანოს სოციალური სერვისების ეფექტურად მიწოდების კუთხით. ამასთან, სოციალური საწარმოებისათვის სამართლებრივი სტატუსის არ ქონა და საგადასახადო შელავათების არარსებობა, სოც. საწარმოების განვითარებისათვის საჭირო ფინანსებზე წვდომის სირთულე, სახელმწიფო გრანტებთან დაკავშირებული სამართლებრივი გარემოებები, ეკონომიკური საქმიანობისათვის გრანტების გაცემის დაბეგვრის საკითხი და სხვა. დამატებით არასასურველ ბარიერებს ქმნის და საგრძნობლად აფერხებს ამ სფეროს განვითარებას.

2009 წლიდან „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა“²⁴ ახალი მიმართულებით დაიწყო მუშაობა, რაც ქვეყანაში სოციალური მენარმეობის განვითარების ხელშეწყობას გულისხმობს. იდეის პოპულარიზაციისა და მასშტაბური დადებითი სოციალური შედეგის მისაღებად ამ ორგანიზაციის ბაზაზე ჩამოყალიბდა სტრუქტურული ერთეული „სოციალური მენარმეობის ცენტრი“.²⁵ მისი მისიაა სოც. მენარმეობის მხარდაჭერის გზით ხელი შეუწყოს საზოგადოებაში დადებით სოციალურ და გარემოსდაცვით ცვლილებებს.

ბიზნესის წარმოების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი „ფირმის“ რეგისტრაცია და შესაბამისი ნებართვების/ლიცენზიების მოპოვების სიმარტივეა. საქართველოში ბიზნესის წამოწყება და მასთან დაკავშირებული პროცედურები საქმაოდ ლიბერალურია, რაც თავის მხრივ დროის დაზოგვის საშუალებას იძლევა. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ყოველი ახალი ტიპის საქმიანობის წამოსაწყებად აუცილებელი არ არის ახალი ფირმის რეგისტრირება. თუმცა ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა არ იცნობს სოციალური მენარმეობის ცნებას, შესაბამისად, ქართული სოც. საწარმოებისათვის არ არსებობს რაიმე სახის განსაკუთრებული ნორმები და სოციალურ მენარმეებსაც მსგავსი ინიციატივების განხორციელება არსებული კანონმდებლობის ფარგლებში უწევთ. ამჟამად საქართველოში 50-ზე მეტი მოქმედი სოციალური საწარმოა, თუმცა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ეს რაოდენობა და მათ მიერ განხორციელებული აქტივობები, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის.

სოციალური მენარმეობის განვითარებისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი, რადგან სოციალური საწარმოს წარმატებისათვის, სხვა ყველაფერთან ერთად, გადამწყვეტია ის თუ როგორი ურთიერთობა აქვს მას საჯარო სექტორთან.

როგორც აღნიშნე, საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს ტერმინს „სოციალური მენარმეობა“ და, შესაბამისად, საგადასახადო კოდექსის მიხედვით სოციალური მენარმეობა, ისევე როგორც სხვა ტიპის სამენარმეო საქმიანობა, განიმარტება როგორც ეკონომიკური საქმიანობა და მასზე განსხვავებული დაბეგვრის რეჟიმი არ ვრცელდება. ამიტომაც, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია განისაზღვროს ცალკე იურიდიული ფორმა და ასევე გაიჩეროს ამ ტიპის საქმიანობისათვის რიგი საგადასახადო შედავათები ან საერთოდ გათავისუფლდეს მათგან.

მთავრობის მხრიდან წარმატებული სოციალური საწარმოებისათვის შესაძლებელია შეიქმნას მათი დაჯილდოების სხვადასხვა სისტემა, ისევე როგორც ეს არის შტატებში. მაგალითად, იქაურმა მთავრობამ გადაწყვიტა ფინანსურად უზრუნველყოს ერთ-ერთი ორგანიზაცია, რომელმაც წარმატებით განახორციელა პროექტი და შედეგად შეამცირა კრიმინალის დონე, იმ შემთხვევაშიც

²⁴ www.csrsg.ge.

²⁵ www.segeorgia.org.

კი თუ კერძო დაფინანსება ამ ორგანიზაციას შეუწყდებოდა. მთავრობას ასევე შეუძლია წაახალისოს სოციალური საწარმო მათი წარმოებული პროდუქციის შესყიდვის გზით. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას იტალიის პრაქტიკა. შეიქმნას „მარკონის ფონდის“²⁶ მსგავსი ფონდი, რომელიც თანხის აკუმულირების შესაძლებლობას შექმნიდა, ხოლო შემდეგ ამ თანხებს მიმართავდა უკვე არსებული სოც. საწარმოების განვითარების ან ახლის დაარსებისკენ.

საბოლოო ჯამში, რაც უმთავრესად იდეის პოპულარიზაციისათვის ეს არის ცნობიერების ამაღლება, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში. მნიშვნელოვანი საკითხია ამ მიმართულებით ძალების მიმართვაც, რათა ახალგაზრდებში ჩამოყალიბდეს დადებითი დამოკიდებულება და მათ ახალი სიცოცხლე შეიტანონ ამ პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://www.segeorgia.org/FILES/doc/11_socmewarneobis%20saxel.pdf
2. http://www.segeorgia.org/FILES/doc/96_Socialuri-mecarmeoba_Kveknebi.pdf
3. http://www.seforis.eu/upload/reports/1._Key_Facts_and_Figures_of_Social_Entrepreneurship.pdf
4. <http://ec.europa.eu/social/BlobServlet?docId=12988&langId=en>
5. https://www.researchgate.net/publication/225759566_Social_Enterprise_in_the_United_States_and_Europe_Understanding_and_Learning_From_the_Differences
6. https://www.mspbank.ru/userfiles/files/researches/social_entrepreneurship-new.pdf
7. <http://socialenterprise.org.uk/uploads/editor/files/Publications/FINALVERSIONStateofSocialEnterpriseReport2015.pdf>.
8. <http://www.socialenterprisescotland.org.uk/files/1a891c7099.pdf>

²⁶ მარკონის ფონდი – სოციალური კოოპერატივების საერთო „mutual“ თვითდაფინანსების მქანიზმი იტალიაში. ეს არის ე.წ. მარკონის კანონი, რომლის მიხედვითაც ყველა სოციალურმა კოოპერატივმა უნდა გაიღოს შემოსავლის 3% საერთო ფონდში, ეს თანხები კი, თავის მხრივ, სხვადასხვა კოოპერატივის დასაფინანსებლად გამოიყენება.

ხათუნა თაბაგარი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგისტრატურა
ხელმძღვანელი: პროფესორები ავთანდილ სილაგაძე, ალექსანდრე თვალჭრელიძე

საქართველო-ირანის ენერგოსატრანსპორტო დარივების მნიშვნელობა სართაშორისო ეკონომიკაში

ნავთობისა და გაზის ეკონომიკური მნიშვნელობა და თვისებები. ნახშირნყალბადები არის მნიშვნელოვანი ენერგეტიკული რესურსი. მას ხშირად „შავი ოქროთი“ მოისხენიებენ. ნავთობისა და გაზის მნიშვნელობა მე-19 საუკუნიდან მოყოლებული ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. ამ მოვლენის სხვადასხვა მიზეზი არსებობს. იგი უკვე დიდი ხანია მსოფლიო პოლიტიკის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად იქცა და, სავარაუდოდ, მისი გავლენა კიდევ უფრო გაიზრდება. მისგან ნარმოებული პროდუქტები საუკუნის ცივილიზაციის მნიშვნელოვანი მონაპოვარია. მასზე დამოკიდებულია მსოფლიო ეკონომიკა.

ქვეყნების ეკონომიკები საოცარი სისწრაფით ვითარდება და ფართოვდება, ბუნებრივი რესურსების საკითხმა უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა. ნებისმიერი ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნის წარმოება დამოკიდებულია ბუნებრივი რესურსების ფასა და სტაბილურ მიწოდებაზე. თითოეული მათგანისთვის ენერგოუსაფრთხოება და ენერგოპოლიტიკა დღეს მნვავე თემა გახდა. ამიტომ დღემდე ნავთობი წარმოადგენს მნვავე კონკურენტული ბრძოლის საგანს, მრავალი საერთაშორისო კონფლიქტისა და ომის მიზეზს.

ნავთობი გამოიყენება მრეწველობის პრაქტიკულად ყველა დარგში, ტრანსპორტის ყველა სახეობაში, სამხედრო და სამოქალაქო მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში, ენერგეტიკაში და ა. შ.


ნავთობის კვალიფიცირებული მოხმარება სახელმწიფოს სამრეწველო განვითარების მნიშვნელოვანი მახასიათებელია.

რაც შეეხება ბუნებრივ აირს, იგი წარმოადგენს მსოფლიო ენერგიის მიწოდების უმნიშვნელოვანეს ნაწილს ნავთობის მსგავსად და მათი მხოლოდ 12% მიემართება ქიმიური მრეწველობის მოთხოვნებზე.²⁷ ამასთან, ის წარმოადგენს ნედლეულს, რომელმაც ფართო გამოყენება უნდა მოიპოვოს ქიმიურ ტექნოლოგიებში.

გაზის მოპოვება და ტრანსპორტირება იყო და რჩება მსოფლიო გეოპოლიტიკური თამაშების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად.

მსოფლიოში ნავთობის ფასზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ოპეკის ნევრი ქვეყნები (*OPEC – Organization of the Petroleum Exporting Countries* – განიმარტება, როგორც ნავთობის ექპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია), რომელიც შეიქმნა 1965 წელს. იგი მოიცავს: ალჟირს, ანგოლას, ეკვადორს, ირანს, ერაყს, ქუვეითს, ლიბიას, ნიგერიას, ყატარს, საუდის არაბეთს, არაბეთის გაერთიანებულ საამიროებს და ვენესუელას. ოპეკის ძირითადი პრინციპი განსაზღვრავს იმ საუკეთესო საშუალებებს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ორგანიზაციის უსაფრთხოება როგორც ცალკე, ასევე ერთობლივად. იგი, ასევე, ხელს უწყობს ფასების სტაბილიზაციას ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე.

²⁷ http://lib.bsu.edu.ge/e-books/book_292.pdf.




ნახაზი: 1.1²⁸: ნავთობის ფასი 1946-2014 წლებში ისტორიული მოვლენების ფონზე.

მოცემული ნახაზი აანალიზებს გეოპოლიტიკური მოვლენების ზეგავლენას ნავთობის ფას-ნარმოქმნაზე.

საერთაშორისო სანედლეულო ბაზრები სამი ძირითადი თვისებით ხასიათდებიან:

1. ყველა ნედლეულის ფასი საერთაშორისო ბაზრებზე კოტირდება აშშ დოლარში;
2. ყველა ნედლეულის ფასი დამოკიდებულია ნავთობის ფასზე;
3. ნავთობის ფასი დამოკიდებულია აშშ დოლარის გაცვლით კურსზე.

რუსეთის ფედერაციის ნავთობისა და ბუნებრივი აირის ბაზრის დახასიათება. რუსეთის ფედერაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო ეკონომიკაში. თუ გადავხედავთ ზემოთ მოცემულ 2014 წლის სტატისტიკურ მონაცემებს. ნავთობის მსოფლიო მარაგების მიხედვით იმყოფება მე-6 ადგილზე 6,1%-ით (ნახ.: 2.1²⁹), ხოლო ნარმოების მხრივ – მე-2 ადგილზე დღეში 534.1 მლნ ტონა (ნახ.: 2.2³⁰):




ნახაზი: 2.1: 2014 წელს ნავთობის მსოფლიო მარაგების ოცი უმსხვილესი ქვეყნის პროცენტული მაჩვენებელი

²⁸ <http://www.imf.org/external/np/res/commod/index.aspx>.


²⁹ BP statistical review of world energy (2015). Ibid.

³⁰ BP statistical review of world energy (2015). Ibid.




ნახაზი: 2.2: 2014 წელს მსოფლიო ნედლი ნავთობის წარმოება პროცენტული

გაზის მარაგების მიხედვით კი მე-2 ადგილზე 17,4%-ით (ნახ.: 2.4³¹):




ნახაზი: 2.4: 2014 წელს ბუნებრივი აირის მსოფლიო მარაგების პროცენტული მაჩვენებელი რუსეთმა 2014 წელს აწარმოა მსოფლიო ბუნებრივი აირის 16,7% (ნახ.: 2.5³²):



ნახაზი: 2.5: ოცი უმსხვილესი ქვეყნის მიერ ბუნებრივი აირის მსოფლიო წარმოების პროცენტული მაჩვენებელი 2014 წელს ხოლო ექსპორტის კუთხით კი პირველ პოზიციაზეა დღეში 187,4 მლრდ მ³-ით (ნახ.: 2.6³³):

³¹ BP statistical review of world energy (2015). Ibid.

³² BP statistical review of world energy (2015). Ibid.



ნახაზი: 2.6: ბუნებრივი აირის ოცი უმსხვილესი ექსპორტიონი ქვეყანა 2014 წლის მიხედვით

ერთ-ერთი გამოკვლევის თანახმად³⁴, საუდის არაბეთის გარდა, რუსეთის ეკონომიკა, შესაბა-მისად მშპ, დამოკიდებულია ნელდეულის ექსპორტზე, უფრო კონკურეტულად კი ნავთობსა და ბუ-ნებრივ აირზე.

გეოპოლიტიკა, ძირითადად, ეფუძნება ნავთობს. აშშ-ს, როგორც ნავთობის უდიდეს მომხმა-რებელს მსოფლიოში, აქვს უპირატესობა, რომ განსაზღვროს მსოფლიო პეტროპოლიტიკის (სანავ-თობე პოლიტიკის) მიმართულება.

რუსეთთან ერთად ევროპის გაზის ბაზარზე მნიშვნელოვანი როლის შესრულებას ცდილობენ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები: თურქეთენეთი, უზბეკეთი და უკრაინა. არსებული მილსადენე-ბის მეშვეობით რუსეთი ევროპას აწვდის გაზის 29%-ს ბელორუსის საშუალებით, ხოლო უკრაინის მეშვეობით – 71%³⁵.

2008 წლის მოვლენებიც სწორედ რუსეთის ეკონომიკურ პოლიტიკას უკავშირდება.

როგორც პროფესორი ბლენკი აღნიშნავს³⁶, სწორედ ამ ომის მიზეზი გახლავთ ის, რომ საქარ-თველო არის ნავთობისა და ბუნებრივი აირის გამტარი ქვეყანა. ამის საწინააღმდეგოდ, სტრატეგიუ-ლი მილსადენები საქართველოს გავლით ასრულებს გადამწყვეტ როლს მსოფლიო პოლიტიკური, ეკონომიკური და ა.შ. კლიმატისათვის, რაც განაპირობებს აშშ-ის მტკიცე მხარდაჭერას აღნიშნული ქვეყნის მიმართ.

საქართველო-ირანის თანამშრომლობის პერსპექტივა – ენერგო-სატრანსპორტო დერეფანი. ირანი არის ახლო აღმოსავლეთის ქვეყანა. მას გააჩნია ნავთობის საკმაო მარაგები – 9,3% და იკა-ვებს მე-4 ადგილს მსოფლიოში (ნახ.: 3.1³⁷):


³³ BP statistical review of world energy (2015). Ibid

³⁴ Tvalchrelidze, A.G. (2011). Ibid

³⁵ Tvalchrelidze, A.G. (2011). Ibid


³⁶ Tvalchrelidze, A.G. (2011). Ibid

³⁷ BP statistical review of world energy (2015). Ibid



ნახაზი: 3.1: 2014 წელს ნავთობის მსოფლიო მარაგების ოცი უმსხვილესი ქვეყნის პროცენტული მაჩვენებელი (მლნ. ბარელი)

ის აწარმოებს 169,2 მლნ ტონა ნავთობს დღეში და მე-7 პოზიციაზეა (ნახ.: 3.2)³⁸:




ნახაზი: 3.2³⁹: ნავთობის ოცი უმსხვილესი მწარმოებელი ქვეყანა 2014 წლისთვის

ბუნებრივი აირის შემთხვევაში ირანს გააჩნია მსოფლიოს 18,2% მარაგები და 1-ლი ადგილი უკავია (ნახ.: 3.3⁴⁰):


³⁸ BP statistical review of world energy (2015). Ibid.

³⁹ BP statistical review of world energy (2015). Ibid.


⁴⁰ BP statistical review of world energy (2015). Ibid.



ნახაზი: 3.3: 2014 წელს ბუნებრივი აირის მსოფლიო მარაგების ოცი უმსხვილესი ქვეყნის პროცენტული მაჩვენებელი იყი აწარმოებს 5%-ს და მე-4 ადგილზე (ნახ.: 3.4⁴¹):



ნახაზი: 3.4: ბუნებრივი აირის ოცი უმსხვილესი მნარმოებელი ქვეყანა 2014 წლისთვის ირანი არ ახორციელებს იმპორტს, ხოლო ექსპორტზე გააქვს 9,6 მლრდ მ³ გაზი და ინარჩუნებს მე-14 პოზიციას (ნახ.: 3.5⁴²):




ნახაზი: 3.5: 2014 წელს ოცი უმსხვილესი ქვეყნის ბუნებრივი აირის იმპორტი

⁴¹ BP statistical review of world energy (2015). Ibid.

⁴² BP statistical review of world energy (2015). Ibid.

მოცემული სტატისტიკური მონაცემებიდან კარგად ჩანს, თუ რა როლს ასრულებს ირანი მსოფლიო ეკონომიკაში, მით უმეტეს, რომ იგი წარმოადგენს ოპერის წევრ ქვეყანას.

ქართული-ირანული ურთიერთობები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. ირანი დაინტერესებულია საქართველოში მეგაპროექტის განხორციელებით: ენერგომატარებლების – გაზისა და ნავთობის გატარებაზე საქართველოს პორტების საშუალებით.



ნახაზი:3.6 : ნავთობისა და ბუნებრივი აირის მიღსადენთა სისტემა კავკასიაში

საქართველო-ირანის თანამშრომლობის უპირატესობები ნახშირწყალბადის სექტორში გამოიხატება შემდეგი:

1. საქართველო წარმოადგენს აუცილებელ სეგმენტს კავკასიის ნახშირწყალბადის ცენტრში;
2. საქართველოსთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო მიღსადენები: კასპიის მიღსადენის კონსორციუმი, დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მიღსადენი, ბაქო-თბილისი-ჯეიპანი;
3. საქართველო ფლობს საკმაოდ დიდი მნიშვნელობის გამოცდილებას ენერგიის საერთაშორისო პროექტების შესრულებაში;
4. საქართველოს გააჩნია შესანიშნავი ურთიერთობა მოზიარე ქვეყნებთან: თურქეთთან, ევროკავშირის ქვეყნებთან, აშშ-სთან და ა.შ.;
5. საქართველოს გააჩნია არაჩვეულებრივი ურთიერთობა ნავთობისა და ბუნებრივი აირის საერთაშორისო კომპანიებთან: bp (BP), sokari (SOCAR), Sevroni (Chevron), statoilhydro (StatoilHydro), tfao (TPAO), eni (ENI), totali (TOTAL), inpeksi (Inpex), konokophilips (ConocoPillips), hes korp (Hess Corp), petronasi (Petronas) და ა.შ.;
6. საქართველოს ხელი მიუწვდება შავი ზღვისა და ხმელთაშუაზღვის ოფშორული წყლებისთვის.

საქართველო-ირანის თანამშრომლობა ნახშირწყალბადის სექტორში უზრუნველყოფს ირანული ნავთობისა და გაზის ყველაზე ეფექტური და იაფ მიწოდებას საერთაშორისო ბაზრებისათვის.

აქედან გამომდინარე, საქართველოს ინფრასტრუქტურა და საერთაშორისო ურთიერთობები ეფექტურად შეეწყობიან.

განვიხილოთ სამი პროექტი:

პროექტი # 1 – ბაქო-თბილისი-ჯეიპანის მიღსადენის გამოყენება



ნახაზი: 3.7: ახალი მიღსადენის მოდელი კავკასიის რეგიონში

30 მლნ ტონა ნავთობი ყოველწლიურად გადაიზიდება ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსა-დენის საშუალებით. აქედან, მიღსადენის სიმძლავრე წელიწადში არის 50 მლნ ტონა. ესე იგი, თავისუფალი მიმოქცევისთვის ადგილი რჩება 20 მლნ ტონა ნავთობისათვის წლიურად. სწრაფი და იაფი დამხმარე მიღსადენის კონსტრუქციის აგება უკვე უზრუნველყოფს 15-20 მლნ ტონას ირანისთვის.

ახალი თავრიზ-გარდაბანის მიღსადენის სიგრძე იქნება 508 კმ სიგრძის, დიამეტრი – 41 დუიმი (41*2,54=104,14 სმ).

პროექტი # 2 – სუფსის ტერმინალის განვითარება

სუფსის ტერმინალში არსებული ინფრასტრუქტურის საშუალებით გადაიზიდება წელიწადში მხოლოდ 2 მლნ ტონა ნავთობი, ხოლო თუ აღნიშნულ ტერმინალს განვავითარებთ, შესაძლებელი იქნება ნავთობისა (2,1 კმ) და ბუნებრივი აირის (9,9 კმ) ახალი მიღსადენების გაყვანა, სადაც წელიწადში 5 მლნ ტონა ნავთობისა და 500 მლნ მ³ ბუნებრივი აირის (გათხევადებული გაზის – FLNG Floating Liquefied Natural Gas) სიმძლავრის ქარხნები აშენდება.

პროექტი # 3 – ნაბუკოს ახალი პროექტი



ნახაზი: 3.8: სამხრეთკავკასიის მილსადენის გეგმა (ნაბუკო)

1. სამხრეთ კავკასიის მილსადენის სიმძლავრე იქნება $40 \text{ მლნ } \text{მ}^3$;
2. აქედან, აზერბაიჯანს შესაძლებლობა ექნება უზრუნველყოს მხოლოდ $6 \text{ მლრდ } \text{მ}^3$ შაჰდენიზის ველიდან;
3. სწორედ ამ მიზეზების გამო არის საჭირო ტრანს-კასპიის მილსადენი.

არდებილი-გარდაბნის მილსადენის სიგრძე იქნება 561 კმ და შესაძლებელი იქნება ირანიდან 25-30 მლრდ მ^3 ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება.

თუ აღნიშნული პროექტებიდან, რომელიმე მაინც განხორციელდება, საქართველოს ეკონომიკაზე დადებითად აისახება. ეს შემდგომში განაპირობებს ქვეყნის შიგნით ენერგიაზე ფასის შემცირებას, დასაქმების ზრდას, ქვეყნის მშპ-ის ზრდას. ამავე პირობებში, ქვეყანა იქნება უფრო მეტად დამოუკიდებელი ეკონომიკური თვალსაზრისით.

ყოველივე ზემოთქმულიდან უმდა დავასკვნათ: საქართველო მდებარეობს ევროპისა და აზიის გასაყარზე. როგორც ისტორიიდან არის ცნობილი, ქვეყანა ყოველთვის ყურადღების ცენტრში ექცეოდა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ენერგო უსაფრთხოება საერთაშორისო დონეზე კვლავ ზრუნვის საგანს წარმოადგენს. ამიტომ ევროპის მონინავე ქვეყნები არიან საფრთხის ქვეშ. რუსეთის მხრიდან ევროპის მანიპულირება სასიცოცხლო რესურსებით ევროპას დიდი პოლი-ტიკური არჩევანის წინაშე აყენებს. საქართველოზე გადის მრავალი საერთაშორისო მნიშვნელობის მილსადენი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ევროპის რუსეთის რესურსებისგან დამოუკიდებლობა და შიდა ბაზრის დივერსიფიკაცია.

ამ პირობებში საქართველო კვლავ საკვანძო ადგილს იკავებს, რადგანაც ნაშრომში განხილული თემა, საქართველო-ირანის სატრანსპორტო დერეფანი, არის საუკეთესო გამოსავალი მოწინავე ქვეყნების ბუნებრივი აირით უზრუნველყოფაში. ამ პროექტის განხორციელებით მიიღწევა 2 მნიშვნელოვანი მიზანი: 1) შემცირდება რუსეთის გავლენა ევროკავშირის პოლიტიკაზე სამხრეთ კავკასიის რეგიონში და 2) საქართველო, ირანის პარალელურად, გახდება ევროკავშირი ენერგო-უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი გარანტი. რაც, თვის მხრივ, მნიშვნელოვანი დადებითი შედეგის მომტანი იქნება როგორც საქართველოსთვის, ასევე ევროპისათვის.

თუ აღნიშნული პროექტებიდან, რომელიმე მაინც განხორციელდება, საქართველოს ეკონომიკაზე დადებითად აისახება. ეს შემდგომში განაპირობებს ქვეყნის შიგნით ნავთობსა და გაზზე ფასის შემცირებას, დასაქმების ზრდას: მშენებლობის პერიოდში 1000-ზე მეტი ადამიანი დასაქმდება, ხოლო მომდევნო წლებში შეიქმნება რამდენიმე ასეული მუდმივი სამუშაო ადგილი, ქვეყნის მშპ-ის ზრდას, ინფლაციის შემცირებას. ამავე პირობებში, ქვეყანა იქნება უფრო მეტად დამოუკიდებელი ეკონომიკური თვალსაზრისით, მოიპოვებს ევროპისგან მტკიცე მხარდაჭერას და კიდევ უფრო გაიზრდება საქართველოს როლი საერთაშორისო მასშტაბით. საქართველო, ირანთან იქნება ევროპის ენერგოუსაფრთხოების გარანტი, შემცირდება რუსეთის გავლენა სამხრეთკავკასიის რეგიონში, ყოველივე ეს მკვეთრად შეცვლის მსოფლიო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებს.

გამოყენებულილიტერატურა:

1. Tvalchrelidze, A.G. (2011). Economics of commodities and commodity markets. New York: Nova Science Publishers, Inc., 906 pp.
2. <https://en.wikipedia.org/wiki/Petroleum>
3. <http://www.forbes.com/pictures/mef45egjmi/1-saudi-aramco-12-million/>
4. <http://www.imf.org/external/np/res/commod/index.aspx>
5. http://lib.bsu.edu.ge/e-books/book_292.pdf
6. BP statistical review of world energy (2015). London: BP, 48 pp.

მარიამ ახვლედიანი

ერასმუსის უნივერსიტეტი, როტერდამი
ხელმძღვანელი: პროფესორი ჯათინდერ სიდუ

DISNEY'S ACQUISITION OF PIXAR

In 2005, Robert Iger succeeded Michael Eisner as Walt Disney's CEO. Disney had struck a co-production agreement with Pixar in 1997, for a duration of ten years, according to which Pixar would produce at least five full-length animated films for Disney within that period. The agreement was about to expire in 2006 and Bob Iger had to make a decision about a possible new deal with Pixar. Previous negotiations between Michael Eisner and Steve Jobs, CEO of Pixar at the time, had failed due to personal conflict.

Disney's perspective to Disney's potential acquisition of Pixar.

If other company bought Pixar, Disney would have to engage in competition with Pixar, therefore acquiring it would be beneficial, as Disney would avoid rivalry.

If Disney had not been the one to acquire Pixar, there would be a high possibility for Disney's competitors buying it. Therefore, acquiring Pixar would be beneficial for Disney, as it would avoid rivalry. Acquisition of Pixar should add to earnings, as it could help Disney increase its revenue throughout all of its business lines. Furthermore, according to an investment bank Merrill Lynch (2006) "Pixar's films have contributed over half of Disney's profits from its studio since 1999." This fact becomes the main predictor of the future financial success. The addition of Pixar would significantly improve the quality of Disney's animations, "which is a critical engine for driving growth across the business". (Iger 2006). Pixar has become an example of animated filmmaking using computer-generated hits. This could help Disney to develop their in-house production, as those were not as successful as the ones made in collaboration with Pixar. By buying Pixar, Disney would acquire all of its technologies, complementing their current ones. Furthermore, company would avoid extra costs of buying brand new technology. "The company needs a flow of new characters to supply its theme parks, its cable TV programs and its consumer product division." (The Economist 2006) Acquisition of Pixar adds new characters to Disney's list, thus becoming a quick fix for Disney's intermittent animation business. Even though Disney does not suffer from the lack of audience, acquisition of Pixar would potentially introduce Disney to new audience, thus broadening the scope of activity and Steve Jobs would become a major asset for Disney, as he would help the company build up the relationship with Apple, which would be beneficial, as Apple Inc. would introduce Disney to iTunes.

Experts argued that Disney might have been paying too much for Pixar, which might not prove to increase revenues. This would mean that the company's financial health could suffer from overpaying Pixar, thus making the acquisition a questionable deal. Disney and Pixar have evidently different working styles and culture. It might turn out to be a problem for Disney to preserve Pixar's established, unique culture. Disney and Pixar strive to achieve different goals. Pixar's goal is to have the animations of the highest quality, while Disney centers on increasing the profits. This inconsistency might become the reason of conflict between Disney and Pixar.

Pixar's perspective to Disney's potential acquisition of Pixar.

Pixar could continue focusing on its core competence - creating computer-based animations, (for which it had won an Academy award) as many of Disney's animation movies had failed and, thus, the company was lacking those skills in this field. Disney, in exchange of new characters to its theme parks, would give Pixar opportunity to increase Pixar's brand recognition by producing the other lines of products for Pixar - such as movie toys. Moreover, Pixar would also have its own say in designing Disney theme parks in the future and could use this possibility to its own advantage. The acquisition would make collaboration easier between the two companies, as it would potentially create transformational leadership style and Disney and Pixar could "collaborate without barriers that come from two different companies with two different sets of shareholders."

(Jobs, 2006). According to both Iger and Jobs the acquisition would not endanger Pixar's culture as Pixar would be able to retain its independence, allowing its "culture be protected and allowed to continue." (Holson, 2006) Pixar would be introduced to a larger market when acquainted with Disney and could gain the possibility to face leader competitors in the industry such as DreamWorks and 20th Century Fox.

On the other hand, Pixar would face integration difficulties while helping Disney in restoring its animations and trying to preserve its identity, that has made it one of the most successful moviemakers in the Hollywood history. Pixar could potentially lose merit as Pixar would be operating under Disney's name and intentionally or not, Disney would claim Pixar's credits. Even though Disney would try to protect and preserve Pixar's practices, the possible transformation of Pixar's culture would be unavoidable.

What alternatives to an acquisition could each party have considered at that time?

The bid from Disney to acquire Pixar was for 7.4 billion dollars. There were several other options on the table for both of the firms, instead of a costly acquisition. Looking at this from Disney's point of view, they were lagging behind on computer-based animation and they needed a new strategy to avoid a potential decline. Instead of Pixar, Disney could have acquired Square Enix, which is a video game company based in Japan that has collaborated successfully with Disney before. (Claufficious 2015) This would result Disney being able to have a big impact on the video game and animation industry, giving the company a new focus and potentially an advantage over its main competitors. Pixar's main problem at that time was the small list of distribution channels. The fact that they published one product per year made them vulnerable to failures, which would have been devastating on the firm's financial resources. In order to reach a broader audience, Pixar could have entered the broadcasting and online streaming markets on its own, enabling them to become independent in terms of distributing their work. (Claufficious 2015).

Additionally, Pixar and Disney could have also looked to collaborate with Pixar in alternative ways, such as a strategic alliance. This could have been much less costly, and would have been feasible, because both companies' cultures and values align. A strategic alliance would have enabled both firms to gain a bigger competitive advantage through the use of the other's resources and possibilities. It would have also let both of the companies keep their separate reputations of being strong in different fields. This means that a strategic alliance would have been safer in case there would be a failure.

Another possible option would have been a joint venture, meaning that Disney and Pixar would have created a new entity, with strengths from both companies. This however, would have been hard to manage and would need a lot more resources to be successful. A plus side to this would be the safety of a third firm, failures of which would not affect the parent companies.

However, as it is stated in the CNN article, Disney did not want to lose Pixar to any other company and its main reasoning behind an acquisition was to secure Pixar to itself and have a permanent contract, so there was really no other alternative to acquisition. (La Monica 2006).

What is Pixar's acquisition an example of?

Is the "marriage" between Disney and Pixar synergistic? The acquisition from Disney's perspective can be either horizontal or vertical. There are two key differences. First of all, horizontal acquisition is driven by company's objective to increase market share and revenue, whereas primary objective for vertical acquisition is reducing costs. Secondly, horizontal acquisition enables companies to diversify their business by increasing the range of products, whereas with vertical acquisition companies aim to improve their costs and production capability within existing product range. (Linton 2014).

As the main aim for acquisition of Pixar was to get the animated films business back on track for Disney, company was clearly aiming to increase the revenues with an attempt to broaden the market reach, (La Monica 2006) In addition, earning revenue from a product range that has not been a success so far for the company can be viewed as diversifying the business by increasing the range of profitable products. Hence, it can be concluded that the deal is straightforward example of horizontal acquisition.

Synergy refers to an extra value that is created when two business units work together. The value then exceeds the combined return that those same units would create when working independently of each other. (Hill

2009) This means that businesses are better off working together than being separate from each other - in additionally suggesting that merging two companies might be a good option.

The best way to assess whether synergy is created is to see possible gain in value for both parties. However, one must also analyze transaction costs of acquisition strategy. Indirect costs are often underestimated by the companies that held back the creation of synergy. (Hill 2009)

The concept of synergy is applicable in the case. Disney will benefit from Pixar's extensive knowledge with CG-animated films, as the company has become a gold standard in animated filmmaking d area, where Disney suffers from lack of success. Company aims to rocket its revenue by using the critical creative engine of Pixar to enhance Disney animation and drive growth across the business. (La Monica 2006) For Pixar, the acquisition means the continuation of their blockbuster movies and life of their characters, but with much better distributing and financial capabilities. Disney is able to take Pixar content to a whole new level for example by adding them to their world-famous theme parks. (Marr & Wingfield 2006) The impact on managers and employees is ensured to be as low as possible by Steve Jobs guaranteeing low transaction costs.

Bibliography:

1. Claufficious, C. (2015). 4 best alternative solutions for Disney, to the Pixar acquisition - Analysis of Pixar's acquisition by Disney – Case Study Conclusion | Claufficious – Your everyday lifestyle update. [online] Claufficious.com. Available at: <http://www.claufficious.com/2015/07/4-best-alternative-solutions-for-disney.html> [Accessed 2 Feb. 2016].
2. Hitt et. Al. (2009). Strategic management. Australia: South-Western Cengage Learning. Holson, L. (2006). Disney Agrees to Acquire Pixar in a \$7.4 Billion Deal [online]. Available from: <http://www.nytimes.com/2006/01/25/business/25disney.html?pagewanted=print> [Accessed 29 January 2016].
3. JOURNAL, M. (2016). Disney Sets \$7.4 Billion Pixar Deal. [online] WSJ. Available at: <http://www.wsj.com/articles/SB113813740822755125> [Accessed 2 Feb. 2016].
4. La Monica, P. (2006). Disney buys Pixar - Jan. 25, 2006. [online] Money.cnn.com. Available at: http://money.cnn.com/2006/01/24/news/companies/disney_pixar_deal/ [Accessed 2 Feb. 2016].
Linton, I. (2014). What Is the Difference Between Horizontal & Vertical Acquisitions?. [online] Small Business - Chron.com. Available at: <http://smallbusiness.chron.com/difference-between-horizontal-vertical-acquisitions-33800.html> [Accessed 2 Feb. 2016].
5. Marr, M. & Wingfield, N. (2006). Disney Sets \$7.4 Billion Pixar Deal [online]. Available from: <http://www.wsj.com/articles/SB113813740822755125> [Accessed 29 January 2016].
6. The Economist. (2006). Looking beyond the mouse [online]. Available from: <http://www.economist.com/node/5442077> [Accessed 29 January 20.

ქეთევან არაბული

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი ხეთისთ მამისიმედიშვილი

ხევსული ზეპილისითყვირება და თანამადროვაობის მიზნაზე

„აქაური სიმშვიდე გამუდმებით ფიქრისკენ გიბიძგებს, ზოგჯერ ხმამაღლაც კი ელაპარაკები საკუთარ თავს!... მთაში ცხოვრება მძიმე ტვირთია ამბობენ, არა! – ქალაქია ტვირთი, მძიმე ტვირთი ათასგვარი საცდურით დახუნძლული. მთა კი სუფთაა, გულში გიკრავს, საზრდოს გაძლევს, თუმც განსაცდელსაც გივლენს, რომ არ მოდუნდე, არ დაეცე, რომ მუდამ გახსოვდეს დმერთი“ (თეონია ქუმსიაშვილი).

ეს კუთხე ხევსურეთის სახელწოდებით მე-15ს.-მდე არ იხსენიება ქართ. სისტორიო წყაროებში. ამიტომ ზოგიერთი მკვლევარი, მათ შორის ზისერმანი, გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ ხევსურეთი თითქოს შუა საუკუნეების მიწურულს იყოს დასახლებული. ამ მოსაზრებას აქარწყლებს „მოქცევაი ქართლისაი“, სადაც პირველად არის ნახსენები ფხოველნი-ფშავ-ხევსურების აღსანიშნად. მემატიიანე ფხოველებზე საუბრობს, როცა იბერიელების გაქრისტიანებას აღგვინერს, ე.ი. მეოთხე საუკუნეში ეს ტერიტორია უკვე დასახლებული იყო ნარმართი ხევსურებით, რომელთაც ქრისტიანობა არ მიუღია.

კიდევ ორი წყარო გვაქვს, სადაც ფხოვი ფშავ-ხევსურეთის მნიშვნელობითაა გამოყენებული: 1014 წელს, როცა კვირიკე მეორემ კახეთი ხელმეორედ დაიპყრო და ახალ საერისთავოებს შორის „ფხოველთა ქვეყანაც“ დაარსა. ასევე 1212 წელს ფხოვს ამბოხება მოუწყვია და თამარს ლაშქარი გაუგზავნია. ამის მერე მეთხუთმეტე საუკუნემდე ფხოვი ამ მნიშვნელობით აღარ იხსენება. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ჩეჩინები ხევსურებს „ფხიებს“ ეძახიან, რაც ასევე ფხოვს ნიშნავს.

ამრიგად, ხევსურეთი ერთ-ერთი ყველაზე ძველი ტრადიციების მქონე და თუნდაც ამიტომ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო კუთხე გახლავთ. უამრავი ფოლკლორული მასალა და კულტურული ლირებულებებია დაცული ხევსურეთში და საოცარი სიცხადით გადაეცემა თაობებს, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებ.

არამარტო ხევსურეთში, არამედ საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ფოლკლორში განსაკუთრებული ადგილი რელიგიური შინაარსის ანდრეზებსა და საკულტო ზეპირსიტყვიერებას უკავია. საინტერესოა ამ ტექსტების წარმოშობის საკითხი!.. ხუცესნი ხუცობათა გენეზისის განმარტების დროს გვერდს უვლიან სახუცო ტექსტების ტრადიციული ფოლკლორული გზით გავრცელებაზე საუბარს. ისინი უარყოფენ, რომ ეს მემკვიდრეობითობა ხორციელის გზით გადაეცემა. მათი რწმენით ტექსტს ღვთისშვილისაგან იღებენ და ძალიან ხშირად სიზმარში გადაეცემა ხუცესს ტექსტი.

როგორც ზ.კიკნაძე აღნიშნავს, ყველაზე უკეთ კანონიკური სახე სახუცო ტექსტებს ხევსურეთში აქვს შემონახული, სადაც ხუცესის ინდივიდუალობა თითქმის არ ჩანს, ხოლო მაგალითად, ფშავში წარმომატებული ხშირად ერევა ტექსტში სიტუაციის შესაბამისად.

ხეთისო მამისიმედიშვილმა, ტრისტან მახაურმა და ზურაბ კიკნაძემ მოიძიეს, ჩაინტერეს და დიდი შრომის შემდეგ წიგნადაც გამოსცეს ეს ტექსტები, სადაც თავმოყრილია სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადამიანის მიერ ჩანწერილი მასალა: 1990-იან წლებში ხეთისო მამისიმედიშვილის მიერ, 80-იან წლებში ტრისტან მახაურის, ზურაბ კიკნაძის, ნოდარ ზვიადაურის მიერ. 40-იან წლებში ალექსი ოჩიაურისა, თინა ოჩიაურის და რუსუდან ხარაძის. უფრო ადრინდელი ტექსტები კი არის აკაკი შანიძის მიერ არის ჩანწერილი, რომლებიც დათარიღებულია 1910-იანი წლებით. როდესაც ამ

ტექსტებს ვადარებდი ერთმანეთს, საოცარი აღმოჩენა იყო ჩემთვისაც თუ რა სიზუსტით შემოგვინახა ზეპირსიტყვიერებამ ეს ყველაფერი. მაგალითად, ამ წიგნში დაბეჭდილი შენდობის თქმის ტექსტი და ჩემს მიერ 2015 წელს სოფელ წინხადუში ჩაწერილი ტექსტი თითქმის ერთი და იგივეა: „ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო მადლი შენდა! სააქაოს ნათქვამ სამანდაოს ებარების... კაცთ შენდობა მაუდის!.. დადგულ სუფრაი, ბოთლა, დასხმულ ჭიქები, მზექალაო, შენ სახმარიმც იქნების, მანდაც მაგივას, მანდაურის წესით, მანდაურის რიგით, ცოტა დიდად, რიოშ წმინდად, ფერუქცევლად, წაუქცევლად... ტაბლეზედამც დაიცევ წინ მაგებებულს, უკან მანეულს, სიკვდილის დღე დამთხვეულს, ენით ნათქვამს, ხელით ნაქნარს, პირით განაგონარს... შენი ცოდვისა მხსნელ იქნების, ცოდვისა იაღად მქნელ იქნების, შენიმც სახმარ იქნების... ღმერთმა შაგინდნას... ვინცა მაგყვების სოფელშითა, შინითა, ქმრის სახლით, მამისახლით, მარუსას ვინაც მახყვების ჭალაით-თავის ქმარ-შვილი, გინდა შენდობა ნათქვამ თუ ვინ მაგყვების, შენამც უმასპინძლებ აემ ბოთლაით, აემ ჭიქაით... ნუ ვის დააბრუნებ ხელცარიელს. ბოთლასამც აიტან ხელში, ჭიქასამც დაიჭერ, როგორაც უძლვებოდი აისრამც გაუძლვები, შენიმც სახმარ იქნების!... შაგინდნას მაგახმარას საქრისტიანოს გამჩენები!..“ (მთქმელი მზექალა არაბული).

რაც შეეხება ანდრეზებსა და ლეგენდა-თქმულებებს!.. ხევსურებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა გადმოცემებს, ანდრეზებს. ამ მნიშვნელობას კი განაპირობებდა ის, რომ ანდრეზი სინამდვილეში მომხდარ ამბავს ასახავს რეალურად. ამის საშუალებით ინარჩუნებდა მოსახლეობა ტრადიციებსა და ადათ-წესებს. როგორც სხვა მთიელებისთვის, ასევე ხევსურებისთვისაც ეს გადმოცემები ღვთიური მადლია, რომელიც ასულდგმულებს ერთ მუჭა ხევსურებს. ბარის მოსახლეობისთვის გადმოცემებმა დიდი ხანია დაკარგა თავისი მნიშვნელობა, ხევსურებისთვის კი დღემდე სიცოცხლისუნარიანია. ასევე მნიშვნელოვანია ლეგენდა-თქმულებები, რომელთა საშუალებითაც ხალხის ხსოვნას გადაეცემოდა და გადაეცემა არაერთი ისტორიული მოვლენა თუ სახალხო გმირი ხსოვნახ, რომელიც დღემდე არ კარგავს თავის მნიშვნელობასა და აქტუალობას. ნებისმიერ ხევსურს (მითუმეტეს მთაში მცხოვრებს), ბავშვსაც კი სმენია გაბურთ ეშმაზე, მამუკა ქალუნდაურზე, ხოგაის მინდიასა თუ თორლვა ძაგანზე შექმნილი თქმულებები. ზღაპრებსაც კი ლეგენდა თქმულებებით ანაცვლიბდნენ უმეტეს შემთხვევაში. მიზეზი კი მარტივია, რადგან ზღაპარი გამონა-გონზეა დაფუძნებული ნაკლებად საინტერესო იყო მთის ხალხისთვის. ამიტომ ბავშვებს უყვებოდნენ ლეგენდებს, რითაც პატარაობიდანვე აცნობდნენ ადათ-წესებს, ტრადიციებსა და კულტურას. ასევე უმთავრესი, ალბათ, ის იყო, რომ ამ გმირების მაგალითზე შვილებს ვაჟკაცობასა და სიმა-მაცეს უნერგავდნენ.

როგორც ს.მაკალათია ამბობს: „ლექსები უყვართ ხევსურებს და თქმაც ემარჯვებათ. მსჯელობის დროს საუბარს ხშირად ლექსით ამთავრებს და თავისი აზრს ამით მოკლედ მოსჭრის“, ამიტომ მდიდარია ხევსურული პოეზია, რომლის გადარჩენაშიც დიდი წვლილი მიუძლვის, უპირველეს ყოვლისა, აკაკი შანიძეს.

ხევსურეთში ჭირიც და ლხინიც პოეზიის გარეშე წარმოუდგენელი იყო. ლექსი და სიმღერა სდევდა ხევსურთა სამეურნეო საქმიანობას, მიცვალებულის დატირებას, ქეიფსა თუ მიჯნურისათვის სიყვარულის გამხელას. როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, „ხევსურული პოეზიის“ შესავალში, სატრაფიალო ლირიკა შედარებით ნაკლები ოდენობითაა წარმოდგენილი, რადგან ეს დარგი პოეზიისა არ არის მაგრე მიმზიდველი ხევსურის მეომრული ბუნებისათვის. მაგრამ ეს მას არ ნიშნავს, რომ მნიშვნელობას მოკლებულია პოეზიის ეს დარგი. უბრალოდ მეტი თავშეკავებულობის გამო ერიდებოდნენ სიყვარულის თემაზე საუბარსა და ლექსების თქმას, რადგან ერთმანეთის ტრადიციების გამჟღავნება თემური ადათით სასირცევილოდ ითვლებოდა და ამით ემიჯნებოდა ერთმანეთის კარგი და ცუდი ყმა („კაი ყმა ლაშქარ მოკვდების, სწორების მჯობინობასა, ცუდაი-საცხვრის ყურესა, ქალებში ლოგინობასა!“). ხევსურ კაცს აუგად ეთვლებოდა ქალის მიმართ განსაკუთრებული ყურადღების გამჟღავნება. ერთი ხევსური მელექსე ჩივის: „რახან გზაში შამეყარან, გამწყრალივით გავსცილდები, რა გავსცილდა გადმოვხენებ, ობოლივით ავტირდები“.

სატრფიალო პოეზია თუ მცირეა, სამაგიეროდ, ხევსურული ფოლკლორი განსაკუთრებით მდიდარია საგმირო პოეზით, სადაც ხოტბაა შესხმული ამა თუ იმ გმირისთვის, ვინც საერთო საქ-მისთვის დასდო თავი. უამრავი ლექსია შემორჩენილი შიოლა ღუდუშაურზე, სადაც ასახულია კლას-თა ბრძოლა და დიდი ოსტატობით არის გადმოცემული თავგასული ბატონის მოკვლა მთრეხელის მიერ. თორლვა, რომელიც იყო მოძალადე, მაგრამ ხევსურულ პოეზიაში ხოტბა აქვს თორლვას შეს-ხმული სიმამაცისა და ბძოლისუნარიანობისთვის. განსაკუთრებით ბევრი ლექსი კი ზურაბ ერისთავ-ზეა შემორჩენილი, რომლებშიც აღნერილია ზურაბთან ბრძოლის ეპიზოდები, ზურაბის მიერ მოტყუ-ებით დახოცილ ხევსურებსა და ზურაბის სიკვდილზე, რასაც განსაკუთრებით სასიხარულო ელფერი დაჰქრავს. სამაგიეროდ, საპირისპირო ხასიათი და განწყობა იკვეთება ერეკლე მეორისა და ხევსუ-რების ურთიერთობაზე შექმნილ ლექსებში, რომელმაც მოქნილი პოლიტიკის წყალობით ძალიან და-იახლოვა ხევსურები. ასახულია მეზობლებს შორის ბრძოლები: ქისტებისა და ხევსურების, ლეკებისა და ხევსურებისა თუ ფაშის ხევსურთა ლაშქრობები.

სამეურნეო პოეზიაზე კი აღ. ჭინარაული მართებულად შენიშნავს: „ხევსურთა სამეურნეო პოე-ზია კვნესა და ჩივილია, თუმცა შიგადაშიგ მწარე იუმორშერეულიც: „თივათ ვთრი კალოთანითა, სულ-თქმას ვაყოლებ გმინსაო, დავაოროლენ თივანი, დასვენებაიც მინდაო...“ მახსოვს ხევსურეთში ცხოვ-რებისას ჩვენს მეზობლად ნინო არაბული ცხოვრობდა, რომელიც ზამთარში სახლის მოპირდაპირე მხარეს დგნალის ტოტებს ჭრიდა საქონელისთვის, საკვების სიმცირის გამო. იქიდან მომავალს თოვლი გაუტყდა და ზვავმა წამოილო. კარგად მესმოდა ნინო ბებოს სიმღერის სიტყვები: „დაღბერნა ცივმა ნი-ავმა. დგნალის ტოტებზე ვიჯდოდი, რა ვქენი ჩემანალამა, რადარ ღამითაც ვთიბოდი“. დღესაც არ მეს-მის და მეც კი მიჭირს გაგება იმისა, თუ როგორ შეიძლება ადამიანი ზვავს მოპქონდეს და მღეროდეს!.. სიკვდილს თვალებში უყურებდე და დახმარების თხოვნის ნაცვლად სიმღერა ამოუშვა!..

ორიოდე სიტყვით დავახასიათებ ხმით ნატირლებს, რაც პირადად მე განსაკუთრებით მიფორი-აქებს სულს. მთის ხალხი, რომ სულით პოეტებია ამას სწორედ ხმით ნატირლების ნიმუშები ადასტუ-რებს, რაც მნიშვნელოვანი ფოლკლორული მასალის მატარებელია. ძირითადად, ნატირლებში რითმა არაა დაცული, მაგრამ შეიძლება გამონაკლის შემთხვევებსაც შევხვდეთ. ხმით მოტირლები ტირილში ხშირად აქებდნენ ვინმეს ვაჟკაცობას ან გამძლეობას, რასაც თავისი დატვირთვა ჰქონდა: ცოცხ-ლებს არ ავინყებდნენ გარდაცვლილი ადამიანების ხსოვნასა და საქმიანობას და ჭირის პატრონებს კი მხნეობისკენ უბიძებდნენ ამით. ვიცით ასეთი გადმოცემა, რომ მომაკვდავმა მოკლიამ მეზობლის ქალს, თამარს სთხოვა, სიცოცხლეშივე დაეტირა, რათა მისი ნატირალის მოსმენა სურდა. თამარმაც აუსრულა ეს „უანდრეზო“ თხოვნა: „საყურიკათით მადის გმინიო, წუხად ხყავ კმარუას შვილიო, გულს ურჩი უჭირს ნატყვიარიო, მოკლიას ამაუდის სულიო. მდევართ წინ რად მიღმეტდებოდიო? „დედისერთა ვარ“ – რად არ სთქვიდიო?“

დასკვნის სახით კი შეიძლება ითქვას, რომ ხევსურების ყოფა-ცხოვრების უკუფენა ხდება ზე-პირსიტყვიერებაში და ეს ყველაფერი სიცოცხლისუნარიანია, მიუხედავად იმისა, რომ დღეს აღარ არსებობს ტრადიციული კულტურა, აღარ არსებობს თემ-სოფლები, რადგან ხალხი აღარ ცხოვრობს. ხალხი თუ აღარ იქნება კი აღარც სოფელი ისოფლებს და აღარც ჯვარი იჯვარებს. სამწუხაროა, რომ აღარ არიან ხუცესები, რის გამოც ის რიტუალი, რასაც ხუცესი ასრულებდა აღარ სრულდება სრულყოფილი სახით. ჩემთვის მხოლოდ ოთხი ხუცესია ამჟამად ცნობილი.

ძალიან სამწუხაროა, რომ თაობები მთას არ იცნობენ, რადგან იქ სამყაროს მარადიული სიბ-რძნეა დაუნჯებული. ადრე თუ ბარი გვეძახდა ქუდზე კაცს, ეხლა იქ, მთები დგანან და მშველეოლს ელიან. იქაურობას ხალხის ხმა, ბავშვების ხმა, აცოცხლებს და ეს ხმა არ უნდა მიწყდეს არასდროს.

ათი წლის, არხილოსკალოში მცხოვრება თათია ჭინჭარაულმა ორიოდე წლის წინ, არხოტში ყოფნის შემდეგ სკოლაში მასწავლებელს დავალება მიუტანა, რომელმაც დედაშვილობის ფოტოს დახატვა სთხოვა. სურათზე დახატული იყო მთები და მდინარეები. გაოცებულმა მასწავლებელმა იკითხა, თუ რატომ დახატა ბუნება, როცა დედაშვილობა უნდა აესახა. თათიამ კი ასე უპასუხა: „ამ მთებს ამ მდინარეების გარდა სხვა შვილები არ ყავთ და ამ მდინარეებს ამ მთების გარდა სხვა მშობ-ლები“. როგორ შეიძლება ვინმე ვერ აღიქვამდეს ამ პრობლემას და ამ ტკივილს, მაშინ როცა ათი წლის ბავშვს სულს უთუთქავს დაცლილი ხევსურეთის ნახვა!..

ხევსურეთი დღეს „მოდაშია“, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. მოდაშია ხევსურული ნაქარები და სიმბოლური ორნამენტები, ვერცხლის სამკაული და სპილენძის ნაკეთობები, მითოლოგიური სიუჟეტებით ხევსურული პოეზიის კილოთა ვარიაციები. მოდაშია ხევსურეთის მონახულება და-მასზე გულისტკივილის გამოთქმა.

ხევსურეთი კი ამ დროს სულს ღაფავს და დაცლილია ყოველივე იმისგან, რაც „მოდაშია“. დღე-ვანდელი ხევსურეთის შეგნებული მნახველი იმედგაცრუებული, გულნატკენი უნდა დაბრუნდეს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – გულგრილი, ყოველივე იმით, რაც ხდება. მართალაც, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე დგას საკითხი, მაგრამ სანამ ერთი კაცი მაინც ავა და შვილს თავის სოფლის სალოცავს ყმად დაუყენებს, სანამ ცეცხლის პირას მჯდარი ხევ-სურები ისევ დასდევენ წარსულ გმირთა ლანდებს და ისევ იღვრება ხევსურული ლექსის ლაზათი და მშვენიერება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვარსებობთ და იმედი ვიქონიოთ, რომ ღვთის წყალობით ეგებ კიდევ ვიარსებოთ!..

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. არაბული, კ. არაბული „მყივანა წისქვილები“, თბილისი, 1984;
2. „ჯვარ ხატთა სადიდებლები“ (უნივერსიტეტის ფოლკლორის კათედრის შრომები), თბილისი, 1998;
3. ა. შანიძის „ქართული ხალხური პოეზია“, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა;

ნინო ლომიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი ხვთისო მამისიმელიშვილი

მუკაჯირობის ასახვა კავკასიის ხალხთა ლიტერატურაში

მუკაჯირობა ერთ-ერთი ტრაგიკული ფურცელია კავკასიელი ხალხების ისტორიაში. მუკაჯირობამ მოიცვა: აფხაზები, ჩერქეზები, ყაბარდიელები, უბისები, სამხრეთ საქართველოში მცხოვრები მუსლიმი ქართველები და სხვ. ოსმალეთის სულთანი ცდილობდა მუკაჯირების დასახლებას იმპერიის დაუსახლებელ ადგილებსა და აგრეთვე საზღვრისპირა ტერიტორიებზე. რუსეთის იმპერიას სურდა მთიელთა ოსმალეთში გადასახლების გზით მიეღწია პოლიტიკური სიმშვიდისათვის კავკასიაში და განთავისუფლებული ტერიტორიები გამოეყენებინა ფართო კოლონიზაციისათვის და ესარგებლა ამ მხარის სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობით.

მუკაჯირობა აისახა კავკასიელი ავტორების შემოქმედებაში. წარმოდგენილ მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია სამი კავკასიელი ავტორის მუკაჯირობის თემაზე შექმნილ ნაწარმოებებზე, ესენია:

ოსი პოეტის თემირბოლათ მამსუროვის ლექსები: „ორი მეგობარი“ და „აკვნის სიმღერა“.

ქართველი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის მოთხოვნა: „ელისო“.

აფხაზი მწერლის ბაგრატ შინკუბას რომანი: „უკანასკნელი უბისი“.

ოს ხალხს მუკაჯირობა ნაკლებად შეეხოთ, ვინაიდან ისინი ბალყარელებთან ერთად არ მონაწილეობდნენ რუსეთ-კავკასიის ომში, თუმცა ოს მუსულმანთა ნანილი მაინც გადასახლდა თურქეთში, მათ შორის იყო ცნობილი ოსი მწერალი – თემირბოლათ მამსუროვი.

ის 1865 წელს სხვა ოსებთან ერთად გაემგზავრა თურქეთში. მან იქ გამოსცადა მუკაჯირული ყოფის სიმძიმე. მისი ლექსები „ორი მეგობარი“ და „აკვნის სიმღერა“ მუკაჯირობის თემაზე შექმნილი პოეტური ნაწარმოებია.

ლექსი „ორი მეგობარი“ გამოირჩევა რომანტიკული ელემენტების სიმძაფრით. მასში იგრძნობა წარსულის იდეალიზაცია და ანტიკონტრა უკმაყოფილება. ლექსი აგებულია დიალოგზე, რაც ნაწარმოებს მეტ სიმძაფრესა და დამაჯერებლობას მატებს. მისი დიდი ნანილი ეთმობა სამშობლოსთან დაშორებით გამოწვეულ ტკივილს, მშობლიური კუთხის ძალით დატოვებას. ნაწარმოები მთელი სიმძაფრით წარმოადგენს სამშობლოდან მოსახლეობის აყრის მთელ სიმძიმეს. წარმოიდგინეთ ტკივილი სამშობლოდან წასვლისა და გაურკვეველი მომავლისა. ავტორს მოყვანილი აქვს შესანიშნავი მეტაფორა: „მომავლის გემი ზღვაში ინთქმება“; ხალხს თვალებიდან ცრემლის ნაცვლად სისხლი სდიოდათ“; ისინი სამშობლოს მიმართავენ, რომ ტკიბობით წარმოთქამენ მარად მის სახელს და მის მტვერს გაიხდიან საფიცრად. ამ სიტყვებში ჩანს სამშობლოს განუზომელი სიყვარული და დარდი მასთან გამოთხვებისა. ავტორი რეალისტურად გადმოგვცემს მუკაჯირთა ტრაგედიას, აღნერს მოხელეთა გაუგონარ სისასტიკეს, რომლებიც მთიელებს არაადამიანურად ეპყრობოდნენ. გადავსებულ გემებზე დედა შვილს ვერ პოულობდა. ვისაც არ შეეძლო, ტალღებს ატანდნენ საკუთარ სიცოცხლეს. თურქეთში ჩასულ მუკაჯირებს უარესი დღე დაადგათ. სულთნისგან დაპირებული სამოხატის ნაცვლად, მიდიოდნენ მზით გადამწვარ, უდაბურ მიწაზე მწყურვალი იმპერიის შორეული ადგილებისაკენ .

„ღნაოდნენ ჩვილნი და დაოსებულთ,
თურქებსა ვჩრიდით შიშით შეძრულნი,
ზოგი ნაშიერს ქუჩას ანდობდა,
ზოგსაც შიმშილით სძვრებოდა სული.“

ენა ვერ გამოთქვამს მათ ტანჯვა-წამებას. ავტორმა რეალისტურად გადმოგვცა მუჰპაჯირთა ტრაგედია. ეს ლექსი მისი ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია.

ლექსში „აკვნის სიმღერა“ პოეტი მიმართავს მომავალ თაობას, რომ არ დაივიწყონ სამშობლო თავი დადონ მისთვის ნუ დაივიწყებენ რომ ისინი კავკასიის შვილები არიან. რომ სამშობლოსა და რწმენისათვის უნდა ძლიერ ბევრს ითმენდნენ თავი უნდა დადონ მისთვის და სიკვდილს ჯილდოდ თვლიდნენ. პოეტი წუხს, რომ სამშობლოში დარჩენილებს რჯულს და ადათს ძალით ათმობინებ-დნენ.

„თურქს გულზე არ გაცვალო
შენი გული მთიელისა
გნამდეს ძარღვში გიჩქეფს სისხლი
ნაღდი კავკასიელისა!“

ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოები „ელისო“ აღწერს ოსმალეთისაკენ განდევნილი ჩეჩენების ტრაგედიის ფონზე, ჩეჩენი ელისოსა და მოხევე ვაჟიას ტრაგიულ სიყვარულს. ავტორის აღწერით, მუდამ მხიარული და სიცოცხლით საესე ჩეჩენები, ახლა გმინვასა და ოხვრას მოეცვა. ეს იყო საერთო წუხილი და ტანჯვა სამშობლოსთან განშორებისა, სამშობლოსთან, რომლისთვისაც ავტორის თქმით, ჩეჩენებს თავი არ დაუზოგავთ მისი სიკეთისთვის. მამას შვილი არ შეუწყალებია და ქმარს ცოლი და, ამდენი ბრძოლის და მსხვერპლის შემდეგ ისინი უნდა გამოესალმონ მას. წარმოიდგინეთ მათი ტკივილი, როდესაც გასცექერიან თავიანთ ნასოფლარს, სადაც ცხოვრება გაუტარებიათ, სა-დაც მათი წინაპრების საფლავებია. მიწაა, რომელმაც ისინი გაზარდა. როგორც ავტორი ამბობს „არის ხოლმე ისეთი წამები ადამიანის ცხოვრებაში, როდესაც სიტყვას ადგილი არ აქვს კაცის მწუ-სარებაში. სწორედ ამ მწუხარებას მოეცვა ჩეჩენები. ჩეუმ თხვრაში იკითხებოდა მთელი მათი ტანჯვა და ჭიანურის ხმას აყოლილი, ეფინებოდა ირგვლივ ყველაფერს. გარდა იმ სულიერი ტკივილისა, რა-საც სამშობლოსთან დაშორება ჰქვია, ავტორს წარმოჩენილი აქვს ძალზედ მძიმე სურათი, თუ რო-გორ იღუპებოდნენ თანდათან ადამიანები. როგორ აცლიდა დედას შვილს სიკვდილი ხელიდან, ყო-ველი მხრიდან მხოლოდ ფიზიკური და სულიერი ტანჯვა მოისმოდა, მაგრამ ვინ იყო მშველელი?! ავ-ტორმა, ასევე კარგად წარმოაჩინა რუსი მოხელეების ულმობლობა, როდესაც მათთან ვაჟია მივიდა თხოვნით, რომ ანზორის ოჯახი გადასახლებისაგან ეხსნა, თუმცა პასუხად მიიღო ის, რომ მოხელის ნება რომ ყოფილიყო, ყველას მოიშორებდა თავიდან, ყველას გაუყენებდა ოსმალეთის გზას. ამგვა-რად, ავტორმა წარმოაჩინა ამ მცირერიცხვანი ხალხის ტრაგედია. გამოჩენდა არსებული სინამდვი-ლის სიმახინჯე. ფსიქოლოგიური სიღრმით განავითარა მწერალმა შეყვარებული ვაჟიას, მშვენიერი ელისოსა და მისი პატიოსანი მოხუცი მამის – ანზორის სამართლიანი მისწრაფებების დაპირისპირე-ბა უსამართლობისადმი, რომელშიც უსამართლობა იმარჯვებას.

და ბოლოს, უბისები იყვნენ აფხაზებისა და ადილელების მონათესავე ხალხი, რომლებიც ცხოვრობდნენ დღევანდელ კრასნოდარის მხარეში – რუსეთის ფედერაციაში. კავკასიის ომის და-სასრულს, რუსეთის ხელისუფლებამ უბისთა მთავრებს ორი არჩევანი შესთავაზა: დასახლებულიყ-ვნენ ყუბანისპირეთში ან თურქეთისაკენ მიმავალ გზას გასდგომოდნენ. მთავრებმა თურქეთში გა-დასახლება არჩიეს ხალხი დაარწმუნეს, რომ რუსები მათ ბავშვებს გააქრისტიანებდნენ და თავიანთ მმართველობას დანერგავდნენ უბისებში, ხოლო თურქეთში მათ სამოთხე ელოდათ, ალაპის ნაცვა-ლი დედამიწაზე – თურქეთის სულთანი მათ საუკეთესო მიწებს დაურიგებდა და მეფურად აცხოვ-რებდა, თავად მთავრებს პრივილეგიების დაკარგვისა ეშინოდათ და ხსნას თურქეთში ხედავდნენ. ამგვარად 1864 წელს ისინი თურქეთისაკენ გაემართნენ.

აფხაზი მწერლის – ბაგრატ შინკუბას რომანი „უკანასკნელი უბისი“ ასახავს უბისების და მათ პარალელურად აფხაზების გადასახლებას თურქეთში. ნაწარმოების მთავარი გმირია 100 წლის უბი-სი ზაურყან ზოლაკი, რომელთანაც აფხაზი ენათმეცნიერი – შარას ქვაბბა ჩადის, რათა გამოიკვლი-ოს ან უკვე მკვდარი უბისური ენა. რომანის სიუჟეტი ვითარდება მისი ნაამბობის კვალზე. ზაურყან ზოლაკის ბიოგრაფია კვალად მისდევს უბისი ხალხის ტრაგედიას. ზ აურყან ზოლაკი დედით აფხა-ზია. კარგად იცის დედისეული ენა. მიუხედავად ისეთი მძიმე ცხოვრებისა, როგორიც მან გამოიარა,

მას არ დაუკარგავს საკუთარი ენა და ტრადიციები. მოსულ აფხაზ სტუმარს ფეხზე წამოუდგა და დასვა, რადგან წესის მიხედვით, დედის მხრიდან ყველა ნათესავი და მოგვარე ბიძად ითვლებოდა, რა ასაკისაც არ უნდა ყოფილიყო. მათ ადათის მიხედვით, უფროსად მიიჩნევდნენ. ენა ვერ გამოს-თქამს ზაურყანის ბედნიერებას, როდესაც აფხაზი ესტუმრა, რადგან მკრდების ადგომას იფიქრებ-და და აფხაზური ენის გაგებას ვეღარ. ის პირდება ქვაბბას, რომ უბიხურ ენის შესწავლის პარალე-ლურად უამბობს უბიხების გადმოსახლების ისტორიას, მას ყოველივე გულზე ისე აქვს ამოტვიფრუ-ლი, როგორც წარწერა სამარის ქვაზე. წლები მიდიან, მაგრამ არც წვიმას და არც თოვლს არ ძალუს მისი წაშლა. ზაურყანმა შარახს უამბო მთელი ისტორია უბიხების გამოსახლებისა. ასევე როგორ ცხოვრობდნენ უბიხეთში ომის დაწყებამდე, რომ მათში არასოდეს ყოფილა სიმშვიდე, რადგან მათში თარეში ძარცვა მონების გაყიდვა თურქეთში, ქალების გატაცება და სისხლის აღება ყოველთვის იყო მათში და სხვაგვარად ცხოვრება ვერც წარმოედგინათ. თუ, ვინმე მათში იარაღის ხელში აღება-ზე და ბრძოლაზე უარს იტყოდა, სოფლიდან აძევებდნენ. ომის დასასრულს, როდესაც რუსეთის გა-მარჯვება აშკარა გახდა, უბიხთა მთავრებმა თავიანთი თქმით რუსეთის დამონებას თურქეთში გა-დასახლება ამჯობინეს. მათ, რასაკვირველია, საკუთარი მიზნები ჰქონდათ, ეშინოდათ, რომ პრივი-ლეგიებს დაკარგავდნენ და ოსმალეთში გადასახლება ხსნის გზად მიიჩნიეს და ხალხიც დაარწმუნეს, რომ წასულიყვნენ. სწორედ აქ დაუშვეს საბედისწერო შეცდომა და საკუთარ თავს სასიკვდილო გა-ნაჩენი გამოუტანეს. მხოლოდ ერთი ადამიანი აღმოჩნდა მათ შორის, რომელიც სთხოვდა უბიხებს ნუ წავიდოდნენ და ნუ გადააშენებდნენ უბიხთა მოდგმას. ძნელია იმ ყველაფრის გადმოცემა, რო-გორ ტოვებდნენ ისინი საკუთარ კერას, როგორ კლავდნენ საკუთარი ხელით ცხენებს, რომ რუსებს არ ჩავარდნოდათ ხელში ის. მათ უბიხეთიდან სამახსოვრო მხოლოდ მათი წმინდა სალოცავი კერპი – არნივის გამოსახულებიანი ბითხა – წაიღეს. უმძიმესი იყო მათი ყოფა, თუმცა რუსეთის ხელისუფ-ლებას მათ დასახმარებლად არაფერი გაუკეთებია. გამგზავრების პერიოდში, ზაურყანი იხსენებს, როგორ ყრიდნენ თურქები მათ გემებში, როგორი ულმობლად ექცეოდნენ. როგორ ხტებოდნენ ზღვაში, ვისაც მეტი ტკივილის ატანა აღარ შეეძლო. როგორ განახევრდა უბიხების რიცხვი თურქე-თის სანაპიროებამდე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც აღმორდნენ, რადგან კავკასიელი კა-ცის ბუნებაა, გაჭირვების უამს სიმღერა. მათ იმედი ჰქონდათ მომავლისა, თუმცა, მათი რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა. შიმშილისა და ავადმყოფობის წინაშე აღმოჩნდნენ უბიხები. არავინ იყო მათი მომკითხველი. დედები შვილებს ყიდდნენ, რომ მათი შიმშილით სიკვდილისათვის არ ეყურებინათ. სხვები კი – თანდათან აბრაგებად იქცნენ. ყველა ერიდებოდა კავკასიელებს თურქეთში. „ყაჩაღ ჩერ-ქეზებად“ მოიხსენიებდნენ. მათმა მთავრებმა კი ფაშებთან გარიგებით, კარგი ქონებაც იშოვეს და აღარასდროს დაინტერესებულან საწყალი ხალხის ბედით. ზაურყანი გახდა მოწმე იმისა, რომ სულ-თანს მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა, გამოეყენებინა რუსებთან ომში კავკასიელები, რადგან ისინი უკვე გამოწრიობილი იყვნენ მათთან ბრძოლებში, ხოლო საუკეთესო გოგონები ჰარამხანებში გა-ემწესებინა. ზაურყანის ორი და ფაშამ ხარჭებად გაიხადა, ერთი კი შიმშილს ემსხვერპლა. ხოლო დედ-მამა შვილებზე დარდმა გადაიყოლა. ვინც შეეგუა ახალ ცხოვრებას და ფეხი მოიკიდა თურქეთ-ში, უბიხური ენაც დაივინყა და გათურქდა. ვინც ვერ ეგუებოდა სამშობლოში დაბრუნების მცდელო-ბისას, დაუნდობლად კლავდნენ თურქები. ამგვარად, ამ ხალხის უბედურებასა და ასიმილირებაში არანაკლებ დიდი წვლილი თურქებსაც მიუძღვით, რუსებთან ერთად. ისტორიამ ცოტა მაგალითი როდი იცის უბიხებზე გაცილებით დიდი ერების გაქრობისა, მაგრამ უბიხები დიდი ხანი არის, რაც აღარ არსებობენ. ეს ამბავი არც ერთ დღეში მომხდარა და არც ერთ წელიწადში. მათ მაშინ გა-წირეს თავი დასაღუპად, როდესაც სამოთხის მინის ხილვის იმედით თურქეთში გაემგზავრნენ.

ამდენად, ძალიან მძიმე აღმოჩნდა XIX საუკუნეში რუსეთის კოლონიალური პოლიტიკა კავკა-სიაში. მუჰამადი მას მიმდინარები მიიღო. მრავალმა ადამიანმა დატოვა მშობლიური კერა. მუ-ჰამადი ყოფის სიმძიმე კარგად ჩანს მუჰამადი მუჰამადი თემაზე შექმნილ ნაწარმოებებში, მათ შორის იკვეთება „უკანასკნელი უბიხი“, რომელშიც დეტალურად ცოცხლდება უბიხების ისტორია და მათი გაქრობის მიზეზები. რუსეთისა და თურქეთის ხელისუფლების სისასტიკე მთიელებთან მიმართება-ში. ცარიზმის მიერ იმ ტერიტორიების დაპყრობა, რომელიც მათვის არავის უჩუქებია და ოდითგან უბიხებისა და სხვა ჩრდილო კავკასიელი ხალხების საკუთრება იყო. მუჰამადი ტრაგიკული ფურ-

ცელია კავკასიელი ხალხების ცხოვრებაში. ეს საერთო ტკიფილი კარგად წარმოაჩინეს მწერლებმა თუმცა „უკანასკნელ უბიხში,“ ეს ყველაფერი დეტალურად ჩანს. თურქეთში გადასახლება სათანადო მომზადებისა და ორგანიზაციის გარეშე მიმდინარეობდა. მუჰაჯირები შავი ზღვის ნავსადგურები-დან უვარგისი გემებით გადაჰყავდათ, ნაწილი სახმელეთო გზით - ურმებით მიდიოდნენ თურქეთი-საკენ. მრავალი მათგანი გზაში იმსხვერპლა ეპიდემიამ, შიმშილმა, სიცივემ. თურქეთის ხელისუფლებამ, მუჰაჯირებს უვარგისი, შეუფერებელი ადგილები მიუჩინა. ბევრი უმიწოდ და უბინაოდ დარჩა. მუჰაჯირები მალე მიხვდნენ თავიანთ შეცდომას და უკან დაბრუნება მოინდომეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს შეუძლებელი იყო ვინაიდან რუსეთის ხელისუფლება ამას აღარ დაუშვებდა.

მძიმე პირობებში ჩავარდნილი მუჰაჯირები იძულებულნი იყვნენ მეომრებად შესულიყვნენ თურქეთის ჯარში. ჩრდილოკავკასიელთაგან ბევრი მათგანი ასიმილირდა თურქებში. ბევრმა მათგანმა შეინარჩუნა ეროვნული თვითშეგნება და საკუთარი ენა. სამწუხაროდ, ეს უბიხებმა ვერ მოახერხეს და სრულიად აღიგავნენ პირისაგან მიწისა.

გამოყენებული ლიტერატურა

ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები. ტომი II;

გულ მუქერეშ ოზორქი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტურა
ხელმძღვანელი: პროფესორი ელგუჯა მაკარაძე

ქართული ლიტერატურის თურქი მთარგმნები და მაკლევრები

ჩემი ნაშრომის მიზანს წარმოადგენს გარკვევა იმისა, თუ რამდენად იყო და არის დაინტერესებული თურქი საზოგადოებრიობა ქართული ლიტერატურის კვლევითა და თარგმნით. მონაცემები ამ მხრივ ძალიან მნირია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველი ნაბიჯი ამ მხრივ გადადგა აპმეთ მელაქვილმა და თურქულ ენაზე თარგმნა ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯა“, რომელსაც „ელგუჯა და მზალო“ უწოდა. თარგმანი დაიბეჭდა სტამბოლში 1973 წელს.

ქართულ ენაზეა ნათარგმნი ილია ჭავჭავაძის ლექსები (მთარგმნელები ფაპრეთინ ჩილოლლუ და ოსმან ნური მერჯანი, თაჰსინ სარაჯი, ჰასან ჩელიქი, ჰუსეინ უიგური), მოთხოვა „მგზავრის წერილები“ (მთარგმნელები ალი ალთუნი და ასმათ ჯაფარიძე), პოემა „განდეგილი“ (მთარგმნელი ალი ალთუნი). ლექსები გამოქვეყნებულია უურნალ „ჩვენებურში“. ასევე „ჩვენებურში“ გამოქვეყნდა აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელი“ ლექსები (მთარგმნელი ალი ალთუნი) და სტატია „ილიას მკვლელობის შესახებ“ (მთარგმნელი ოსმან ნური მერჯანი). „ჩვენებურის“ ფურცლები დაეთმო ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებსაც, უურნალ „მამულში“ კი გამოქვეყნდა სტატია „ნიკოლოზ ბარათაშვილი – ქართული რომანტიზმის მწვერვალი“. სტატიის ავტორია ისმაილ იერგუზი. ბილკენტის უნივერსიტეტის პროფესორმა ლაურენტ მოიგნონმა თარგმნა ვაჟა-ფშაველას „არწივი“, რომელიც გამოაქვეყნა უურნალ „ჩვენებურის“ 35-ე ნომერში 2000 წელს.

მე-19 საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში მომხდარმა პოლიტიკურმა შეთქმულებამ (1832 წელი) ლიტერატურას ახალი ფორმა და შინაარსი შესძინა. მე-18 საუკუნის ბოლოს დაწყებულ კრიზისს დაემატა ალნიშნული შეთქმულება და შეიქმნა შასანიშნავი პირობები იმისათვის, რომ საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში წარმოშობილიყო და განვითარებულიყო რომანტიზმი. შემდეგ მოკლედ მიმოიხილავს ქართველი რომანტიკოსების შემოქმედებას და ალნიშნავს „მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ცდილობდნენ ძველი ქართული ლიტერატურული ტრადიციების კვლავ გაცოცხლებას. ამ პერიოდის მწერლები (ეს პერიოდი იწოდება გარდამავალ პერიოდად) ქართული კლასიკური ლიტერატურის თემატიკას ხელახლა ამუშავებენ, ოღონდ განსხვავებული სტილით. ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში ახალი თემები არ გვხვდება“. უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ავტორის მიერ არის სათანადოდ შეფასებული ქართველ რომანტიკოსთა დამსახურება და მათი მემკვიდრეობის მნიშვნელობა ახალი ქართული ლიტერატურის განვითარების თვალსაზრისით. შეუძლებელია ქართველ რომანტიკოსთა ღვანლი შეფასდეს, როგორც მხოლოდ ძველი ქართული ლიტერატურის ტრადიციების კვლავ გაცოცხლება, ძველი ქართული ლიტერატურის თემატიკის ხელახლი დამუშავება. როგორც საყოველთაოდაა აღიარებული ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის და ქართული რომანტიზმის უდიდესი წარმომადგენლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, პოეზია ახალი საფეხურია ქართული ლიტერატურის განვითარების გრძელ გზაზე, მათი შემოქმედება გამოირჩია ახალი პრობლემატიკით, ახალი ხედვით, როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე ბრძანებს, ყველაზე მნიშვნელოვანი ამ დროისთვის ის იყო, რომ ძველი საქართველოს ლიტერატურის მიღწევების გადააზრებასთან ერთად იწყება ევროპეიზაცია ქართული მწერლობისა და რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი არის პირველი ევროპეისტი პოეტი, სრულად განთავისუფლებული აღმოსავლური ტენდენციებისაგან. 1850 წლიდან ქართულ ლიტერატურაში წინა პლანზე გამოდის კრიტიკული რეალიზმი. დრამატურგი გიორგი ერისთავი (1813- 1864), ზ. ანტონოვი (1821- 1854) არიან პოეტები, რომლებიც იდგნენ კრიტიკული რეალიზმის სამსახურში. ერისთავმა კომედიური ეპიზოდებით გაამდიდრა თავისი ნა-

წარმოებები. ანტონოვის კალამს ეკუთვნის „ქოროლლუს ეპოსი“, რომელიც მისი ყველაზე წარმატებული ნაწარმოებია. 1850 წლის შემდეგ იქმნება რეალისტური ნაწარმოებები. ლავრენტი არდაზიანმა (1815-1870) ნაწარმოებით „სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი“ ასპარეზზე შემოიყვანა ახალი სოციალური ძალა. დანიელ ჭონქაძე (1830- 1860) „სურამის ციხეში“ საუბრობს ბატონ- ყმობის პრობლემებზე და საზოგადოებაში ახალ ცნობიერებას ამკვიდრებს. კრიტიკული რეალიზმი 1950 წლების ქართულ ლიტერატურაში ერთადერთი მიმდინარეობა არ არის. კრიტიკული რეალიზმის პარალელურად არსებობას განაგრძობს რომანტიზმი გიორგი რჩეულიშვილის (1821- 1875) სახით. მაგრამ უდავო ჭეშმარიტებაა ის, რომ რომანტიზმი ამ პერიოდში უკვე კრიზისს განიცდის.

1860 წლიდან საქართველოში იწყება გამორჩეული ეპოქა, რომელიც მოიცავს არა მარტო ლიტერატურას, არამედ კულტურის ყველა სფეროს. ეს არის სამოციანელთა, ანუ თერგდალეულთა ეპოქა. სამოციანელებმა განათლება მიიღეს სანკტ-პეტერბურგში. მათზე დიდი გავლენა მოახდინა რუსულმა რევოლუციურ-დემოკრატიულმა იდეებმა და მათ განიზრახეს ფუნდამენტალური ცვლილებები მოეხდინათ ქართულ ლიტერატურასა და სოციალურ ცხოვრებაში. სამოციან წლებში ლიტერატურულ ასპარეზზე გამოდინა ილია ჭავჭავაძე (1837-1907), აკაკი წერეთელი (1840-1915), ნიკო ნიკოლაძე (1843-1928), გიორგი წერეთელი (1842-1900). ესენი იყვნენ პოეტები, მთარგმნელები, მწერლები, აქტივისტები, სახელმწიფო მოღვაწეები, პოლიტიკოსები. ეს ოთხეული იყო საქართველოში მე-20 და 21-ე საუკუნეებში გაშლილი ეროვნული მოძრაობის იდეოლოგიური შთამაგონებელი. სამოციანელების მემკვიდრედ მიჩნეული ლიტერატურული მიმდინარეობა იყო „მთის სკოლა“. ამ სკოლის წარმომადგენლები არიან ალექსანდრე ყაზბეგი (1848-1893), პოეტი ლუკა რაზიკაშვილი, რომელიც ფშაველი იყო. იგი ცნობილია ვაჟა-ფშაველას სახელით (1860-1915). ვაჟა ფშაველა თავის ნაწარმოებებში იღავს ქრისტიანულ ტრადიციების წინააღმდეგ ბაჩანა (1866- 1927), თედო რაზიკაშვილი (1869-1922). აღნიშნულმა სკოლამ დიდი გავლენა მოახდინა ქართულ ლიტერატურაზე და ეროვნული პრობლემები ღირსეულად ასახა თავის შემოქმედებაში. ვაჟა-ფშაველამ ქართული ლიტერატურა გაამდიდრა ახალი თემებითა და ახალი სტილით, შეიძლება ითქვას რომ მან შექმნა საკუთარი სკოლა. მისი უპირველესი მსმენელები იყვნენ ლირიკოსი პოეტი ნიკო (ბაჩანა, მისი ძმა) და მისი შვილი მწერალი თედო რაზიკაშვილი. 1890 წლიდან ქართული ლიტერატურის ასპარეზზე ჩნდება ახალი თაობა, რომელიც იწყებს რეალიზმის კიდევ უფრო განვითარებას. მე-19 საუკუნის ბოლო ათწლეულში ქართულ ლიტერატურაში აქტივურად იწყება მარქსიზმის პროპაგანდა. მხატვრულ ნაწარმოებებსა და სხვა სახის ნაშრომებში მარქსიზმი მკითხველს მიეწოდებოდა როგორც სისტემა, რომელსაც შეუძლია სოციალური პრობლემების მოგვარება.

ამ პერიოდში ქართულ ლიტერატურაში ჩნდება მარქსისტთა ჯგუფი, რომელიც მოვლენებს განსხვავებულად აფასებს. ამ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი მწერალია ეგნატე ნინოშვილი (1859-1894). ეგნატე ნინოშვილმა კრიტიკული რეალიზმი ახალი ეპოქის პირობების შესაბამისად განვითარა და მოამზადა საფუძველი საქართველოში სოციალისტური რეალიზმის გავრცელებისათვის. ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოებები („გოგია უიშვილი“, „სიმონა“, „ჩვენი ქვეყნის რაინდი“) აღგვიწერს ბატონიშვილის გაუქმების შემდეგდროინდელ ქართული სოფლის ცხოვრებას. ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები არიან დავით კლდიაშვილი, შიო არაგვისპირელი, ლალიონი (ა. მამულაშვილი), რომლებიც შეიძლება მივიჩნიოთ სოციალისტური რეალიზმის პირველ წარმომადგენლებად. აქ უნდა გავაკეთოთ შემდეგი შენიშვნა. რა თქმა უნდა, სოციალისტური რეალიზმის წარმომადგენლებად შეუძლებელია მივიჩნიოთ დავით კლდიაშვილი, შიო არაგვისპირელი, ლალიონი და ა.შ. ისიც სათქმელია, რომ სოციალისტურ რეალიზმის პირობით სახეობაზე, ახლა აღარვინ საუბრობს.

ქართული მწერლობის თურქეთისათვის გაცნობა ამით არ დამთავრებულა. საქართველოში სხვადასხვა მიზნით იყვნენ ჩამოსულები თურქი მწერლები, რომელთაც თურქეთში დაბრუნებისას გამოაქვეყნეს სტატიები ქართულ მწერლობაზე, თეატრზე, უფრო მეტად კი გამოაქვეყნდა ისეთი სტატიები, სადაც საუბარი იყო შთაბეჭდილებებზე საქართველოს შესახებ. მაგალითად, 1979 წლის ივლისში თურქმა მწერალმა ომერ ფარუქ თოფრაქმა გაზეთ „პოლიტიკაში“ გამოაქვეყნა მოგონებები საქართველოს შესახებ. ზეინაბ ორალმა უურნალ „ხელოვნებაში“, ხოლო რეფიკა ერდურანმა კი გა-

ზეთ „მზეში“, გამოაქვეყნეს სტატიები ქართულ თეატრზე. ნეჯათი ჯუმალმა (წიგნში სახელად „რევიზიონისტისტი“), თარიქ დურსუნმა (გაზეთში „იენი ორთამ“) და ჰალდუნ თანერმა გამოაქვეყნეს მოგონებები ასევე საქართველოს შესახებ.

ქართულ-თურქული ურთიერთობების კვლევა დაიწყო მას შემდეგ, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში შეიქმნა თურქოლოგიის კათედრა. ქართველი თურქოლოგები იკვლევდნენ როგორც თურქულ ენას ასევე ლიტერატურას. მათ შეისწავლეს თურქული გრამატიკის წესები, წართულ-ტურქული ენობრივი ურთიერთობები, ქართულში შემოსული თურქული სიტყვები, თურქულ ენაში და დიალექტებში შესული ქართული სიტყვები, საქართველოშო მცხოვრები თურქულენოვანი მოსახლეობის მეტყველების თავისებურებანი, მცხოვრები თურქულენოვანი მოსახლეობის სასაუბრო ენა, თურქული საარქივო მასალები ენობრივი ურთიერთობები, ქართული და თურქული ენის ტიპოლოგიური პარალელები, ქართული და თურქული ფრაზეოლოგიზმების ტიპოლოგია, ქართულში შემოსული თურქული სიტყვები. ქართველმა თურქოლოგებმა თბილისის სახელმწიფო არქივში დაცული ოსმალური დოკუმენტები შეისწავლეს ენობრივი თვალსაზრისით და გამოსცეს საინტერესო მონოგრაფიები. შეისწავლეს არქივში დაცული მე-18 საუკუნის თურქული ენის სახელმძღვანელო, ქართული ასოებით თურქულ ენაზე დაწერილი „ბიბლია“, „ქოროლლუს“ ქართული ვერსია და სხვა საარქივო მასალები; შეიქმნა ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონები, სასაუბროები, ამ მხრივ ძალიან საინტერესოა 2001 წელს გამოცემული თურქულ-ქართული ლექსიკონის ორტომეული და თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიზმები.

რაც შეეხება თურქულ ლიტერატურას, შესწავლილ იქნა „დედე ქორქუთის წიგნი“, „ქოროლლუს“ ეპოსი, თურქეთში მცხოვრები ქართველების ზეპირსიტყვიერება ჯალალედინ რუჟი ბალდადის, იუნუს ემრეს, მუჰამედ ფუზულის, ნეფის, ლამის, აჰმეთ ჰაშიმის, მიჰრი ჰათუნის, მეჰმეთ ემინის, იაქუფ ქადრის, საბაპათინ ალის, თევფიქ ფიქრეთის, ჰაირულაჰ ეფენდის, ფაქირ ბაიქურთის, სუათ დერვიშის და სხვა. ცნობილი მწერლებისა თუ პოეტების შემოქმედება; შეისწავლეს თურქული პოეტიკა. ქართულ ენაზე ითარგმნა: თურქული ზღაპრები, ნასრედინ ჰოჯას ანეგდოტები, „დედე ქორქუთის“ წიგნი, ნაზიმ ჰიქმეთის ლექსები, საბაპათინ ალის, ომერ სეიფეთინის, ორჰან ჰანჩერლიოლლუს, ჰალდუნ თანერის, აზიზ ნესინის, სუათ დერვიშის, ისა ნეჯათის, რეშად ნური გიუნთექინის, იაქუფ ქადრი ქარაოსმანლლუს, აჰმეთ ჰაშიმის, ბექირ ილდიზის, ფაზილ ჰუსნე დალლარჯას, ადალეთ აღაოღლლუს, ოქთაი რიფათის, ორჰან ფამუქისა და სხვა ცნობილი მწერლობისა თუ პოეტების შემოქმედება. ცხადია, ზემოთ ნარმოდგენილი მიმოხილვა ვერ ამონურავს ქართულ-თურქული ლიტერატურული ურთიერთობის მთელ შინაარსს, ამიტომ ნაშრომის ბოლოს დავურთავთ ბიბლიოგრაფიას, რომელიც უფრო სრულად წარმოაჩენს აღნიშნული ურთიერთობის სურათს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მიქელაძე, აბდულ, წერილები აჭარიდან, თარგმნა fahreTin CiloRlum; Mikeladze, A. Acara mektuplarÀ (F. TiloJlu, Tev.) hstanbul: press: Sinatle.
2. ბაქრაძე, ეკა, ლექსები, თარგმნა fahreTin CiloRlum; Bakradze, E. Teviri Jiirleri (F. TiloJlu, Tev.) Gürcü Kültür Merkezi DerneJinin Resmi Web Sitesi.
3. იერგუზი, ისმაილ, ქართული რომანტიზმის მწვერვალი-ნიკოლოზ ბარათაშვილი; არატაშვილი, N.(Ekim-AralÀk 1997). Gürcü Romantizmin Rncüsü (h. Yerguz, Tev.) Mamuli Kültürel Dergisi, SayÀ 4.
4. ჯავანი, ივანე, წერილები შავშეთიდან, მთარგმნელი fahreTin CiloRlu; Caiani, h. Borçka mektuplarÀ (F. TiloJlu, Tev.) hstanbul: press: Sinatle.
5. ჯავახიშვილი, მიხეილ, ეშმაკის ქვა, მთარგმნელი იბრაჰიმ იავუზ გორაძე; Cavakhishvili, M.(1988). peytanÀn TaJÀ, Ryküler (h. Y. Goradze, Tev.) hstanbul: Total MüJavirlik.
6. ჭავჭავაძე, ილია, მგზავრის წერილები, მთარგმნელი ალი ალთუნი; თავზავადზე, პ.(1989). Bir Yolcunun NotlarÀ (A. Altun, Tev.).

7. ჭავჭავაძე, ილია, მგზავრის წერილები, მთარგმნელი ასმათ ჯაფარიძე; თავზავადზე, ჰ.(2007). Yolcunun YazAlarÀ (A. Caparidze, Tev.) თიფლის: ენი ჯპრტ ერგისი.
8. სალია, კალისტრატე, ილია ჭავჭავაძე, მთარგმნელი ისმაილ იერგუზი; შალია, ქ. (Ocak 1997). Tavçavadze, h., Bedi Kartlisakdan (1956, ss: 50-51) (h. Yerguz, Tev.) Mamuli Kültürel D ერგისი.
9. ჭილაძე, ოთარ, ლექსები, მთარგმნელი ფაპრეთინ ჩილოდლუ; თილადზე, O.(Temmuz 1997) piirler (F. TiloJlu, Tev.) (ss. 3).
10. ჭილაძე, თამაზ, ლექსები, მთარგმნელი ფაპრეთინ ჩილოდლუ; თილადზე, T.(2003). Teviri Jiirleri (F. TiloJlu, Tev.) hstanbul: Gürcü Kültür Merkezi DerneJinin Resmi Web Sitesi.
11. დუმბაძე, ნოდარ, მე ვხედავ მზეს, მთარგმნელი მეჭჩურე ქარაორენი; უმბადზე, N.(1969). GüneJi Görüyorum (M. Karaören, Tev.).
12. დუმბაძე, ნოდარ, მარადისობის კანონი, მთარგმნელი ალი ალთუნი; უმბადზე, N. (1990). Sonsuzluk YasarÀ (A. Altun, Tev.) hstanbul: YÀlmaz.
13. დუმბაძე, ნოდარ, კუკურაჩა, მთარგმნელი გულიზარ ჭელიძე; უმბადზე, N.(1990). Kukaraça (G. hbrahimova, Telidze, Tev.) Ankara: YazÀt.
14. ჩილოდლუ, ფაპრეთინ, ძველი ქართული ლიტერატურა; თილოჟლუ, F. (Ocak-pubat 1993). Eski Gürcü EdebiyatÀ. Tveneburi Kültürel Dergisi, SayÀ: 1(8).
15. ქართული ზღაპრები, მთარგმნელები – ფაპრეთინ ჩილოდლუ, ირინე გოცირიძე, პასან ჩელიქი, ჰულია ჩილოდლუ; თილოჟლუ, F.(1998). FalcÀ Hoçoknun MasalÀ d Gürcü MasallarÀ (F. TiloJlu, h. Gotsiridze, H. Telik, H. TiloJlu, Tev.) hstanbul: press: Sinatle.
16. გეგეშიძე, გურამ, ზღაპარი, მთარგმნელი ფაპრეთინ ჩილოდლუ; ეგეჟიდზე, G.(2004). DüJ (F. TiloJlu, Tev.) hstanbul: press: Sinatle.
17. გოგოლაშვილი, ვახტანგ, ცისფერი მთების ქვეყანა, მთარგმნელი მეპმეთ ოზგული; ოგოლაშვილი, V.(1980) Mavi DaJlar wlkesi (M. Rzgül, Tev.) hstanbul: Cem
18. ქართული ზღაპრები-მზის ასული, მთარგმნელი პაირი პაირიოდლუ; GüneJin KÀzÀ, Gürcü masallarÀ,(1986) (H. HayrioJlu, Tev.)
19. ქართული ლიტერატურა: Gürcü EdebiyatÀ, Kaynak: Ana Britannica, Tveneburi Kültürel Dergisi, SayÀ: 1(8), Ocak- pubat 1993.
20. ხალვაში, ფრიდონ, ლექსები, მთარგმნელი ფაპრეთინ ჩილოდლუ: HalvaJi, P. Teviri piirleri (F. TiloJlu, Tev.) Gürcü Kültür Merkezi DerneJinin Resmi Web Sitesi.

ციალა ოჩხიკიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგისტრატურა
ხელმძღვანელი: პროფესორი ნებაძა სულავა

იოანე მტბევრის შობისადმი მიძღვნილ საგალოპლაპში მაცხოვის **სიმბოლოთა სახისათვალისათვის**

იოანე მტბევრის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა მიქაელ მოდრეკილის საწელიწდო იადგარმა (S-425; 978-988 წ.წ) შემოგვინახა. მის საგალობლებში ასახული ზოგადქრისტიანული მოტივები, ჰიმნოდიგმურ-პარადიგმული სახეები ემყარება ბიბლიურ და სალვითისმეტყველო ლიტერატურას. ჰიმნოგრაფის სამეტყველო ენა გამოირჩევა ამაღლებული განწყობით, რიტმულობით, ანაფორული კომპოზიციით.

ჩემი სტატია ეხება იოანე მტბევრის შობისადმი მიძღვნილ საგალობლებს, რომელთა სახის-მეტყველება იქცევს ყურადღებას. ჰიმნოგრაფი საშობაო საგალობელში მაცხოვარს წარმოადგენს ბიბლიური სახე-სიმბოლოებით. ჩემი განხილვის საგანია მაცხოვრის შობის, განკაცების საიდუმლოს, ბიბლიურ მოძღვრებასთან მის კავშირს, „ძუელი იგი კაცისა და ახალი იგი კაცის“ სიმბოლური სახეობრივი სისტემის გათვალისწინებით.

უფლის შობას სასულიერო მწერლობა „საშინელ საიდუმლოს“ უწოდებს, რადგან ადამიანთა გონიერისთვის მიუწვდომელია ღვთაებრივი არსის ხორციელ ბუნებაში გადმოსვლის სრულყოფილად გააზრება. წმ. იოანე ოქროპირი მათეს სახარების განმარტებისას აღნიშნავს: „გულისმისყავ და შესძრნუნდი, მესმას რაა, ვითარმედ ღმერთი მოვიდა ქოვეყნად, რამეთუ ესოდენ განსაკვირვებელ იყო და დიდებულ, რომელ ანგელოზთა განწყობილნი კაცნი წყალობისათვის ერთბაშად დიდების-მეტყველებას შესწირავდეს და წინასწარმეტყუკლნი განკვირვებულნი პირველივე იტყოდეს, ვითარმედ „ქუეყანასა ზედა გამოჩენდა და კაცთა შორის იქცეოდა“ (ბარუქ.3:38) (5,35).

იოანე მტბევარი წმინდა მამათა კვალობაზე მაცხოვრის შობას „საშინელ საიდუმლოსა“ და სასწაულს უწოდებს: „საიდუმლო სასაშინელი, რომელიცა იყო დაფაროვლ ძალთაგან ზეცისა ოკხორცოთა მრავალსახიერ სიბრძნე დმრთისად, განცხადნა დღეს კაცთა შორის ორცთა შინა დმრთებაა, რომლითა მოვიღეთ ჩოკენ გამოქსნა“ (2,57). „საშინელისა შობისა შენისა საიდომლოსა“ (2,77).

„საშინელი საიდუმლოს“ განმარტებას აგრძელებს იოანე ოქროპირი: „ან უცუე არა დაუსაბამოესა მის შობისათვეს არს სიტყუად ჩუენი, არამედ მეორისა, რომელი იქმნა ქუეყანასა ზედა, რომლისა მრავალნი არიან მონამე, და მისთვისცა ძალისაებრ ჩუენისა მითხრა, რავდენ-იგი უძლე მოღებად მადლსა მას სულისა წმიდისასა, რომელმან მომცა სიტყუად თქუმად, რაოდენ ეტევის ბუნებასა კაცობრივსა, რამეთუ ამას ქალწულისაგან შობისა განცხადებულად და განმარტებით თხრობაა შეუძლებელ არს, რამეთუ საკვირველ არს ესეც და მიუწოდომელ“ (5,35). ძნელია წარმოდგენა: „რამეთუ ფრიად უძნელეს არს კაცობრივისანზედა გულისსიტყობასა დმრთისა განკაცებაა, ვიდრედა კაცისა შვილ დმრთისა ყოფაა მადლისა მისითა“ (5,36).

იოანე მტბევრის შობისადმი მიძღვნილ საგალობლებში აღნიშნული ფაქტი მრავალგზის არის გააზრებული. ჰიმნოგრაფი აცნობიერებს, რომ ღვთისგანკაცების საიდუმლოს სიტყვით ახსნა, გადმოცემა ვერ მოხერხდება: „ოკზეშთაეს არსბოვნებასა კაცობრივსა საიდომლო გამოკთქო კმელი ოკთესლოდ შობისა შენისად ქრისტე, სიტყობაო მამისაო და ვერ შეოკლებსენად მეტყობელი ჭეშმარიტად მითხრობად მისა, რომლისთვეს განცოფნა სიბრძნე სოფლისა ბრძენთა და მეცნიერთად და მოობლოვრდა სიტყვად მეტყობელთად შემსგავსებით ქებასა“ (2,89).

თეოლოგიურ მოძღვრებაში ქრისტიანული ღმერთი – პიროვნული სამსახოვანი ერთარსება ღმერთია, აბსოლუტური ჭეშმარიტება, სიკეთე, მშვენიერება, სიყვარული, არაფრისაგან ყოველივეს შემოქმედი. იოანე მტბევრის საგალობელთათვის დამახასიათებელია საღვთო არსის თეოლოგიურ-ფილოსოფიური დახასიათება, სამსახოვანი ერთარსება ღმერთის გააზრებაა მისი ცხადი მაგალითია: „სამები სანათლითა გაბრწყინვებულნი მოვედით მორწმუნენო ვაქებდეთ სამუშამოვანსა ღმერთსა მამასაძით და სულითწმიდით განუყოფელად ერთპუნება საღმრთებისასა“ (2,53).

სამსახოვანი ღმერთის მეორე ჰიპოსტასურმა სახემ – იესო ქრისტემ, განკაცებულმა ღმერთმა, პირველცოდვის გამოსყიდვადა კაცთა სულების გადარჩენა შეძლო. პირველქმნილი ადამიანი შექმნილია ღვთის სახედ და ხატად. ჰიპოსტასურმა იგი მაცხოვარმა იხსნა, რის შემდეგაც ქრისტიანული რელიგიის უმთავრეს ფასეულობად გამოცხადდა. „ხატი მსგავსებისა ჩოკენისა საოკუკუნეთა ღმერთმანდა ღლეს გამოშჩნდი ხორციელად“.

პავლე მოციქული ქრისტეს შესახებ ამბობს: „მას შინა დამკვიდრებულ არს ყოველივე სავსებად ღმრთებისა ხორციელად“ (კოლას.2.9). კაცობრიობის ხსნისთვის უმნიშვნელოვანეს დროს, სახი-ერმა და კაცთმოყვარე უფალმა ქვეყნად მოავლინა „მხოლოდშობილი ძე თვისი – იესო ქრისტე“, რადგან მხოლოდ ღმერთს შეეძლო სრული განკურნება საქვეყნო სენისა, მხოლოდ მას შეეძლო აღდგენა დაცემული ადამიანისა. იშვა მაცხოვარი და უფალი ჩვენი იესო ქრისტე და მოხდა ენით გამოუთქმელი სასწაული: ჩვენთვის დამდაბლა ღმერთმა თავი, რომელმაც განხმინდა და განაახლა ბუნება დაცემულია დამიანისა. კაცი გაათავისუფლა ცოდვის მონობისაგან და შემუსრა სიკვდილი. ნიკეა-კონსტანტინეპოლის სიმბოლოს ინტერპრეტაციით, ქრისტეს მოსვლა მიწაზე არის არა უბრალოდ „ხორცშესხმა“, არამედ მაინცდამაინც „განკაცება“. იოანე მტბევრის მიერ ღვთის განკაცება ფილოსოფიურადაა გააზრებული: „სიტყუოვმან დაოვსაბამომან, ღმრთებრ ოვნილავმან მიიღო და-საპამიგან კაცებისა და წანისათვის კაცთა ნათესავისა, რაიუამს შეეზავა აგებოვლებასა ნივთიერსა მი-ნისა განსამოწყალებითა ოჯგებელი არსება ღმრთებისა და უსულო ნივთებს ერთმანეთთან სწორედ ეს ოთხი ელემენტი აკავშირებს.“ (2,84).

„აგებოვლებასა ნივთიერსა მიწისაგანსა“ განიმარტება შემდეგნაირად: „ხილული სოფლის შექმნაში მონაწილეობს ოთხი ელემენტი: მიწა, წყალი, ჰაერი და ცეცხლი. ეს ელემენტები შეადგენენ ყოველი მატერიალური საგნის საფუძველს, სამყაროში არსთა შორის ყველაზე დაბალ საფეხურზეა უსულო ნივთი“ (1,22), ხოლო ვინაიდან „ყოველი სხეული ითხოვთაგან შეიმზადების“, ამიტომ ადამიანის სხეულსა და უსულო ნივთებს ერთმანეთთან სწორედ ეს ოთხი ელემენტი აკავშირებს.

„შესაქმის“ წიგნში დასახულია ის იდეა, რომ „ცხოვრების ხის“ ნაყოფის მეშვეობით ადამიანი უხრწელობა-უკვდავებას ეზიარება, „რათა ცხოვნდეს უკუნისამდე“ (შეს.3.22). იოანე დამასკელი „ცხოვრების ხეს“ ასე განმარტავს: „მქონებელი მოქმედებასა ცხორების მიმცემლობისა“. სიცოცხლის მომნიჭებელ ამ „ხეს“, „შესაქმეშივე“ უპირისპირდება „ხეცნობადისა, კეთილისა და ბოროტისა“, რომელიც გვაწვდის ხორციელ საკვებს. განკაცებული უფალი კაცობრიობას აძლევს თავდაპირველ, უცოდველ მდგომარეობასთან მიბრუნების შესაძლებლობას. სასულიერო მწერლობაში „ხეცხოვრებისა“ ღვთის მეტაფორაა. „ხეცხოვრებისა“ ესაა დახშულ სამოთხეში კვლავდაბრუნების შესაძლებლობა. იოანე მტბევრის საგალობლებში ქრისტე ბევრგან გააზრებულია ტრადიციულად მიღებული მეტაფორით, თუმცა, გვხვდება ასევე „ხისამისცნობადისა“ განმარტებით: „მოვედით, გემო ვიხილოთ ხის ამის ცნობადისა რომელ არს ქრისტე, საღმრთო ყუავილი, რომლისგანცა სიტკბოება იწნისა საიდუმლო განმნედელი სულთა ჩუენთად“ (2,64).

განკაცებული კაცთმოყვარე ღმერთი კვლავ გვისახავს გზას „ცხოვრებისხესთან“ მისაბრუნებლად. ესაა გზა „სიბრძნის“ მოპოვებისა: „ხე ცხოვრებისა არს ყოველთა, რომელთა შეიწყნარონ იგი“ (იგავ. 3,18; ზირ. 24.12-22). ხოლო ქრისტე აღუთქვამს მის ერთგულთ „ჭამად ძელი სამისგან ცხოვრებისა, რომელი არს შორის სამოთხესა ღმრთისა ჩემისასა“ (გამოცხ.2,7). იოანე მტბევარი

ამბობს: „სასოფებად წარმართთავ დღეს აღმოგცენდა, რომლის ნაყოფითა განიკურნა სიმწარე ხის მის ცნობადისა და მაცხოვნნა ჩოკენ“ (2,73).

„ხისა ცნობადის“ სიმბოლიკით მაცხოვრის სახედ მრავალგზის არის წარმოდგენილი იოანე მტბევართან: „აპა ესერა ქოვეყანისა მისგან სინმინდისა აღმოსცენდა დაოვთესველად საზრდელად სოკლიერი სამეოვთოასაგან ვენაჯისა მოვისთოვლეთ ტევანი.მ ომწყდართა განმაცხოველებელი, რომელმან განაქარვა სიმწარე პირველი ხისა ცნობადისა და მომცა ჩოკენ სასოკმელი ცხოვრებისა“ (2,89).

იოანე მტბევარი „ცნობადის ხის“ პარალელურად ქრისტეს წარმოაჩენს, როგორც „ცხოვრების ხე“. ამიტომ შეუძლებელია მიზანმიმართულად არ ყოფილიყო ქრისტე მოხსენიებული „ხეცნობადის“ სიმბოლიკით: „ნაყოფისაგან სიმართლისა აღმოსცენდა ხე ცხოვრებისა, რომელმანცა გამოიღო ყოვალი სულნელი, ვითარცა თქოვა პირველ სოლომონი გავთა სიბრძნით გამომეტყოვლმან, რამეთუ აპა ესერა ქოვეყანის ამისგან სინმინდისა აღმოსცენდა და ოვთესველად საზრდელი სულიერი და სამეუფოსაგან ვენახისა მოვისთულეთ ტევანი, მომწყდართა განმაცხოველებელი, რომელმან განაქარვა სიმწარე პირველისა ცნობადისა და მომცა ჩუენ სასუმელი ცხოვრების, რომლითა დაპხსნა პირველი განსაზღვრებული იგი პატიჟი მოკუდავებისა უკუდავებისა მფლობელმან ღმერთმან“ (2,89).

„ღვთაებრივი კაცთმოყვარეობა იმაში გამომჟღავნდა, რომ თავისუფალი ნების გზით სულს სინანულის შესაძლებლობა ებოძა“ (3,96). მოდის „ახალი ადამიანი“, რომლის საპირისპირო ცნებაა „ძველი ადამიანი“ („ძუელი იგი კაცი“). სინანულის გზაზე შემდგარი ძველი ადამიანი კვდება დაიბადება ახალი. მტბევარი ამ მოვლენას შემდეგნაირად გადმოგვცემს: „ეპა, დიდებული განსაკურვებელი ახლისა ამის შეერთებისა ჩოკენდა. რამეთუ, რომელ უხილავ არის სრულიად შეიმოსს კაცებასა ჩოკენსა და ჰეგის უქცეველად ღმრთება სავეთვსას“ (2,55).

გრივერ ფარულავას შეხედულებით „კაცთმოყვარე ღმერთის მადლით ხდება „ძველიკაცის“ სისხლხორცული განახლება, მოდის ქრისტე, „ახალი ადამი“, იგი არის გამოსყიდვის, გამოხსნის აქტით ქრისტეში განახლებული კაცობრიობა. ჯვარცმით, როგორც სხეულის, ისე სულის უკუდავებისაკენ სახეცვალების რეალური გზა გაიკვალა“ (3,98).

განკაცებული უფლითა და ახალი ადამიანის დაბადებით გამოსყიდა ადამიანთა მოდგმამ „ძუელი იგი ცოდვა“, „ვითარცა ჰინებავს მხოლოდშობილსა, რათა უცხოქმნული ესე სამოთხისაგან კოკალად მუნვე შემკრიბნეს დამაცხოვნეს ბეთლემსშობილმან ჩოკენთვს“ (2,67).

იოანე მტბევრისთვის „ძველი ცოდვის გამოსყიდვა იმ გველის მოკვლითაა განპირობებული, რომელმაც „დაბადების წიგნშივე“ ცოდვა ჩაადენინა ადამსა და ევას. ცოდვის დამარცხებით გახდა შესაძლებელი „ადამის სიშიშვლის“ შემოსვა: „ბაგასა შინა მწოლარე, იხილვების სახოკელითა შეხორცილიდა შეჰმოსს დღეს ადამის შიშოკლობასა“ (2,77).

„სახოკლითა შეხორცილით“ შემოსვა, როგორც წმ.იოანე ოქროპირმა განაცხადა, ესაა: „არა სამოსელთა მათ გარეშეთა განრცხავ, არამედ სამოსელთა მათ სულიერთა განწმენდედა წივთთა მათგან ცოდვისათა განშორება“ (5,33). თავმდაბლობის მსგავსი მაგალითი მთელი კაცობრიობის-თვის მისაბაძად ისახება, რაზეც იოანე მტბევარი ამბობს: „ქრისტე, მომავალი სიმდაბლით ღმერთი ჩუენი, ქუაბსა შინა დასახუევლითა ჩჩილად შეიხვა და მიაწვინა იგი ბაგასა შემოქმედი“ (2,68).

მაცხოვრის ხატ-სახე იოანე მტბევრის შობისადმი მიძღვნილ საგალობლებში სხვადასხვა, მრავალფეროვანი სიმბოლოების საფუძველზეა წარმოსახული მათი განხილვა ერთი სტატიის ფარგლებში შეუძლებელია. ჩვენ შევეცადეთ მხოლოდ რამდენიმე დეტალი თუ ფაქტი ქრისტიანული საღვთისმეტყველო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტრადიციის ფონზე წარმოგვეჩინა და იოანე მტბევრის საგალობელთა ორგანული კავშირი გვეჩვენებინა ბიბლიურ წიგნებსა და ქრისტიანულ ლიტერატურასთან. იოანე მტბევარი ჰიმნოგრაფიაში შემუშავებულ სახისმეტყველებით პრინციპებს

მიჰყვება, რის გამოც ბევრი რამ გვეცნობა. მისი საგალობლის ღირსება კი ისაა, რომ მასში საღვთო საიდუმლოს გამოსახვისა და ღვთაებრივი სიბრძნის წარმოჩენის საფუძველზე მაცხოვრის შობისადმი თავისი დამოკიდებულება გამოამჟღავნა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გრიგოლაშვილი 2005 – გრიგოლაშვილი ლ. დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2005.
2. ინგოროვა 1913 – ინგოროვა პ. „ძველ ქართული სასულიერო პოეზია“. წიგნი I. ტექსტები VIII-X საუკუნეები. საეკლესიო მუზეუმის გამოცემა №16. 1913.
3. ფარულავა 1991 – ფარულავა გ. ქრისტიანული ანთროპოლოგიის ძირითადი პრინციპები. „ხელოვნება“, №1-2, 1991.
4. წმიდა იოანე დამასკელი, მართლმადიდებელი სარწმუნოების ზედმინევნითი გადმოცემა. გამოსაცემად მოამზადეს რ. მიმინოშვილმა და მ. რაფაელმ, თბილისი, 2000.
5. წმიდა იოანე ოქროპირი. „განმარტებად მათეს სახარებისაა“. । ტ. თბილისი, 1996.

ქეთევან სამადაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტურა
ხელმძღვანელი: პროფესორი თამარ პაიჭაძე

აითოლოგიური აღუზიები ლია სტურუას შეგრძელების რომანი „რამ შეჰავა ვენახი?“

„რამ შეჰავა ვენახი“ ლია სტურუას პირველი პროზაული ნაწარმოებია – საინტერესოა, როგორ წარმოჩინდება პოეტის სათქმელი პროზით. ავტორი ასახავს თანამედროვეობის ტყუილ-მართალს, ოთხმოცდაათიანი წლების ქართულ მძიმე ყოფას, კაცობრიობის ზეპირსიტყვიერებით გადმოცემული ტყუილ-მართლისგან გაუმიჯნავად.

ნაწარმოები იწყება შემდეგი სიტყვებით: „ძალიან მკვრივი უკუნეთი დგას გარშემო, ისეთი, როცა ბნელ ოთახში შავი კატა უნდა იპოვო, რომელიც იქ არ არის“. მითოლოგიურმა პერსონაჟებმაც „საუკუნეები გამოიარეს სინათლის სისწრაფით და ისევ, იმ უხსოვარ სიბნელეში მოხვდნენ“. აბზაც-აბზაც უკუნეთი კიდევ უფრო მკვრივდება, მეტიც, მისგან თავის დაღწევის გზაც კი არსად ჩანს. ბნელში შავი კატის ძიება კი იმედის ძებნას უფრო ჰგავს.

რომანი გვიხატავს რიგითი ადამიანის აღქმულ საქართველოს უახლეს ისტორიას (დაიწერა 1994–2000 წლებში) – „ქუჩაში კოცონები ანთია. ხალხი პურის რიგში დგას. ოლროჩოლრო ასფალტი მყრალი გუბეებითაა სავსე“. იგი შეგრძნებებისა და ცნობიერების ნაკადის ერთგვარი ნაზავია: „ქაოსი, გაუთავებელი ქაოსი. დრო, სივრცე, ადამიანები, ერთმანეთში ათქვეფილი და აზელილი, ამირანი, პრომეთე, მე, ამირან დარეჯანის-ძე, დალი, ყამარი“. მიუხედავად გამეფებული ქაოსისა, ისეთი პრობლემების განხილვის კვალდაკვალ, როგორებიცაა, მაგალითად, „ფილოლოგის დასკდომა და დაბზარვა უპატრონო სახლივით“, ნირნამხდარი საუბრები, ზერელობა და პირობითობა, შუშის გაელვება ნაცნობ თვალებში – შეცბუნება. რომანს ფონად გასდევს ჩაის სმის მშვიდი რიტუალი – საშუალება, რამდენიმე წუთით თავი დააღწიო რეალობის უკუნს და სასურველ სამყაროში გადაინაცვლო. მეტიც, ჩაის სვამენ ის პერსონაჟებიც, რომლებიც ირეალობიდან გადმოდიან რეალობაში. შეიძლება ითქვას, რომ ეს ყოველდღიური სასმელი მაგით აღიჭურვება და ხელს უწყობს წარმოსახვებსა და სასურველში ბოდიალს. მას „ძველებური გამჭვირვალე ფინჯანით“ მიირთმევენ და „არასოდეს – დიდი და უხეში თიხის ჭიქით, რომლის კედლებზეც შეიძლება აკანკალებული ხელები გაითბო“. რომანში პირველად სწორედ ერთი რიგითი ლიმოჟის ფაიფურის ჭიქის მსხვრევის ხმა ამოატივ-ტივებს მკითხველის მეხსიერებაში „სპილოს ძვლის კოშკის“ მიუწვდომლობის ამბებს. პერსონაჟი კი ცრემლებს ვერ ერევა, რადგან რთულია, აუხსნა ადამიანებს, რომ „არ ვარგიხარ ცხოვრებისათვის“ იმ სამყაროს გარეშე, რომელსაც უბრალო ნივთი იტევს. ამ შემთხვევაში ჩაი და ფინჯანი ერთი მთლიანობაა, ჯადოსნური სითხე გამჭვირვალე ფინჯანიდან საამო სურნელს აფრქვევს, საამო სითბოს ასხივებს მზის არეკვლის გარეშეც კი...

„სპილოს ძვლის კოშკი“ მიზანია ყველა ზღაპარსა და ამბავში, რომელსაც მხოლოდ სიტყვისკაცები აღნევენ; „სპილოს ძვლის კოშკი“ ყოველთვის ინახავს განსაკუთრებულ საიდუმლოს, რომელთა გამუღაწებასაც აუცილებლობა განაპირობებს; ის იფარავს ქალწულს ავი თვალისებან, მზის სხივების-გან, მისი დაქცევაც აუცილებლობაა, რადგან ზეცამდე აზიდულ მიწიერს ისევ მიწა მოითხოვს. „სპილოს ძვლის კოშკი“ ყოველდღიურობაშიც იმსხვრევა, როგორც ჩაის ფინჯანი. მას მერე, რაც რომანის პერსონაჟი შეხვდება თავის მეორე მეებს, მარტოსულებსა და დროისაგან მოძველებულებს, ნამსხვრევებთან დარბრუნებული აღმოაჩენს, რომ „კიდევ უფრო ახლოს თუ მიხვალ, ადამიანების ტანებს გაარჩევ, ერთმანეთში გადაგრეხილს, ხორცების შენრყმის თუ შურისძიების ვნებიან ყმუილს“.

რომანის მთავარი პერსონაჟის წარმოსახვებში, ჩვენებებსა და რეალობაშიც ერთმანეთს ერწყმიან გამჭვირვალებული გამჭვირვალე წითელმიანი ქალები და რადიკულიტიანი ცხენკაცები, გაბე-

დული დედალოსი და თავნება იკაროსი, ცეცხლოვანი ვნებებით აღვსილი ზევსი და სხვა მრავალი მი-
თოსური პერსონაჟი;

მათ შორისაა „ამბავი ქალის, რომელიც გაათხოვეს სიმდიდრისგან გიშერივით ელვარე კაცზე, მას კი თეთრი ცხენკაცი უყვარდა“. ცხენები, კენტავრივით ტკივილებს რომ იგროვებდა და ბოლოს „იმდენი ტკივილი დაუგროვდა იმ ადგილას, სადაც მისი ტანი ცხენს უერთდებოდა, რომ წელში მოი-
სარა“. უნებლიერ გვახსენდება ლია სტურუას ლექსი „ჩემიანები“: „აი, ამ ხალხს მე ჩემიანებს ვეძახი, წელში ოდნავ წახრილებს და მხრებანურულებს... ისინი ღამის მქრქალი პეპლებივით შეუმჩნეველი რჩებიან საკონცერტო დარბაზის სიჭრელეში“... მათს მოხრილ მხრებს კი ყოველთვის არასწორად აღიქვამენ ისინი, ვისაც ძალუძს „ტალახი გიშრად აქციოს“, ტალახი, რომელიც „ვერასოდეს განიწონის მზეს“.

ანმყოს მოქალაქეა ცხენკაცი, მას უკვე რადიკულიტის დიაგნოზს უსვამენ. სინამდვილეში კი იმ დაკარგული სიყვარულის დარდი ანევს მხრებზე, ჩიტების ცხოვრებას რომ ჰგავს. იგი „ზოგჯერ სი-
ზიფესავით იხსნის“ სიმძიმეს, თუმცა მიტოვებულ ტვირთს ერთი თვისება აქვს, კიდევ უფრო მძიმ-
დება მერე, მხრებიც კიდევ უფრო იხრება მიწისკენ, ანუ იქით, სადაც დაბრუნება უცილებელი ჭეშმა-
რიტებაა.

რომანის პერსონაჟს საკუთარი „ტყავი-ციხე, სახლი-ციხე, ქალაქი-ციხე“ აქვს. გამომწვევი და
ალმაცერი, კაცი ხარ და დაარღვიე, ძალა გერჩის და დაქციე... ჩაკეტილი უცხოთათვის - გაულნევე-
ლი ჩამწყვდეულისთვის. იგი ეხმიანება სურამის ციხის ამბავს და შეგვახსენებს, რომ ხორციდან თავ-
დახსნის ზედმეტი მცდელობის შემთხვევაში „კედელში ჩაგატანენ და უფრო მყარი გახდება შენი ჩა-
კეტილობა“. მოულოდნელად ჩნდება კითხვა: „ჰქონდა თუ არა მას, ზურაბს, არჩევანის საშუალება?“
ირჩევენ თუ არა სიცოცხლეში, ანუ ხორცში შესული ადამიანები თავიანთ გზებს, თუ გზებიც ისეთი-
ვე პირობითობაა, როგორც „გულსუნადინოდ სიკვდილი“. პასუხი კი მხოლოდ ერთია, ყოფილ-არყო-
ფილიდან ამოძახილი: „ვაიმე, დედა, მუხლამდი... მკერდამდი... ყელამდი...“

რომანში ყმუის არა მხოლოდ ხორციელი ტკივილი, არამედ ფერები – მკვეთრი და თვალისმომ-
ჭრელი, აქა-იქ რომ გაკვეთს მრუმეს და ამძაფრებს თხრობის დინამიკურობას: „კაენის საფლავს უან-
გისფერი ფუფხი მოედო“, „გარგარისფერი ძალი“, „ნარინჯისფერი პეპლების ხვატი“... ეს ფერები,
თითქოს, დათრგუნული მზის სხივების ათასგვარობას მოგვაგონებს მხოლოდ ბებიების დროინდელი
ხალიჩების სიჭრელეს რომ შემორჩნია.

ნაწარმოებში ძირითადად მაინც „ცეცხლის, სინათლისა და მზის“ ამბების მთხოობელი ამირანი
და მზე-ქალი ყამარი „ქსოვენ აბდაუბდას უამრავი მითისგან“. ისინი წინარექრისტიანული ხანიდან
გუშინდელი დღესავით გადმოდიან დღევანდელობაში და ორგანულად ერწყმიან თანამედროვეობას;
იქნებ ნიშნად იმისა, რომ „ჩვენ ყველას გვიკეთია ნიღბები და ეს ერთი სახეა ნამდვილი,“ რომ ყველა-
ნი ნებით თუ უნებლიერ ვიმეორებთ მათ, ვინც ერთხელ უკვე ააშენა, ვინც ერთხელ უკვე სცოდა,
მოკლა და შობა... ესე იგი, საშუალება მისცა უზარმაზარ ბურთს განეგრძო წრეზე ტრიალი, რაც გუ-
ლისმობას საწყისთან დაბრუნებას, იმავეს გამეორებას, რაც იყო.

მაშინ, როდესაც იმდენად ტკბილ ჩაის სვამს რომანის პერსონაჟი, რომ ტანში ურუანტელი და-
უვლის, ურუანტელის ბოლოს კარზე დააკაკუნებენ და მის წინ „მთის ნაგლეჯივით კაცი“ აიმართება.
კაცს „მკერდზე და მხრებზე ბალახი ეზრდება.“ ჩაის საღამოს მშვიდი საუბარი ყველაზე მეტად უხ-
დება, ამირანის ამბებში კი „ცეცხლი, სინათლე და მზე აუცილებლად მონაწილეობენ,“ მთაკაცი ყვება
იმ სტიქიის ამბებს, რომელიც ეკლდა პერსონაჟის მუქ დღეებს, დამთავრებული სამოქალაქო ომის
ნანგრევებს, უიმედობას... იგი უნებურად, წინააღმდეგობის გარეშე, სახლდება მითოსში, სადაც უფ-
რო მეტი სუფთა ჰაერია და ამირანის ნათესავი ხეები შრიალებენ.

აღმოჩნდა, რომ ამირანი უბრალო მეურმის შვილია, „აღზევანს მარილზე წასულს“ კი შემთხვე-
ვით მიუგნია მარილის თვალუნვდენელი კოშკისთვის, კოშკში კი – ქალისთვის, რომელიც მზეობდა,
„გარემოს კი ისეთი ფერი ედო, თითქოს ჩაი ესხა ბროლის ჭიქაში. ცხელი, ქაფქაფა და ისეთი ტკბი-
ლი, ურუანტელი რომ დაგივლის“.

ვინ იყო ყამარი – ამირანის თვალებში საკუთარი თავი რომ დაინახა, მოეწონა, „ეს კაცი კი შე-უყვარდა უსიტყვოდ და დაუფიქრებლად.“ მერე კი ამაოდ ელოდა პირმშოს საყვარელი კაცისგან, მთაკაციც ამაოდ უხნიდა, რომ „კაცს, შეიძლება, ჩვეულებრივი ქალისგან ჰყავდეს შვილი და არა - მზისგან“.

„მშვენიერი და უცოდველი, შაბიამნისფერი“ ვენახის ამბავი სრულდება იქ, სადაც „თვალები იღლება ამდენი სინათლით“ მითოსური ვაჟები და ასულები რომ აშუქებენ. მკითხველი კი ადამიანთა ყოფით „ლამეს, სიგრილესა და სიმშვიდეს“ უბრუნდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ამირანი 1975; ქართული მითოლოგიური ეპოსი – ამირანი; თბილისი, 1975;
2. სტურუა 2013; ლ. სტურუა: რამ შეჭამა ვენახი? თბილისი, 2013;
3. სტურუა 1986; ლ. სტურუა: ლექსები, პოემები; თბილისი, 1986;
4. ჩიქოვანი 1975; მ. ჩიქოვანი: ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია; თბილისი, 1975;
5. ჩიქოვანი 1986; მ. ჩიქოვანი: ხალხური შემოქმედების ისტორიისა და თეორიის საკითხები; თბილისი, 1986.

მარი ტოტიკაშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი თამარ გოგოლაძე

სიყვარული რეალობასა და შემოქმედებაში (ნიკოლოზ ბარათაშვილი)

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე ლიტერატურის ისტორიაში საპატიო და მნიშვნელოვანი ადგილი მიეკუთვნება დიდ ქართველ პოეტს, ნიკოლოზ ბარათაშვილს (1817-1845 წ.), რომელიც, როგორც პავლე ინგოროვა მიიჩნევს, არის ფუძემდებელი ახალი ქართული ლიტერატურისა.

აკაკი განერელია წერს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი დიდი დიაპაზონის შემოქმედია, რომელიც ლირიკულ ლექსებში გვევლინება მსოფლიოს მოქალაქედ, ფილოსოფიურად მოაზროვნე პოეტად, რომელსაც ბიოგრაფიული მომენტებით ნაკვები სულიერი განწყობილებანი ფართო განზოგადოებამდე აჰყავს და ანიჭებს მათ ზოგადკაცობრიული პრობლემების ხასიათს. პოეტის ცხოვრებასა და პოეზიაში ერთ-ერთი ასეთი ძირითადი საკითხია სიყვარულის პრობლემა.

სამწუხაროდ, ჩვენთვის ნაკლებად ცნობილია პოეტის პირადი ცხოვრების შესახებ, რადგან პოეტის პირველი ბიოგრაფები და მემუარისტები უგულისყუროდ მოეკიდნენ პოეტის პირად ცხოვრებას და, თუკი შეჰქებიან მას, მხოლოდ ზოგადი ფრაზებით შემოფარგლულან. ჩვენი მიზანია ბარათაშვილის საარქივო მასალებისა და ლიტერატურათმცოდნების ნააზრევის (კ. აპაშიძე, ა. განერელია, პ. ინგოროვა, ი. ბალახაშვილი) საფუძველზე ვაჩვენოთ მისი სიყვარულის ისტორიის პერიპეტიები და მათი რეტროსპექტია პოეტის შემოქმედებაში.

წინამდებარე სტატიაში ვეცდებით მიმოვიხილოთ მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეთა ნააზრევი და მათი ჩვენეული შეფასება. საარქივო მასალებზე მუშაობა კი შემდგომი კვლევის საგანია.

საბედნიეროდ, პოეტის პირადი მსოფლიო ჩვენთვის მაინც არ არის სრულად დაფარული. ჩვენ ნ. ბარათაშვილის სულიერ სამყაროზე და პირად ცხოვრებაზე მეტს გავიგებთ, თუ პოეტის შემოქმედებას გულისყურით გადავხედავთ. ბარათაშვილის ლირიკულ ლექსებში და, ნაწილობრივ, მის წერილებში, მოცემულია უფრო მართალი და სრული, მღელვარებით აღსავსე ისტორია ნ. ბარათაშვილის სულიერი ცხოვრებისა, ვიდრე ამას მისი ბიოგრაფების უფერულ, გაუპიროვნებელ ქრონიკაში ამოვიკითხავთ.

ნ. ბარათაშვილს, ტატოს, როგორც მას ეძახდნენ შინაურები და მეგობრები, დიდი დაღი დაასვა ფიზიკურმა ტრავმამ, რომელიც მიიღო გიმნაზიაში ყოფნის დროს. სადღაც, ალბათ, მას ჰქონდა კიდეც არასრულფასოვნების შეგრძნებაც, რასაც ფარავდა მახვილგონივრული იუმორით, ამიტომაც მისი ქალებთან დამოკიდებულება ორაზროვან იერს იღებდა და საპასუხო გრძნობაც არცთუ იშვიათად უბრუნდებოდა პოეტს.

ბარათაშვილის ცხოვრებაში, მიუხედავად ზემოთ თქმულისა, ბევრი მშვენიერნი ბანოვანნი აღმოჩენილან, რაზედაც საინტერესოდ მოგვითხრობს მისი თანამედროვენი თუ გვიანდელი პერიოდის მკვლევარნი.

პოეტის ცხოვრებაში, თუ მხედველობაში მივიღებთ მის თანამედროვეთა მოგონებებს, სულ ოთხი ქალი ყოფილა, რომელთა მიმართ გრძნობები აისახა კიდეც მის შემოქმედებასა თუ პირად წერილებში.

ახლა კი ქრონოლოგიურად მივყვეთ პოეტის რომანულ ეპიზოდებს.

აკაკი განერელიას ინფორმაციით, „ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ მას უყვარდა ვინმე ნ. ო-ს (ორბელიანი?) ქალი; პოეტის პირველი გატაცების შესახებ მოიპოვება ცნობა ლევან მელიქიშვილისა, რომელიც 1846 წელს ბარათაშვილის გარდაცვალების გამო გრ. ორბელიანს სწერდა: „არ ვიცი, იცი თუ არა, რომ პირველი სიყვარული საწყალისა იყო ნინო. არც ის ვიცი, იცი

თუ არა, რომელი ნინო იყო“. თვითონ ნ. ბარათაშვილის წერილებში ამ ნინოს შესახებ პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება. ფიქრობენ, რომ მას გულისხმობს წერილში გრ. ორბელიანისადმი 1837 წ. თებერვლის თარიღით. აი სათანადო ადგილიც: „ამ წარსულს ზაფხულში (ე.ი. 1836 წელს, ა. გ.), ერთს მშუენიერს, მთვარიანს ღამეში, ყაბახზედ დავიარებოდი, სადაც მისმან შუენებამ, სატრფოთ მარაქამ, მათმან უწინდელებრ კიდევ დარდიმანდობამ სრულიად განატკბეს სახედუელი, აღმიტაცეს ფიქრი, წამიღეს გონიერა“!.. (ა. განერელია, 1947:92-93). წერილში პოეტი ასევე წერს: „ერთმა საგანმა პირველ დამასო გულს კაეშანიო“. როგორც ა. განერელია მიიჩნევს, რადგან პოეტი ყაბახზე ნახული ქალის შესახებ ამბობს – „პირველ დამასო გულს კაეშანიო“, – ხოლო მელიქიშვილის ცნობის მიხედვით პოეტის „პირველი სიყვარული იყო ნინო“ – ერთგვარი საფუძველი ეძლევა მათი იდენტიფიკაციისა. 1836 წელს არის დაწერილი აგრეთვე „ღამე ყაბახზე“, რომელიც გადმოგვცემს საუბარს პოეტსა და ჩვენთვის უცნობ თეთრკაბიან ქალს შორის:

„და ასე ვუთხარ: „ნეტარ მე რომ მელირსა კვალად
სანატრი ჩემთვის ნახვა თქვენი ან მხიარულად!“
„გმადლობთ, – მითხრა მან, – რომ თქვენ მაინც გახსოვართ კიდევ;
ახლა მოდაა, ვინც ვის იცნობს ივიწყებს ისევ!“.
„დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვერც მოდები
ვერ მამიშლიან თქვენსა ხსოვნას და ვერც დროები“.

სწორედ ეს დიალოგი ცხადყოფს, რომ ტატოს ნაცნობობა ამ ქალთან უფრო ადრინდელი უნდა ყოფილიყო. ლექსი მიძღვნილია უშუალოდ ერთი კონკრეტული ქალისადმი, სადაც პოეტი რეალისტურად გვიხატავს ჩვენთვის უცნობ ქალს. ხალი, ბუდეშური ფეხები, ვარდისფერი ღაწვები, თეთრკაბიანი – ამ სიტყვებით აღწერს ტატო სატრფოს.

პავლე ინგოროვა წერდა, რომ პოეტის პირველი სიყვარული უფრო ყმაწვილური გატაცება იყო, ვიდრე გამტანი და ღრმა გრძნობა. მართლაც, ეს სიყვარული დიდხანს არ გაგრძელებულა და უკვე მეორედ პოეტის ცხოვრებაში ჩნდება ახალი გატაცება. იონა მეუნარგიასთან დაცულია ინფორმაცია, რომ პოეტის მეორე სიყვარული იყო ფრანგის ქალი დელფინა ლაბიელ. ამასთან დაკავშირებით იონა მეუნარგია აღნიშნავს, რომ ნ. ბარათაშვილმა დელფინას უძღვნაო ლექსი „ჩემს ვარსკვლავს“. იმას, რომ ეს გადმოცემა ნამდვილად სიმართლეს შეესაბამება, ჩვენ ამოვიცნობთ, როდესაც დაკვირვებულის თვალით გადავიკითხავთ ნ. ბარათაშვილის მიმოწერას მიხეილ თუმანიშვილთან. პოეტმა მას ასევე უძღვნა ლექსი „სტრე“, რომელიც როგორც თვითონ განმარტავს მთიებს ნიშნავს.

ლექსში „ჩემს ვარსკვლავს“ პოეტი სატრფოს მალხინებელს და ნათელს უწოდებს:

„რა სახითაც გინდა შენ მე მეჩვენო,
მაინც გიცნობ, მშვენიერის ცის მთენო;
ნათელი ხარ შენ ნათელის სულისა,
მალხინებელ დაბინდულის გულისა!“

„ვინ იყო ეს ვარსკვლავი – ასტრა-დელფინა, რომელსაც ჰკუთვნებია ახალგაზრდა ბარათაშვილის სიყვარული და რომელსაც შთაუგონებია ჩვენი პოეტისათვის ეს ლექსები: „ჩემს ვარსკვლავს“ და „ასტრა?“ ამის შესახებ ჩვენ ცოტა ვიცით. იგი, როგორც მოვიხსენეთ, ფრანგის ქალი ყოფილა. იგი არ ეკუთვნოდა წარმოშობით იმ არისტოკრატიულ წრეს, საიდანაც იყო ბარათაშვილი. გადმოგვცემენ, რომ დელფინა იყომ კონდიტერის ქალი, ისევე როგორც რაფაელის ფორნარინა“ (პ. ინგოროვა, 1963: 302).

ახლა კი შვჩერდეთ ღრმა და ტრაგიკულ რომანზე ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ეკატერინე ჭავჭავაძისა, რამაც, როგორც ირკვევა, დიდი გავლენა იქონია პოეტის შემოქმედებაზე.

როგორც ცნობილია, 6. ბარათაშვილი და ეკ. ჭავჭავაძე ბავშვობიდანვე თანაშეზრდილნი იყვნენ და მათ ახლო მეგობრობა აერთიანებდათ, თუმცა პოეტის ეს ბავშვური მეგობრობის გრძნობა ეკატერინესადმი შემდეგ სიყვარულით შეცვლილა.

ბარათაშვილი გატაცებული რომ იყო ეკატერინეთი, ამის შესახებ შემონახულა ცნობა პოეტის მეგობრის ლევან მელიქიშვილისა, რომელსაც უამბია იონა მეუნარგიასთვის, თუ როგორ დაწერა ბარათაშვილმა ლექსი „საყურე“. ამ ლექსში ბარათაშვილისთვის დამახასიათებელი მოკრძალებული გრძნობა სიყვარულისა, ინტიმური გრძნობის ელფერს იძენს და მთელი სისავსით გადმოგვცემს, თუ როგორ აღტაცებაში მოიყვანა ტატო ეკატერინეს საყურის თამაშმა:

„ვითა პეპელა
არხევს ნელნელა
სპეტაკს შრომანას, ლამაზად ახრილს,
ასე საყურე,
უცხო საყურე,
ეთამაშება თავისსა აჩრდილს.
ნეტავი იმას,
ვინც თავისს სუნთქვას
შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს!“

„ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით ეკატერინე სერიოზულად თუ უცქეროდა ახალგაზრდა პოეტის გატაცებას. მაგრამ ნიშანდობლივი გარემოებაა, რომ 1839 წლის შემდეგ 6. ბარათაშვილს მისთვის არც ერთი ლექსი არ მიუძღვნია. ერთი კი უეჭველია: არც ერთ ქართველ ქალს არ შთაუგონებია ჩვენი პოეტისთვის იმდენი შესანიშნავი ლექსი, რამდენადაც ეკატერინეს. 6. ბარათაშვილი მას თავისი მუზის წყაროდ სთვლიდა და ეკატერინეც დიდად აფასებდა ახალგაზრდა მიჯნურის ბრნყინვალე ნიჭს, მუდამ თან დაპქონდა პოეტის ხელნაწერი კრებულები“. (ა. განერელია, 1947: 98-99). 1841 წლის ბოლოს მომხდარა განხეთქილება ეკატერინესა და ბარათაშვილს შორის. ერთ წერილში, რომელიც, როგორც ირკვევა, ეკატერინეს ეხება, პოეტი შემდეგს წერს ეკატერინეს შესახებ: „ვინც მაღალის გრძნობის მქონი მეგონა, იგი ვნახე უგულო... ვისიცა ცრემლნი მეგონებიდნენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი მცდიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა“.... ალბათ, ამის გამოხატულება უნდა იყოს ბარათაშვილის ცნობილი ლექსი „რად ჰყვედრი კაცსა“..., რომელშიც პოეტი პასუხობს ბანოვანთა საყვედურს:

„რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო, პირუმტკიცობას?
თუ ემდური შენ ტრფიალისა ცვალებადს გრძნობას,
რომ არ გემსჭვალვის საუკუნო ტრფიალებითა?
ჰგავს, არ პასუხს სცემ შენ მას სულით მშვენიერითა“.

ისინი 1842 წელს შერიგებულან. როგორც პავლე ინგოროვა წერს, 1839 წელს ეკატერინე გაათხოვეს სამეგრელოს მთავარ დავითზე. „გარეგნულად ბრნყინვალე ქორწინება, სინამდვილეში არ ყოფილა ბედნიერი. შემონახულა თანამედროვეს ცნობა, რომ ქორწინების დროს სევდა-შემოყრილ ეკატერინეს გული შესწუხებია, რასაც საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოუწვევია“ (პ. ინგოროვა, 1975: 69). შეყვარებულმა ტატომ მას უძღვნა: „თავადის ჭავჭავაძის ასულს ეკატერინას“, „საყურე“ და „[ეკატერინა], ფორტეპიანოზე ზედ მომღერალი“.

პოეტის ცნობილ და ნაკლებად ცნობილ სასიყვარულო ურთიერთობათაგან, არსებობს კიდევ ერთი, საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი სატრფიალო ეპიზოდი, რომელიც უკავშირდება პოეტის ნახტევანში ყოფნას. როგორც ცნობილია, პოეტი განჯაში მალარიით გარდაიცვალა. თუმცა არსებობს მეორე დაუდასტურებელი ვერსია, რომ პოეტს ნახიჩევანის ბეგის მეუღლესთან ჰქონდა რომანი, რასაც შეენირა კიდეც – შეურაცხყოფილმა ბეგმა პოეტი მოაწამვლინა. ამ ვერსიას ქართველი მკვლევარები ვერც ადასტურებულ და ვერც უარყოფენ, თუმცა ის, რომ პოეტი განჯაში ახალგაზრდა ქალით იყო გატაცებული დადასტურებული ფაქტია. ცნობილია ბარათაშვილის წერილი მაიკო ორბელიანისადმი, სადაც წერს, რომ ნახიჩევანში ერთი ახალი ლექსია, თვრამეტი წლის ქალის ნათქვამი, რომელსაც სახელად გონჩა-ბეგუმ ჰქვიაო. იგი ხანის ქალია, ძალიან ლამაზი და მარილიანია, საწყალი დამწვარია ქმრისგან, ახლა იმასთან აღარ არის და ცდილობს, რომ გაუშოსო. „პოეტმა თანაუგრძნო ხანის სულის სულიერ ტკივილებს და ყველანაირად ცდილობდა დაეცვა იგი დესპოტი ქმრის რისხვისგან. დახმარებისთვის ლევან მელიქიშვილისთვის მიუმართავს, დახმარებოდა მათ განქორნინებაში. მელიქიშვილი ამის გამო წერდა მაიკო ორბელიანს: „ტატო დღე და ღამე იხვენება, თუ ღმერთი გნამს გააშვებინე ქმარიო, მე, როგორც დამჯდარი კაცი, არა ვშვრები“ (ი. ბალახაშვილი, 1967: 309). მაიკო დაინტერესებულა ამ ამბით და გონჩა-ბეგუმი თავისი ძმობილის სატრფოდ თუ არა, გატაცებად მაიც მიუჩნევია. ამის უარყოფას ცდილობს ბარათაშვილი, როდესაც წერს: „საყვარელო დაო, მაიკო! დიდად ვწუხვარ, რომ ვერ გამოიცან ჩვენი მოქმედება. მე კიდევ შევარიგე ცოლ-ქმარი“. როგორც ი. ბალახაშვილი მიუთითებს, სწორებ გონჩა-ბეგუმს ეძღვნება ბარათაშვილის ლექსი „მადლი შენს გამჩენს“:

„მადლი შენს გამჩენს ლამაზო, ქალო შავთვალებიანო,
დღისით მზევ, ღამემ თოვარევ, წყნარო და ამოდხმიანო!
შენის ლოდინით ვსულდეგმულვარ, თაყვანს ვსცემ შენსა სახელსა;
დედისერთა ვარ, ნუ მამკლავ, ნუ დამანანებ სოფელსა!“

ლექსში აშკარად იგრძნობა, რომ პოეტი გამიჯნურებია უცნობ ქალს. აღნერილია ამ ქალის გარეგნულ სილამაზეც, რომლითაც ასე გატაცებულა ახალგაზრდა ტატო. ლექსი ღირებულია როგორც ლიტერატურულად, ისე შინაარსობრივად, რადგან მან შემოგვინახა ავტორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასიყვარულო ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან.

ასეთია ბიოგრაფიული ცნობები ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანული ისტორიის შესახებ, თუმცა „თვით სიყვარულის ფილოსოფიურ ასპექტში ახსნა პოეტმა მოგვცა არა იმ ლექსებში, რომელიც მისი სიყვარულის უშუალო „საგნებისადმია“ მიძღვნილი, არამედ სხვა რიგის ლექსებში“ (ა. განქორელია 1947: 99). „ღამე ყაბახზე“ ჯერ კიდევ რეალისტურად გვიხატავს ჩვენთვის უცნობ ქალს. ეკატერინესადმი მიძღვნილ ლექსებში აღნერილია „უუუუნა თვალნი“, „პანაწინა ტუჩინი“, „ნაფურცვლი ღანვნი“ და ბოლოს „საყურე“, რომელიც მომავალი დედოფლის სახეზე თავისივე ჩრდილს ეთამაშება. მაშასადამე, როგორც ა. განქორელია წერს ნ. ბარათაშვილის იმ ლექსებში, რომელთა ადრესატები ცნობილია, ჩვენ საქმე გვაქვს განწყობილების მატერიალიზაციასთან, რასაკვირველია, კეთილშობილი და ამაღლებული ფორმით. სხვაგვარია ძირითადი ტონუსი ლექსებისა, რომლებშიაც სიყვარული ფილოსოფიური განსჯის ობიექტად არის გადაქცეული. მან ეს გრძნობა გააპეროვნა, რაღაც უცნაურ და უხილავ მეტაფიზიკურ, წმინდა იდეალურ საგნად გადააქცია. იგი უგალობს სიყვარულში მას, რაც კი რამა აქვს ამ გრძნობას იდეალური, ღვთაებრივი, უზენაესი და უკვდავი. მართალია, ბართაშვილი ხანდახან იმ სიყვარულსაც დამღერის, რომელიც ქართულმა ლიტერატურამ აღმოსავლური კულტურის ზეგავლენით შეითვისა და რომელიც „მგრძნობელობას“ სიყვარულისას, მის ხორციელ მხარეს შეეხება, მაგრამ ამასაც რაღაც უცნაური, ზეციური, არა-მიწიერი ფერი მისცა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის აზრით, სიყვარული არის უმაღლესი ნიჭი, რომელიც ჩვენგან და-მოუკიდებელი სუბსტანციის სახით არსებობს ადამიანში. სიყვარულის ხანგრძლივობა დამოკიდე-ბულია არა ფიზიკური ღირსებების პატივისცემაზე, არამედ, უწინარესად, ორი არსების სულიერ ნათესაობაზე. ადამიანში, როგორც ღვთაების ნაწილში, სიყვარულის აბსოლუტური და „საუკუნო მადლი“ შეიძლება ზოგჯერ ღროებით განხორციელდეს, მაგრამ ეს არ უარყოფს თვითონ სიყვა-რულის, როგორც სულის უმაღლესი პოტენციის არსებობას. ასეთია სიყვარულის გაგება ბარა-თაშვილის პოეზიაში და ყველაზე თვალსაჩინოდ იგი გამოთქმულია ლექსში: „რად ჰყვედრი“... სიყვა-რულის გრძნობის წინაშე 6. ბარათაშვილი თავს „უენო მსხვერპლად“ გრძნობდა და ამბობდა:

„არ უკიშინო სატრფოო, შენსა მგოსანსა გულისთქმა
მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდათა გრძნობათ გამოთქმა“.

ახალ ქართულ პოეზიაში არავის მოუცია სიყვარულის ასეთი ახსნა, გაშლილი, ღრმა და ფილო-სოფიური მსჯელობის ფორმებში. 6. ბარათაშვილის ლირიკაში სატრფო იქცევა იმ ღვთაებრივ ჩვე-ნებად, რომლისადმი აღვლენილი ლოცვის თასს პოეტის გული წარმოადგენს:

„შევიშრობ ცრემლსა, ჭირთ მანელებელს,
გულსა დავიწვავ დასანაცრებელს
და მისსა ფერფლსა, ვითა საკმეველს,
შევჰსნირავ სატრფოს, ჩემსა სალოცველს!“

ეს არის სატრფოს სახის აყვანა უმაღლეს ინსტანციაში, სადაც ადგილი რჩება მხოლოდ ღა-ღადისა. 6. ბარათაშვილის ეს ლექსი სიყვარულის რომანტიკული გაგების საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს როგორც ქართულ, ისე მსოფლიო პოეზიაში.

„ძნელად თუ ვისმე უგრძვნია თავის დღეში ასე ძლიერად, ასე საოცრად ესოდენ მაღალი გრძნობა, უბრალო მომაკვდავთათვის ძნელად გასაგები და ძნელად მისახვედრი; იშვიათად თუ ვისმე დაუღვრია ასეთი წრფელი ცრემლი სიყვარულის ტაძრის წინაშე და არავის ხომ გული არ დაუწვავს და ნაცრად არ უქცევია სიყვარულის საკურთხეველზე. ეს მოიმოქმედა იმ კაცმა, რომელ-საც თავის დღეში არ ღირსებია სატრფოსგან ტეპილი სიტყვა“ (აბაშიძე, 1962; გვ.73). ეს კაცი ყვე-ლასგან გათელილი, თვალზე ცრემლებით და სევდით აღსავსე გულით, გაუბედავი ხელით გრძნო-ბათა უკვდავების საგალობელ ფსალმუნებს ამზადებდა და სუსტი მაჯებით, შეურყეველ და მტკიცე საძირკველს უგებდა ქართველი ერის პოეზიის უკვდავებას და თავისი უკვდავების და დიდების სამარადისო ძეგლს სჭედდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. განერელია, 1947: განერელია აკაკი, „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, „სახელმწიფო გამომცემლობა“, თბი-ლისი, 1947.
2. ინგოროვა, 1963: ინგოროვა პავლე, თხზულებათა კრებული ტ. კ, „საბჭოთა საქართველო“, თბი-ლისი, 1963.
3. ინგოროვა, 1975: ინგოროვა პავლე, ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელნი, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1975.
4. ბალახაშვილი, 1967: ბალახაშვილი იაკობ, ბარათაშვილის ცხოვრება, „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი, 1967.
5. აბაშიძე, 1962: აბაშიძე კიტა, ეტიუდები X-X საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თსუ, თბილისი, 1962.

ნინო ბუჭუხიშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ბაქალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი თამარ გოგოლაძე

დაცაშაული და სასჯელი (გიორგი თერეთლის „პირველი ნაბიჯი“)

XIX საუკუნე საქართველოში აღინიშნა ურთულესი სოციალ-პოლიტიკური მოვლენებით. ქვეყანამ დაკარგა დამოუკიდებლობა და დაექვემდებარა რუსეთის იმპერიის კანონმდებლობას, რაც შეეხო სასამართლო უწყებასაც. ეს მოვლენები თავისებურად აისახა კიდევაც XIX საუკუნის მეორე ნახევრის რეალისტი მწერლის, გიორგი წერეთლის შემოქმედებაში. ჩვენი მიზანია ნარმოვადგინოთ, როგორ აისახა დანაშაულებრივი ქმედებები და მათი სამართლებრივი სასჯელი „პირველი ნაბიჯის“ ფონზე.

აღნიშნული საკითხის კვლევა-ანალიზამდე ვცადეთ მიმოგვეხილა ჩვენს ხელთ არსებული ლიტერატურათმცოდნეთა (შ. რადიანი, ან. ჭილაძა, ლ. მინაშვილი) ნააზრევი.

შალვა რადიანი მიიჩნევს, რომ გიორგი წერეთლის „პირველ ნაბიჯს“ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი პრობლემატიკა უდევს საფუძვლად. იგი იშველიებს ხომლელის თვალსაზრისს აღნიშნულ ნაწარმოებზე: „ეს რომანი ლიტერატურულად კარგად არის დამუშავებული და გ. წერეთლის ბელეტ-რისტულ ნაწერებს შორის დიდ ბრწყინვალე გვირგვინად უნდა ჩაითვალოს. ჩვენი ცხოვრების თანამედროვე ტიპები – ბახვა ფულავა და იერემია ნარბა ძლიერად, მხატვრული კალმის მოქნევით საუცხოოდ დახატული არიან და მათი სულიერი მოძრაობაც, ცხოვრების კონტრასტებიც მას ზედმინევნით აქვს გადმოცემული. ჩვენმა უკვდავმა ავტორმა აქ გამოიჩინა დიდი ტემპერამენტი და ფსიქოლოგიური სიმართლე. ეს ნაწარმოები ძალიან გვიადვილებს გ. წერეთლის შემოქმედების, ტალანტის გაგებას და შეფასებას“ [ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. IV, 1974: 198-199].

მკვლევარის ძირითადი ყურადღება მახვილდება სოციალური დიფერენციაციის ფონზე განვითარებულ მოვლენებზე, მაგრამ არათერია ნათქვამი იმ საკითხზე, რასაც დანაშაულებრივი ქმედებისაკენ მიჰყავს იერემია ნარბა და ბახვა ფულავა. ასევე ნახსენებია მექრთამე ბოქაული ჯგირიკოჩა, სოფლის გაიძვერა ადვოკატი წუნკალა და სივილა.

მკვლევარი ანდრო ჭილაძა, განიხილავს რა გიორგი წერეთლის „პირველ ნაბიჯს“, ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ „პირველი ნაბიჯის“ არქიტექტონიკა სიუჟეტურად სამ ნაწილს მოიცავს: 1. ბახვა ფულავას თავგადასავალი, რომლითაც გადმოცემულია აღმავალი ქართველი ბურუჟაზის ცხოვრების ისტორია; 2. იერემია ნარბას ცხოვრება, რითაც ნაჩვენებია ჩვენი თავადაზნაურობის გადაგვარებულობა, დაცემულობა; 3. გარყვნილ ვალიდას, პოლკოვნიკ ლებოვისა და სხვა სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთა ოჯახების აღვირასასილი ცხოვრების ჩვენება.

ძირითადი ამბის სიუჟეტურ განვითარებას, მხატვრულ შესისხლხორცებას, ბახვა ფულავას ცხოვრებისა და მოქმედების ისტორიის მხატვრულ ჩვენებას თან ახლავს ქართველი თავადაზნაურობის დაცემისა და მეფის რუსეთის მოხელეების გახრნის გამომსახველი სურათები“ [ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია ტ. II, 2010: 167], მაგრამ გამოკვლევაში რატომლაც ნაკლებადაა გამოკვეთილი რომანში ნარმოდგენილ დანაშაულებზე, სამართლებრივი რეაგირების იურიდიული საფუძვლები.

მკვლევარ ლადო მინაშვილის აზრით, ბახვა ფულავას მაქინატორულ ბუნებას ერთგვარ ნათელს ფენს მისი სიყვარული ესმასადმი და, როცა ესმა მსხვერპლი ხდება ზნედაცემული იერემია ნარბასი, „იგი ცოცხლობს ერთადერთი მიზნით, შურისძიების მიზნით, დამნაშავის საკადრისად დასჯის მიზნით, მაგრამ, როცა დაინახა, რომ ქვეყნად არ არის სამართალი, რომ ადამიანს არ იცავს არც კანონი და არც სახელმწიფო, რომ ისინი დამნაშავეს იფარავენ და უზნეობას ამრავლებენ, მაშინ თვითონ დგება შურისგების ალსასრულებლად. დაქირავებული მკვლელის დახმარებით თვითონაც ფერდში ხანჯლის ჩაცემით ისე კლავს იერემიას, როგორც მან ესმა მოკლა და კმაყოფილი ბარდება

პოლიციას“ [ქართული ლიტერატურა ტ. II, 2013:257]. აშკარაა, მკვლევარი ხაზს უსვამს სწორედ დანაშაულისა და სასჯელის პრობლემას, რაზედაც ვაპირებთ ჩვენს მოკრძალებულ მსჯელობას მოცემული სტატიის ფარგლებში.

„პირველი ნაბიჯი“ გ. ნერეთლის შემოქმედებითი მონიფულობის ხანაში, ოთხმოცდაათიან წლებში დაიწერა და გამოქვეყნდა. ის დაიბეჭდა ლიტერატურულ „ცდაში“, რომელსაც 1989-91 წლებში „ქართულის მწერლობის მოყვარულთა გამოცემა“ აქვეყნებდა ქუთასში [ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია ტ. II, 2010: 166].

ვიდრე გადავიდოდეთ ჩვენთვის საინტერესო საკითხების ირგვლივ მსჯელობაზე, მანამდე უნდა გამოიკვეთოს ერთი ფაქტი: ბახვას ფორმირება და მისი განვირთნა მიმდინარეობს იმ ინჟინერის მეთვალყურეობის ქვეშ, რომელიც თავად ცდილობს არაკანონიერი გზით გაზარდოს ქონება. ბახვა ბაძავს ინჟინერს და სწრაფად იწაფება მაქინაციებში. ამიტომ ფაქტიურად იგი ხედავს ფულის ყოვლისშემძლე ძალას, რასაც ადასტურებს ავტორის მიერ მისთვის შერჩეული გვარიც – ფულავა. ფაქტობრივად, ბახვა იწყებს თავის საქმიანობას „ფულის მოტეხვით“, ასე გროვდება მისი პირველი კაპიტალის ნაწილი, როცა მან პორტში მუშაობით „ათას თუმანს გამოჰკრა ხელი“.

„პირველი ნაბიჯი“ იძლევა თემის გაშლისათვის ფრიად საინტერესო მასალას, რაც გამოიხატება, როგორც სხვადასხვა სახის დანაშაულის, ისე სასამართლო აპარატის მოხელეთა ქმედებებში. დანაშაულებრივი საქმიანობის თვალსაზრისით, ვცადეთ ერთგვარად სისტემაში მოგვეყვანა ის დანაშაულები, რომლებსაც ნაწარმოების პერსონაჟები სჩადიან:

ბახვა ფულავა:

- როდესაც ბახვა პორტის კანტორჩიკად დანიშნა ინჟინერმა, ერთი წლის შემდეგ შეამოწმეს ინჟინერის პორტი და მშენებლობაში დახარჯული ფული სულ უქმად აღმოჩნდა დახარჯული.
- ფულის „მოტეხვა“ მუშებისაგან და ინჟინერის მიერ განეული სამსახურისთვის დასაჩუქრება.
- როცა დღიურს ანგარიშს წერდა ბახვა, მუშების საანგარიშო წიგნში, დღიური მუშები ხანოცი მუშით მეტი გამოჰკრავდა, ხან ოცდაათით, ხან ორმოცით. „სამი თვის მანძილზე ბახვამ ათას თუმანს გამოჰკრა ხელი.“
- სახალხო დღესასწაულზე ბახვასა და ესმას ცეკვის დროს იერემია მივიდა იქ და ატყდა ჩხუბი, რომლის დროსაც ბახვამ იერემია ბარძაყში დაჭრა. ამ დანაშაულის გამო მას დაჭერა ემუქრებოდა, მაგრამ გადარჩა.
- ბახვა ამბობს: „ბატონო დრო მიდის, ჩემთვის ახლა თავისუფლება ისე ძვირფასია, ორი მაგდენიც რომ ეთხოვა, უნდა მეშოვნა, მეტი რა გზა იყო.“

„ერთ დღეს ის წერდა (გამომძიებელს) რაღაც საქმის ქაღალდს, როცა ბახვა მის სამწერლო ოთახში შევიდა და ერთი მუჭა ასმანეთიანები წითელ მაგიდაზე დაულაგა.

- ბახვას მიერ ქრთამის მიცემა ჯგირიკოჩასთვის, თავის გადასარჩევნად.
- ბახვა ციმბირელ ყაჩალს ფულს აძლევს, რომ მან იერემია მიაგნოს და დაუჭიროს, შემდეგ კი მოკლავს. ყაჩალიც დასთანხმდა 300 თუმნად.
- ბახვამ დოკუმენტზე ნოტარიუსს განუცხადა, რომ დამეკარგაო, თუმცა ფული უკვე აღებული ჰქონდა. ამ საქმით ბახვამ განიზრახა ორჯერ ფულის გადახდევინება. როცა სხდომა დაინიშნა და ბახვამ თვით მოითხოვა ხუთასი მანეთის გადახდევინება, მაშინ წარდგა მევალე, წარადგინა კვიტანციები, ნოტარიუსის საბუთები, რომლითაც მტკიცდებოდა, რომ იმ დოკუმენტით ბახვას ფული უკვე მიღებული ჰქონდა.
- იერემიას მოსამსახურეს ბახვამ 50 თუმანი მისცა, რათა იერემიას შესახებ შეეტყო, როდის რას აკეთებდა.
- სამართლის აღსრულების მიზნით ბახვა ჯერ ციმბირელ ყაჩალს აძლევს 300 თუმანს იერემიას მოკვლისათვის და, როცა ის ვერ შეძლებს თვითონ კლავს იერემიას.
- ბახვა მკვლელი [გიორგი წერეთელი ტ. II, 1947:230, 231, 247, 268, 373, 429, 433].

იერემია წარბა:

- „თუ რომელიმე ვაჭარს კონტრაბანდის გამოტანა ენდომებოდა ზღვით, მაშინვე იერემიას მიმართავდა.“
- „ესმას ძალით მოხვია ხელები და მიიზიდა მკერდზე.“
- „— ეგ ის იერემია არ არის, საჯავახოში რომ ღვდლის ოჯახს დაეცა, სახლობა გაუუპატიურა, ოც-და-ხუთი თუმანი წაართვა და ღვდლის ბურსეული ჯიბეში უნახეს?“
- „— თქვენ ეგ უნდა გენახათ ფოთში, დრუჟინაში რომ მსახურობდა! ვითომ მეკონტრაბანდე-ებს სდევდა, მაგრამ პირველი მეკონტრაბანდე ის იყო. ფული ბუირივით ეყარა ჯიბეში.“
- „— შენ ფოთში არ იყავი — უთხრა მეორემ — მაგან რომ ერთ სალდათს ქალი მოსტაცა? ორ თვეს ჰყავდა მერე ისევ უკან მიუბრუნა.“
- „დღეს, 21 ენკენისთვეს 188...წელს იერემია ფირალიძემ მოახდინა ჩხები და უწესობა ახალ-სენაკის დუქანში. რამდენიმე კაცი სულ უბრალოდ დალახა, ამის გამო თვით სადგურზე მოხდა ხმაუ-რობა და ჩოჩქოლი, რომლითაც დაირღვა საზოგადო წესი.“
- „— ბრაზმორეულმა, რომ თავის განზრახვას ვეღარ ასრულებდა, მოისვა ხანჯალზე მარჯვე-ნა ხელი და ჩაკრა გულში ქალს.“
- გიმნაზიის ბავშვებს აიძულებს იერემია, რომ ლათინურის მასწავლებელს ფული მოპარონ.
- „ერთხელ გავარდა ხმა, რომ ს.ზეგანას ერთი მდიდარი მღვდელი ყოფილა, იმას ლამაზი ქალი ჰყოლია, ღვდლის ოჯახი გაუძარცვავთ და ქალი გაუუპატიურებიათო. ავაზაკების მოთავე ყოფილა იერემიან“ [გიორგი წერეთელი ტ. II, 1947:234, 300, 301, 313, 322, 327].

ვალიდა:

- როგორც კი იერემია დაიჭირეს ვალიდამ სივილა დაიბარა, ფული წინასწარ მისცა, ოღონდ იერემია დაეხსნა ამ ხიფათისაგან.
- ვალიდამ სტუმარი დაიბარა თავისთან და იერემიას დახსნის სანაცვლოდ თავის თავი შეს-თავაზა [გიორგი წერეთელი ტ. II, 1947:414, 427-428].

ჯგირკოჩა:

- „— აბა, იცი, რას გეტყვი ბახვა?... თუმცა ძალიან ძნელია, მაგრამ შენი გულისთვის გველის ხვრელში უნდა გავძვრე. საჭიროა ფული. უიმისოთ არა იქნება რა“.
- „ბოქაულმა ეშმაკურად გაიღიმა. იფიქრა, კარგი მოზრდილი ქაშაპია ბადეში შესაგდებიო და როგორც გამოცდილი მეთევზე შეყვა წელ-წელა. ის აპარებდა ბადეს ცალკიდეზე, რადგან დიდი თევზი ეგულებოდა დასაჭერად.“
- „ჯგირკოჩამ რომ ბახვა გაისტუმრა, მერე მივიდა სარკესთან სანთელ-ანთებული, ჩაიხედა შიგ და ჩამოიძახა: „აი ბისმარკის შუბლი!“ – მიიდვა თითო შუბლზე. ხელათ ოცდაათი თუმანი ავსწაპნე“ [გიორგი წერეთელი ტ. II 1947:267,269].

სივილა (იერემიას ადვოკატი):

- „იერემიას ჩვენი ენატარტალა ვექილი აუყვანია. როგორც კი დაუჭერიათ იერემია, მაშინვე სივილა დაუბარებიათ თბილისა, ფული წინ-და-წინ მიუციათ და დაპირებიან გაგაეტებთო, ოღონდ მიეხმარე იერემიას და ამ ხიფათისაგან გამოიხსენიო“.
- „...მე როგორც ვექილს, როგორც დამცველს ყოველის გაჭირვებულისა და დამნაშავისა, არ მწამს დანაშაულობა. თვით სამართალი და კანონი მაძლევს უფლებას დავიცვა ბოროტ-მოქმედი, შე-ვუმსუბუქო სასჯელიო“ [გიორგი წერეთელი ტ. II, 1947: 408,414].

ამ პერიოდის საქართველოში ახალი მმართველობის სათავეში იდგა „საქართველოს მთავარ-სარდალი“, რომელსაც აგრეთვე „მთავარმმართველსაც“ უწოდებდნენ. ამ თანამდებობაზე დანიშნული სამხედრო მოხელე რუსეთის სახელმწიფოს წინაშე თავდაპირველად ქართლ-კახეთის, შემდეგ კი მთელი ამიერკავკასიის ყოველგვარ საქმეებზე უმაღლესი პასუხისმგებელი პირი იყო. მთავარსარ-დლის თანაშემწედ ითვლებოდა „საქართველოს მმართველი“, რომელსაც უმთავრესად სამოქალაქო

მმართველობის საკითხები ეხებოდა. მმართველობა სამოქალაქო საქმეების, სისხლის სამართლის საქმეთა და სახაზინო ქონებათა [საქართველოს ისტორიის ნარკვევი ტ. IV, 1973:827].

XIX საუკუნის 40-50 იან წლებში ნათლად გამომჟღავნდა, რომ ძველი, წოდებრივი სასამართლო ჩამორჩა და აღარ შეესაბამებოდა ახალი დროის მოთხოვნებს.

1861 წლის შემოდგომაზე ალექსანდრე მეორის დავალებით სახელმწიფო კანცელარიის მოხელებმა და ცნობილმა იურისტებმა დაინყეს „ახალი სასამართლო წყობისა და სამართლის ნარმოების ძირითადი დებულებების“ შედგენა. იგი საფუძვლად დაედო ახალი სასამართლოს წესდების პროექტს, რომელიც იმპერატორმა დაამტკიცა 1864 წლის 20 ნოემბერს.

რეფორმამდე სასამართლო მთლიანად მთავრობასა და პოლიციაზე იყო დამოკიდებული. მოსამართლებს მთავრობა ნიშნავდა და გამოძიებაში გადამწყვეტ როლს პოლიციის მოხელეები ასრულებდნენ. ძველ სასამართლოში საქმის ნარმოებას ძალიან აჭიანურებდა ინსტანციების სიმრავლე. მისი ერთ-ერთი მთავარი ნაკლი ის იყო, რომ საქმის გამოძიება-გარჩევა საიდუმლოდ მხოლოდ დოკუმენტების საფუძველზე ნარმოებდა. სასამართლო პროცესი, როგორც წესი, არ იმართებოდა. მომჩივანი და მოპასუხე საპყრობილესა თუ საკუთარ სახლში ელოდებოდნენ სასამართლოს დადგენილებას.

ახალი წესდების საფუძველზე მოწყობილი სასამართლო დაწესებულებანი და თვით საქმის ნარმოების ხასიათი არსებითად განსხვავდებოდა ძველისაგან. სასამართლოს თავის მოქმედების სფეროში დამოუკიდებლობა ეძლეოდა. მთავრობის ადმინისტრაციას ზემოქმედება არ უნდა მოეხდინა მართლმასაჯულებაზე და პოლიციაც მთლიანად განთავისუფლდა საქმის გამოძიება-გარჩევის მოვალეობისაგან [საქართველოს ისტორიის ნარკვევი ტ.V, 1970:312-313].

აღნიშნული მექრთამეობისა და იურიდიული დარღვევების ფონზე, ნაწარმოებში ნათელ წერტილად მოსჩანს გამომძიებელი, რომელმაც ჭეშმარიტად ძალონე არ დაიშურა ნათელი შეეტანა ბახვას საქმეში. იგი ახალგაზრდა, უმაღლეს სასწავლებელში კურსდამთავრებული ლარიბი ოჯახის შვილი იყო. მას ისე ჰქონდა თავისი მოვალეობა გამოხატული, რომ თუ კი სინდისიანად აასრულებდა თავის მოვალეობას სახელმწიფო სამსახურში, ბევრ დაჩაგრულ კაცსაც დაეხმარებოდა.

ყოველივე ამის შემდეგ ვცადეთ გვერვენებინა რა სასჯელი მიიღეს პერსონაჟებმა არსებული სამართლებრივი სისტემის საფუძველზე: ბახვამ სასჯელი მიიღო მხოლოდ იერემიას მკვლელობის-თვის. დააპატიმრეს. იერემიას კი ესმას მკვლელობისთვის ჩამოართვეს ლირსება და 12 წლით გაგზავნეს კატორდაში.

დაუსჯელი დარჩნენ: ჯგირიკოჩა, სივილა, ვალიდას მიერ გადაბირებული მოსამართლე, ნაწილობრივ ბახვა და იერემიაც.

ამდენად „პირველ ნაბიჯში“ დანაშაულისა და სასჯელის კვლევამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოში სუფევდა უცხოური სამართლებრივი სისტემა რომელიც ხშირად დაუსჯელს ტოვებდა ნამდვილ დამნაშავეებს.

გიორგი წერეთელი აღნიშნულ ნაწარმოებში, ერთი მხრივ, ნარმოგვიდგება საქართველოში სამართლებრივი აპარატის მოქმედების ღრმა მცოდნედ, ხოლო, მეორე მხრივ, დეტექტიური ჟანრის ნაწარმოების ოსტატად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2010.
2. ევგენიძე, მინაშვილი 2013: ი.ევგენიძე, ლ.მინაშვილი ქართული ლიტერატურა ტ. II, „საქართველოს მაცნე“, 2013.
3. საქართველოს ისტორიის ნარკვევი ტ.IV, „საბჭოთა საქართველო“ თბილისი, 1973.
4. საქართველოს ისტორიის ნარკვევი ტ.V, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1970.
5. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია: ქართული ლიტერატურის ისტორია ტ.IV, საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1974.
6. წერეთელი 1974: გ. წერეთელი რჩეული ნაწერები ტ.I, თბილისი, 1947.

მინდია ცეცხლაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტურა
ხელმძღვანელი: პროფესორი ნანა ტრაპაიძე

გამოუთხმალობასთან დაკავშირებული კონცეპტები შალვა ბაკურაძის პოეზიაში

შალვა ბაკურაძის ტექსტების ჯონ კაპუტოსეული რადიკალური (დეკონსტრუქციული) ჰერმენეტიკის მეთოდით წაკითხვა ნაკარნახევია თავად ავტორის ტექსტებით, სადაც ავტორი მიანიშნებს, რომ მისი ტექსტები მნიშვნელობას კი არ წარმოადგენს, არამედ მნიშვნელობას წარმოქმნის მყითხველში („ენა ყოფნის სახლია“ – ენა ქმნის მნიშვნელობას), თანაც ეს პროცესი არასოდესაა დასრულებული და მუდმივად ხდება წინა წაკითხვების დეკონსტრუქციული „თვითდამხობა“ (იხ. „საიდანაც უნდა დავიწყოთ“).

ტექსტებში ექსპლიციტურ დონეზეა წარმოდგენილი მისტიკური (არეპაგელი, ვედანტა, ლაონი) და ფილოსოფიური, რელიგიური და ნიცხეანურ-იმანენტისტური კონტექსტები, რაც ქმნის ჰაიდეგერიანულ „ორაზროვნების ორაზროვნებას“, ანუ ესაა ორაზროვნება მოთავსებული დაპირისპირებულ მნიშვნელობათა შორის არსებულ სივრცეში, რაც ტექსტის და მნიშვნელობის დესტაბილიზაციას ახდენს.

მსგავსი ტექსტების ფუნქცია ჰეგემონიური ნარატივების დეკონსტრუქციაა, როგორც პოლ დე მანი ამბობს, პოეზია დეკონსტრუქციის საუკეთესო საშუალებაა. თუმცა მისტიკური პერსპექტივი-დან მათ აქვთ აზროვნების პროცესის და საზღვრამდე მიყვანის გზით აზროვნების გადალახვის ფუნქციაც. მისტიკურ და ნიცხეანურ პარადიგმებს შორის ფორმალურ მსგავსებებზე („ფორმალური მინიშნებები“ – ჰაიდეგერი) საუბარი გამყარებულია ფაქტით, რომ არსებობს სინკრეტისტული წაკითხვები, რომლებიც არა ფორმალურ, არამედ არსისეულ მსგავსებებზეც მიუთითებს. გამოუთქმადობა ფორმალური ნიშანია იმ აზრით, რომ ცალსახად გამოკვეთილი არაა მისი რომელსამე კონტექსტზე მიკუთვნებულობა. ამგვარად, შალვა ბაკურაძის ტექსტები მიანიშნებს ჰაიდეგერის („ენა ყოფნის სახლია“) და ასევე სუფიური მისტიკის (ჰაფიზი – „რასაც ვსაუბრობთ, ხდება სახლი, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ“) კონცეფციას ენასთან დაკავშირებით (იხ. დავით ანდრიაძე – ხელახალი RENDEZ-VOUS (კულტურსემიოლოგიური კონტამინაციები)), მაგრამ არსებობს მეორე მხარეც. პოსტსტრუქტურალისტებმა ფერდინანდ დე სოსიურის გავლენით, როგორც დ.ჯ. მურზი აღნიშნავს, ჰაიდეგერის ფრაზა „ენა ყოფნის სახლია“ გაიგეს რადიკალური აზრით, რომ არ არსებობს პრელინგვისტური გამოცდილება და ენა ქმნის გამოცდილებას. გადამერის აზრით, არ არსებობს გამოუთქმადი გამოცდილება (Moores 2006: 119-120). სინამდვილეში ჰაიდეგერი უბრალოდ მიანიშნებს, რომ არ არსებობს საგნის და გამოცდილების პრელინგვისტური მენტალური შესატყვისი, ენა ქმნის საგანს და გამოცდილებას ჩვენს გონებაში და არა მატერიალურ სამყაროში, ჰაიდეგერი ამბობს: „აზროვნებაში ყოფნა არტიკულირდება ენის მეშვეობით. ენა ყოფნის სახლია“ (Malpas... 2015: 121), რაც ნიშნავს, რომ მხოლოდ აზროვნებაში ქმნის ენა ყოფნას, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ აბსურდულ დებულებას, რომ ადამიანი ფიზიკურ სამყაროსაც ქმნის თავისი ენით.

შესაბამისად, შალვა ბაკურაძესთან ხდება სიტყვებს მიღმა გასვლაც და მუსიკა და ინტონაცია ხდება პირველადი, როგორც ამას აღნიშნავს ლევან ბრეგაძე (იხ. „ინტონაციების პოემა (შალვა ბაკურაძის „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპრეტაციის ცდა)“). პოეტი ტექსტებში მიუთითებს, რომ მისი ლექსები არის „თითქმის უსიტყვო სიმღერები“, ხდება არა იმდენად მნიშვნელობათა, არამედ გამოცდილებათა უშუალო გადაცემა და/ან წარმოქმნა, როგორც ეს მოაზრებულია ნიცხესთან, რომლის მიხედვითაც მუსიკის მეშვეობით უკეთ ხდება იმ გაგების გადაცემა, რასაც ლინგვისტური გამოხატულება მხოლოდ აბუნდოვნებს (Gracyk... 2011: 352). ნიცხე ამ სუბიექტური და გამოუთქმადი გამოცდილების გადაცემის გზად მიიჩნევს ინტონაციას, სიმღერას, დითირამბს.

ახალგაზრდა ნიცშეს მიხედვით, პრიმორდიალური ფუძე უპირველესად გამოხატულია ინტონაციაში და „ინტონაციური ქვენიადაგი უნივერსალური და ინტელიგიბელურია ენებს შორის განსხვავებების მიუხედავად“, სიტყვები წარმოდგენის მეორე დონეა და ისინი გამოხატავენ პრიმორდიალურ ფუძეს, რომელიც უკვე წარმოდგენილია ინტონაციის მიერ, ეს უკანასკნელი კი ძირითადად გამოხატავს სიხარულს და ტკივილს, ამ პრიმორდიალურ განცდებზე დაფუძნებულ განცდებს (Murray 1999: 114). ნიცშეს მიხედვით, „ბერები და ინტონაცია, როგორც სიხარულის და ტკივილის სიმბოლური რეპრეზენტაცია, ახდენენ ყველას მიერ გაზიარებული პრიმორდიალურობის – პირველადი დიონისური ერთიანობის სიმბოლიზებას“ (Brown 2006: 95).

ამგვარად, ნიცშეს მიხედვით, ინტონაცია გადმოსცემის იმ სიხარულსა და ტკივილს, ან მათზე დაფუძნებულ სხვა გამოცდილებებს, რომლის გადმოცემა სიტყვას არ ძალუდს. შალვა ბაკურაძესთან სიხარული ასევე უკავშირდება პრიმორდიალურ ერთიანობას და იგი ასევე პირველადია სიტყვის მიმართ, ანუ გამოუთქმადია. მინი-პოემაში „ვეფხისტყაოსანი“ სიხარული აპოფატიკა-კატაფატიკის დისკურსს უკავშირდება, სიხარული მიჩნეულია პრიმორდიალურ ფენომენად, „ერთადერთ შეუძენელ თვისებად“ (ბაკურაძე 2013: 87), რომლის სახელდება არ შეიძლება: „სიხარულია ის რაც ვერასოდეს იქნება მიბმული სახელთან, მას სახელი ვერ ექნება“ (ბაკურაძე 2013: 89) და ამავე დროს, „თუ რამეა ირგვლივ, ყველაფერს სიხარული ჰქია“ (ბაკურაძე 2013: 83). დასდებელის „{წინასწარმეტყველ-მან მან}“, ფინალურ სტროფში ვკითხულობთ:

„თავდაპირველად სიტყვა არ იყო, მოდით,
ის სიხარულზე გვიან გაჩნდა, ამიტომ
სიტყვაში სწავლაა უფრო საყვარელი
სიტყვაში სწავლაა უფრო საყვარელი
სიხარულში კი ის, შეცვლა რომ მომიწევს“ (ბაკურაძე 2013: 71).

შესავალში ვახსენეთ ავტორის ტექსტების ზოგადი ექსპლიციტური კავშირი არეოპაგელთან, რომლის მიხედვითაც, ღმერთს ვერავითარი სახელი ვერ გამოხატავს (Hollywood... 2012: 141), ღმერთი შეიცავს ყველაფერს, სწორედ ამიტომ ადიდებენ მას ყოველი სახელით და ამავე დროს უწოდებენ მას უსახელოს (The Areopagite 2000: I. 5.).

შალვა ბაკურაძის პოეზიას ასევე ექსპლიციტური კავშირი აქვს ვედანტასთან, სადაც სიხარული ასევე ტრანსცენდენტურთან ასოცირდება. კერძოდ, ბრაჟმანის პოზიტიური განსაზღვრება ემსახურება პრაგმატულ მიზანს: მიმართოს გონება ბრაჟმანისადმი (Deutsch 1973: 10-11) ბრაჟმანი ყოველგვარი კატეგორიების მიღმაა, იგი მხოლოდ ნეგატიურად შეიძლება განისაზღვროს, მაგრამ თუ გვსურს მისი აღნერა პოზიტიურად, მაშინ იგი არის წმინდა არსებობა, წმინდა ცნობიერება და წმინდა ნეტარება (Sharma 2003: 284).

სიწმინდეში იგულისხმება, რომ გარეგანი კავშირები არ არსებობს (Dasgupta 1997: 75), ესაა მარადიული ნეტარება ემპირიული სიამოვნებისა და ტკივილის მიღმა (larmā 1996: 187). ანუ ეს უნდა იყოს იგივე რაც მაისტერ ექპარტის უმიზეზო სიხარული (Schürmann 2001: ხხ), მართლაც, არადუალისტური ვედანტის მისტიკაში, ბრაჟმანი არის სიხარული, იგი განიცდება როგორც „განუსაზღვრელი არსი“ და „სიხარულში არსებობის მდგომარეობა“ (Deutsch 1973: 10-11).

შალვა ბაკურაძის პოეზიის ექსპლიციტური კავშირი ქრისტიანობასთან ასევე გამოკვეთილია. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ როგორც აღნიშნავს ბიბლიის მკვლევარი ვან დერ უატი, სიხარულის დისკურსი მნიშვნელოვანი ფენომენია ქრისტიანობაში, განსაკუთრებით ლუკას სახარებაში (Van der Watt 2006: 88). ვფიქრობ, ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანია მთაზე ქადაგების ეპიზოდი, როდესაც ქრისტე საუბრობს მათ ნეტარებაზე, რომელთაც, ჩვეულებრივი აზრით, არ უნდა ჰქონდეთ ნეტარების მიზეზი და ამ ქადაგებას ასრულებს მონოდებით: „იხარეთ და იმხიარულეთ, ვინაიდან დიდია თქვენი საზღაური ცაში“ (მათე 5,12).

რაც შეეხება ზოგად მისტიკურ კონტექსტს, რელიგიის ფილოსოფიის ოქსფორდულ ცნობარში ვკითხულობთ: „ერთიანობა (მისტიკური) განიცდება როგორც წმინდა ობიექტური რეალობა, „ნეტა-რების“ და „სიხარულის“ განცდაში“ (Wainwright 2007: 122). ებრაულ მისტიკაშიც საუბარია სწორედ სიხარულზე, როგორც მიზანსა და საშუალებაზე ერთდროულად (Buxbaum 2002: 5).

ნიცშე სიხარულის პირველადობაზე მიუთითებს, როცა ამბობს, რომ „დიონისური სწრაფვა შთანთქავს ფორმათა მთელ სამყაროს, რათა მისი ნერვების მეშვეობით, საშუალება მოგვცეს ჩვენ გვქონდეს წინასწარგანცდა მის მიღმა არსებული პირველადი და უმაღლესი არტისტული სიხარული-სა პრიმორდიალური ერთის საშვილოსნოში“ (Nietzsche 2009: 76).

სიხარულის პირველადობის თვალსაზრისით საგულისხმოა ისიც, რომ ნიცშეს თანახმად „ტკივილიც სიხარულია“ (Kaufmann 1974: 320), სიხარულისთვის აუცილებელია არსებობდეს ტკივილი, რომელსაც გადავლახავთ, სწორედ ტკივილის გადალახვაა სიხარული, ნიცშეს მიხედვით „ყოველი სიხარული მოიცავს ტკივილს“, ტკივილი არ არის სიხარულის საპირისპირო. „ასე იტყოდა ზარატუსტრაში“ წერია, რომ სიხარული უფრო ღრმაა, ვიდრე ტკივილი, აგონია (Kaufmann 1974:273).

ამგვარად, შალვა ბაკურაძის პოეზია არის გამოუთქმადი პრიმორდიალური სიხარულის, ტრანსცენდენტური რეალობის, მისტიკური გამოცდილების გადმოცემის გზა, „სტუმრის სიმღერაში“ ავტორი ამბობს, რომ „გვახარებს“ და „მღერის“, ანუ მისი ტექსტების ინტონაცია გადმოსცემს სიხარულის გამოცდილებას უპირველესად.

გამოუთქმადობა, არასახელდებადობა მინიშნებულია დასდებელში „სახელი“:

„სამივე გულით ამას ვფეთქავ
სამივე თვალით ამას ვტირი
სამივე ჩემი ხელისგულით ვმალავ შენსგან სამივე სახეს
რადგან სამთაგან ვერცერთი ენა მათქმევინებს
შენს ერთადერთ სახელს“
ხოლო მინი-პოემა „ვეფხისტყაოსანში“ ღმერთი ამბობს:
„ნუ გსურდეს ჩემთან მოსვლა
ვარ შენთვის არაფერი
სახელიც ჩემი არაფერი“ (ბაკურაძე 2013: 61).

ამ ავტორის ტექსტებში ვლინდება ექსპლიციტური კავშირი დაოსურ მისტიკასთანაც სწორედ არასახელდებადობის, იგივე გამოუთქმადობის კონტექსტში. ლექსში „იოსები“ ვკითხულობთ:

„ელოი, ელოი,
ვინ ვართ ჩვენ?
სახელი ჩვენი ვინმემ უწყის ამ სამყაროში
ანდა საერთოდ ვართ კი მფლობელნი სახელისა?
გვხედავენ ვი ჩვენ
მაშინ როდესაც გვაკრავენ ჯვარზე
„ისინი ვინცა დაიპყრა ვნებებმა“? (ბაკურაძე 2013: 29).

ამავე ლექსში საუბარია „ჭეშმარიტი სახელის“ არცოდნაზე. „დაო-დე-ძინის“ შესავალშივე საუბარია იმაზე, რომ მარადიულ დაოს არ აქვს სახელი და გამოუთქმადია, ხოლო რაც სახელდებულია, ის წარმოშობს მრავლობითობის სამყაროს, ანუ აქაც, არეოპაგელის მსგავსად, ორივე ასპექტია მოაზრებული.

როგორც ზემოთ ვნახეთ, გამოუთქმადობა დაკავშირებულია პრიმორდიალურ სიხარულთან, რომელიც არასახელდებადია. დასდებელი {წინასწარმეტყველმან მან}, სადაც სიხარულის სიტყვის მიმართ პირველადობაზეა საუბარი, როგორც ზემოთ ვნახეთ, იწყება ასე:

„განა დადგა დრო, საკუთარ თავს ახალი
სახელი დავარქვა და გამოვაჩინო,
ვინც ოდნავაც კი არ მგავს, რომ კიდევ ერთხელ

ვაზეიმო, საბოლოოდ დავეხმარო
გახდეს ჩემი სახელის და ჩემი თავის
მატარებელი. რა უნდა დავთმო, რომელ
მდინარეებს უნდა შევუწყვიტო სისხლი,
რამდენი სევდის დაგუბება მომიწევს
ან არხით გადასროლა სხვა კალაპოტში,
რა შემრჩება გულისგან, როცა დაშრება?“ (ბაკურაძე 2013: 70).

ამ სტროფებში ერთგვარად მინიშნებულია სახელდებაც და სახელდების შესაძლებლობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებაც, კატაფატიკაც და აპოფატიკაც. საკუთარი თავის მიმართ მსგავსი მიმართება ამ დასდებელსა და ლექსში „იოსები“, ზოგად პანენთეისტურ კონტექსტზე მიანიშნებს ამ ავტორის შემოქმედებაში, ანუ ადამიანი ტრანსცენდენტურ რეალობასთან იგივდება, ერთიანია მასთან.
გამოუთქმადობას და პრიმორდიალურობას მიანიშნებსატროფი ლექსში „დიდი ბებოს ბლუზი“:

„არდავიწყებით ვიწყებით,
ვხდებით პირველი ხსოვნის ერთგული,
ყველა პირველი ხსოვნით ვიწყებით,
პირველი ფიქრის ვხდებით ერთგული
და არსებობის მტკიცებად მოგვაქვს
პირველი სიტყვა ვერთქმული“ (ბაკურაძე 2013: 56).

ზოგადად მისტიკურ დისკურსში, მისტიკური გამოცდილება არის გამოუთქმადი (Jones, 1993: 103) ისევე როგორც გამოუთქმადია აბსოლუტი, ღმერთი - „ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ მასზე რაღაც, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია გამოვთქვათ იგი“ (Kingsland 1927: 6), შესაბამისად, როგორც უოლტერ სტეისი აღნიშნავს, ენა, რომელსაც მისტიკოსები იყენებენ თავიანთი გამოცდილების გადმოსაცემად, მეტაფორულია (Stace 1960: 293).

გამოუთქმადობის, როგორც მისტიკური და ნიცშეანური კონტექსტში საერთო ფორმალური ნიშნის განხილვისას საინტერესოა, რომ ჯოან სტემბოგის წერილში „სხვა ნიცშე“ აღმოსავლეთთან ნიცშეს კავშირის კონტექსტში განიხილება მისი კავშირი მისტიციზმთან (Parkes 1991: 20), რაც უფრო კონკრეტულად გულისხმობს გამოუთქმად გამოცდილებასთან კავშირს (Parkes 1991: 21). ნიცშესათვის სიმღერა უფრო მაღალი გამოხატულებაა, ვიდრე საუბარი, მაგრამ „ზარატუსტრაში“ სიმღერის მიღმა გასვლაც ხდება: „არ იმღერო! გაჩუმდი! სამყარო სრულყოფილია“. ზარატუსტრა საუბრობს სულზე იმგვარად, რომ ცხადი ხდება მისი გამოუთქმადობა, ისევე როგორც ეკპარტი მიუთითებს სულის გაუაზრებლობას და შეუცნობლობას ჩვეულებრივი ცოდნით (Parkes 1991: 25-26). ნიცშეს მიხედვით, „ჩვენი ნამდვილი გამოცდილებები გამოუთქმადია, რომც გვსურდეს ვერ გამოვთქვამთ. ენა გამოგონებულია მხოლოდ საშუალო, გამოხატვადი საგნებისთვის“ (Nietzsche 2005: 205).

გამოუთქმადობასთან კავშირში ლივენ ბოვი საუბრობს ნეოპლატონიზმში ტრანსცენდენტურობის და იმანენტურობის ურთიერთმიმართების პოსტ-მოდერნისტულ გაგებაზე, რომელშიც აღარ არის ბიპოლარობა ანუ ისინი არ გაიგება როგორც სინამდვილის ორი განსხვავებული ფენა, არამედ ტრანსცენდენცია განმარტებულია როგორც გარღვევის მომენტი, რომლის სიტყვებით გამოხატვა შეუძლებელია ენის იმანენტურ სინამდვილეში (Boeve 1997: 422).

უაკ დერიდა, უან ლუკ მარიონი და ჯონ კაპუტო საუბრობენ აპოფატიკის დისკურსის მნიშვნელობაზე დეკონსტრუქციისა და დიფერანსის გააზრებისას. დერიდას აზრით, „ჩვენ ყველა ვოცნებობთ „სრულიად სხვასზე“, რომელზეც არ ვიცით, როგორ არ ვილაპარაკოთ უამრავი სახელით, ასე რომ, ჩვენ ყველამ უნდა ვისწავლოთ ნეგატიური თეოლოგია, თუ „დედანში“ არა, თუ ასეთი რამ არსებობს, თარგმანში, განზოგადებული აპოფატიკა მაინც (Goodchild 2002: 213-214)“.

ამგვარად, შალვა ბაკურაძის პოეზიის ინტონაციები გადმოსცემს პრიმორდიალური სიხარულის გამოუთქმად გამოცდილებას. ზოგადად, ამ ავტორის პოეზიაში გამოუთქმადობა მნიშვნელოვანი ფორმალური ნიშანია და იგი უკავშირდება რამდენიმე კონტექსტს, რაც ქმნის დერიდანული გადაუწყვეტადობის ველს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაკურაძე 2013; ბაკურაძე, შ., „დასდებელი წმინდისა აღდგომისანი“, ახალი საუნჯე, თბილისი.
2. Boeve 1997; Boeve, L., „Postmodernism and Negative Theology, International Journal in Philosophy and Theology“, Bijdragen N 58. <https://lirias.kuleuven.be/bitstream/123456789/261695/2/97.4.pdf>
3. Brown 2006; Brown, K., „Nietzsche and Embodiment; Discerning Bodies and Non-dualism“, State University of New York, Albany. <https://books.google.ge/books?id=uVgPHRI3om8C&printsec=frontcover#v=onepage&q&f=false>
4. Buxbaum 2002; Buxbaum, Y., „Jewish Tales of Mystic Joy“, Jossey-Bass - A Wiley Company, San Francisco. <https://books.google.ge/books?id=OyE9SNKHSbwC&printsec=frontcover#v=onepage&q&f=false>
5. Dasgupta 1997; Dasgupta, S., „A History of Indian Philosophy“, Volume 1, Motilal Banarsidas, Dehli. https://books.google.ge/books?id=PoaMFmS1_lEC&printsec=frontcover#v=onepage&q&f=false
6. Deutsch 1973; Deutsch, E., „Advaita Vedanta; A Philosophical Reconstruction“, University of Hawaii Press, Honolulu. <https://books.google.ge/books?id=63gdKwhHeV0C&printsec=frontcover#v=onepage&q&f=false>
7. Goodchild 2002; Goodchild, P., „Rethinking Philosophy of Religion; Approaches from Continental Philosophy“, Fordham University Press, New York. https://books.google.ge/books?id=_GsRRrIzbHcC&printsec=frontcover#v=onepage&q&f=false
8. Gracyk... 2011; Gracyk, T., Kania, A., „The Routledge Companion to Philosophy and Music“, Routledge, New York. <https://books.google.ge/books?id=DfOsAgAAQBAJ&printsec=frontcover#v=onepage&q&f=false>
9. Hollywood... 2012; Hollywood, A., Beckman, P. Z. „The Cambridge Companion to Christian Mysticism“, ambridge University Press, New York. https://books.google.ge/books?id=rdf3nD_by54C&printsec=frontcover#v=onepage&q&f=false
10. Jones, 1993; Jones, R. H. „Mysticism Examined ; Philosophical Inquiries Into Mysticism“, State University of New York, Albany. https://books.google.ge/books?id=uQ-XjeB4NIQC&printsec=frontcover&source=gbs_ge_summary_r&cad=0#v=onepage&q&f=false
11. Kaufmann 1974; Kaufmann, W. A., „Nietzsche, Philosopher, Psychologist, Antichrist“, Princeton University Press, Princeton. <https://books.google.ge/books?id=Rw4u68fxYQMC&printsec=frontcover#v=onepage&q&f=false>
12. Kingsland 1927; Kingsland, W., „An Anthology Of Mysticism And Mystical Philosophy“, Methuen and Co. Ltd., London. http://blavatskyarchives.com/theosophypdfs/kingsland_anthology_of_mysticism.pdf
13. Malpas... 2015; Malpas, J., Gander, H., „The Routledge Companion to Hermeneutics“, Routledge, Abingdon. <https://books.google.ge/books?id=zUaLBQAAQBAJ&printsec=frontcover#v=onepage&q&f=false>
14. Moores 2006; Moores, D. J. „Mystical Discourse in Wordsworth and Whitman; A Transatlantic Bridge“, Peeters, Leuven. <https://books.google.ge/books?id=e9NmNkQTctQC&printsec=frontcover#v=onepage&q&f=false>
15. Murray 1999; Murray, P. D., „Nietzsche's Affirmative Morality; A Revaluation Based in the Dionysian World-View“, Walter De Grutyer, Berlin. <https://books.google.ge/books?id=4hHhHVav8Z8C&printsec=frontcover#v=onepage&q&f=false>
16. Nietzsche 2005; Nietzsche, F., „The Anti-Christ, Ecce Homo, Twilight of the Idols & Other Writings“, Cambridge University Press, New York. http://krishnamurti.abundanthope.org/index_htm_files/The-Anti-Christ-Ecce-Homo-Twilight-Of-The-Idols-And-Other-Writings-by-Nietzsche.pdf
17. Nietzsche 2009; Nietzsche, F., „The Birth of Tragedy Out of the Spirit of Music“, Richer Resources Publications, Arlington. <http://www.holybooks.com/wp-content/uploads/Nietzsche-The-Birth-of-Tragedy.pdf>
18. Parkes 1991; Parkes, G., „Nietzsche and Asian Thought“, The University of Chicago Press, Chicago. <https://books.google.ge/books?id=hpnXFLQ6QIAC&printsec=frontcover#v=onepage&q&f=false>

19. Schürmann 2001; Schürmann, R., „Wandering Joy - Meister Eckhart's Mystical Philosophy“, Lindisfarne Books, Great Barrington. <https://books.google.ge/books?id=PPpo1-pxlI8C&printsec=frontcover#v=onepage&q&f=false>
20. Sharma 2003; Sharma, Ch., „A Critical Survey of Indian Philosophy“, Motilal Banarsi Dass Publishers, Dehli. <https://books.google.ge/books?id=Y3gQVd5WogsC&printsec=frontcover#v=onepage&q&f=false> 21. Stace 1960; Stace W.T. „Mysticism and Philosophy“, Macmillan and Co. Ltd., London. <http://www.cruzetech.info/wudhi/mysticism/ws/wts-mp%20-%206.htm#one>.
22. The Areopagite 2000; Rolt, C.E., „Dionysius the Areopagite; On the Divine Names and the Mystical Theology“. http://www.documentacatholicaomnia.eu/03d/0450-0525,_Dionysius_Areopagita,_On_The_Divine_Names_And_The_Mystical_Theology,_EN.pdf.
23. Van der Watt 2006; Van der Watt, J. G., „Identity, Ethics, and Ethos in the New Testament“, Volume 141, Walter De Gruyter, Berlin. <https://books.google.ge/books?id=AugB2jMYCQcC&printsec=frontcover#v=onepage&q&f=false>
24. Wainwright 2007; Wainwright, W. J. „The Oxford Handbook of Philosophy of Religion“, Oxford University Press, New York. <http://www.ntslibrary.com/PDF%20Books/The%20Oxford%20Handbook%20of%20Philosophy%20of%20Religion.pdf>.

მარიამ გობიანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი **ინგა სანიკიძე**

შავი ფერის პარადიგმა გალაკტიონ ტაბიაცის პოეტიკი

ლექსიკურ ერთეულთა კვლევა, მათი სემანტიკური შიგთავსის მართებული გააზრება ენობრივი ანალიზის ერთ-ერთი საინტერესო უბანია, მეტადრე თუ საქმე მხატვრულ ქსოვილს ეხება. გალაკტიონის, როგორც უდიდესი სიმბოლისტი პოეტის, წარმოსახვის მასშტაბი მრავალმხრივ იქცევს ყურადღებას, ამ თვალსაზრისით არც მისი ფერთამეტყველებაა გამონაკლისი. ჩვენი ძიება შავი ფერის შინაარსის, მისი სიმბოლური თუ პარადიგმული ხასიათის ამოხსნისაკენაა მიმართული.

საზოგადოდ, შავი ფერის პარადიგმული სახე სიპნელის, ბოროტების, წყვდიადის (შდრ. ვაჟას „შავეთი“ – საიქიო), მისტიკის, ავტედითობისა და, აქედან გამომდინარე, სევდის, გლოვის შინაარსს შეიცავს. ეს ენობრივი ფორმულა ფაქტობრივი უწყვეტობით არსებობს ქართულ პოეზიაში („ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟს – ასმათსაც სწორედ გლოვის ნიშნად მოსავს „შავი ჯუბა“). იშვიათ შემთხვევებში, გალაკტიონის პოეზიაში იგი დადებით თვისებებსაც იძენს.

თუ გალაკტიონის პოეტურ ენას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ შავი ფერის ზემოთ ნათქვამი მხატვრული სახე-ხასიათი მთელ სიგრძეზე გასდევს მის შემოქმედებას და ლექსემის შინაარსობრივი დატვირთვა პოეტის მოღვაწეობის ყველა პერიოდში ფაქტობრივ უცვლელი რჩება; თუმცა ამ თვალსაზრისით ე.წ. პოეტურ შესიტყვებათა ორიგინალობა ინდივიდუალურ ხელნერას ქმნის, სიტყვათა ერთიან ქსოვილში გალაკტიონისეულად იკითხება და უბრალო აღქმას მოკლებული სიმბოლურ დატვირთვას იძენს. ლექსების ერთ ნაწილში ის ცდილობს ოპტიმისტურ მომავალზე იფიქროს და ჩამოიშოროს ბნელი ძალა, რომელიც თავისთავად შავ ფერთან ასოცირდება: მაგალითად, ლირიკულ ნაწარმოებში „ფანტაზია“ ოცნებობს, რომ „გაპქერეს დღე შავი და სივაგლახე“. მსგავსი პოეტური განცდით ესიტყვება შავი ფერი ქართულ პოეზიაში უკვე კარგად ცნობილ ავტედითობის ასევე პარადიგმულ სახეს – „ყორანს“ („შავი ყორანი“); ორივე ერთად კი გაუმართლებლობის, ბედისწერისგან განწირულობის ის ნიშანია, რომელსაც ნ. ბარათაშვილის „სულო ბოროტოკდან“ ვიცნობთ და რომელიც ხელმეორედ ფოკუსირდება გალაკტიონის ლირიკულ განცდათა სიღრმეში. ის ამქვეყნიური დაბრკოლების სახეა და, შეიძლება ითქვას, ერთგვარად ალუზიურიც:

„გზაზე მივდივარ... მსურს გავარკვიო
გასავლელი გზის სივრცე უცვლელი;
შავი ყორანი ისევ მომჩხავის:
„შორს ნუ გასცქერი.. შორს ნურვის ელი“!

(„შავი ყორანი“)

შესაძლოა აქვე ვახსენოთ მისი ლექსი „სტანსები შელლისა“, რომელშიც ავტორი ცდილობს უარყოფითი განწყობის მოზღვავება დაძლიოს: „არ დაგინახო თვალებზე ცრემლი და არც სახეზე ღრუბელი შავი“. შავი ფერი გალაკტიონთან მხოლოდ ფერის აღმნიშვნელი რომ არ არის და მას ღრმად სიმბოლური დატვირთვა აქვს კარგად მოჩანს შემდეგ სტრიქონშიც: „დაიძინე, დაიძინე, ფიქრთა შორის, შავო მთაო! ნანას გეტყვის ნელი სიო და მდუმარე სასაფლაო...“ („დაიძინე“) ვფიქრობთ, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში დამატებითი სემანტიკური შტრიხი შემოდის – ეს ფიქრის იდუმალებაა, გაუმხელობა, მისი სიღრმე და ერთგვარი სიპნელე; ამიტომ „ფიქრთა შორის დაძინებულ

მთას „შავი ფერი გასდევს, ღამის ზმანების მუქი ჩრდილით დაფარული. ზემოთ მოცემული ხასიათის გაგრძელებას შესაძლოა წარმოადგენდეს ერთ-ერთ ლექსში გამოყენებული შავი ფერი, თუმცა აქაც მეტის შეგრძნება ჩნდება და ეს უპირველესად ტანჯვაა, ვნება და ურვა, პატიოსან შრომას თან რომ ახლავს ხოლმე:

„ვხედავ, აქ ნაბიჯს მოაშურებს გლეხი მაშვრალი,
რომ მესაუბროს და იმედი თან ნაიყოლოს,
მასზე, რომ **შავი მისი შრომა, შრომა მართალი**,
არ დაინთქმება უნუგეშოდ ბოლოს და ბოლოს“.
(„პირველი ენკენისთვე“)

გალაკტიონთან იშვათად, მავრამ მაინც შავი ფერი ზოგჯერ სრულიად დადებით კონტექსტში მოგვენოდება და სიმშვიდის და სიჩუმის განცდას აძლიერებს:

„სიჩუმეა.
არემარეს მოსავს **შავი სიხალისე**,
მხოლოდ სიო თუ ირხევა, თორემ ისე... თორემ ისე
სიჩუმეა,
სიჩუმეა...“

(„სიჩუმეა“)

უნდა ითქვას, რომ უმეტესწილად შავი ნეგატიური გრძნობების შემცველი ფერია, რომელიც კარგად იყიდთხება გალაკტიონის ლექსთა წყებაში: „მე კი კაეშნის მხარეში მიწვევს სევდით მოცული ოცნება **შავი**“ („მთვარე მთვარეს ამოეფარა“) იმავე სემანტიკურ დატვირთვას ვხვდებით ლირიკულ ნაწარმოებში „როგორ ებრძოდნენ ზარები ზარებს“. „იუდას სახე, კაენის ლანდი და ღამეების **შავი გუგუნი**“ – იტყვის პოეტი და ადამიანური ცხოვრების ჯოჯოხეთურ არსს მისეულად დახატავს, მხატვრულ ტილოს გაშლის, ბიბლიურ სიუჟეტებს ფრაგმენტულად გადმოალაგებს, თუმცა კომპოზიციურად შეკრავს; კვანძის ფუნქციას კი შავს, ბოროტების სიმბოლოს, მიანიჭებს.

წარმავლობის თემა, ამქვეყნიური დაუდგრომლობა ქცეულა გალაკტიონის ერთი ლექსის მთავარ სათქმელად და მას ეწოდება „სიმღერა სასონარკვეთილისა“. ტრაგიკულ შეგრძნებას უპირველესად „შავი“ ქმნის, მას ასევე უარყოფითი ხასიათის მატარებელი „სიკვდილი“ ესიტყვება და ვკითხულობთ: „**შავო სამარევი, შენსკენ მოვდივარ...**“; ან: „**შავო სამარევი, არვინ მიმილო, აბა, გამიღეჩარა კარები...**“ სასონარკვეთილების მთავარი მიზეზი ლექსიკური აქცენტებით იხსნება, ისინი ენობრივი მახვილებია, რომელთა გარეშე აზრის განვითარება მხატვრულ წარმოსახვასა და პოეტურ სილრმეს მნიშვნელოვნად გააფერონებდა, ამიტომ ლექსიკური ქსოვილი პოეტის მიერ გაზომილი აზრითაა **შერჩეულ-მოდელირებული**.

ლექსში „ალაზანთან“ შავი ფერის სიმბოლიკა კულმინაციას აღწევს. ამ ლექსში სიკვდილს შეესატყვისება არა მარტო შავი ფერი, არამედ სიტყვა „შავის“ წმინდა მუსიკალური ჟღერადობა, ამ სიტყვაში აქცენტირებული მუსიკალური ბერა-თანხმოვანი „შ“ ქმნის სიშავის, უიმედობის, სიკვდილის განწყობილებას:

„მთვარეში შავი შრიალებს ჩალა,
შავი ლეჩაქი დაეცა შარებს
დამშვიდდი, სძინავს ალაზნის კარებს,
მთვარეში შავი შრიალებს ჩალა“.

გალაკტიონის პოეზიაში დამოუკიდებლად შეიძლება განვიხილოთ მხატვრული შესიტყვება „შავი გედი“. „გედი“ თავად პოეტია, ესთეტიკური სიმბოლო მშენიერი არსებობისა, ხოლო მასთან განსაზღვრებად მდგომი „შავი“ გამორჩეულობის, ერთეულობის სიმბოლო, რომელსაც ტრაგიკული

ყოფნის პეტედი აზის: „გადავიქანებ სიკვდილს მაღლა ამართულ ყელით მე, შავი გედი!“ გედისებრი სილამაზე გასდევს გალაკტიონის პოეტურ არსებობას, ეს მის მიერ კარგადა შემეცნებული, თუმცა შინაგანი კეთილშობილება დაუფარავს შავს, როგორც ტკივილიან არსებობას. „შავი გედი“ რომ ამაღლებულის ხასიათის შექმნას ემსახურება, ეს სხვა სტრიქონებშიც კარგად იკითხება: „შავი გედი-ვით მაღლა იდგა კუბო პირქუში!“.

ლექსში „მიტოვებული კოშკი რას სტირის?“ გალაკტიონი შავისა და მისი საპირისპირო თეთრის იდეურ შედარებას შემოგვთავაზებს, ხოლო ამ კონტრასტს სიმბოლურად შავი ყორნისა და თეთრი მტრედის სახით გადმოგვცემს. სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირება მატერიალურ საგნებთან („მტრედებთან“ და „ყორნებთან“) ერთად მათივე განსაზღვრებებით, სხვაგვარად ეპითეტებით, იქმნება. ლექსში ვკითხულობთ: „ყორანი, შავი შუამავალი, მტრედები – თეთრი შუამავლები“.

„მიტოვებული კოშკი რას სტირის?
მასში ლანდები რისთვის არა სჩანს?
მიყუჩებულა ტყე ტბისა პირის
და სიჩუმეში მთვარე შუქსა ჰპანს...
ყორანი, შავი შუამავალი
ცისა და მიწის, გადიფარფატებს,
ვინც მზეს ისრები სტყორცნა მრავალი,
ის სიმწარისას იღებს ბარათებს.
მტრედები – თეთრი შუამავლები
ისმენენ ქუხილს...“

ზემოთ აღნიშნული მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ გალაკტიონისეულ ფერთა გამაშიც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „შავს“, ერთი მხრივ, როგორც ფერს, ხასიათს, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც ენობრივ სიმბოლოს. მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ პოეტი „შავის“ გამოყენებას შედარების მხატვრული ხერხის შემთხვევაში ხშირად მიმართავს; მაგალითად: „დასწოლია აჩრდილთან – შავი, როგორც სიკვდილი“; ან: „მოუნათლავი, კუპრივით შავი ღამე“. პოეტი ზოგჯერ ცდილობს, რომ „შავისგან“ თეთრის „ანტითეზა შექმნას და პოზიტიური მოვლენები „შავი“ ფერადოვნებით გადმოგვცეს: „მეკი კაეშნის მხარემი მიწვევს სევდით მოცულს ოცნებაშ ავი“ („მთვარე მთას ამოეფარა“); „არემარეს მოსახს შავი სიხალისე“ („სიჩუმეა“).

შევნიშნავთ, რომ „გალაკტიონ ტაბიძის ენის ლექსიკონში“, „შავის“ სტატისტიკა 396-ს აღნევს და ამ მაგალითთა შორის ყველაზე საინტერესო, ალბათ, ისაა, რომ მისი მნიშვნელობა არცთუ იშვიათად გაფართოებულ-გაზრდილია, პარადიგმულ სახეს დაყრდნობილი, თუმცა მაინც ინდივიდუალურად გააზრებული; მაგალითად: „დასდევს განწირულთა შავი პოეზია“ („საუბარე ედგარზე“).

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შავი ფერის სიმბოლურ გააზრებას გალაკტიონის შემოქმედებით ენაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მას, როგორც სიბნელის პარადიგმას, არა მარტო უარყოფითი და მკვეთრად ნეგატიური კონტექსტი ახლავს, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში დადებითი ემოციის შექმნაც ძალუძს და ეს ყველაფერი კი, თავის მხრივ, გალაკტიონის პოეზიის ენის ღირებულების სიღრმეს კიდევ უფრო ნათელს ხდის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სანიკიძე 1994; თ. სანიკიძე; ც. სანიკიძე „გალაკტიონ ტაბიძის ენის ლექსიკონი“, თბილისი, 1994.
2. ტაბიძე 1966; გ. ტაბიძე თხზულებანი ტ. 1 თბილისი, 1966.
3. ტაბიძე 1966; გ. ტაბიძე თხზულებანი ტ. 2 თბილისი, 1966.
4. ტაბიძე 1966; გ. ტაბიძე თხზულებანი ტ. 5 თბილისი, 1966.
5. ტაბიძე 1982; გ. ტაბიძე რჩეული თბილისი, 1982.
6. უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია. თბილისი, 1994.

ციური მეზვრიშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ხელმძღვანელი: პროფესორი თამარ გოვოლაძე

ფუნქციონალური და მისი ფრანგორუმის მხატვრულ ტექსტები

(ი. გოგებაშვილი „იავნანამ რა ჰქმნა“?)

ქართულმა ეროვნულმა სიტყვიერებამ შემოგვინახა არაერთი ლექს-სიმღერა, რომელიც დაკავშირებული იყო წარმართობის დროინდელ ღმერთებთან თუ რიტუალებთან. მოგვიანებით, ქართველთა მიერ ქრისტიანობის მიღებასთან ერთად, მათ განიცადეს უანრობრივი თუ ფუნქციონალური ტრასფორმაცია. ერთი ასეთი ლექს-სიმღერათაგანია წარმართობის ეპოქაში ნაყოფიერების ქალღმერთ „დიდი დედო ნანასადმი“ მიძღვნილი „იავნანა“. მასვე საკურთხეველზე მიართმევდნენ იას, ვარდებს.

უფლისციხის კომპლექსში აღმოჩენილია უძველესი ქართული წარმართული სამლოცველო „დიდი დედა ნანას“ სამლოცველოდ წიგდებული. დ. ხახუტაიშვილი საინტერესო მასალებს გვაწვდის ამ ქალღმერთზე თავის წიგნში „კლდეში ნაკვეთი ქალაქი“: პირველყოფილი თემური საზოგადოების რღვევის უმაღლეს საფეხურზე, ქართულ წარმართულ რელიგიას ნათლად გამოსახული ასტრალური ხასიათი ჰქონდა: ასტრალურ პანთეონში გამოყოფილი ჩანს, როგორც ეს პროფ. ვ. ბარდაველიძემ შეისწავლა, უფროსი და უმცროსი, ანუ ადგილობრივი ღვთაებანი. პირველ ადგილზე, „ღმერთი“ იდგა, მეორეზე „მზექალი“, ანუ „დიდი დედო ნანა“, ხოლო მესამეზე – „კვირია“, ანუ „პირქუში“.

„დიდი დედა ნანას“ (მზექალის) ციური სამეფოს შესახებ არსებულ მითოლოგიურ თხრობებსა და სიმღერები, რომელზედაც ქართული ასტრალური პანთეონის ერთ-ერთი განსაკუთრებული დღესასწაულია ასახული, მიწა სამზეოდ, ანუ დიდი დედა ნანას საბრძანებლადა მიჩნეული, ხოლო ნანასადმი მიძღვნილ ზღაპრებში ბატონების ქვეყანაა გააზრებული, როგორც „მზის ქვეყანა“, რომლის ერთ უმიშვნელოვანეს კომპონენტად მარანი და ჩანახია წარმოდგენილი (თ. გოვოლაძე 2003:12-13).

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, „იავნანა“ ღვთაებისადმი მიძღვნილ საგალობლიდან იქცა აკვნის სიმღერად.

წარმოგიდგენთ ხალხური „იავნანას“ ერთ-ერთ ვარიანტს ფოლკლორისტ თეიმურაზ ქურდოვანიძის წიგნიდან:

„იავნანა, ვარდო ნანა, იავნანინაო,
დაიძინე, გენაცვალე, იავნანინაო,
ჯერ არ გათენებულაო, იავნანინაო,
ვარსკვლავები ამოსულა, იავნანინაო,
მთვარე შეშინებულაო, იავნანინაო
მანანოები მოდიან, იავნანინაო,
ძილი მოაქვთ გუდითაო, იავნანინაო.
ამას ჩემს ყმაწვილს მივუტან იავნანინაო,
თვალებს გავუესებ ძილითაო, იავნანინაო,
დაიძინე გენაცვალე, იავნანინაო,
მთვარე შეშინებულაო, იავნანინაო“.

ის საგანგებო დანიშნულების სიმღერაა და მას მხოლოდ ბავშვის დაძინებისას ასრულებენ. „იავნანას“ უმთავრესი დანიშნულებაა დააწყნაროს და დასაძინებლად განაწყოს პატარა. აკვნის სიმღერებს მრავალმხრივი პრაქტიკული დანიშნულება აქვს. შვილისათვის სიმღერა აკმაყოფილებს ქალის დედობრივ ინსტიქტს. დედა-შვილს შორის მაგიური ძალის გამოხატულებაა (თ. ქურდოვანიძე 2001: 94-95).

ქართული პედაგოგიკის დიდმა მენინამძლვრემ და მწერალმა იაკობ გოგებაშვილმა (1840-1912) 1890 წელს გამოცემულ თხზულებას უწოდა „იავნანამ რა ჰქმნა?“. როგორც მწერალმა და კარგმა ფსიქოლოგმა, შეძლო ეჩვენებინა ქართველის ცნობიერებაში კოდირებული ლექს-სიმღერის „იავნანას“ მაგიური ძალა, ლეკების მიერ მოტაცებული და ნაიბთან აღზრდილი, თავის თვისტომთან გაუცხოებული პატარა ქეთოს ქართველ ქალად ქცევის საქმეში.

საბავშვო ლიტერატურაში მოთხოვნა „იავნანამ რა ჰქმნა?“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მოთხოვნის თავისებურება მის წმინდა ფსიქოლოგიზმშია. იმაში რაც, „იავნანას“ მოსმენამ გამოიწვია.

მოთხოვნის განხილვის დროს დავემყარეთ გ. თავზიშვილის, ნ. სალირაშვილის, ზ. ხოჯავასა და ლ. მინაშვილის მოსაზრებებს.

როგორც გ. თავზიშვილი აღნიშნავს, მოთხოვნა „იავნანამ რა ჰქმნა?“ შეიცავს ბავშვის ფსიქოლოგიური არსის კანონზომიერების ღრმა ესთეტიკურ ანალიზს. მისი მთავარი პერსონაჟი ქეთო რეალური სახეა, რომელიც ასევე რეალური ურთიერთობისა და სიტუაციის ფონზეა ნაჩვენები, როგორც ფსიქოლოგიურად, ისე მხატვრულად. ამ მოთხოვნით ავტორის განზრახვაა გვიჩვენოს ბავშვის ბუნების ცვალებადობა გარემოსა და გარემოს ცვლილებების მიხედვით და მუსიკალური ემოციების მნიშვნელობა ადამიანის ფსიქოლოგიური გარდაქმნის საქმეში.

ქეთოს ადამიანური ჩამოყალიბება დაინყო ერთ სოციალურ გარემოში. კახეთის ბუნება და ხალხი ზრდიდა მას ქართული ნაციონალური იერითა და სულისევეთებით, მაგრამ შეცვლილ სოციალურსა და ნაციონალურ პირობებში იგი სხვა ხალხის ზენ-ჩვეულების ქვეშ მოექცა.

შეცვლილმა სოციალურმა ყოფამ და გარემომ „ქართველი ქალი გადაქცია ლეკ ქალად, კახეთის შვილი – დაღესტნის შვილად“. ქეთოს ჩამოყალიბება, როგორც ადამიანისა, დაღესტანში არ დამთავრებულა, მისი განვითარება არ შეწყვეტილა, ამიტომ სრულიად დასაშვებია მისი ხელახალი გარდაქმნა როგორც სოციალურად, ისე ფსიქოლოგიურად. ასეც ხდება.

ქეთო თანდათან იყრის ნალველს და ინყებს დაკვირვებას ახალ ცხოვრებაზე. მას ცვლილება დაეტყო. ქეთოს თანდათან აგონდებოდა სამშობლოს არემარე, გარემოცვა, გადამწყვეტი როლი „იავნანას“ მშობლიურმა ჰანგმა ითამაშა.

დედის საამურმა „იავნანამ“ მოხიბლა ქეთო. მას „აშკარად ეტყობოდა სახეზე აღელვება. ცხადი იყო, რაღაცას იგონებდა და ვერც კი მოეგონებინა გარკვევით. მისი ბუნების სილრმეში დიდი ხნის დამალული ხსოვნა იღვიძებდა, მაგრამ ვერ კი გამოელვიდნა. გონების ძირიდან რაღაც სანატრელი მოგონება აპირებდა ამოხეთქასა, მაგრამ ზევიდან კეც-კეცად აწვნენ სხვა წარმოდგენანი და უშლიდნენ მაღლა ამოსვლასა“ (ი. გოგებაშვილი 1986: 425-426).

ასე ზუსტი დაკვირვებითა და სიმართლით აქვს გადმოცემული იაკობ გოგებაშვილს ის დიდი ფსიქოლოგიური კოლიზია, რომელსაც განიცდიდა ქეთო აწმყოსა და ძველ მოგონებათა ჭიდილში.

თავზიშვილის აზრით, თუ გავამახვილებთ უურადღებას ბუნების გარემოცვასა და იმ სოციალურ პირობებზე, რომლებმაც შეამზადა ქეთოს ცნობიერება პირველი გადამწყვეტი მოგონებისათვის, მართალია გოგებაშვილი, როცა იგი ფიქრობს, რომ „იავნანას“ საოცარი მუსიკა ამ შემზადებულნიადაგზე გადაიქცა იმ დამატებით სტიმულად, რომელმაც გამოიწვია გადამწყვეტი მოგონებად დედა.

პირველი მოგონება იწვევს მეორეს, მეორე – მესამეს და ასე, ასოციაციის კანონის მიხედვით, ქეთომ აღადგინა თავისი ადრეული ბავშვობის პერიოდი, აღადგინა იგი სრულიად ახალ ფსიქოლოგიურ საფუძველზე.

მშობლიური გარემოცვა, იაკობის აზრით, დიდ ეფექტს იწვევს ადამიანის (ბავშვის) არა მარტო სოციალურ-ფსიქოლოგიურ, არამედ ფიზიკურ გარდაქმნაშიც (გ. თავზიშვილი 1974: 320-322).

ნათელა სალირაშვილი აღნიშნავს, რომ მთავარი აზრი ნაწარმოებისა ბავშობიდანვე შეწოვილი ეროვნული დვრიტის შეგრძნებაა, რაც უშუალოდ ხალხური „იავნანას“ მოტივების ცხოველმყოფელობითაც გადმოიცემა. ამ ძირითადი მოტივების გარდა, სხვა მრავალ პრობლემებსაც ვხვდებით: პატრიოტიზმს, მეგობრობას, სიკეთის ძალას.

„ბავშვი აწმდეგომით ცხოვრობს“ – აღნიშნავს მწერალი – ის შეუწყვეტლივ იზრდება. ბავშვი არ ფიქრობს არც წარსულზე და არც მომავალზე, ამის გამო წარსულის ნაშთი, ხსოვნა, მოგონება მის

გულსა და გონებაში მალე სუსტდება, მკრთალდება და თითქოს სრულიად იშლება. აწმდვომი კი სრული ძალით მოქმედებს მასზე და იჭერს წარსულის ადგილს მთლად განუყოფლად“.

კრიტიკულ ლიტერატურაში ამ ადგილმა ყურადღება მიიქცა. აქ ფსიქოლოგიურად არის გახ- სნილი სამი წლის ბავშვის ხასიათი. ამ ნაწარმოების პირველი კრიტიკოსი თეოფილე ხუსკივაძე თავის ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებში აფასებს ყმანვილის ამ თავისებურებას და მოთხოვთ დადებითად აფასებს (ზ. საბლიური 1998: 28-29).

ზოსიმე ხოჯავას თვალსაზრისით, მოთხოვთ სიუჟეტი და მთელი მისი კომპოზიცია ავტორს მოფიქრებული აქვს პედაგოგიურ-აღმზრდელობითი თვალსაზრისით, მაგრამ ძირითადი მასალა, რომელსაც იგი ამ მიზნით ამუშავებს და მის ჩინჩხზე მთელ სიუჟეტს აგებს, წმინდა ფსიქოლოგიუ- რია, ე.ი ადამიანის განცდები, მისი ფსიქიკური ცხოვრება და საგულისხმოა, რომ მოთხოვთ სახელ- წოდებაც სწორედ ამ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით არის შერჩეული.

„ფსიქოლოგიური სისწორის“ საუბრისას ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სიუჟეტი შეთხზულია და არა ისტორიული. საქმე ის კი არ არის, რომ სწორედ „იავნანას“ მოსმენამ შესძლო ბავშვისათვის დაკარგული მოგონებები გაელვიძებინა, არამედ იმაში, თუ რამდენად სწორად არის დაჭრილი ამ შეთხზულ ამბავში ადამიანის სულიერი ცხოვრების კანონზომიერება (ზ. ხოჯავა 1990: 205-206).

ავტორი ქეთოს მოგონებების დაკარგვას ბავშვის ფსიქოლოგით ასაბუთებს. ყველა ასაკის ბავშვს ასეთი სრული „თავდავიწყება“ არ დაემართებოდა. ავტორის მიერ სამი წლის ასაკის შერჩევა, საიდანაც ქეთოს ლეკად ქცევა იწყება, ფსიქოლოგიურად დამაჯერებელი და სწორია.

ასე მსჯელობს ავტორი და ამის მიხედვით სიუჟეტის შინაგან ფსიქოლოგიურ კანონზომიერე- ბას იშვიათი დამაჯერებლობით ავითარებს (ზ. ხოჯავა 1990 : 208-210).

მოთხოვთ ძაფები ისეა გაბმული, რომ სხვადასხვა მიმართულებიდან მომავალი ყვე- ლა ის ფინალში ერთ წერტილში მაგრდება. ეს ფინალი ადამიანის არსების მთლიანი ცვლილებაა, კერძოდ ქეთოში ადრიანი ბავშვობის მთლიანი მდგომარეობის გაცოცხლება, რაც მხოლოდ იავნანამ შესძლო და რის ხაზგასმასაც ემსახურება მთელი სიუჟეტის განვითარება (ზ. ხოჯავა 1990: 219).

ზოსიმე ხოჯავას თვალსაზრისით, ის, რაც ავტორმა ქეთოს სულიერი გარდატეხის მიზეზად გაითვალისწინა, თანამედროვე ფსიქოლოგიაში ყველაზე უფრო მეტად განწყობის ცნება ასახავს.

განწყობა წარმოადგენს მთლიანი პიროვნების ცვლილებას, მის ფსიქო-ფიზიკურ მოდიფიკაცი- ას, რომელსაც გარემოს ზეგავლენა ჰქმის და რომელიც თავს იჩენს სუბიექტის გარკვეულის მიმარ- თულებით ამოქმედების მზაობაში.

„იავნანას“ შორსმწვდომი გავლენის დახასიათებით, იაკობ გოგებაშვილმა მიაგნო განწყობის დიდ როლს ადამიანის შემოქმედებაში.

13 წლის ქეთო იმიტომ კი არ იგონებს ადრინდელ ბავშვობას, რომ მის ნერვიულ ცენტრებში სა- თანადო ცალკეული კვალის აქტუალიზაცია ხდება, არამედ იმიტომ, რომ მშობლიური ჰანგების მოს- მენა აღვიძებს, ხელახლა იწვევს მასში პირვანდელ მთლიან მდგომარეობას, როგორც საკუთარ ძალ- თა გარკვეული მიმართულებით ამოქმედების განწყობას, რის საფუძველზეც შემდეგ მოგონების კონკრეტული განცდებიც ჩნდებიან.

პიროვნება არის ცალკეულ განცდათა ჯამი. ყოველ მომენტში თავისი ცხოვრებისა იგი გან- წყობის მატარებელია, განწყობის, რომელიც მისი არსების მოდუსს ნიშნავს და რომელიც შესაფერი- სად განსაზღვრავს თვით ამ განცდათა წარმოშობა-მიმდინარეობას.

ასეთ დახასიათებას იღებს იაკობ გოგებაშვილის ფსიქოლოგიური კონცეფცია მისი მოთხო- ბის მიხედვით ფსიქოლოგიურ მიმართულებებს შორის. ეს კონცეფცია არცერთ მათგანს ისე არ უახ- ლოვდება, როგორც განწყობის ფსიქოლოგიურ თეორიას და თუ ეს მაღალი ეტაპია ფსიქოლოგიური აზროვნების განვითარების ისტორიაში, მაშინ ჩვენი ავტორიც გაცილებით მაღლა დგას თავისი კონ- ცეფციით მისი დროის იმ პედაგოგებზე, რომლებიც თავიან პედაგოგიურ მოღვაწეობაში მხოლოდ ელემენტური ფსიქოლოგიის პრინციპებზე იდგნენ (ზ. ხოჯავა 1990: 221-224).

როგორც ლადო მინაშვილი აღნიშნავს, მოთხობა ყველა თვალსაზრისით გამორჩეულია. მკითხველს ხიბლავს ავტორისეული უჩვეულო გრძნობა სიუჟეტისა, ამბის თხოვთ ისტატობა, არა

მარტო დრამატიზმი, არამედ მოთხოვაში შექმნილი ვითარების ტრაგიზმი. იაკობ გოგებაშვილმა შესანიშნავად იცის ადამიანის საზოგადოდ, კერძოდ, ბავშვის სამყარო, სულის ყოველი მოძრაობა, რომლის შემოქმედების მთავარი ნიშანი სიმართლე და გულწრფელობაა.

მწერალი გვიჩვენებს მისი გმირების განცდებს გარეგამოტანილი ქცევებით, მოქმედებებით, პერსონაჟების სახეზე აღბეჭდილი გრძნობების აღწერით, ხშირად მწერალი გრძნობათა დასახასია-თებლად მიმართავს გაშლილ შედარებებს.

„ყმაწვილი ქალი დედ-მამას ხელიდან ეცლებოდა, უავადმყოფოდ, დწებოდა და სიკვდილამდე პატარა ნაწილი ედო“. ამ მომენტში მწერალი ერთ საინტერესო ფსიქოლოგიურ დეტალს იმარჯვებს, რითაც თვალნათლივ გამოკვეთს ცალკ-ცალკე მამისა და დედის ხასიათებს, მათი დრამის ნიუან-სებს: მამა, შვილის ტანჯვის შემხედვარე, ამბობს: „არა მე ვეღარ ვუცქერი ამ ბავშვის ამდენ ტანჯვას და წვალებას, თუ რამდენსამე დღის განმავლობაში პირი ჩვენსკენ არ იბრუნა, შევსვამ ცხენზე და ჩე-მის ხელით ავუყვან ნაიძა და იმის ცოლსა. ეტყობა ლირსეული ადამიანები ყოფილან, რომ აგრე შე-უყვარებიათ თავი ჩემი ღვიძლი შვილისათვის, – უთხრა ზურაბმა თავის ცოლს, მაგდანსა, ხოლო მაგ-დანი ესე ადვილად არ დასთმობდა ქეთოსა და მზად იყო ისევ თავის ახლო დაემარხა თავისი ერთა-დერთი შვილი, ვიდრე გაეგზავნა ხელმეორედ და სამუდამოდ დაღესტანში“ (ი. გოგებაშვილი 1986: 424-425).

უტყუარი ფსიქოლოგიური დეტალია.

მწერალმა ხელშესახებად, თვალსაჩინოდ წარმოუდგინა მკითხველს სულში მიმდინარე პროცე-სები თავის ყველაზე მძაფრ, დრამატულ მომენტში და ისიც გარკვევით გვითხრა, რომ ადამიანის სუ-ლის სიღრმეში ყველაზე მძაფრად, ღრმად მუსიკა, სიმღერა იჭრება და მისი ხსოვნაც ყველაზე ღრმაა და მძლავრი (ლ. მინაშვილი: 315-318).

ამდენად, იაკობ გოგებაშვილის მიერ ლიტერატურათმცოდნეობაში გაწეული ღვაწლის ერთ-ერთი ნიმუშთაგანია „იავნანამ რა ჰქმნა?“, რომელშიც ავტორმა აჩვენა ერის გენეტიკური კოდის გა-მოვლინებათაგანის სიმღერა, როლი მოზარდში ეროვნული ცნობიერების გაღვიძების გზაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგოლაძე 2003: თ. გოგოლაძე: „ქართული სატრიალო ლირიკის ისტორიისათვის“, თსუ, თბილისი, 2003.
2. ქურდოვანიძე 2001: თ. ქურდოვანიძე, „ქართული ფოლკლორი“, „მერანი“, თბილისი, 2001.
3. თავზიშვილი 1974: გ. თავზიშვილი, „ქართული ლიტერატურის ისტორია“, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1974.
4. სალირაშვილი 1998: ნ. სალირაშვილი, „ქართული საბავშვო მწერლობა“, XIX ს, 1998.
5. ხოჯავა 1989: ზ. ხოჯავა, „იაკობის სამრეკლო“, თსუ, თბილისი, 1989.
6. გოგებაშვილი 1986: ი. გოგებაშვილი, „საგანძურო“, „განათლება“, თბილისი, 1986.
7. მინაშვილი: 2013: ლ. მინაშვილი, ი. ევგენიძე, „ქართული ლიტერატურა“, „საქართველოს მაცნე“. თბილისი, 2013.

ცოტნე ციცხვაია, სოფიკო ქსოვრელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი კახაბერ ლორია

ანტიმერარაცის ფიზიკაული გზა შვედეთის მეცნიერება – კარლ XIV იუპანი

შვედეთში მონარქიულ მმართველობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. პირველი შვედი მეფის ხსენების წყაროდ ტაციტიუსის ნაშრომი „გერმანია“ მიიჩნევა, რაც ა.ნ. 100 წ. განეცუთვნება. თუმცა, იმის გამო, რომ არსებული წყაროები ნაკლებად სარწმუნო და ხშირად ურთიერთგამომრიცხავია, შვედი მეფეების ჩამონათვალი მე-10 საუკუნეში მცხოვრები მეფე ოლაფ სკენტონუგითა და ერიკი გამარჯვებულით, მისი მამით იწყება. ითვლება, რომ ისინი პირველი მეფეები იყვნენ, რომელთაც ქრისტიანობა მიიღეს. ამ პერიოდიდან დღემდე მოყოლებული შვედეთს მრავალი მეფე ჰყავდა, მაგრამ ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ბერნადოტების სამეფო დინასტიის პირველ მეფეზე შევაჩერებთ.

ბერნადოტები 1818 წლიდან მართავენ შვედეთს, 1818-1905 წწ.-ში ნორვეგიის სამეფოსაც ამავდროულად, დღეს კი ევროპის სხვა მონარქთა მსგავსად სიმბოლური ფუნქცია აქვთ და ქვეყნის მართვაში ნაკლებად მონაწილეობენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ სამეფო ხაზი არსებობა საფრანგეთის 1789-1799 წლების რევოლუციის დამსახურებაა.

ბერნადოტების სამეფო დინასტიის პირველი მეფე კარლ XIV იუპანი არც სამეფო ოჯახის წარმომადგენელი ყოფილა და არც შვედი გახლდათ ეროვნებით. მეტიც, თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი სწორედ მეფეებთან და მონარქისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლას მიუძღვნა. უან ბატისტ ბერნადოტი დაიბადა საფრანგეთში, უბრალო იურისტის ოჯახში. ოჯახის მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო 1780 წელს 17 წლისა ჩაირიცხა არმიაში და ერთ წელზე მეტი გაატარა კუნძულ კორსიკაზე, ნაპოლეონ ბონაპარტის მშობლიურ ქალაქში. მან, როგორც მამაცმა ჯარისკაცმა და კარგმა მოფარიყავემ, ყველას კეთილგანწყობის მოიპოვება შეძლო. 1785 წლისთვის უკვე სერუანტი გახდა, მაგრამ ამ პერიოდის საფრანგეთში უფრო მაღალ წოდებას ვერ მიაღწევდა, ვინაიდან არისტოკრატიული წარმოშობის არ იყო. საფრანგეთის რევოლუციის პერიოდში კი თავისი მხედართმთავრული ნიჭისა და გონიერების წყალობით დაწინაურდა და 1799 წელს საფრანგეთის სამხედრო მინისტრი გახდა, 1804 წელს საფრანგეთის მარშალი, 1806-1810 წლებში კი ნაპოლეონმა მას ცენტრალურ იტალიაში მის მიერვე დაარსებული პონტეკოვოს მმართველის ტიტული უბოძა.

ნაპოლეონის ძალაუფლება და გავლენის სფეროები თანდათანობით იზრდებოდა და იმპერატორი ხშირად თავის ნათესავებს ამეფებდა რიგ მაშინდელ ევროპულ სახელმწიფოებში. ამ პერიოდში კი, 1809 წლისთვის შვედეთში მეფე დამხეს, ვინაიდან მისით უკმაყოფილო იყვნენ 1808-1809 წწ.-ების რუსეთ-შვედეთის ომში რუსეთის მიერ ფინეთის მისაკუთრების ფაქტით. მეფედ უძეო და მოხუცი - 61 წლის კარლ XIII აირჩიეს, რომელმაც შვედეთის საგარეო კურსი მთლიანად შეცვალა. ახალი მეფის პოლიტიკის მიზანი იყო ევროპის უძლიერეს იმპერიასთან, საფრანგეთთან მეგობრული ურთიერთობის ქონა, ნაცვლად მასთან ქიშპობისა. ამიტომაც, კარლმა საფრანგეთის მოკავშირე ქვეყნის, დანიის პრინცი - ქრისტიან ავგუსტი გამოაცხადა თავის მემკვიდრედ. მაგრამ პრინცი შვედეთში ჩასვლიდან მოკლე დროში გარდაიცვალა. ქრისტიანის გარდაცვალებამ რთულ სიტუაციაში ჩააგდო შვედეთი და დიდგვაროვნებმა მეფესთან თანხმობით გადაწყვიტეს ტახტი გარდაცვლილი ძმისთვის შეეთავაზებინათ და რათა ნაპოლეონის თანხმობაც მიეღოთ, ელჩები გაგზავნეს საფრანგეთში. ერთ-ერთი ელჩითაგანი, გრაფი ოტო მერონერი ფიქრობდა, რომ პოტენციურ პრინცს, რომელსაც საფრანგეთის მიმართ დიდი სიმპათიები გააჩნდა, შესაძლოა ახალი ომი წამოეწყო რუსეთთან, ამიტომაც, თავისი მეფისგან ფარულად სხვა კანდიდატურის ძებნა დაიწყო. საბოლოოდ მან ბერნადოტიზე შეაჩე-

რა არჩევანი, ადამიანზე, რომელიც ნაპოლეონის მარშლებს შორის ნაპოლეონთან ურჩობით, მოხერ-ხებულობითა და ნიჭიერებით გამოირჩეოდა, ასევე გააჩნდა გარკვეული გავლენა და ძალაუფლება და მისი პიროვნება ყველასთვის იყო ცნობილი. მართალია ამის გამო მოგვიანებით სამშობლოში დაბრუნებული გრაფი დააპატიმრეს კიდევაც, თუმცა კარლ XIII მიერ მოწვეულმა სახელმწიფო საბჭომ, ერთსულოვნად გადაწყვიტა გვირგვინი ნაპოლეონის მარშალისთვის შეეთავაზებინა, იმ პირობით, თუკი ბერნადოტი ლუთერანობას მიიღებდა. შეიძლება ითქვას, რომ ბერნადოტი მეფედ აირჩიეს ერთის მხრივ, იმიტომ, რომ შვედების დიდი ნაწილი, ხედავდა რა ევროპაში შექმნილ დაძაბულ სა-ომარ ვითარებას, ასევე შვედეთის რუსეთთან გართულებულ ურთიერთობას და მისგან მომავალ საფრთხეს, სურდათ მეფედ ყოლოდათ სამხედრო გამოცდილების მქონე ჭკვიანი პოლიტიკოსი და დიპლომატი ადამიანი და მეორეს მხრივ კი, შვედებს ბერნადოტი მოსწონდათ, მისი გულმოწყალების გამო, ვინაიდან ის კარგად ექცეოდა ტყვეებს, რაც თავის თავზე გამოცდილი ჰქონდათ შვედ ჯარის-კაცებს ლუბეკში ტყვეობისას. ასევე ბერნადოტის ერთ-ერთი უპირატესობა ის იყო, რომ მას უკვე ჰყავდა ვაჟი, რაც გამორიცხავდა ტახტის პრეტენდენტის გარეშე დარჩენას, იმ შემთხვევაში თუ ბერნადოტის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრებოდა.

ძნელია ვიმსჯელოთ ნაპოლეონის დამოკიდებულებაზე ბერნადოტის მეფის კანდიდატურად წამოყენების შესახებ. როგორც ვიცით, პირველად ნაპოლეონმა ამის შესახებ თავად ბერნადოტისგან შეიტყო. ფაქტია, რომ იგი გაოცებული დარჩა, ვინაიდან შვედი ელჩები ოფიციალურ კანდიდატად ფრედერიკ ქრისტიან II-ს, ჰოლშტაინ-ავგუსტბურგის ჰერცოგს ასახლებდნენ. ნაპოლეონს ოფიცია-ლურად თანხმობა არ მიუცია ბერნადოტისთვის, მაგრამ არც წინააღმდეგი ყოფილა. სავარაუდოდ, იგი ბერნადოტს მოკავშირედ თვლიდა და ვერასოდეს წარმოიდგენდა რომ ფრანგი ეროვნების მეფე თავისი ქვეყნის წინააღმდეგ წავიდოდა.

1810 წელს ნაპოლეონმა იგი გაათავისუფლა სამხედრო სამსახურიდან და ბერნადოტი, უკვე კი კარლ XIV იუპან რეგენტი გახდა, ფაქტობრივად კი – შვედეთის მმართველი. ნაპოლეონმა მისი რე-გენტად გახდომიდან მოკლე დროში, მოსთხოვა შვედეთს მონაწილეობა მიეღო ინგლისის წინააღ-მდეგ ომსა და მისი კონტინენტურ ბლოკადაში მოქცევისთვის. თავდაპირველად შვედეთი დათან-ხმდა ამ მოთხოვნას, თუმცა რეალურად არასოდეს გაულაშქრია ინგლისის წინააღმდეგ, ვინაიდან მსგავსი პირობის შესრულება შვედეთის ეკონომიკაზე უარყოფითად მოქმედებდა და მალევე, 1812 წლისთვის დაარღვია ბლოკადა, რაც საფრანგეთის წინააღმდეგ გალაშქრებას ნიშნავდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ გადაწყვეტილებით კარლ XIV იუპანმა წინა მეფის მსგავსად შვედეთის საგარეო პო-ლიტიკა კიდევ ერთხელ შეცვალა. ამ გადაწყვეტილებასთან ერთად, შვედეთმა ასევე უარი თქვა რუ-სეთთან საუკუნოვან დაპირისპირებაზე, საბოლოოდ აღიარა რომ ფინეთი დაკარგული იყო, ვინაი-დან, ერთი მხრივ, ქვეყანას არ გააჩნდა საქმარისი სახსრები ახალი ომის წამოსაწყებად და, მეორე მხრივ, იმიტომაც, რომ თავად ფინეთები არ იყვნენ შვედეთთან მიერთების მოსურნე. ახალმა მეფემ ამ დანაკარგის ნაცვლად გადაწყვიტა ნორვეგიის სამეფო მიერთებინა, რომელსაც იმ დროისთვის დანია მართავდა და ის ცდილობდა დაერწმუნებინა თავისი თანამემამულები ნორვეგიის დაპყრო-ბის უპირატესობაში ფინეთთან შედარებით. კარლ XIV იუპანის ქმედებებიდან ასევე აღსანიშნავია საიდუმლო პოლიციის დაარსება, რომელსაც უნდა დაეცვა სამეფო ხელისუფლება ტახტიდან ჩამოგ-დებისგან და ასევე ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციისთვის საბანკო სისტემის გაუმჯობესება, რა-მაც დააწესა შეზღუდვები იმპორტზე, დაიცვა ქვეყანა ინფლაციისგან და დააბალანსა საგარეო ვა-ლები. ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში გადადგმულმა ნაბიჯებმა შედეგიც მაღლევე გამოიღო, მაგა-ლითად საგარეო ვალები 11 მილიონი რიკსდალერიდან ჩამოვიდა 4 მილიონამდე და მოაგვარა ქვეყა-ნაში არსებული ფინანსური კრიზისი. ასევე, ევროპაში არსებული იმპერიული სახელმწიფოებისგან მომავალი საფრთხისა და საომარი მოქმედებებისგან შექმნილი გართულებული მდგომარეობის გა-მო, შვედეთის არმიის ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად გატარდა გარკვეული ქმედები. მა-გალითად, გაიზარდა ეროვნული არმიის დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხები და შეიქმნა წვე-ვამდელთა არმია. ასევე მოხდა კონტროლის დაწესება პრესის თავისუფლებისთვის, რათა არ გამო-ცემულიყო ისეთი უურნალ-გაზეთები, რომლებიც ქვეყნის ოფიციალურ პოლიტიკიას გააკრიტიკებ-

დნენ ან მათი საჭიროებასა თუ ავკარგიანობაში ეჭვს შეიტანდნენ. კარლ XIV იუპანის ამ ნაბიჯებს „1812 წლის პოლიტიკის“ სახელით იცნობენ.

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად კარლ XIV იუპანმა სცადა ნაპოლეონისგან მიეღო დახმარება ნორვეგიის მისაერთებლად, მაგრამ საფრანგეთი სულაც არ აპირებდა შვედეთის შემოთავაზებაზე დათანხმებას და დანიის სახით მოკავშირის დაკარგვას. მას შემდეგ რაც საფრანგეთმა შვედეთის კუთვნილი პომერანია დაიპყრო პასუხის სანაცვლოდ და კიდევ უფრო მიახლოვდა რუსეთის საზღვრებს, კარლ XIV იუპანისთვის ცხადი გახდა, რომ ნაპოლეონი ომს ამზადებდა რუსეთის წინააღმდეგ და გადაწყვიტა ახალი მოლაპარაკებები წამოენყო, ამჯერად რუსეთთან. ამბობენ რუსეთის მეფე ალექსანდრე პირველი იმდენად შეძრნუნებული იყო ნაპოლეონის წარმატებებითა და მისი რუსეთის ტერიტორიებთან მიახლოებით რომ, კარლ XIV იუპანთან შეხვედრისას, სმენოდა რა მისი მარშლობის პერიოდში მიღწეული წარმატებებისა, გადაწყვიტა წაპოლეონის ყოფილი მარშლისგან რჩევები და დახმარება სასარგებლო იქნებოდა და ბოლოს, კარლ იუპანს რუსეთის არმიის მეთაურობაც შესთავაზაო. ასევე რუსეთი იღებდა ვალდებულებას ბერნადოტის სამეფო დინასტიის დაცვისა და ლეგიტიმიზაციის შესრულება უზრუნველეყო მომავალში. კარლ XIV იუპანმა, მას შემდეგ რაც რუსეთის იმპერატორისგან მიიღო პირობა, დახმარებოდა ნორვეგიის დაპყრობაში, დათანხმდა გამხდარიყო რუსეთისა და ინგლისის მოკავშირე და 1813 წლისთვის შეუერთდა კოალიციას ნაპოლეონის წინააღმდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისისა და რუსეთის მეთაურები მაინც ყოყმანობდნენ შვედეთის-თვის დაეთმოთ ნორვეგია, ვინაიდან ისინი დანიასთან ანარმოებდნენ მოლაპარაკებებს, მაგრამ ეს მოლაპარაკებები ჩაიშალა, ერთი მხრივ კარლ XIV იუპანის ქმედებების გამო, რადგან მან მოახერხა დანიასთან შვედარებით შვედეთის უპირატესობები წარმოეჩინა ანტინაპოლეონური კოალიციისთვის და მეორე მხრივ კი იმიტომ, რომ თავად დანია ამბობდა უარს მათთან მოკავშირეობაზე.

კარლ XIV იუპანმა 1813–1814 წწ.-ში შვედეთის არმიით თანამემამულების წინააღმდეგ გაიბრძოლა მეექვსე ანტინაპოლეონურ კოალიციაში და დიდი წვლილი შეიტანა იმპერატორის დამარცხებაში. მართალია შვედეთის არმიას ბოლოს, ლაიფციგთან გადამწყვეტ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობა არ მიუღია, ბრძოლის ველზე დაგვიანებით მისვლის გამო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კარლ XIV იუპანს მაინც მოუხდა მის რამდენიმე თანამებრძოლს, კერძოდ კი წაპოლეონის მარშლებს – მიშელ ნეისა და შარლ-ნიკოლა უდინოს შებრძოლებოდა და დაამარცხა კიდეც ისინი. ასევე მან დაარწმუნა საქსონიის სამეფო, კოალიციის მხარე დაეჭირა. ლაიფციგთან ბრძოლის შემდეგ კარლ XIV იუპანმა დანიის წინააღმდეგ გაილაშქრა, აიძულა იგი ნორვეგია დაეთმო შვედეთისთვის და ეს ქმედება საბოლოოდ კილის სამშვიდობო ხელშეკრულებებისას დაადასტურა. ასევე, ამავე ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ დანიას პომერანიის ტერიტორია მიეღო წორვეგის სანაცვლოდ.

თუმცა წორვეგიელები სულაც არ აპირებდნენ კილის სამშვიდობო ხელშეკრულების შესრულებას, და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობა სურდათ. მათ უკვე ჰქონდათ კონსტიტუცია და საპარლამენტო მმართველობის შემოღებაც სურდათ, ამიტომაც გადაწყვიტეს შვედეთისგან თავი ომით დაეცვათ. მართალია ომში მხოლოდ ორ კვირას გასტანა, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ იგი დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის გამოდგა, ვინაიდან ამან აჩვენა, რომ მხარეებს მოლაპარაკება უკეთ გამოსდიოდათ, ვიდრე სისხლისმდვრელი ომი. ორკვირიან ბრძოლებში წორვეგია დამარცხდა, თუმცა შვედეთს მაინც მოუხდა გარკვეულ დათმობებზე წასვლა მის მისაერთებლად. კერძოდ, მართალია, მეფე უნდა გადამდგარიყო, მაგრამ ნორვეგია შეინარჩუნებდა ავტონომიას – მას ექნებოდა საკუთარი კონსტიტუცია და პარლამენტი. ამგვარად, ეს გაერთიანება ფორმალური იყო. შვედეთის მსგავს დათმობაზე წასვლა, სავარაუდოდ, განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ ახალი ბრძოლა და კონფლიქტი გამოიწვევდა უთანხმოებებსა და დაძაბულობას და ამ ორ ქვეყანას შორის სამომავლო ურთიერთობებზე უარყოფითად აისახებოდა, და ასევე, ის ფაქტიც, რომ ომის წარმოება ორივე ქვეყნის ეკონომიკას მძიმედ დააწვებოდა. საბოლოოდ, ეს ყველაფერი მათ წინააღმდეგობის უნარზე უარყოფითად იმოქმედებდა და ისინი შესაძლოა ადვილი საკბილო გამხდარიყვნენ რომელიმე ევროპული იმპერიული სახელმწიფოს თავდასხმის შემთხვევაში. ასევე, კარლ XIV იუპანი ვენის სამშვიდობო კონგრესზე უნდა წარმდგარიყო ახლო მომავალში, სადაც დიდი ევროპული ქვეყნები ევროპაში

მშვიდობის დაცვასა და უსაფრთხოებაზე ისაუბრებდნენ, ამგვარად მას სურდა ცივილურ და მშვიდობიან მეფედ წარმდგარიყო მათ წინაშე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ომთან დაკავშირებით უთანხმოება იყო თავად ნორვეგიელებს შორის. ტრონდელაგსა და დასავლეთ ნორვეგიაში სურდათ ბოლომდე გაეწიათ წინააღმდეგობა, ხოლო აღმოსავლეთის მცხოვრებლები სულაც არ იყვნენ ომის მომხრე და ზოგმა ნორვეგიელმა უარიც კი თქვა მასში მონაწილეობაზე. ზოგი ისტორიკოსის აზრით, ნორვეგიის მიერ ამ ომის გამოცხადება ერთგვარი ხრიკი იყო, რათა შემდგომ შვედეთისგან კარგი პირობები და უფრო ფართო ავტონომია მიეღო. თუმცა, როგორიც არ უნდა ყოფილიყო სინამდვილეში, ერთი რამ ცხადია – 1818 წლისთვის შვედეთის მოხუცი მეფე კარლ XIII გარდაიცვალა და ბერნადოტი საბოლოოდ გახდა მეფე შვედეთისა, როგორც კარლ XIV იუპანი და მეფე ნორვეგიისა, როგორც კარლ III.

დასასრულს, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ბერნადოტის, ან უკვე კი კარლ XIV იუპანის ცხოვრებაზე არანაკლებ საინტერესო მისი გარდაცვალების ერთი მომენტი გამოდგა. როგორც ცნობილია, იგი 1844 წელს გარდაიცვალა. რსებობს თქმულება რომ რომ კარლ XIV იუპანს გარდაცვალებისას ხელზე უპოვეს ტატუ ფრანგულ ენაზე. ერთი ვერსიით ეს იყო შემდეგი შინაარსის ტექსტი – „სიკვდილი მეფეს“ ხოლო მეორეს თანახმად კი – „გაუმარჯოს რესპუბლიკას“. რაც იმით აიხსნება რომ უან ბერნადოტი ახალგაზრდობის პერიოდში საფრანგეთის რევოლუციის აქტიური მონაწილე იყო და კარიერა უბრალო ჯარისკაცობით დაიწყო. ამგვარად, მისთვის მონარქიული ხელისუფლება მიუღებელი იყო, მაგრამ ბედი ბერნადოტის საპირისპირო რამეს უმზადებდა და წლების შემდეგ ერთი რიგითი ჯარისკაცი, რომელიც მონარქიის წინააღმდეგ იბრძოდა ჯერ საფრანგეთის საგარეო მინისტრი გახდა, შემდეგ, იმ დროინდელი ევროპის უძლიერესი იმპერატორის ერთ-ერთი მარშალი, ბოლოს კი თავად გახდა მონარქი და დასაბამი დაუდო სამეფო დინასტიას, რომელიც ტახტს დღემდე ინარჩუნებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <http://www.swedishchamber.ee/efocus/read/31>
2. www.behindthename.com/namesakes/list/swedish-rulers/chrono
3. <http://www.norgeshistorie.no>
4. <http://www.thelocal.se/20100423/26250>
5. <http://www.frenchempire.net/biographies/bernadotte/>
6. <http://www.faktoider.nu/bernadotte.html>
7. <http://www.britannica.com/biography/Charles-XIV-John>

მარიამ მანია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი კახაბერ ლორია

ფრითიოფ ნანსენი და ტურ ჰეირდალი – მათი საქართველოში მოგზაურობის შესახებ

ნორვეგია მრავალმხრივ გამორჩეული ქვეყანაა. მისი ისტორია უამრავი მნიშვნელოვანი, საინტერესო და სხვადასხვა დარგში მოღვაწე განსაკუთრებული ადამიანებითა თუ მოვლენებითაა დატვირთული. შესაბამისად, მსოფლიო ისტორია ამ შორეულ სკანდინავიურ ქვეყანას კარგად იცნობს. თუმცა, რაც შეეხება საქართველო-ნორვეგიის ისტორიულ ურთიერთობას, ეს თემა ნაკლებად არის შესწავლილი მიუხედავად არაერთი დადასტურებული საინტერესო ფაქტისა, რომელთაგანაც ერთ-ერთი ამ სტატიის მთავარ თემას წარმოადგენს. ყველასთვის ცნობილია გამოჩენილი ნორვეგიელი მოგზაურების, ფრითიოფ ნანსენისა და ტურ ჰეირდალის, დამსახურება კაცობრიობის წინაშე. საქართველოს განათლების სისტემის მიხედვით, გეოგრაფია სკოლებში სავალდებულო საგანია. გეოგრაფიის არაერთი წიგნი არსებობს და ყველა მათგანის ერთ-ერთ მთავარ თემას სწორედ ნორვეგიელი მოგზაურები წარმოადგენენ. ბავშვები ეცნობიან ფრითიოფ ნანსენისა და ტურ ჰეირდალის აღმოჩენებს, თუმცა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ეს ორივე დიდი მოღვაწე საქართველოში იმყოფებოდა, მათვის აბსოლუტურად უცნობ ფაქტად რჩება, რადგან გაკვეთილის დანართშიც კი არ არის მითითება ამის შესახებ. გამომდინარე აქედან, მიჩქმალული ისტორიული წარსული მიჩქმალულადვე რჩება და მისი გამოკვლევით არავინ ინტერესდება.

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში გამოსული ისეთი გაზეთების, როგორებიცაა „კომუნისტი“ და „ახალგაზრდა კომუნისტი“, არაერთი რუბრიკა ნორვეგიასა და ნორვეგიელებს ეძღვნება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჩემი ინტერესის სფეროს კონკრეტულად ფრითიოფ ნანსენისა და ტურ ჰეირდალის საქართველოში ვიზიტი წარმოადგენს. სანამ უშუალოდ მათ საქართველოში სტუმრობას და მის მნიშვნელობას შევეხებოდეთ, მიმოვიზილოთ ამ დიდი მოგზაურების ბიოგრაფია.

გამოჩენილი მოგზაური, ზოოლოგი, პოლიტიკური მოღვაწე, ფილანტროპი, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი, როგორც მას ხშირად მოიხსენიებენ ხოლმე და ახალი მეცნიერების დფიზიკური ოკეანოგრაფიის დამაარსებელი ფრითიოფ ნანსენი დაიბადა 1861 წლის 10 ოქტომბერს, მაშინდელ ქრისტიანიასთან ახლოს მდებარე სტურე-ფრიონის მამულში, რომელიც მამამისს - სახელგანთქმულ ადვოკატ ვალდურ ნანსენს ეკუთვნოდა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მან მუშობა ბერების საბუნებისმეტყველო მუზეუმში დაიწყო ზოოლოგიის განხრით. 1888 წელს კი მოაწყო ექსპედიცია გრელანდიაში, რის შემდეგაც გამოაქვეყნა შრომები „ესკიმოსთა ცხოვრება“ და „თხილა-მურებით გრელანდიაზე გავლით“. გრელანდიის ექსპედიციის შედეგები იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ლონდონის გეოგრაფიულმა საზოგადოებამ ოქროს მედლით დააჯილდოვა, ხოლო საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიამ საპატიო წევრად აირჩია. ექსპედიციიდან რამდენიმე წელში ნანსენმა წამოაყენა გემით ჩრდილოეთ პოლუსამდე მიღწევის პროექტი და მან ამისთვის საკმაოდ აქტიური მუშაობა დაიწყო. თუმცა, ეს იდეა ცოტა არ იყო პარადოქსულად და „თვითმკლელობის შესანიშნავ გეგმად“ შერაცხეს როგორც ნორვეგიის, ისე ბრიტანეთის აკადემიურმა საზოგადოებებმა. თუმცა, ნანსენმა ფარ-ხმალი არ დაყარა და დაახლოებით ნახევარი მიღლიონი კრონი შეაგროვა ექსპედიციის-თვის. 1893 წელს, მისმა პეციალურად აღჭურვილმა გემმა „ფრამ“ (რაც ნიშნავს „წინ“) ნორვეგია დატოვა. ცხადია, მოგზაურობა ძალზე რთული აღმოჩნდა. ფაქტობრივად, გემით გზის გაგრძელება შეუძლებელი იყო. ამიტომ, 1895 წელს ფრითიოფ ნანსენმა და ჰიალმარ იოპანესენმა თხილამურებითა და მარხილებით გადაწყვიტეს ექსპედიციის გაგრძელება. ერთი თვის შემდეგ, მათ ჩრდილო განედის 85 გრადუსსა და 39 წუთს მიაღწიეს, აღნიშნული კოორდინატისთვის მანამდე არავის მიუღწევია. თუმცა, ნანსენმა პოლუსამდე დარჩენილი 370 კილომეტრის გადალახვა ვერ შეძლო და ექსპედიცია

უკან, ნორვეგიაში დაბრუნდა. ნანსენის ამ ექსპედიციას მნიშვნელოვანი აღმოჩენები მოჰყვა არამარტო გეოგრაფიაში, არამედ ზოოლოგიაში, ასტრონომიაში, ბიოლოგიაში, ოკეანოლოგიაში და სხვა დისციპლინებში. 1917-1918 წლებში ფრიტიონ ნანსენი პოლიტიკურ ასპარეზზე გვევლინება. ის ინიშნება ნორვეგიის საგანგებო სრულუფლებიან ელჩად ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ ეტაპიდან კი ის საქართველოს ისტორიისთვისაც უმნიშვნელოვანეს ფიგურას წარმოადგენს. ის ადამიანი, რომელიც 1920 წლის ერთა ლიგის სხდომაზე მხარს საქართველოს უჭერდა და უფრო მეტიც, ძალიან ცდილობდა ჩვენი სამშობლო ერთა ლიგაში მიეღოთ, სწორედ ფრიტიოფ ნანსენი გახლდათ. გაზეთ „კომუნისტის“ ცნობით, ის 1925 წელს ქალაქ ბათუმს ესტუმრა. მან მოინახულა ბოტანიკური ბაღი და შემდეგ თბილისში გაემგზავრა. ის განსაკუთრებით მოიხიბლა ჯვრის მონასტრით და ლერმონტოვის „მწირში“ აღწერილ მონასტერს შეადარა. გარდა ამისა, დიდად დაინტერესებულა და საინტერესო რჩევები მიუცია საქართველოს საირიგაციო სისტემების შესახებ. ცხადია ყველა ეს ფაქტი საბჭოთა რეალობასა მორგებული, მაგალითად ავილოთ გაზეთ „კომუნისტის“ მიხედვით წარმოთქმული მისი ციტატა „მორწყვა ყველაზე მეტად საჭიროა, რადგან ის განამტკიცებს სოციალიზმზე გარდასვლას“, თუმცა ეს ისტორიული სინამდვილის აღდგენას ხელს არ უშლის, მითუმეტეს, რომ წყარო ძირითადად ფაქტობრივი მნიშვნელობისაა. ფრიტიოფ ნანსენი ხუთი დღე იმყოფებოდა საქართველოში. უნდა აღინიშნოს, რომ ოსლოს უნივერსიტეტს მის მიერ საქართველოში შეგროვილი მასალა ცალკე საქმედ ჰქონდა გამოყოფილი. მასზე ეკუთვნის წიგნი „კავკასიოდან ვოლგისკენ“.

რაც შეეხება ტურ ჰეირდალს, კიდევ ერთ დიდებულ ნორვეგიელს, ის გახლდათ როგორც გეოგრაფი, ისე მწერალი, მოგზაური, ეთნოგრაფი და ზოოლოგი. ის დაიბადა 1914 წლის 6 ოქტომბერს, ქალაქ ლარვიკში ლუდის მეწარმის ოჯახში. იგი ინტენსიურად სწავლობდა კულტურული მემკვიდრეობისა და ტრანსოკეანური მიგრაციების შესაძლებლობას ახალ და ძველ სამყაროს შორის. იგი განსაკუთრებით ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ტივით „კონ-ტიკი“ გადაცურა წყნარი ოკეანე პერუდან არქიპელაგ ტუამოტუმდე. მოგზაურობის მთავარ მიზანს იმის დადასტურება წარმოადგენდა, რომ შეიძლებოდა პოლინეზიის კუნძულებზე თავდაპირველად ამერიკიდან მოსულები დასახლებულიყვნენ. შემდგომი მნიშვნელოვანი ექსპედიცია კი 1955-1956 წლებში მოაწყო აღდგომის კუნძულებზე. დღემდე, ამ კუნძულზე აღმოჩენილი ქანდაკებები აქტუალობას არ კარგავენ, ხოლო ექსპედიციის შემდგომ გამოქვეყნებული მისი წიგნი „აკუ-აკუ“ ბესტსელერად იქცა. 1979-1980 წლებში კი ჰეირდალმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ექსპედიცია მოაწყო ნავებით „რა“ და „რა 2“. როგორც ჩანს, „კომუნისტისტისტის“ და „ახალგაზრდა კომუნისტისტის“ ეს ექსპედიცია ფრიად მნიშვნელოვანი იყო. კერძოდ, ექსპედიციაში მონაწილე რუს ექიმს, იური სენკევიჩს უკავშირდება. თუმცა, ჰეირდალი ჩვენ მხოლოდ რუსეთის გავლით არ გვიკავშირდება, ეს დიდი მეცნიერი უშუალოდ ეწვია საქართველოს და უფრო მეტიც, ჩვენს სახელმწიფო უნივერსიტეტში წაიკითხა ლექცია გაღა-პაგოსისა და აღდგომის კუნძულების ექსპედიციების შესახებ. როგორც აღნიშნა, საქართველოზე მანამდე ბევრი რამ ჰქონდა წაკითხული, მაგრამ უშუალოდ ნანახმა და განცდილმა, ჰამსუნისა არ იყოს, მისთვისაც მოლოდინს გადააჭარბა. ნანსენის მსგავსად, განსაკუთრებით მოიხიბლა ქალაქ მცხეთით და, ზოგადად, საქართველოს ეთნოგრაფიულ მასალათა სიმდიდრით.

რაც შეეხება ტურ ჰეირდალს, კიდევ ერთ დიდებულ ნორვეგიელს, ის გახლდათ როგორც გეოგრაფი, ისე მწერალი, მოგზაური, ეთნოგრაფი და ზოოლოგი. ის დაიბადა 1914 წლის 6 ოქტომბერს, ქალაქ ლარვიკში ლუდის მეწარმის ოჯახში. იგი ინტენსიურად სწავლობდა კულტურული მემკვიდრეობისა და ტრანსოკეანური მიგრაციების შესაძლებლობას ახალ და ძველ სამყაროს შორის. იგი განსაკუთრებით ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ტივით „კონ-ტიკი“ გადაცურა წყნარი ოკეანე პერუდან არქიპელაგ ტუამოტუმდე. მოგზაურობის მთავარ მიზანს იმის დადასტურება წარმოადგენდა, რომ შეიძლებოდა პოლინეზიის კუნძულებზე თავდაპირველად ამერიკიდან მოსულები დასახლებულიყვნენ. შემდგომი მნიშვნელოვანი ექსპედიცია კი 1955-1956 წლებში მოაწყო აღდგომის კუნძულებზე. დღემდე, ამ კუნძულზე აღმოჩენილი ქანდაკებები აქტუალობას არ კარგავენ, ხოლო ექსპედიციის შემდგომ გამოქვეყნებული მისი წიგნი „აკუ-აკუ“ ბესტსელერად იქცა.

1979-1980 წლებში კი ჰეირდალმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ექსპედიცია მოაწყო ნავებით „რა“ და „რა 2“. „პირველი ნავი დაფუძნებული იყო ძველ ეგვიპტურ ნახატებსა და მაკეტებზე და ეწო-

დებოდა „რა“, რომელიც პაპირუსის ლერწამისაგან იყო აშენებული, ჩადის ტბის ნავთა მშენებლების მიერ, რომლებსაც მასალა ეთიოპიიდან, კერძოდ კი ტანის ტბიდან ჰქონდათ წამოღებული. მოვლენების მიხედვით, რამდენიმე კვირაში „რა“ კონსტრუქციული ნაკლებობის გამო მოიღუნა, წყალში ჩაიძირა და საბოლოოდ ნაწილებად გადატყდა. ეკიპაჟის გუნდი იძულებული გახდა ნავი დაეტოვებინა, მომდევნო წელს ნავი „რა“ შეიცვალა „რა II“-ით, რომელიც თავის მხრივ, ტიტიკაკას ტბის მშენებლების მიერ იყო აშენებული. „რა“-სგან განსხვავებით „რა II“ ბევრად წარმატებული ნავი აღმოჩნდა, ეკიპაჟმა სვლა მაროკოდან დაიწყო და წარმატებით მიაღწია ბარბადოს. ამ გეზით „რა II“-ის ეკიპაჟმა მოახდინა დემონსტრირება იმისა, რომ ძველი ზღვაოსნები შესაძლოა ახორციელებდნენ კანარის დინების გავლით ტრანსატლანტიკურ რეისებს. ექსპედიციამ მოახერხა და აიღო ზღვის დაბინძურების ნიმუშები და გაეროს წინაშე მოხსენებით გამოვიდა“. როგორც ჩანს, „კომუნისტისთვის“ და „ახალგაზრდა კომუნისტისთვის“ ეს ექსპედიცია ფრიად მნიშვნელოვანი იყო, რაც კონკრეტულად ექსპედიციაში მონაწილე რუს ექიმს, იური სენკევიჩს უკავშირდება. თუმცა, ჰეირდალი საქართველოს მხოლოდ მის გამო არ უკავშირდება. ეს დიდი მეცნიერი უშუალოდ ეწვია საქართველოს და უფრო მეტიც, ჩვენს სახელმწიფო უნივერსიტეტს. მან უნივერსიტეტში წაიკითხა ლექცია გალაპაგოსისა და აღდგომის კუნძულების ექსპედიციების შესახებ. როგორც მან აღნიშნა, საქართველოზე ბევრი რამ ჰქონდა მანამდე წაკითხული, მაგრად უშუალოდ ნანახმა და განცდილმა, ჰამსუნისა არ იყოს, მისთვისაც მოლოდინს გადააჭარბა. ნანსენის მსგავსად, განსაკუთრებით მოიხიბლა ქალაქ მცხეთით და ზოგადად საქართველოს ეთნოგრაფიულ მასალათა სიმდიდრით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ფრიტიოფ ნანსენიცა და ტურ ჰეირდალიც მნიშვნელოვანი ისტორიული ფიგურები არიან თავიანთ მეცნიერული თუ არამეცნიერული წარსულით. ვფიქრობ, საამაყოც არის ის ფაქტი, რომ ასეთი რანგის საზოგადო მოღვაწეები საქართველოს ესტუმრნენ და ამით საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს დაწინაურებას შეუწყვეს ხელი, ეს კი განსაკუთრებით ფრიტიოფ ნანსენს ეხება.

ნინო სოსელია, მარი ხოჭოლავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელები: პროფესორი კახაბერ ლორია, თამარ კვიშინაძე

„ნორვეგიის მოსახლეობის სტრუქტურა და თანამედროვე გამოცვები“

ქვეყნის ზოგადი დახასიათება

ნორვეგია, ოფიციალურად ნორვეგიის სამეფო (ონგერიკეტ ორგე – ბუქმოლზე, ონგერიკეტ ორეგ – ნინორშკზე), სუვერენული, უნიტარული სახელმწიფოა, სადაც სახელმწიფო მმართველობის ფორმა არის კონსტიტუციური მონარქია. ნორვეგია მდებარეობს ჩრდილოეთ ევროპაში და მოიცავს სკანდინავიის ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილს, კუნძულ იან მაიენსა და სვალბარდის (შპიც-ბერგენის) არქიპელაგს.

ქვეყნის დედაქალაქი 1299 წლიდან არის ოსლო (1624-1925 წლებში ნლებში ენოდებოდა კრისტიანი), რომელიც, ამავდროულად, ქვეყნის უდიდეს ქალაქსაც წარმოადგენს.

ოფიციალური სახელმწიფო ენებია ნორვეგიული (ბუქმოლი და ნინორშკი) და სამი (9 მუნიციპალიტეტში). ქვეყნის საერთო ფართობია 323,802 კმ², აქედან ხმელეთზე მოდის 304,282 კმ², ხოლო წყალზე 19,520 კმ². მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 5,207,689 მლნ კაცს (2015 წლის შეფასებით). მშპ ერთ სულ მოსახლეზე არის \$68,400 (2015 წლის მონაცემებით).

ნორვეგია არის რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, რომელთაგან აღსანიშნავია გაერო (UN), ნატო (NATO) (ნატოს თანადამფუძნებელი სახელმწიფო) და ევროპის ეკონომიკური ზონა (EEA), (ქვეყანამ უარი განაცხადა ევროკავშირის წევრობაზე, თუმცა ის არის ევროპის ეკონომიკური ზონის (EEA) უევრი). ქვეყანა შედის შენგენის წევრ ქვეყანათა რიცხვში.

ნორვეგიის მოსახლეობის რაოდენობის ცვლილების შეფასება

ნორვეგიის მოსახლეობის რაოდენობის ცვლილების შეფასებისას არაერთი ისტორიული თუ სოციალური ფაქტორია გასათვალისწინებელი, მათ შორისაა: სიცოცხლის ხანგრძლივობა, შობადობა, შრომითი მიგრაციები, კონფლიქტური სიტუაციები, პოლიტიკური თუ ეკონომიკური პროცესები და მრავალი სხვა. ნორვეგიაში ბუნებრივ მოძრაობაზე დიდი ზეგავლენა იქონია ინდუსტრიალიზაციის პროცესების დაწყებამ, ამ პერიოდში აშენდა ფაბრიკა-ქარხნები და გაჩნდა მეტი სამუშაო ადგილი ქალაქში და სოფლის დარიბი მოსახლეობა, რომელთაც არც სამუშაო ჰქონდათ და არც საკუთარი მიწა-წყალი, მიაწყდა ქალაქს. დღეს, ნორვეგიას აქვს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი შობადობის მაჩვენებელი ევროპაში. მე-19 საუკუნეში ნორვეგიელი ქალები საშუალოდ აჩენდნენ 4,6 ბავშვს. ამ პერიოდში არ იყოს გასაკვირი 10 ბავშვის ყოლაც. მოგვიანებით ეს მაჩვენებელი მკვეთრად შემცირდა და 1960 წლისთვის იყო 2,7, ხოლო 1980 წლისთვის კი, 1,6, თუმცა დღეს ეს მაჩვენებელი გაზრდილია 1,9-მდე.

ჩემი აზრით, აღნიშნული პროცესები გამოწვეული უნდა იყოს ინდუსტრიალიზაციის პროცესში ქალაქში მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრი ზრდით. მოგეხსენებათ, რომ XX საუკუნის პირველი ნახევრიდან ნორვეგიის ქალაქებში დაიწყო ახალი საწარმოების გახსნა, რასაც მოჰყვა სოფლად მცხოვრები დარიბი მოსახლეობის გადასვლა ქალაქად, სწორედ ურბანიზაციული პროცესები უნდა გამხდარიყო მიზეზი 1960 წლისთვის შობადობის მაჩვენებლის მკვეთრი შემცირებისა. შემდგომი შემცირება უნდა უკავშირდებოდეს 1990-იან წლებს, პერიოდს, როცა მთელი განვითარებული სამყარო მოიცვა „დემოგრაფიულმა კრიზისმა“ და შობადობის დონის მაჩვენებელმა 10%-ზე ნაკლები შეადგინა, ხოლო, რაც შეეხება დღევანდელ მონაცემებს, რომლის მიხედვითაც შეინიშნება შობადობის მაჩვენებლის მცირე ზრდა, ნორვეგიის სტატისტიკის ბიუროს მონაცემებზე დაყრდნობით, ვვარაუდობთ, რომ ეს ზრდა ხდება არა ადგილობრივი, ნორვეგიელი მოსახლეობის შობადობის ზრდის გამო, არამედ იმიგრანტებისთვის ასე დამახასიათებელი მაღალი შობადობის ხარჯზე.

დღევანდელი სიტუაციისგან განსხვავებით ნორვეგია თავდაპირველად არ იყო ცნობილი, როგორც იმიგრაციის ქვეყანა, მასში შეინიშნებოდა ემიგრაციული ნაკადების სიჭარბე. 1825-1945 წლებში დაახლოებით 850 ათასი ნორვეგიელი წავიდა ემიგრაციაში. მოსახლეობის ემიგრაციის მაჩვენებლით ნორვეგია ევროპაში იკავებდა მეორე ადგილს ირლანდიის შემდეგ. 1980-იან წლებში ემიგრანტთა უმეტესობა მიემგზავრებოდა აშშ-საკენ, თუმცა, მოგვიანებით ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესების შემდეგ, დაახლოებით 150 ათასი ადამიანი კვლავ დაბრუნდა ნორვეგიაში. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ნორვეგია აქტიურად იყო ჩართული ჰუმანიტარული საკითხების გადაწყვეტაში და აძლევდა თავშესაფარს ომის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას. მოგვიანებით, 1950-იანი წლებიდან ნორვეგიაში გამკაცრდა საპასპორტო კონტროლი, რის შედეგადაც შემცირდა ქვეყანაში შემომსვლელთა რაოდენობა. 1960 წელს, ნორვეგიაში იმიგრანტების ყველაზე დიდი რაოდენობა მოდიოდა მეზობელი ნორდიკული ქვეყნებიდან (შვედეთი, დანია, ფინეთი, ისლანდია), რაც განპირობებული იყო, ამ ქვეყნებს შორის, საერთო შრომის ბაზრის შექმნით 1950 წელს (ისლანდია შეუერთდა 1982 წლიდან). 1960-იანი წლებიდან ნორვეგიაში ეკონომიკური ბუმის (აღმოაჩინეს ნავთობი, გაიხსნა ახალი საწარმოები და, შესაბამისად, გაჩნდა ახალი სამუშაო ადგილები) დაწყებასთან ერთად თავი იჩინა მოსახლეობის დეფიციტმა. ქვეყანას არ აღმოაჩინდა საკმარისი ადამიანური რესურსი ახლად შექმნილი სამუშაო ადგილების შესავსებად, შესაბამისად მოუწია დიდი რაოდენობით შრომითი მიგრანტების მოწვევა მარკოდან, იუგოსლავიდან, თურქეთიდან და პაკისტანიდან (ყველაზე მეტი შრომითი მიგრანტი იყო პაკისტანიდან). ამას მოჰყვა იმიგრანტთა რიცხვის განუხრელად ზრდა, რის გამოც ხელისუფლება იძულებული გახდა, 1975 წელს გამოეცათ ბრძანება ნორვეგიაში იმიგრაციის შეზღუდვასთან დაკავშირებით. კანონის ამოქმედების მიუხედავად ნორვეგია კვლავ განაგრძობდა თავშესაფრის მიცემას ლტოლვილთათვის (1978-1979 წლები 1,680) და ასევე გაიცემოდა სამუშაო ნებართვები მათთვის ვისაც სურდა ამ ქვეყანაში მუშაობა.)

2014 წლის ოფიციალურმა კვლევამ აჩვენა, რომ ნორვეგიაში 759,000 ადამიანი იყო იმიგრანტი ან იმიგრანტების შთამომავალი, რაც მთელი მოსახლეობის 14,9%-ს შეადგენდა. 2012 წელს 710 465 ემიგრანტიდან 407 262-ს ჰქონდა ნორვეგიის მოქალაქეობა (მთელი იმიგრანტების 60,2%-ს). მოქალაქეობის მქონე იმიგრანტების 51%-ს ჰქონდა ევროპული ფესვები (პოლონეთი, გერმანია, შვედეთი), ხოლო 49%-ს აზიური და აფრიკული (თურქეთი, მარკო, ერაყი, სომალი, პაკისტანი, ირანი). იმიგრანტები წარმოდგენილია ნორვეგიის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში. ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებს შორის, 2012 წელს იმიგრანტების ყველაზე მაღალი ხედირითი წილი იყო ოსლოში (30,4%), დრამენში (25%), ლორენსკუგში (23%) და შიენში (19,6%). მონაცემების მიხედვით, იმიგრაციის ზრდის შედეგად, ოსლო არის ევროპაში ყველაზე სწრაფად მზარდი ქალაქი. ბოლო წლებში ნორვეგიის მოსახლეობის ზრდა, ძირითადად, ხდება იმიგრანტების ხარჯზე.

ნორვეგიის მოსახლეობა გამოირჩევა რეგიონებს შორის მობილურობის მაღალი მაჩვენებლით. შიდა მიგრაცია 2012 წელს გაიზარდა 4 500-ზე მეტი ადამიანით, ხოლო მომდევნო წელს (2013-ში) დაფიქსირდა შიდა მიგრანტების ზრდის რეკორდული მაჩვენებელი. რის შედეგადაც შიდა მიგრანტების რიცხვმა შეადგინა 432 100 ადამიანი. შიდა მიგრაციებმა თავისი წვლილი შეიტანა მოსახლეობის ცენტრალიზაციაში დასახლებების მიხედვით, რის შედეგადაც 2014 წლის პირველი იანვრის მონაცემებით მოსახლეობის 68%-ს თავმოყრა მოხდა 150 მთავარ, ცენტრალურ მუნიციპალიტეტში. ნორვეგიაში შიდა მიგრაციების შემდეგ მიმართულებებს ვხვდებით: სოფელი-ქალაქი, ქალაქი-ქალაქი. ყველაზე დიდი შიდა მიგრაციული ცვლილებები მიმდინარეობს ოსლოსა და აკერშუსში.

ნორვეგია, მსგავსად დასავლეთ ევროპული მაღალგანვითარებული ქვეყნებისა, ხასიათდება საკმაოდ დიდმასშტაბიანი საგარეო მიგრაციებით. ქვეყანაში მოსახლეობა ჩამოდის დაახლოებით 223 ქვეყნიდან. ნორვეგიიდან მოსახლეობა მიემართება მეზობელი სკანდინავიური ქვეყნების, ევროპის მაღალგანვითარებული სახელმწიფოებისა და ამერიკის შეერთებული შტატებისაკენ. მიგრაციის სალდო ნორვეგიის ისტორიის განმავლობაში არაერთხელ შეიცვალა, რაც გამოწვეული იყო სხვა-დასხვა პერიოდში არსებული განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური ფონით. 1950-დან 1965 წლამდე ქვეყანას ახასიათებდა მიგრაციის უარყოფითი სალდო (მიზეზი: რთული ეკონომიკური სიტუაცია. მოსახლეობის გაედინებოდა ხვა ქვეყნებში, უმეტესწილად კი, ამერიკაში).

1965 წლიდან მოყოლებული მიგრაციის სალდო გახდა დადებითი, რაც იმას ნიშნავს, რომ ნორვეგია ემიგრაციის ქვეყნიდან გადაიქცა იმიგრაციის ქვეყნად. 1980-85 წლებში მიგრაციის სალდომ შეადგინა 1,2ჰ, ამ პერიოდიდან მოყოლებული, ნორვეგიაში მიგრაციის სალდო სწრაფი ტემპით იზრდება. 2000-2005 წლებში შეადგინა 3,0ჰ, 2005-2010 წლებში – 7,3ჰ, ხოლო 2010-2015 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა 9,3ჰ-მდე.

პროცენტულად ნორვეგიის ტერიტორიაზე შემომსვლელთა რაოდენობა, კონტინენტების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: 55% ევროპა, 28% აზია, 12% აფრიკა, 3% სმ. ამერიკა და 1% ჩრ. ამერიკა, რაც შეეხება ქვეყნებს, 2015 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ყველაზე მეტი იმიგრანტი ნორვეგიაში მოდის პოლონეთიდან (8 182 იმიგრანტი), მეორე და მესამე ადგილებს ინაწილებენ ლიტვა და შვედეთი (შესაბამისად, 3 309 – 3603) მეოთხე ადგილზეა სომალი (1884 იმიგრანტი). ნორვეგიაში დიდია იმიგრანტთა რაოდენობა ისეთი მაღალგანვითარებული ქვეყნებიდანაც, როგორებიცაა დანია და გერმანია, თუმცა არანაკლებ მაღალია იმიგრანტთა რიცხვი აზიის მუსლიმური ქვეყნებიდან, რომელთა შორისაცაა ფილიპინები, ტაილანდი, პაკისტანი, ერაყი, ვიეტნამი და ირანი საერთაშორისო მიგრაციებში ცენტრალური ადგილი შრომით მიგრაციებს უკავია. ამჟამად მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში დაახლოებით 35 მილიონი მშრომელი მიგრანტი იმყოფება. თანამედროვე შრომითი მიგრაციების მასშტაბური ხასიათი განაპირობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასაქმების ახალი ბაზრების გაჩენამ ან არსებული შრომის ბაზრების გაფართოებამ. თუ მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში საერთაშორისო მიგრაციული ნაკადები, ძირითადად, ამერიკისკენ მიემართებოდა, 1950-იანი წლებიდან სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა. ევროპაში „საერთო ბაზრის“ (მოგვიანებით ისევ როგორიცად გარდაიქმნა) შექმნამ დასაქმების დიდი შესაძლებლობები მისცა განვითარებადი სამყაროს წარმომადგენლებს. აღსანიშნავია, რომ 1950-60-იან წლებში ცენტრალური და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში დიდი რაოდენობით ჩადიოდნენ მშრომელი მიგრანტები შედარებით ჩამორჩენილი სამხრეთ ევროპის ქვეყნებიდან, კერძოდ ესპანეთიდან, იტალიიდან, საბერძნეთიდან და პორტუგალიდან (გ. გოგსაძე, მოსახლეობის გეოგრაფია გვ. 100).

ნორვეგიას შრომითი მიგრანტების შემოდინების თვალსაზრისით ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. იმიგრანტების 33% აქ სწორედ დასაქმების მიზნით მიემგზავრება. ქვეყანაში იმიგრანტების ჩასვლის უმთავრესი მიზესი არის დასაქმება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება. 2015 წლისთვის დაახლოებით 380 000 იმიგრანტი იყო დასაქმებული, რაც ნორვეგიაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 14,7%-ს უდრის. განსხვავებულია იმიგრანტთა დასაქმების დონე მათი წარმომავლობის მიხედვით. დასაქმებულთა ყველაზე დიდი წილი მოდის ევროპული წარმომავლობის იმიგრანტებზე (დაახლოებით, 114 000 ადამიანი), შემდეგ ჩრდ. ამერიკელებზე, სამხ. ამერიკელებზე, აზიისა და ოკეანეთის წარმომადგენლებსა და სულ ბოლოს აფრიკული ფესვების მქონე მოსახლეობაზე.

ნორვეგიას, როგორც ევროპული ქვეყნების უმეტესობას, ახასიათებს ე.ნ. „ტვინთა გადინება“. ეს არის მაღალკვალიფიციური, განათლებული მოსახლეობის გასვლა ქვეყნიდან, ძირითადად საკუთარი შესაძლებლობების, უნარების უკეთ რეალიზებისა და მაღალი ანაზღაურების მიზნით. ეს პროცესები ყველაზე მეტად ნორვეგიას ახასიათებდა 1890-იან წლებში, როცა ქვეყანაში იყო რთული სოციალურ-ეკონომიკური ფონი. რა თქმა უნდა, დღესაც მიმდინარეობს ნორვეგიის მოსახლეობის ემიგრაცია სხვადასხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, თუმცა ამჟამად, ეს პროცესი მიმდინარეობს მცირე მასშტაბით, რადგან ნორვეგია გადაიქცა სოციალური კეთილდღეობის სახელმწიფოდ, რომელიც გამოიჩინა დასაქმების ხელსაყრელი პირობებითა და მაღალი ანაზღაურებით.

ნორვეგიის სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2016 წლის 1 იანვრის სიტუაციით, ნორვეგიის მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან (5,2 მლნ) 13,4%-ს შეადგენს იმიგრანტები (რაც უდრის 698 500 ადამიანს), ხოლო 2,9% კი იმიგრანტთა შვილებს, რომელიც დაიბადნენ ნორვეგიაში (სულ 149 600 ადამიანი). ეთნიკურად ნორვეგიელთა პროცენტული წილი მოსახლეობაში შეადგენს 83,7%-ს (4 352 400 ადამიანი).

ურბანიზაცია, განსახლება და მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება 2015 წლის 1 იანვრის მონაცემებით, ნორვეგიის მოსახლეობის დაახლოებით 81% (4 172 800 მოსახლე) ცხოვრობს ურბანულ დასახლებებში, რომელთა საერთო რაოდენობა 981-ს უდრის. 2014 წელს ურბანული დასახლებების მოსახლეობა გაიზარდა 58 400 ადამიანით, 1,4%-ით. შესაბამისი ზრდის მაჩვენებელი მთელი ქვეყნისთვის მთლიანობაში იყო 1,1%. 5 ყველაზე დიდ ქალაქის ტიპის დასახლების ოსლოს, ბერგენის, სტავანგერის, ტრონდჟეინისა და ფრამენის მთლიანი მოსახლეობა 1 708 000 შეადგენდა, რაც შეესაბამება ნორვეგიის მოსახლეობის 33%-ს და ურბანული დასახლებების საერთო მოსახლეობის 41%. ქალაქის ტიპის დასახლებების მიერ დაკავებული ტერიტორიის ზრდა შემცირდა, ხოლო სიმჭიდროვე გაიზარდა. საბოლოო ჯამში, ურბანულ დასახლებებს ნორვეგიის ტერიტორიის 2 158 კმ² უკავია, 2015 წლის 1 იანვრის მონაცემებით. 2014 წელს, ურბანული დასახლებების მიერ დაკავებული ტერიტორია გაიზარდა 11 კმ-ით, 2013 წელს კი 20 კმგ-ით. ნორვეგიის ურბანულ დასახლებებში, 2014 წლის 1 იანვრის მონაცემებით, მოსახლეობის რაოდენობამ ერთ კვადრატულ კილომეტრზე 1916 ადამიანი შეადგინა, ხოლო ზუსტად ერთი წლის შემდეგ კი 1 933 ადამიანი. ოსლოს საგრაფოს თითქმის მთელი მოსახლეობა ცხოვრობს ქალაქის ტიპის დასახლებებში, მაშინ როცა ანალოგიური მაჩვენებელი ჰედმარკის, ოპლანის, სოფნ-ოვ-ფიურანეს და ნურ-ტრენდელაგის საგრაფოების შემთხვევაში 57%-დან 60%-ს შორის მერყეობს. ქალაქის ტიპის მოსახლეთა რაოდენობის ზრდა 2014 წელს შეინიშნებოდა აკერპუსის, ვესტ-აგდერის, რუგალანის და ნურ-ტრონდელაგის საგრაფოებში დაახლოებით 2%-ით, ხოლო ოსლოს, აკერპუსის, რუგალანდის და ჰორდალანის საგრაფოებს ჰქონდათ ურბანული მოსახლეობის 58%-იანი ზრდა და უკვე 2015 წლისთვის ქვეყნის მთლანი ურბანული მოსახლეობის 48% ამ საგრაფოებში ცხოვრობდა (ეფოლკნინგ ოგ არეალ ი ტეტტსტედერ, 1. ჯანუარ 2015, 2015).

დემოგრაფიული პოლიტიკა და მოსახლეობის დინამიკის პროგნოზირება

სკანდინავიურ სახელმწიფოებს, ოჯახებზე მიმართული ვრცელი სოციალური პროგრამების განხორციელების დიდი ხნის ტრადიცია აქვთ. ნორვეგიაში 1960 წლიდან არსებობს აქტი უნივერსალური ანაზღაურებადი შვებულების თაობაზე. 1956 წელს იმისთვის, რომ დედებს ეროვნული დაზღვევით სარგებლობის უფლება მიეღოთ დასაქმებული უნდა ყოფილყვნენ ბავშვის დაბადებამდე არსებული 10-თვიანი პერიოდიდან სულ მცირე 6 თვე. ის ქალები, რომლებსაც არ ჰქონდათ შესაბამისი კვალიფიკაცია და არ იყვნენ დასაქმებულნი მიიღებდნენ სუბსიდიის სახით ერთიან თანხას 32138 ნორვეგიული კრონის ოდენობით (დაახლოებით 3900 ევრო). საწყის ეტაპზე, დახმარების მიღების ხანგრძლივობა მიმღები მშობლისთვის იყო მხოლოდ 12 კვირა და მიღებული ანაზღაურება იყო იყო დაბალი. 1977 წელს დახმარების მიღების ხანგრძლივობა გაიზარდა 18 კვირამდე და ამავდროულად, მამებსაც მიეცათ უფლება ესარგებლათ შვებულებით და ანაზღაურებადი შვებულების ვადის ამონურვიდან ერთი წლის ვადაში ესარგებლად უხელფასო შვებულებით, თანაც ამ დროს შეუნარჩუნდებოდათ სამუშაო ადგილი და უკან დაპრუნებისაც კვლავ მიიღებდნენ 100% იან ანაზღაურებას. მოგვანებით, 1993 წლიდან ბავშვიანმა ოჯახებმა უფრო დიდი მხარდაჭერა მიიღეს სახელმწიფოს მხრიდან, შვებულების პერიოდი მშობლებისთვის გაიზარდა 52 კვირამდე 80%-იანი ანაზღაურებით, ხოლო 42 კვირამდე სრული ანაზღაურებით.

მშობლებისთვის გამოყოფილი კვირეების რაოდენობიდან ოთხი კვირა გადადებულია მამების-თვის, ცხრა დედებისთვის, ხოლო დარჩენილი ნაწილი მათ შეუძლიათ თავიანთი სურვილისამებრ გადაანანილონ. აღნიშნული წესები მოქმედებს დღესაც. ამასთანავე, მშობლები, რომლებსაც ბავშვი არ დაჰყავთ საბავშვო ბაღში, იღებენ დახმარებას ადგილობრივი მუნიციპალიტეტებიდან, მანამ სანამ ბავშვი არ მიაღწევს 3 წლის ასაკს. დღეს ნორვეგიის მოსახლეობის დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი დეკრეტული შვებულების რაოდენობა უნდა ნაწილდებოდეს თანაბრად ორივე მშობელზე, ან კიდევ გაიზარდოს მამებისთვის გამოყოფილი შვებულების დრო, რათა ორივე მშობელს თანაბრად მიეცეს შესაძლებლობა მაქსიმალურად დიდი დრო გაატარონ ბავშვთან, რათა მან იგრძნოს ორივე მშობლის სიახლოვე თავისი ცხოვრების პირველივე ეტაპიდან.

როგორც ზემოთ მოყვანილი ტექსტიდან ჩანს, ნორვეგიის დემოგრაფიული პოლიტიკა მიმართულია მოსახლეობის რაოდენობის სტიმულიზაციისაკენ (მასტიმულირებელი დემოგრაფიული პოლიტიკა).

რაც შეეხება ნორვეგიის მოსახლეობის რაოდენობის ცვლილების სამომავლო პროგნოზებს, იმ შემთხვევაში თუ მოსახლეობის ზრდის ამჟამად არსებული ტემპი შენარჩუნდა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ნორვეგიის მოსახლეობა კვლავ განაგრძობს მატებას (თუმცა ნელი ტემპით). სტატისტიკური პროგნოზების მიხედვით 2025 წლისთვის, სავარაუდოდ, მოსახლეობის რაოდენობა მიაღწევს 5 725 000 ადამიანს, ხოლო 2035 წელს მოსახლეობის რაოდენობა გადააჭარბებს 6 მილიონიან ნიშნულს. საბოლოო ჯამში, 2050 წლისთვის ნორვეგიის მოსახლეობა მოიმატებს თითქმის 1,5 მლნ ადამიანით და გახდება 6 658 000.

მოსახლეობის ეთნიკური, ლინგვისტური და რელიგიური დახასიათება

ნორვეგიის მოსახლეობას უმეტესად ეთნიკური ნორვეგიელები შეადგენენ, რომელიც, თავის მხრივ, ჩრდილო გერმანიკული, ნორდიკული ნარმოშობის არიან. თუმცა მათ გვერდით ყოველთვის ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები, ნორვეგიის ხელისუფლება ეთნიკური ჯგუფების განსაზღვრისას გამოყოფს მათ სამ კატეგორიას:

ეროვნული უმცირესობები, რომელშიც შედიან: საამები, რომანიფოლკეტ – ბოშები, ებრაელები, კვენები და სკოგფინნერ. ისინი განისაზღვრება როგორც, ეთნიკური, რელიგიური და/ან ენობრივი უმცირესობები, რომელთაც აქვთ ხანგრძლივი კავშირი იმ ქვეყნისადმი რომელშიც ისინი ცხოვრობენ.

იმიგრანტები – ჯგუფები, რომელთაც აქვთ ხანმოკლე კავშირი სახელმწიფოსთან. სტატისტიკის ცენტრალური ბიუროს განსაზღვრებით, იმიგრანტი არის უცხოეთში დაბადებული ადამიანი, რომლის მშობლებიც ასევე უცხოელები არიან.

ნორვეგიის მკვიდრი მოსახლეობა – რომლებიც განიხილება როგორც ძირძველი მოსახლეობა, რომლებიც დასახლდნენ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე ან გეოგრაფიულ რეგიონში რომელიც ქვეყანას ეკუთვნოდა რადგან დაიპყრო შემდგომში, მოახდინა კოლონიზება ან საზღვრების დადგენისას მიიღო და მიუხედავად მათი სამართლებრივი სტატუსისა შეინარჩუნეს საკუთარი სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ინსტიტუტები. ამგვარი ჯგუფია საამები.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული უმცირესობები უკვე დიდი ხანია ასოცირდებიან ნორვეგიასთან, მაინც უნდა აღინიშნოს რომ ისინი სხვადასხვა ქვეყნის თემს წარმოადგენენ და სანამ ნორვეგიაში ჩამოვიდოდნენ ცხოვრობდნენ და ეკუთვნოდნენ სხვადასხვა ქვეყნის რეგიონებს. მათი ისტორიული ფესვები ნორვეგიის გარდა ამ ტერიტორიებთანაცაა დაკავშირებული. კავშირი ნორვეგიის ფარგლებს მიღმა, ხშირად გამხდარა მიზეზი იმისა, რომ ეთნიკური უმცირესობები გამხდარიყვნენ დისკრიმინაციისა თუ დევნის მსხვერპლი, სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში.

1999 წელს ნორვეგიამ აიღო განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მხარი დაუჭიროს, ხელი შეუწყოს და განავითაროს ენობრივი უმცირესობების კულტურა და მათი ენა, დაიცვას ისინი დისკრიმინაციისა და დევნისაგან. რაც გამოიხატა იმაში, რომ ქვეყანამ რატიფიცირება მოახდინა ევროპის საბჭოს ქარტიისა რეგიონული და უმცირესობათა ენების შესახებ.

კვენები უკვე რამდენიმე ასეული წელია დაკავშირებული არიან ნორვეგიასთან. კვენების უდიდესი ტალღა, რომელიც ნორვეგიისკენ დაიძრა, სათავეს იღებს 1700–1800-იან წლებში ფინეთი-დან და ჩრდილო-შვედეთიდან. დღეს, ფინური ენისა და კულტურის ფონის მქონენი, მათი მემკვიდრეები, ვინც ჩამოსულა ჩრდილოეთ ნორვეგიაში 1945 წლამდე, ყველა განიხილება როგორც კვენები.

კვენური მიეკუთვნება ფინურ-უგრული ოჯახის ბალტიურ-ფინურ ენათა ჯგუფს. მას ბევრი აქვს საერთო ფინურთან, მაგრამ, ამავდროულად, მისგან განსხვავდება. 2005 წელს კვენური ოფიციალურად აღიარეს როგორც ცალკე ენა. ეს ენა კლასიფიცირდება როგორც საფრთხის ქვეშ მყოფი, ვინაიდან დღეისათვის ფუნქციონირებს როგორც სალაპარაკო ენა მოხუცებს შორის. დღეისათვის კვენების რაოდენობა ნორვეგიაში დაახლოებით 10 000-15 000-მდე ადამიანს ითვლის და მათი უმეტესობა ფინმარკისა და ტრომსოს საგრაფოებში ცხოვრობს. რომელთაგანაც, კვენურზე მოსა-

უბრეთა რიცხვი მერყეობს 2000-დან 8000-მდე ეს რიცხვიც დამოკიდებულია შეფასების კრიტერიუმებზე.

Skogsfinnene – მცირე ფინური თემია და მათი ისტორია სათავეს იღებს 1575–1660-იანი წლები-დან, როცა ფინელი გლეხები სავონიდან და ჩრდილოეთ ტავასტიდან (ფინთის ისტორიული მხარე-ები) დასახლდნენ ნორვეგისა და შვედეთის სასაზღვრო ტყიან რაიონებში, განსაკუთრებით კი იმ ტერიტორიაზე, რომელთაც უნიდებენ ინნსკოგენ. მათი მიგრაციის ერთ-ერთ მთავარი მიზეზი იყო - ახალი მიწების ათვისების საჭიროება გაზრდილი მოსახლეობის ფონზე.

მიუხედავად იმისა, რომ მათი ენა გაქრა 1900-იანი წლების დასაწყისში, კვლავ იყენებენ სასა-უბროდ ნორვეგიულს ფინური სიტყვებითა და გამოთქმებით, ასევე რამდენიმე გეოგრაფიულ ტოპონიმშია შემორჩენილი მათი ძველი სიტყვები. ისინი სრულიად ასიმილირდნენ ნორვეგიულ საზოგა-დოებასთან და დღეს უკვე რამდენიმე ასეული ადამიანია ნორვეგიაში რომელიც საკუთარი თავის მათთან იდენტიფიცირებას ახდენს. აღსანიშნავია ასევე, რომ ბოლო ათწლეულში მნიშვნელოვნად გაიზარდა ფინსკუგების კულტურისა და ტრადიციებისადმი ინტერესი.

სკანდინავიელი ბოშები, რომელთაც ასევე მოიხსენიებენ, **როგორც „tatere“ (ბოშები) და „დერეისენდე“ („მოგზაურები“)** [ლომანიფოლკეტ ან ტატერე/დე რეისენდე არის ერთ-ერთი შტო იმ ბოშებისა, რომლებიც ცხოვრობენ ნორვეგისასა და შვედეთში და ეთნიკურად და ისტორიულად და-კავშირებულნი არიან ბოშებთან, რომლებიც, თავის მხრივ, ინდოეთიდან იღებენ სათავეს. არსებობს უთანხმოება თუ ამ სამი ტერმინიდან რომელი გამოიყენონ მოცემულ ჯგუფზე საუბრისას. ხშირდ მათ ასევე განიხილავენ როგორც უძველეს ეთნიკურ ჯგუფს, რომელიც ნორვეგიაში ემგიგრირდა. ისინი ნორვეგიაში იმყოფებიან სულ ცოტა 1500-იანი წლებიდან. მათ აქვთ გამორჩეული ისტორია და კულტურული ფონი, რომელიც დაფუძნებულია მოგზაურობასა და სხვადასხვა ტერიტორიაზე გადაადგილებაზე, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში. მათი ასეთი ცხოვრების წესი იქცა პრობლემური ნორვეგიის მთავრობისთვის და 1900 წლებში ეკვემდებარებოდნენ მკაცრ ასიმილაციას, რომლის მიზანიც იყო შეეცვალათ მათი ცხოვრების წესი კულტურა და ენა. მაგალითად, ერთ-ერთი მეთოდი ამ მიზნის მისაღწევად იყო იძულებითი სტერილიზაცია. დღეს უცნობია ამგვარი წარმოშობის მქონე ადამიანების ზუსტი რაოდენობა, მაგრამ მიახლოებით ვარაუდობენ 10 000 ადამიანს. ასევე დაუდგენელია ამ ენაზე მოსაუბრეთა ზუსტი რაოდენობა. ამგვარ სირთულეს წარმოშობს ის, რომ ნორვეგიას არ აქვს მონაცემები მათი ეთნიკური წარმოშობის შესახებ, მათი ცხოვრების წესი ცვალებადია, ვინაიდან მათ ერთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ აქვთ. ცნობილია, რომ ისინი საუბრობენ ენაზე, რომელსაც უნიდებენ სკანდინავიურ-ბოშურს და რომელიც თავის მხრივ განეკუთვნება ჩრდილო-გერმანიკულ ენათა ჯგუფს.

ღომ - ბოშათა ჯგუფი იყო რომლებიც ევროპაში 1000-იან წლებში გამოჩნდნენ. ნორვეგიაში კი ასე მოიხსენიებენ ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც 1800-იანი წლების შუა პერიოდში ჩამოვიდნენ რუმინეთიდან. ისინი ასევე ინოდებიან როგორც ბოშები, თუმცა კამათის საგანია ის, თუ როგორ მოიხსენიონ. მათი ენა ინოდება როგორც რომანული და ენათესავება ინდოევროპულ ენათა ერთ-ერთ ჯგუფს, რომელიც ინდოეთში გამოიყენება. დღეს 300-500 ადამიანია ამგვარი წარმოშობის მქონე და ყველა მათგანი ცხოვრობს ოსლოს ერთ-ერთ გარეუბანში.

ებრაელები განსხვავდებიან სხვა ეროვნული უმცირესობებისგან, ვინაიდან ისინი ერთგვარი რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები არიან. მას შემდეგ რაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია გახდა, არაქრისტიანულ და წარმართულ ჯგუფებს ნორვეგიაში ცხოვრება ეკრალებოდათ, მსგავსი წესი მოქმედებდა ებრაელთა მიმართ სანამ ქვეყნის კონსტიტუციაში 1851 წელს ცვლილებები შევიდა, რამაც ებრაელებს ქვეყანაში შესვლის უფლება მისცა. შედეგად, 800-იანი წლების დასასრულს შეიქმნა ებრაული თემი ოსლოსა და ტრონდჰამში, ასევე მცირე დასახლებები ბერგენში, დრამენსა და კრისტიანსუნდში. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მათი რაოდენობა შემცირდა, ვინაიდან ქვეყანას ნაციისტები დაეპატრონენ და, შესაბამისად, ებრაელები აქტიურად იდევნებოდნენ. დღეს მცხოვრებ ებრაელთა უმეტესობა ნორვეგიულად საუბრობს, თუმცა რამდენიმე ასეული ადამიანი მაინც იყენებს ებრაულსა და იდიშს.

საამები ოფიციალურად ერთადერთი მკვიდრი მოსახლეობაა ნორვეგიაში. მათ აქვთ საკუთარი კულტურა, ისტორია და ოდითგანვე სახლობენ არეალში რომელსაც თვითონ უწოდებენ „სამპი“-ს. ეს არეალი ოთხ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ვრცელდება, ნორვეგიის, შვედეთის, ფინეთისა და რუსეთის. ნორვეგიაში უმეტესად ცხოვრობენ ფინმარკის, ნორლანდის, ტრომსონსა და ნურ-ტრენდელაგის საგრაფოებში. წარსულში ისინი მისდევდნენ ნადირობას, თევზაობას, ირმების მოშენებასა და მიწის დამუშავებას, მაგრამ დღეისთვის თანამედროვე ცხოვრების წესით უფრო არიან დაკავებულნი. ქვეყანა არ აწარმოებდა ოფიციალურ ჩანაწერებს მათ რაოდენობის შესახებ, ამიტომ უცნობია ზუსტად რამდენი ადამიანია საამური წარმოშობის. დღეისათვის კი საამების საერთო რაოდენობა დაახლოებით 85 ათასიდან 130 ათასამდე მერყეობს.

საამური ენა ფინო-უგრული ენების ურალურ ენათა ოჯახის განსაკუთრებულ ქვეჯგუფს ეკუთვნის. მაგრამ, ჯგუფში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს, რადგან სუბსტრატული ლექსიკის ერთი მესამედი ფინო-უგრული ენების ლექსიკასთან სიახლოვეს ვერ პოლობს. განასხვავებენ 9 სხვადასხვა საამურ ენას. ნორვეგიაში მცხოვრები საამები საუბრობენ მხოლოდ სამ მათგანზე: ჩრდილო-, ლულე- და სამხრეთსამური. ამ ენებზე მოსაუბრეთა მიახლოებითი რაოდენობა კი ნორვეგიაში 26000 ადამიანს აღნევს.

რელიგია

ნორვეგიის კონსტიტუცია ევანგელისტურ-ლუთერანულ აღმსარებლობას განსაზღვრავს, როგორც სახელმწიფო რელიგიას. 2013 წლის მონაცემებით, ნორვეგიელების დაახლოებით 76,1% სწორედ სახელმწიფო რელიგიის მიმდევარი იყო. თუმცა ისინი ამ ეკლესიის ნომინალურ წევრებს წარმოადგენენ, რადგან ოპაიოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორის კევინ ბოილის კვლევის მიხედვით, ეკლესიის წევრთა უმეტესობა არ გამოირჩევა აქტიური რელიგიური ცხოვრებით. ისინი ეკლესიას მხოლოდ ნათლობის, ჯვრისწერისა და პანაშვიდის რიტუალებისთვის სტუმრობენ.

მიუხედავად მიმდინარე აქტიური პოლიტიკური დებატებისა სახელმწიფოსა და რელიგიის განცალკევების შესახებ, ევანგელისტურ-ლუთერანულ ეკლესიას მაინც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კონსტიტუციის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ მთავრობის ფორმირებისთვის, ამავე კონსტიტუციით, ნორვეგიის მეფე და მინისტრთა კაბინეტის ნახევარი მაინც უნდა იყოს ლუთერანული ეკლესიის წარმომადგენელი.

ქრისტიანობამ, კერძოდ კი კათოლიციზმმა ნორვეგიაში აქტიურად მოიკიდა ფეხი მე-11 საუკუნიდან, თუმცა მე-16 საუკუნეში როცა ნორვეგია დანიის მმართველობის ქვეშ გადავიდა, ქვეყანა იძულებული გახდა 1536 წლისთვის შეეცვალა კათოლიციზმი დამპყრობლის რელიგიით და ლუთერანული გახდა. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა რელიგიების, მათ შორის კათოლიციზმისა და ისლამის მიმდევართა ზრდა განაპირობა ქვეყანაში ემიგრანტთა დიდი ნაკადის შემოდინებამ.

2013 წლის მონაცემებით, კათოლიციზმი არის მეორე ყველაზე დიდი ქრისტიანული აღმსარებლობა, რომლის მიმდევარია მოსახლეობის 2,4%. ამ რელიგიის მიმდევართა რაოდენობა 2009 წლიდან 2013 წლამდე გაიზარდა 111,22%. ასევე ნორვეგიის სხვადასხვა საგრაფოებში ტერიტორიული განაწილების მიხედვით, ყველაზე მეტი მიმდევარი მთლიანად ქრისტიანული აღმსარებლობებისა ნურ-ტრონდელაგის საგრაფოში ცხოვრობს, საგრაფოს მთლიანი მოსახლეობის 91,57%. ყველაზე ცოტა მიმდევარი კი ქრისტიანულ რელიგიებს ოსლოში ჰყავდა – 67,03%.

ისლამი ყველაზე დიდი არაქრისტიანული რელიგიაა ნორვეგიაში, მთლიანი მოსახლეობის 2,4% მიმდევრით. 2006 წელს, მუსლიმთა 56% ოსლოსა და აკერპუსუს საგრაფოში ცხოვრობდა. 2009 წლიდან 2013 წლამდე მათი რაოდენობა 30,34% გაიზარდა. რაც შეეხება საგრაფოების მიხედვით განაწილებას, ყველაზე მეტი, მთლიანი საგრაფოს – 7,38% ცხოვრობდა ოსლოში, ხოლო ყველაზე ცოტა – 0,25% კი ფინმარკში

რაც შეეხება იმ ადამიანებს, რომლებიც არც ერთი რელიგიის მიმდევარი არ არიან, უნდა აღინიშნოს რომ ყველაზე მეტი არარელიგიური მცხოვრები ოსლოს ჰყავდა, მთლიანი საგრაფოს – 24,32%, ყველაზე ცოტა კი სოგნ-ოგ-ფიურანეს საგრაფოს – 7,71%.

ლიტერატურა:

1. wikipedia.org: <https://no.wikipedia.org/wiki/Oslo>
2. https://en.wikipedia.org/wiki/Demographics_of_Norway
3. *The world factbook.* <https://www.cia.gov/library/publications/the-worldfactbook/geos/no.html>.
4. Norwayks membership in international organisations, samfunnskunnskap.no: http://www.samfunnskunnskap.no/?page_id=416&lang=en
5. Lars Sstby, Norwayks population groups of developing countriesk origin Change and integration Reports 2010-2013 gv: 22-34
6. https://www.ssb.no/befolking/artikler-og_publikasjoner/_attachment/103718?_ts=13d6d5b6cc8 Norway: Migrant Quality, Not Quantity/ MAY 1, 2005 By Betsy Cooper
7. <http://www.migrationpolicy.org/article/norway-migrant-quality-not-quantity>
8. *Immigration to Norway*https://en.wikipedia.org/wiki/Immigration_to_Norway.
9. *Migrations, 2013* <https://www.ssb.no/en/befolking/statistikker/flytting/aar/2014-04-28>
10. <https://www.ssb.no/statistikkbanken/selectvarval/define.asp?SubjectCode=al&ProductId=al&MainTable=FlyttFlylker&contents=Innflytting&PLanguage=0&Qid=0&nvl=True&mt=1&pm=&SessID=7652160&FokusertBoks=2&gruppe1=LandsdelFylkeTil&gruppe2=LandsdelFylkeFra&gruppe3=Hele&aggreg1=YES&aggreg2=&VS1=FylkerFlyttTil&VS2=FylkerFlyttFra&VS3=&CMSSubjectArea=&KortNavnWeb=flytting&StatVariant=&Tabstrip=SELECT&aggresetnr=2&checked=true>
11. <https://www.ssb.no/en/innvandring-og-innvandrere/nokkeltall/immigration-and-immigrants>
12. <https://esa.un.org/unpd/wpp/DataQuery/>
13. *Employment among immigrants, register-based, 2015, 4th quarter* Published: 8 June 2016<https://www.ssb.no/en/arbeid-og-lonn/statistikker/innvregsys/>
14. *Key figures for immigration and immigrants*<https://www.ssb.no/en/innvandring-og-innvandrere/nokkeltall/immigration-and-immigrants>
15. *Fertility and family policy in Norway - A reflection on trends and possible connections / Marit Rønse* / © 2004 Max-Planck-Gesellschaft. gv. 278-280
16. <http://www.demographic-research.org/volumes/vol10/10/10-10.pdf>
17. <https://www.etikkom.no/fbib/temaer/forskning-pa-bestemte-grupper/etniske-grupper/>
18. Stein pÅ Stein Tekstbok Norsk og samfannskunnskap for voksne innvandrere Elisabeth Ellingsen, Kirsti Mac Donald 2000 gv. 120 Barn og foreldre.
19. <https://esa.un.org/unpd/wpp/DataQuery/>
20. https://en.wikipedia.org/wiki/Demographics_of_Norway
21. <https://www.etikkom.no/fbib/temaer/forskning-pa-bestemte-grupper/etniske-grupper/>
22. <http://www.kvenskinstitutt.no/kvener/nasjonale-minoriterer/>
23. <http://www.kvenskinstitutt.no/kvener/nasjonale-minoriterer/>
24. https://no.wikipedia.org/wiki/Den_norske_kirke
25. https://en.wikipedia.org/wiki/Religion_in_Norway#cite_note-usstatedept
26. <http://www.kvenskinstitutt.no/kvener/nasjonale-minoriterer/>

გამომცემლობის
რედაქტორი

მაია ეჯიბია

გარეკანის დიზაინერი

მარიამ ებრალიძე

დამკაბადონებელი

ეკატერინე თეთრაშვილი

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0179
Tel 995 (32) 225 14 32
www.press.tsu.edu.ge